

~~K 15/21~~

~~2~~

891.97


გამოცემა ყ-დ სამოვლელო ბლექსანდრესი, გურია-სამეგ. ეპისკოპოსისა.

მირსრმა საშართველოს ეკკლესიის

## კათალიკოსი

კ

# ელვალელთ-გთავარნი



შეღენილი

მდ. ჰოლივადის კარბელა შეილის. მიერ.



თვილისი.

სტამბა მ. ჭარაძესა და ამხ. ნიკოლოზის ქუჩ. № 21.  
1900 წ.

Дозволено Духовною цензурою 23 Мая 1900 г.

# ქრისციანობის გავრცელება

მცირე აზიაში და საჩართველოში.

(მოკლე მიმოხილვა)

## I.

პალესტინის ჩრდილოეთით მდებარე სამთავროები შავ-ზღვადმდე (ეხლანდელი მცირე აზია), როგორც თვით პალესტინაც, ძველად შეადგენდნენ დიდის რომის იმპერიის ნაწილს. და ფრიად მდიდარი ხალხით იყო დასახლებული, მეტადრე შავიზღვის ნაპირი. ზეოგრაფიული მდებარეობა და განუწყვეტელი სააღებ მიცემო გახშირებული მისვლა-მოსვლა ძალიან ხელს უწყობდა მცირე იზიის სხვა-და-სხვა ტომთა დაახლოვებასა პალესტინასთან. ჯერ ისევ ნაბუქდონოსორ მეფის დროდან მთელს მცირე აზიაში მრავლად იყვნენ ებრაელნი დასახლებულნი, როგორც საქართველოში, რომელნიც სულიერად დაკავშირებულნი იყვნენ თავანდელ სამშობლოსთან — პალესტინასთან. შავი ზღვის სამხრეთი ნაპირი, ანუ მცირე აზიის ჩრდილოეთი მხარე იმავე თავით დასახლებული იყო ქართველი ტომით და იწოდებოდა ქაბადოკიად, რომელიც ებრაელებთან ერთად იყო საქართველოს დამაკავშირებელი მცირე-აზიასა და პალესტინასთან. იქსო ქრისტეს გამოცხადების დროს მცირე აზია, ქაბადოკია და პალესტინა ბერძენ-რომაელთა წარმართობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ; იგი წარმართობა იმ დროს უკანასკნელ ხანაში იყო და, ვითარცა დაუძლებულებულს მომაკვდავს მოხუცს — თვისი საბრძანებელი და გავლენა ადრე თუ გვიან — უნდა დაეთმო ქრისტეს ცხოველ-მყოფელი სწავლა-მოძღვრებისათვის, რაკი ყველა სხვა-

და-სხვა ტომის ხალხს თავი მოაბეჭრა და მოსწყინდათ, რომ  
ბორჯ ბერძენ-რომაელთა ძლიერებით მოტანილი; გავრცელე-  
ბული და ძალად თავს მოხვეული: ამიტომ მცირე აზის მკვიდრნი  
ყველანი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს იქსო შრის-  
ტეს სწავლა-მოძღვრების გავრცელებასა ურიასტანში და მისი  
ღვთაებრიობის და სასწაულების ამბავი ელვასავით ენათებოდათ.

ოთხივ-კუთხივ გაფანტულნი ებრაელნი ყოველ წოთობით  
თავს იყრიდნენ ხოლმე იქრუსალიმში პასექის სადღესასწაუ-  
ლოდ. აქედგან მობრუნებულნი თავის მეზობლებს შორის  
ავრცელებდნენ იქსო შრისტეს ცხოვრების და მოქმედების  
ამბებსა.

ამგვარად, შრისტეს ამაღლების ცროსვე მცირე აზია და  
საქართველო დიდად თანაუგრძნობდნენ ქრისტიანობას და  
სრულიად გულ-აყრილნი იყვნენ წარმართობაზედ. ამაღლე-  
ბის შემდეგ მცირე აზიას მოეფინნენ სახარების საქადაგებლად  
წმ. მოციქულნი—იოანე ღვთის-მეტყველი, პეტრე და პავლე,  
ანდრია და სიმონი, ბართლომე ბარნაბა და თადეოზი (მა-  
ტათა) და მალე გაავრცელეს კიდევ. ანტიოქია, მცესო, ზა-  
ლატია, ფრიგია, პაფლაგონია, ლიდია, მდესია, მაბალოკია,  
მოლხიდა რამდენსამე წელში გარდაიქცნენ საქრისტიანო  
ეკკლესიებად. აქ პირველი ეპისკოპოსი მცოდი, პეტრე მო-  
ციქულმა დაადგინა ანტიოქიაში 42 წ. და ამიტომ ყველა  
მცირე აზიის ჩამოთვლილი ეკკლესიები წმ. მოციქულებმა  
დაუმორჩილეს ანტიოქიის მღვდელთ-მთავარსა. მაბალოკიაში  
ქრისტიანობა ჰქადაგეს ორთა ძმათ—პეტრემ და ანდრიამ.  
მს უკანასკნელი გაუდგა ძოლხიდისაკენ სვიმონ მოშურნეს-  
თან ერთად, მიმოვლო ძლარჯეთი, (ეხლანდელი ოსმალეთის  
საქართველო), დასავლეთის საქართველო აბხაზეთიანათ და  
ჰქადაგა წმ. სახარება.

პეტრემ მთავარი მთავარი მაბალოკიისა მდიდარი ბაგრატი  
თავის სახლეულით. პეტრეს ჩაგონებით ბაგრატმა თავისი დი-  
დი შეძლება გაუყო გლახაკთა და წავიდა სამხრეთ იტალიისა-

კენ ორის მოწაფით (მარტიანე და მერკვირი), დაბინავდა და გაავრცელა სახარება ძრისტესი სიცილიაში და ქ. სიჩაუზის მახლობლად მდებარე ტავრომენის ეპისკოპოსად იქმნა დად გენილი; აქედან გადიოდა ძალაბრიაში, სამხრეთ იტალიაში, და ყველგან არღვევდა საკურპოებს და აღმართებდა ცხოველ-მყოფელ ჯვარსა ძრისტესა. მოკიქულთა სწორის ბაგრატის ხენებას ძრისტეს ეკულესია აღასრულებს 9 ივლისს და თე-ბერებლის 9<sup>1</sup>). ძაბალოკიდამ ქრისტიანობა მოეფინა შავის ზღვის ნაპირებზედ – ძლიარჯეთისაკენ. სადაც უძველესი სამ-ღვდელთ-მთავრო საყდრები ბიჭვინტისა, ნიკოფიისა, ფა-ზისა და მეტადრე ანჩისა მეჩვიდმეტე საუკუნემდე არსებობდნენ და მისნი მღვდელთ-მთავარნი ემორჩილებოდნენ მცხეთის კა-თალიკოზს. ამ საყდრების მღვდელთ-მთავარნი – ანდრია მო-ციქულის მოწაფე ვილოლოგი (წინად სინოპისა), ვოტი (წინად ტრაპიზონისა), მელეტი, ივატი, სტრატოფილოსი, შპაციანი და სხ. მრავალნი იყვნენ ძაბალოკიელნი ქართველ-ნი და ქრისტიანობის მდევნელთაგან გამოძევებულნი საქართ-ველოსკენ.

შოველი ესე გვარწმუნებს, რომ შავის ზღვის პირად IV საუკუნემდე უკვე ჰყავა და ქრისტიანობა და ეს იყო მიზეზი, როგორც სამართლიანად ამბობს განსვენებული დ. ბაქრაძე (იხ. ისტორია 110 გვ.), რომ ქართლ-კახეთში ისე აღვილად, სისხლის დაუღვრელად დამყარდა ქრისტიანობა.

1) წმ. ბაგრატ მოციქულთა სწორის ვრცელი და ფრიად საინტე-რესო ცხოვრება ორ ხელნაწერად გვაქვს ცნობილი ჯერ-ჯერიბით და ორი-ვე დაცული არიან საქართველოს სამღვდელოების საეკკლესიო მუზეუმში: ერთი ტყავზედ 1066 წ. № 134, აღწერილი რომანად (კონსტანტინეპოლ ში) მონასტრის წინამდღვრის გელასისაგან იოანე სინელის კლემაქსთან-ერთად; მეორე ჩემ მიერ ჩამოტანილი სიღნაღიდან, № 508, შემოწირული პატივცემულის ივანე დიმიტრის ძე ქიტიაშვილისაგან. ბაგრატის ცხოვრე-ბა წმ: ეფთვიმეს ნათარგმნია ბერძულიდამ. ქართულად XI საუკ.

## II.

არც ქართველთათვის ოჩებოდა საიდუმლოებად იესო  
შრისტეს ღვთაებრიობის და სასწაულების ამბავი, როგორც  
მაბადოკიელთა და სხვათათვის; განვითარებულმა კულტურამ  
მალე აგრძნობინა ჩაბადოკიის და საქართველოს მკვიდრთა-  
უალრესობა შრისტეს მოძღვრებისა. წარმართობასთან შედარე-  
ბით. ამიტომ საქართველოში ძველადგანვე დამკვიდრებულ  
ურიათა ხშირ მისვლა-მოსვლას იერუსალიმში, როგორც  
ზევით მოვიხსენიეთ, სარწმუნოებრივი ვალდებულობის და  
აღებ-მიციმობისათვის, დიდი ზედგავლენა ჰქონდა აქაც,  
როგორც სხვაგან. იერუსალიმიდგან მოსრულნი ურიანი-  
თავის თვალით ნახულს და ყურით სმენილს იესო შრისტეს  
სასწაულებს და სწავლა-მოძღვრებას დაწვრილებით უამბობ-  
დნენ თავის მეზობელ ქართველებს და დიდის ქებით  
და პატივისცემით იხსენიებდნენ თვით იესო შრისტეს პი-  
როვნებასაც<sup>2)</sup>). ასე რომ, როდესაც წმ. ანდრია, სიმონ და  
მარათა (თადეოზ). მოციქულნი გადავიდნენ ჩაბადოკიდან  
ზახავლეთ საქართველოში, ქართველობას უკვე დაახლოვებით  
გაცნობილი ჰყვანდათ იესო შრისტე და მისი სწავლა-მოძღვ-  
რება და ცხოვრება<sup>3)</sup>). მიზეზიც სწორედ ეს იყო, რომ მაგ  
მოციქულთა ქადაგებამ ამაოდ არ ჩაიარა და მათი მოღვა-  
წეობის კვალი დღემდე აღნიშნულია და დახსომებული<sup>4)</sup>),

<sup>2)</sup> იხ. ელიოზის მოხუცი დედის და დის სიყვარული და სარწმუ-  
ნოება შრისტესი, აგრეთვე პბიათარ მღვდლისა I ნაწ. ქ.-ცხ. 78 დ 80 გვ.

<sup>3)</sup> როგორც სტრაბონი და სხ. მწერალნი მოგვითხრობენ, ქართ-  
ველებს დიდი აღებ-მიცემობა ჰქონდათ ეგვიპტესთან, ასურეთთან, ფინ-  
იკიასთან და, უეპველია, პალესტინასთანაც.

<sup>4)</sup> აწყურის ტაძრის საძირკვლის დადებასა და ამ ტაძრის ღვთის-  
მშობლის ხატის მოტანას ანდრია მოციქულს აწერს ჩვენი მარიანე. ან-  
დრია მოციქული მეორედაც იყო კლარჯეთში და თან მოჰყვნენ სვიმონ

რაკი ისრეთი გაუგებრობა და დაბრკოლება არ დახვდათ საქართველოში, როგორც მაგ. მაშინდელს დაწინაურებულს საბერძნეთში, რომელმაც ანდრია მოციქული აქაიაში ჯვარს აცვა და ტანჯვაში სული ამოართო ისე, როგორც დიონოსე არიოპაგელს, თეკლას და სხ. ათასობით შრისტეს მორწმუნებს. ზრიად საგულისხმოა, რომ ერთად-ერთმა ქართველმა ერმა სისხლის დაუღვრელად მიიღო ქრისტიანობა და ერთხელაც არ შეუძლალავს თვისი მიწა-წყალი შრისტეს მოძღვრების მქადაგებელთა სისხლით. — თუ მეფე ფარსმანის ჯაუტობა არა, საქართველო მაშინვე მიიღებდა ქრისტიანობას და წმ. ნინომდე არ დარჩებოდა მისუსტებულ წარმართობაში. ფარსმანმა მართალია ცოტას ხნობით შეაფერხა შრისტიანობის დამყარება საქართველოში, მაგრამ სამაგიეროდ ყოველი ქართველის ყურადღება უფრო მიაჰყრო იქსო შრისტეს სწავლა-მოძღვრებასა, რომელიც ნელ-ნელა მკვიდრდებოდა და სხივოსნობდა ყოველი ქართველის გულში.

მოციქულების დროსვე რომის იმპერიის მბრძანებელთ ჩვეულებად ჰქონდათ თვისნი ურჩნი და მოღალატენი. შავი ზღვის ომოსავლეთით კოლხიდაში გაეგზავნათ ხოლმე. მაგ. ტრაიანე იმპერატორმა ძლარჯეთში გამოაძევა ეპისკოპოსნი — რომისა ძლიმენტოსი<sup>5)</sup> და პონტოსა (კაბადოკიისა) პალ-

და მატათა მოციქულნი. (იხ. ქ-ცხ. 42—43 გვ. და ისტ. ბაქრ. 108 გვ.) ანდრიას ქადაგება და ქრისტიანობის დამყარება საქართველოში მოთხოვობილია აბხაზეთის კათალიკოზის იოაკიმეს კურთხევისათვის აღწერილს 1480 წ. გუჯარში. მეორე 1431 წ. გუჯარი; მოიხსენებს ანდრია მოციქულის წამებას კაცის-მჭამელ აბხაზთაგან და მისს დასაფლავებას ბიჭვინტაში. ანდრიას ქადაგების მოთხოვობა შედგენილია V საუკ. მეცნიერის ნიკიტა ქართველის ბერის მიერ. უძველესი ხელნაწერი. ანდრიას ცხოვრებისა და ქადაგებისა დაცულია გაენათის მონასტერში; ამ ხელნაწერიდამ ისარგებლა მ. საბინინმა. (იხ. „ივერია“ 1878 წ. № 28, 9. გვ. წერილი დ. ბაქრაძისა და „საქ. სამოთხეს“).

5) კლიმენტოსი იყო პეტრე მოციქულის მოწაფე, მეფეთა შთამომავალი, პეტრესგანვე რომის ეპისკოპოსად დადგენილი. შემდეგ ტრაიანე

მოსი<sup>6</sup>), რომელთაც განაგრძეს მოციქულთაგან დაწყებული ქადაგება წმ. სახარებისა გურია-სამეგრელოში, 70 საყდარი აღაშენეს შავი ზღვის პირად და იქმოდენ მრავალთა სასწაულთა. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ანჩის ტაძარი (ჭოროხის ხეობაში) ამ დროს არის აღშენებული და სამღვდელთ-მთავროდ დაწესებული, და სხვა ეკალესიებთან ერთად მიწერილი ანტიოქიის საპატრიარქოზედ; მაგრამ შემდეგ ჭოროხის ხეობის მკვიდრ ქართველებან ერთტომობის გრძნობამ გაიწია. ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ და ანჩის ეპარქია და მორჩილდა მცხეთის საკათალიკოზოს. აი მიზეზი, რომ შეჩვიდმეტე საუკუნემდე ანტიოქიის საპატრიარქო მუდამი იბირავდა თავისაკენ სამცხესაათაბაგოს მღვდელთ მთავრებს და ამიტომ ჰსთესავდა მტრობასა და განხეთქილებასა, მიმართულს მცხეთის საკათალიკოზოს საწინააღმდეგოდ. ანტიოქიის პატრიარქთა ესრეთმა სამწუხარო მოქმედებამ დიდად მოუმართა ხელი საქართველოსთან ერთობისაგან სამცხე-საათაბაგოს განცალკევებასა, ქართველთა დაუძლებურებასა და ოსმალთა გაძლიერებასა, როგორც დავინახავთ შემდეგ.

ამნაირად მოციქულების დროსვე აღძრულმა ქრისტიანეთა დევნულებამ მრავალნი ქრისტიანენი იძულებულ ჰყო საქართველოსაკენ მოეძებნათ თავ-შესაფარი; მათმა დაუცხრომელმა წმ. სახარების ქადაგებამ უიმისოდაც მისუსტებული და აბუჩად აგდებული წარმართობა. თან-და-თან უფრო დააუძიმერა ტორმა სტანჯა დიდად და აწამა წმ. სახარების დაუცხრომელი ქადაგებისათვის.

<sup>6</sup>) პალმოსი შთამომავლობით იყო ქართველი; ამისი შვილი მარტინი, ეპისკოპოზი ფაზისა (გურია-სამეგრელოსა) იყო მწვალებელი, რისთვისაც თვით მამამ შეაჩვენა და დასწყევლა. მარტინი შენდობისათვის მივიდა რომის პაპა ანკიტესთან, მაგრამ მან უარი უთხრა, რაკეთამისაგან იყო შეჩვენებული. (იხ. Жиз. опис. св. Груз. ц, Іоссеі. 7 და 8 გვ.)

ჭურა და მოამზადა ნიადაგი მთელ საქართველოში. ქრისტიანობის გავრცელებისათვის.

ჯერ ისევ ქრისტეს წინად მეფის ვარნავაზის და მისის შვილის საურმაგის (237 – 162) წყალობით კერპთა ყვანის-მცემლობას აღმოუჩნდა მძლავრ მეტოქედ სპარსეთიდგან შემოტანილი ცეცხლის თაყვანის-ცემა, რომელიც შემდეგ მეფე ვარნავაზ (112 – 93 წ.) ნებრითიანმა გაავრცელა მთელს თავის სამეფოში<sup>7</sup>). ამის გამო ქართველმა ერთა წინააღმდეგობა გაუწია მეფეს და ამ ორ სარწმუნოებრივ კულტთა შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა VI საუკუნის დამლევამდე<sup>8</sup>). ამ ბრძოლით მობეზრებულმა მეფე რევაზ (186 – 213 წ.) შეასუსტა კერპთა თაყვანის-მცემლობა, აკრძალა ყრმათა შეწირვა და დააწესა შეწირვა პირუტყვი საქონლისა—კურატისა, ცხვრისა, ქათმისა და სხ. მირიან მეფემ სომ თრივე კულტს თანაბარი პატივი მიაპყრო, რომ მითოშ სამეფო დაემშვიდებინა, მაგრამ უკმაყოფილება დაცხრომის მაგიერ უფრო გაძლიერდა. შმ. ნინომ ურბნისშვერ იხილა თავის თვალით თაყვანისცემა ცეცხლისა<sup>9</sup>), ხეთა, ქვათა და სხ. რამდენსამე საუკუნეში გამოვლილმა ბრძოლამ დიდად შეასუსტა კერპთა და ცეცხლის-თაყვანის ცემის კულტი და ერთის მხრივ დიდად აუმართა ხელი ქრისტიანობის გავრცელებასა პირველიდგანვე.

ამ დროს სომეხნი კი უფრო სპარსეთისაკენ იყვნენ მიდრეკილნი ძველადგანვე და ამიტომ ცეცხლის თაყვანის მცემლობასაც უფრო აქა ჰქონდა ფეხი მოკიდებული. მიზეზი ეს იყო, რომ ქრისტიანობის გავრცელებასა და დამყარებას მეტი დაბრკოლება აღმოუჩნდა. სომხეთში, ვიღრე საქართველოში.

<sup>7)</sup> იხ. ქ. ცხ. 34 გვ.

<sup>8)</sup> იხ. ქ.-ცხ. 56, 60 და 73 გვ.

<sup>9)</sup> ცეცხლის თაყვანის მცემლობის დროინდელი საკერპო—საცეცხლე (ათეშვა) დღემდე დარჩენილია ტფილისში ბეთლემის ტაძრის (ფეთაინის) მახლობლად.

მაგ. სომხეთში რომ ქრისტეანე მეფეებმა განდევნეს ცეცხლის თაყვანის-მცემელნი, მაშინ სპარსელებმა იწყეს (სასანიანთ წინამძღვალობით) სომხეთის კლება, რომ ცეცხლის თაყვანისცემა ისევ აღედგინათ და ქრისტიანობა ჯაეთრგუნათ.

ამ ბრძოლაში სომებთა დიდებულნი და დარბაზისერნი მიემხრნენ სპარსელებს და თავის მეფეებს ეძახდნენ „მამა-პაპის სჯულის მოღალატეს“<sup>10)</sup>.

საყურადღებოა, რომ ძველადგანვე ქართველთა და სომებთა შორის სუფევდა დაუძინებელი მტრობა სამიწაწყლო მფლობელობის გამო; იგინი მუდამ სჩაგრავდნენ თავის მეზობლათ მცხოვრებ ქართველებს და მათს მიწა-წყალს იჩემებდნენ; მშიშარნი სპარსელებთან და ბერძნებთან, ქართველებთან გულადნი იყვნენ. მართალია მოყვრობა-დამძახლება ცოტას ხნობით შეაყენებდა ხოლმე მაგ ბრძოლასა, მაგრამ დროებით: VII საუკუნეში სომებ-ქართველთა კინკლაობა და ბოლოვდა სარწმუნოებრივი განხეთქილებით—განცალკევებით<sup>11)</sup>.

### III.

როგორც ვთქვით, საქართველო მომზადებული იყო შრისტეს მოძღვრების აღიარებისათვის და მხოლოდ საჭირო ზყო ხელ-მმძღვანელი, რომელსაც ძლიერის სიტყვით შთავეგონებინა ერისათვის საქვეყნოდ უარყოფა და დათრგუნვა წარმართობისა და აღემართა ჯვარი ცხოველს მყოფელი. ამ დიდი საქმის შესრულებისათვის ლვთის განგებით მოივლინა ერთი ძაბალოკიელი ქართველთა დედათაგანი წმ. ქალწული ნინო<sup>12)</sup>. წმ. ნინო ზედმიწევნით მუოდნე იყო საღმრთო-

<sup>10)</sup> იხ. «ივერია», 1878 წ. 12 გვ.

<sup>11)</sup> დვინის კრებაზედ 595 წ.

<sup>12)</sup> წმ. ნინოს ბიძაშვილი იყო ძლევა შემოსილი წმ. გიორგი მთავარ მოწამე. ბერძნები ყოველ ქართველს ძველადგანვე დღემდე გიორგის (მიწის მხვნელს, მბარავს) ეძახიან. აი უდიდესი საბუთი, რომ წმ. გიორგი ქართველი იყო და თვით წმ. ნინოც.

წერილისა, აღიზარდა იერუსალიმის ჟედათ მონასტერში, სა-  
დაც ქართველ სომებ დედათაგანნი მოღვაწეობდნენ. აქ კარგად  
ჟეისწავლა იქსო ძრისტეს მოციქულთა ქადაგება, გაიგო მცხე-  
თაში კვართის წალება და დამარხვა. ამიტომ კვართის სამარ-  
ხავი აღვილის ნახვის სურვილით ანთებული წამოვიდა კითხვის-  
კითხვით. საქართველოსაკენ.

მტკვრის ხეობაზე მცხეთაში ჩამოსრულმა იწყო ქადაგება-  
ხელში ვაზის ჯვარით, რომელიც ღვთის-მშობელმა უბოძ-  
ძილში, იქმოდა მრავალთა სასწაულთა იქსო ძრისტეს სა-  
ხელით. რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს დედოფალ-  
მა ნანამ <sup>13)</sup>, შემდეგ თვით მირიან მეფემაც <sup>14)</sup> და მისთა დღიდე-  
ბულთა და დარბაზის ერთა ირწმუნება იქსო ძრისტე და მისი  
მოძღვრება. შ. ნინოს ჩაგონებით „მირიან მეფემ შემუსრა  
საბრძანებელსა თვისსა ბომონნი კერპთანი და მათ წილ ალ-  
მართა ნიში ცხოველს მყოფელისა ჯვარისა“.

ახლა საჭირო იყო მღვდელი და მკიოხველი საეკკლე-  
სიოთა წიგნთა. ნანა დედოფლის რჩევით მირიან მეფემ თავის  
სიმამრის ულიოტორის შუამავლობით და პონსტანტინე კეის-  
რის შეკითხვით დაიბარა კაბადოკიიდამ მღვდელ-დიაკონნი.  
პონსტანტინე მეფემ <sup>15)</sup> სიხარულით შეიწყნარა ქართველთა  
მოქცევა და უპრძანა კაბადოკიელს ეპისკოპოსს იოანეს (შთა-  
მამავლობით ქართველს) სამღვდელოთა კრებით და საეკლესიო  
სახმარი ნივთებით მცხეთაში წამოსულიყო: გზა-გზა მომავა-  
ლი იოანე ეპისკოპოსი განამტკიცებდა ზემო ქართლის (სამ-

<sup>13)</sup> ნანა იყო ასული კაბადოკიელის ქართველის ულიოტორისა, რო-  
მელსაც კონსტანტინე იმპერატორის კარზე თვლასაჩინო აღვილი ეჭირა.

<sup>14)</sup> მირიან მეფემ, სპარსთა მეფის ხოსროს ძემ, 265 წელს შეირთო  
ქართლის მეფის ასფაგურის ქალი აბეშურა და გამეფდა. : ბეშურას სიკვ-  
დილის შემდეგ შეირთო კაბადოკიელი ქართველის ულიოტორის ასული  
ნანა პონტოდამ. † 342 წ., ხოლო ნანა † 344 წ.

<sup>15)</sup> იხ. მირიანის და კონსტანტინეს მიწერ-მოწერა საქ. სამოთხ. 87  
და 95 გვ. და ვახუშტ. ისტორია 67 გვ. 2 შენიშ. ქ. მოქც. 2 გვ.

ცხე) მკვიდრთა ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით. ითანეს მიერ აღშენდნენ ურუშეთის და მანგლისის სამღვდელთმთავრო ტაძრები (ბაქ. ისტ. 139 გვ). მისივე ჩაგონებით იწყო მირიან მეფემ მცხეთის სამთავარეპისკოპოსო ტაძრის შენება და ოთხს წელს (336—340 დაასრულა; წმ. ნინოს მიცვალების დროს (338 წ.) ისევ აშენებდნენ (ქ-მოქც. 21 გვ). ითანეს ხელით ნათელს იღო ქართლის სამეფომ მცხეთაში, სადაც სვეტიცხოვლის ასწვრივ მტკვრის მარცხენა კლდოვან ნაპირს ეხლაც მოჩანს ძველი ოთხკუთხი შენობა, რომელსაც დღემდე „მთავართა სანათლავს“ უწოდებენ.

მირიანმა ითანე დასვა მთავარ-ეპისკოპოსად თვის მიერ აღშენებულსა ზემოხესა საყდარსა<sup>16)</sup> (ეხლანდელი მცხეთის დედათ მონასტრის ტაძარი).

<sup>16)</sup> ამდენის ღვაწლისათვის და წმიდა ცხოვრებისათვის მეფე მირიანი და დედოფალი ნანა ქართველთა გვკლესიამ მოციქულთა სწორად შერაცხა; ამის მოწმობას ვპოულობთ IV საუკ. საბერძნეთის საეკლესიო მეისტორიეთა—რუფინის საეკ. ისტ. 235 თ. და სოფრატ სხოლასტიკის საეკ. ისტ. 1850 წ. 88 გვ. წყობ; სიტყვ. ანტ. კათალიკ. 177 გვ. 548 და 550 ტაქცი. მათ პატივად თეხულნი თითო-ოროლა საგალობელნი დაცულია. მცხეთის სვეტიცხოვლის ხელნაწერში (№48) და ელიან ალექსანდრესა. ყოვლად პატივცემულის იღმენია ნინოს მეოხებით წმ. მირიანის საფლავზედ დღეს დაუშრეტელი ლამპარი ანთია და თავით ჰყიდია წმ. მირიანის და ნანა დედოფლის თავს სხივ-მოვლებული ძველი ჩატი. მირიანი თავს სხივ-მოვლებული გამოქანდაკებულია აგრეთვე სვეტიცხოველში სამირონის ძველ ვერცხლის კარებზედ წარწერით „წმ. მირიან მეფე“. მოგვყავს დაუკარგველობისათვის ოხითა-იბაკო წმ. მირიან მეფისა: ოხითად კმად ა. „იხარებს მეფობად ქართლისა. დღესასწაულსა შენსა ნეტარო მირიან. რამეთუ საკუთური ბნელისა მოიძულე და განსპეტაკე ნათლითა ღვთაები-სათა. ვინახცა შეუდევ ქადაგსა ჭეშმარიტებისასა. ნინოს ნიშთა მიერ მის მიერთა. იმოძღვრე და ერთ შენი მიჰვარე. ქრისტესა რომელსა ცვედრე ჩვენ ყოველთათვის“.

იბაკო კმად ბ გ-ი. „განსცხრებოდე დღეს მეფობაო. ქართველთაო ხსენებასა მეფისა წმიდისასა. კრებად ჰყავ შვილთა შენთა. წადიერებით ვეღრებად დედისა ღვთაისასა. რომელმან ნინოს მიერ განგარინა. საკუთრი-საგან ბნელისა და ვითარცა კრავი წარწყმუდილი. მოგიძია ნათლისად“.

IV

ბევრი ძიების შემდეგ მწერლობაში ვჰქოვე თთხი სია-  
მთ. ეპისკოპოსთა და კათალიკოსთა, მაგრამ არც ერთი არ-  
აღმოჩნდა სრული. პირველი სია ეკუთვნის „წერა კითხვის  
საზოგადოების“ წიგნთ საცავსა. მეორე მოყვანილია წიგნში-  
„История Грузинской Епархии Евгения, ректора  
Тифлис. Духов. Сем. 1824 г. 18—19 გვ.“ მესამე —  
წიგნში „Хронограф. История“ Мехитара Айриван-  
скаго, და მეოთხე ახლად აღმოჩენილს „ქართლის მოქცე-  
ვა“-ში.<sup>17)</sup> პირველი სია ეკუთვნის სახელოვანის დავით რექტო-  
რის კალამსა. მოგვყავს თთხივე სია უცვალებელად.

აქ, გინ. იუგნენ ეპისკოპოსნი, ანუ საიდამ იწყებიან  
საქართველოს შინა.

- 1) იოანე 318 წ. 2) იაკობ 364. 3) იოაბ 379. 4) ილია-  
405. 5) სვიმონი 408. 6) იოანე. 7) ბიორგი 8) ბასილი.  
9) მობიდაგე 434 10) მიხაილ 446.

კათალიკოსი:

- 1) პეტრე 473. 2) სამოელ 499. 3) თავბერიალე. 541.  
4) ჩილირმანე 542 5) საბა 555. 6) მელავიოს 560. 7) მა-  
კარი 582. 8) სვიმონ 581. 9) სამოელ 587. 10) სვიმონ-  
600, 11) ბართლომე 603. 12) იოანე 620. 13) ბაბილა 622.  
14) თაბორ 666<sup>18)</sup>. 15) იოანე 1089. 16) მიხაილ 1160..

<sup>17)</sup> იხ. ქ.-მოქ. 22—39 გვ.

<sup>18)</sup> ამა თაბორიდამ ვიდრე იოანე კათალიკოსამდე არღარავინ იყვ-  
ნენ კათალიკოსნი, ვინაღდგან იყო ქვეყანათა აღრევა დავით აღმაშენე-  
ბლამდის და ამ დავით აღმაშენებელმან დაადგინა კათალიკოზი იოანე.  
შენიშ. დავ. რექტორისა.

- 17) ნიკოლაოზ 1150. 18) თეოდოსი 1169. 19) იოანე  
1171. 20) თეოდოსი 1202. 21) ნიკოლაოზ 1209. 22)  
შვიმე 1216. 23) ნიკოლაოზ 1240. 24) აბრაამ 1279.  
25) შვიმე 1301. 26) ბასილი 1345. 27) დოროთეოს  
1357. 28) გიორგი 1375. 29) ელიოზ 1391. 30) მი-  
ხაილ 1396. 31) დავით--1407. 32) ელიოზ 33) თეოდოსი  
34) შიო 1430. 35) დავით 1462. 36) ნიკოლაოზ 37)  
აბრაამ 38) ბასილი (ორ წელს, იმედა) 39) დოროთეოს 1522.  
40) მელქისედეგ 1525. 41) გერმანე 1532. 42) ნიკოლაოზ  
1548. 43) დომენტი 1559. 44) მალაქია 1580. 45) მვდე-  
მოს 1635. 46) ძრისტეფორე 1642. 47) დომენტი 1660 48)  
ნიკოლაოზ 1675. 49) იოანე 1680 50) მვდემოს 1704. 51)  
დომენტი 1705. 52) გესარიონ 1724. 53) ნიკოლაოზ 1741.  
54) ანტონი 1744. 55) იოსებ, 1755. ან 56) ანტონი 1788.  
57) ვარლაამ 1811.

შეთრე სია: მთავარ-ეპისკოპოსნი:

- 1) პეტრე 2) სამოელ 3) თავბეჩალე 4) ჩილირმანე 5)  
საბბა. 6) მვლავიოს. 7) მაკარი. 8) სვიმეონ. 9) სამოელ.  
10) სამოელ. 11) ბართლომე. 12) იოანე. 13) ბაბილი 14)  
თაბორი.

გრთალიერსნი:

- 1) იოანე 2) მიხაილ. 3) თეოდოსე, 4) იოანე. 5)  
თეოდოსე. 6) ნიკოლაოზ. 7) მფთვიმე. 8) ნიკოლოზ 9) აბ-  
რაამ. 10) მფთვიმე. 11) ბასილი. 12) დოროთეოს. 13) გი-  
ორგი. 14) ელიოზ. 15) მიქელ. 16) დავით. 17) დავით.  
18) ელიოზ. 19) თეოდორე. 20) შიო. 21) დავით. 22) ნი-  
კოლაოზ. 23) აბრაამ. 24) ბასილი. 25) დოროთეოს. 26)  
მელქისედეგ. 27) გერმანე. 28) ნიკოლაოზ. 29) დომენტი.  
30) მალაქია. 31) მვდემოს. 32) ძრისტეფორე. 33) დომენ-

ტ. 34) ნიკოლაოზ. 35) ითანე. 36) მვდემოს. 37) დომენ-  
ტი. 38) ბესარიონ. 39) ნიკოლაოზ. 40) ანტონი I. 41)  
ანტონი II.

✓ მესამე სია: 1) ტერ-ოლან. 2) ტერ-აკობ. 3) ტერ-იობ  
4) ტერ-მგია. 5) ტერ-იუნან. 6) ტერ-ბრიგორ. 7) ტერ-  
ბარსეგ 8) ტერ-მუშილ. 9) ტერ-მიხაელ. 10) ტერ-პეტროს.  
11) ტერ-სამუელ. 12) ტერ-ტაპეჯან. 13) ტერ-ჩიმაკ. 14)  
ტერ-აბბას-კათალიკოზი. 15) ტერ-მლტა. 16) ტერ-ძიური-  
ონ. (ბოროტი, ნეცესივი) 17) ტერ-მაკარ. 18) ტერ-სიმეო-  
ნ 19) ტერ-სამუელ. 20) ტერ-ბართულიმეოს. 21) ტერ-  
ოლანეს. 22) ტერ-ბაბილას. 23) ტერ-თაპორ.

მეთხე სია:

მთ. ეპისკოპოსნი:

1) ითანე. 2) იაკობ. 3) იობ. 4) მლია. 5) სვიმონ.  
6) იონა. 7) ითანე. 8) ბრიგოლ. 9) ბასილი. 10) მობიდა-  
გი. 11) ბლონოქორ. 12) იოველ. 13). მიქელ.

კათალიკოსნი:

1) პეტრე. 2) სამოელ. 3) თავფეჩაგ. 4) ჩიმაგა. 5)  
დასაბია. 6) მფთათე. 7) მაკარი. 8) სამოელ. 9) სიმონ-პეტ-  
რე. 10) სამოელ. 11) ბართლომე, 12) ითანე. 13) ბაბილა.  
14) თაბორ. 15) სამოველ. 16) მენონ.

17) თავფეჩაგ.	ცოლოსანნი.
18) მვლალე.	
19) იოველ,	
20) სამოველ.	
21) ბერგი,	
22) ძვირიონ,	
23) იზიდბოზიდ,	
24) პეტრე,	
25) ითანე.	მლემენტოს.
26) ბგრიგოლ.	
26) ძლემენტოს.	
28) სარმეანე,	
29) თალელე.	
30) სამოველ.	ბრიგოლ-
31) ძირილე.	
32) ბრიგოლ-	

- 33) სამოველ. 34) ბეორგი. 35) გაბრიელ. 36) ილარიონ.  
 37) არსენი. 38) მცხუქი. 39) ბასილი. 40) მიქელ. 41) და-  
 ვით. 42) არსენი.

ამ ოთხ სიებს ჩვენ დავურთავთ სხვა ახლად აღმოჩენილ  
 სიებს (მაგ. შიო მღვიმის ხელნაწერიდამ და სხ. სიგელ-გუჯ-  
 რებიდან) და შემოვიტანთ ყველა ცნობას კათალიკოსებზედ,  
 რაც კი ჩვენ საღმე შეგვხვედრია: ჩვენ ვეცდებით, სადაც შე-  
 საძლებელი იქნება, ხრონოლოგია კათალიკოზთა და მღვდელთ-  
 მთავართა აღვნიშნოთ სიმართლით: მაგრამ შეუძლებელია  
 მთელი ხრონოლოგიის დაჭეშმარიტებით ჩამოთვლა. ამიტომ  
 ზოგიერთ კათალიკოზის დრო აღნიშნულია მომეტებულად  
 დაახლოვებით მეფეების დროებასთან ერთად, შეძლები-  
 სამებრ შეთანხმებით. შემდეგი წყაროები ჩვენის ისტორიისა  
 (რომელნიც, უეპველია, აღმოჩნდებიან) შეავსებენ როგორც  
 სიასა, აგრეთვე თვით მღვდელთ-მთავართა ხრონოლოგიასაც  
 შეუსწორებს მეფეთასას.

მღვდელთ-მთავართა და კათალიკოსთა სიას შემდეგ დაერ-  
 თვის:

1) სია თვითოეულ ეპარქიის მღვდელთ-მთავართა იერარ-  
 ქიულ რიგზედ, როგორც მირონის და მეფის კურთხევაზედ  
 მხდებოდნენ. 2) სია ანბანზედ საქართველოს ეკკლესიის მო-  
 ლვაზე პირთა; 3) მონასტერთა სია წინამდლორებით. წინადვე  
 აღვიარებ, რომ ჩვენი „კათალიკოზ-მღვდელ-მთავართა და სხ.  
 სიები“ სრულნი, უნაკლულონი არ არიან, მაგრამ იმედია,  
 რომ იგინი მაღლ შესწორდებიან და ნაკლი შეივსება ახალის.  
 ცნობებით, რომელნიც თან-და-თან ჩნდებიან. უფრო სრუ-  
 ლი და უნაკლულო არის აბხაზეთის კათალიკოზთა სია  
 (1389—1795).

## V.

მცხეთას მთავარ ეპისკოპოსი:

**იოანე.** 318—327. მისი რჩევით მირიან მეფემ „ქალაქ  
 დაბნებთა შინა დაადგინა მღვდელნი ჭეშმარიტნი, მოძღვარნი

შრისრეს სარწმუნოებისანი". ითანე დიდად მოხერხებული კაცი იყო. მისი მოქმედება შეიქმნა მაგალითად ნორჩი სამღვდელოებისათვის: არასა ზოგავდა, რომ ქართველობისათვის შეეძულებინა კერპთ-თაყვანის-მცემლობა. იქ, სადაც მაღლობფრიალო აღგილებზედ საკერპონი იყვნენ აღმართული, სამღვდელონი ანგრევდნენ და შათ ნანგრევებზედ აშენებდნენ საქრისტიანო სალოცავ საყდრებს.

მაშინდელ საკერპოთა წოდებანიც კი შეინარჩუნეს დღემდე ბევრგან საქრისტიანო საყდრებმა: წმ. ზიორგი—ზერისა, უსანეიისა, ზლუდრისა, ქავთისა, ქეზრისა, ზომართისა, არმაზისა, რეჯახისა, ლომისისა, ზეგარდისა, დანახვისა და სხ. საკერპო სიმღერების კილოებს სამღვდელოებამ მოუწყო საქრისტიანო ლოცვები და საგალობელნი: ქართველობას ამ ნაირად არ მოეშალა სალოცავი აღგილები და მამა-პაპური სიმღერები ესმოდა წირვალოცვის დროს და ამიტომ კერპობაზე მალე აიცრუა გული და შიივიწყა. სამღვდელოებას უნდა მივაწეროთ კერპობის დასამზობლად მიმართული თქმულება შესახებ ბავშვების შეწირვისა და კაცის ხორცის ჭამისა საკერპოების წინაშე<sup>19)</sup> ითანეს დროსვე მცხეთა და მისი მიდამონი გარდაიქცნენ ქრისტიანობის სარწმუნოებრივ კერად.<sup>20)</sup> აქედგან იწყო გავრცელება ქრისტიანობამ მთებისაკენ. ამ დროსვე შემუსრვილ კერპთა არმაზის და ზაღენის სალოცავები კერპობის ერთ-გულ მთიულთა მიერ აღმართულ იქმნენ მთებში, მაგ. მდ. რეხულის ხეობაზედ, სადაც შემდეგში სახელოვანმა მეფემ ვახტანგ

<sup>19)</sup> იხ. ბაქ. ისტ. 131—133 გვ. და ბროსსეს აზრი იქვე 130 გვ.

<sup>20)</sup> ამ დროს წმ. ნინოს და ითანე მთ. ეპისკოპოსის ჩაგონებით მირიან მეფემ იმოგზაურა იერუსალიმისაკენ, მოილოცა წმ. აღგილი და კონსტანტინე კეისარს გამოსთხოვა ადგილი ქართველთა მონასტრის აღსაშენებლად. კონსტანტინემ აღუსრულა თხოვნა და მირიანმა აღაშენა შესანიშნავი ჯვარის მონასტერი, რომელიც X საუკუნეში დამლევს განაახლა. ქართველმა ბერმა პროხორებ (გიორგი) და XIX საუკუნეშედე ქართველებს ეკუთვნოდა და დღეს ბერძნების ხელშია. იხ. ტიმოთეს მოგზაურობა 48 გვ.

გორგასლანმა არმაზის საკერპოზე აღაშენა დღემდე მთლად დაცული არმაზის წმ. ბიორგის საყდარი<sup>21</sup>), ხოლო ზადენისაზე იქვე პატარა მიუვალი ციხე და საყდარი წმ. ბიორგისავე, რომელიც მთელ ხეობას დაჰყურებს და ხუროთ მოძღვრების ხელოვნების საკვირველებას წარმოადგენენ დღეს. იოანეს დროს აღშენდნენ თუხარისის ციხის და წუნდის მშვენიერი ტაძრები. იოანე საქართველოში მოსვლამდევე იყო განთქმული მთელ მცირე აზიაში თავისი წმიდა ცხოვრებით. ამიტომ 325 წ. ნიკიის მსოფლიო კრებამ იოანე დაადგინა პატრიარქად ანტიოქიისა. ეს იყო მეორე მიზეზიც, რომ რამდენიმე საუკუნის განმავალობაში ანტიოქიის საპატრიარქოზე იყო მითვლილი მვერიის ეკკლესია<sup>22</sup>).

**ი ა კ რ ბ 328—360 წ.** იოანეს მოადგილედ, წმ. ნინოს თხოვნისამებრ მთავარ-ეპისკოპოსად დაიდგინა იაკობ მღვდელი<sup>23</sup>). მირიანის სიცოცხლეშივე ქრისტიანობა იმდენად განმტკიცდა, რომ მისი ძის ბაქარის<sup>24</sup>) მეფობაში (342—364) ქრისტიანობა ვრცელდება საქართველოს მთიულებში, რომელთა მოქცევა მირიანმა და იოანემ ვერ შესძლეს. იაკობის და ბაქარის მხნეობის წყალობით გავრცელდა ქრისტიანობა შირვანსა და კახეთის აღმოავლეთ ნაწილში (ნუხის და შემახას მაზრები), რომლის მთავარმა ფეროზმა ნათელს იღო თავის საყმოთი და და-

<sup>21</sup>) სამხრეთის კედელზე მაღლა ყველის ქვაზედ (ბუთხ) ამობურცული ხუცურ უძველესის ხასიათის ასო-მთავრული ასოებით (рельефზ) წარწერა „† სხლთა მმსათა და... აღთისახ... (აღ)ვაშენს ჩევსა... თა მე გ... პლ მშიფსად ვ-გა“. ამ უკანასკნელ ქარაგმიან სიტყვას ჩვენ ვკითხულობთ „ვა-ტანგსა“.

<sup>22</sup>) იხ. საქ. სამოთხე 25, 97 გვ.

<sup>23</sup>) იხ. ქ. მოქც. 20 გვ.

<sup>24</sup>) ქართლის მოქცევით ბაქარი არის შვილი რევისა, ქ. ცხ. კი ბაქარ და რევი ძმები არიან და ერთმანეთს ებრძოდნენ. რევს შემწეობას უწევდნენ სომეხნი, რომელთა მეფის თრდატის ქალი იყო სალომე რევის ცოლი. რევი მკვიდრობდა უჯარმაში და აქედგან განაგებდა კახეთს-კუხეთს. იხ. ქ. ცხ. 101 გვ. და ისტ. დ. ბაქრ. 148 გვ.

უახლოვდა ქართველებს. ვეროზის მოქცევამ დიდად შეასუს-  
ტა ცეცხლის თაყვანის მცემლობა საქართველოს და სპარსე-  
თის შორის მდებარე თემებში. იაკობის რჩევით ბაქარმა და-  
იბარა კაბადოკიიდამ სჯულის მეცნიერნი და მოძღვარნი,  
დაარსა ყრმათა სასწავლებელნი, უბრძანა მცოდნე პირთა გაღ-  
მოთარგმნა საეკკლესიო წიგნთა ქართულს ენაზელ ებრაული-  
დგან, ალაშენა ტაძარნი, დაადგინა ეპისკოპოსნი და სხ. ამ დრო-  
ებში ბაქარმა სძლია სომხებს, რევის მომხრეებს, სპარსთა და-  
ხმარებით და გაძლიერდა. რევის დამარცხებამ ბაქარს დაუ-  
მორჩილა კახეთი და იაკობმა, რაც წინა წლებში, წმ. ნინოს  
დროს ვერ მოახერხა — ეხლა შეასრულა: ნათელსცა კახელთა  
და გაუერთგულა იგინი ქართლის მეფეს.<sup>25)</sup> ბაქარმა გაამრავლა  
სამლენელონი ქართლში და რანში, ალაშენა მშვენიერი წილკ-  
ნის ტაძარი <sup>26)</sup> და თვისი სამეფო გადასცა თავის შვილს მირ-  
დატ III (364 — 379) აყვავებული და დამშვიდებული, რაკი  
ვიზანტიი და სპარსეთი მოკავშირეთ ჰყანდა.

იობი. (360 — 374) გამეფდა თუ არა, მირდატმა იაკობ  
მთავარ-ეპისკოპოსის მოადგილედ დაადგინა სომეხთა კათალი-  
კოზის ნერსესის აღზრდილი დიაკონი იობ. მირდატმა გა-  
ნაგრძო მამის დაწყებული საქმე: კლარჯეთისაკენ ჰეზავნის  
სამლენელოებას კლარჯთა შორის მეფისადმი ერთგულებისა  
და ქრისტიანობის განსამტკიცებლად, და ასრულებს ტაძ-  
არებს თუხარისის ციხეში, მრუშეთში; წუნდაში, ნეკრესში,  
რუსთავში და სხ. სომეხნი ამ დროს ავის თვალით უყურებენ  
ქართველთა ერთ-მთავრობის გაძლიერებასა და მტრულათ-  
მოქმედებენ: ხელს უმართავენ სპარსებს ქართველთა სამტროდ.  
ამის გამო ქართველნი ვიზანტიას უწევენ ერთგულობასა,  
ხოლო სომეხნი სპარსელებს<sup>27)</sup>.

<sup>25)</sup> 354 წ. ქ. მოქ. 22 — 23 გვ.

<sup>26)</sup> იხ. Ист. Груз. Цер. Сабинина 51 стр.

<sup>27)</sup> მეისტორიე ფაუსტ ვიზანტიელის (IV საუკ.) სიტყვით, სომეხ-  
თა განმანათლებელის გრიგოლ პართელის შვილი ვარდანესი იყო ეპის-

**ელია.** (375—394 წ.) ამის უამს წმ. მირდატ მეფებ  
აღაშენა შესანიშნავი ბოლნისის სამღვდელთ-მთავრო ტაძარი<sup>29)</sup>  
და სპარსთა შიშისა გამო არმაზის საკერპონიც განახლებულ  
იქმნენ; <sup>29)</sup> ნელ-ნელა ძლიერდება სპარსთა გავლენა და პო-  
ლიტიკური უთანხმოება ძრისტეს მორწმუნე სამეფოებთან,  
ამიტომ ქრისტიანენი იდევნებიან ყველგან სპარსთაგან.

**სიმონ.** (395—411) წ. ამის უამს გაძლიერდა დევნულება  
ქრისტიანობისა: სპარსთა დაიპყრეს ქართლი, შემუსრეს და  
გარყვნეს მრავალნი ტაძარ-საყდარნი. ამიტომ ძრისტეს მორ-  
წმუნე ერი იძულებული შეიქმნა მიუვალ მთიან აღგილებში  
გახიზნულიყო. მთ.-ეპისკოპოსი სიმეონი გაიხიზნა „ხევსა  
კახეთისასა მეფისა ნათესავთა თანა“ (ბოჭორმაში), ხოლო წმ.  
მირდატ მეფე შეიპყრეს სპარსელებმა, წარიყვანეს ბალდადში  
და აწამეს ძრისტეს სარწმუნოებისათვის 408 წ. <sup>30)</sup>).

**იონა.** (412—415 წ.). ამის დროს მეფემ არჩილ I აღაშე-  
ნა არაგვის კლდოვან ნაპირზედ წმ. სტეფანეს ეკკლესია  
მცხეთაში, რომელიც დღესაც მთლად სდგას და ანტიოქიას-  
უწოდებენ. „მაშინ დაეცა ქვემო ეკკლესია (ხისა, წმ. მი-  
რიანისაგან აღშენებული) და იონა მიიცვალა გარეუბნისა  
(სამთავრო?) ეკკლესიასა და სვერი იგი ცხოველი თანა წარ-  
მოილო (ჯვარი ჰატიოსანი) <sup>31)</sup>.

**იოანე.** 416—418 წ.

კოპოსად იბერიისა და ალბანიისა (ალოვანისა). წმ. ნერსესის მოთხრობით  
ვარდანესი ამყარებს საეპისკოპოსო კათედრებს ქართლ-კახეთში. იხ. საქ.  
ისტ. ღ. ბაქრაძისა 145 გვ. <sup>7</sup>

<sup>28)</sup> ბოლნისის ტაძარი თავის მღვდელთ-მთავრებით ბრწყინავდა.  
1400 წ. განმავლობაში; დაიხურა 1809 წ. და მას აქეთ მისი ბედი სატი-  
რელი შეიქმნა: რაღაც მანქანებით ეს მშვენიერი ტაძარი გარს ეზოიანათ  
თათრის აღალარის ეზოში მოჭყოლია დღეს და საქონლის თავშესაფარად  
გადაქცეულა ავტარში, ორი ადლის სიმაღლეზედ საქონლის ნეხვით არის  
ავსილი.

<sup>29)</sup> იხ. ქ. მოქც. 26 გვ.

<sup>30)</sup> იხ. ქ. ცხ. 107 გვ.

<sup>31)</sup> იხ. ქ. მოქც. 27 გვ.

გრიგოლ (გიორგი) 419—422 წ.

ბასილი. 423—431 წ. „და მისივე არჩილისზე მეუღია (410—431) ოთხნი მთ. ეპისკოპოსნი გარდაიცვალნეს—იონა, მიანე, ზრიგოლ და ბასილი“... ქ. მოქც. 27 გვ. ქ. ცხ. კი სამნი: იოანე, ზრიგოლ და ბასილი. ამის დროს ითარგმნა წმ. სახარება ქართულიდგან სპარსულად, საგდუხტ. დედოფლისათვის. 110 გვ.

მოგიდაგმი. 432—448. იყო ნათესავით სპარსი მოგვ-თაგანი; ირწმუნა ქრისტიანობა და ვეროზის შემწეობით მთ. ეპისკოპოსად იქმნა დადგენილი მობიდაგემ უკანასკნელ მიიღო არიოზის წვალება, სცდილობდა მის გავრცელებასა საქართველოში და სწერდა „წიგნებსა საკუთურებისასა“. ამის გამო ქართველნი შეირყივნენ მართლ-მაღიდებლობისაგან. მს. იყო მიზეზი, რომ დედოფალმა (ვახტანგის დედა სარანდუხტმა, ანუ საგდუხტმა) მოიწვია საბერძნეთით მეცნიერი ეპისკოპოსი მიქელი ერთის მხრით შესამოწმებლად წესთა ქრისტეანებრივთა და ზლონოქორის (მობიდაგეს) მოქმედებათა და მართლ-მაღიდებლობისა განსახილველად საქართველოში და მეორე მხრივ - საბრძოლველად ცეცხლის თაყვანის მცემლობასთან. მცემთაში მოსრულმა მიქელმა მოახდინა კრება და საქვეყნოდ გამოააშკარავა ზლონოქორის (მობიდაგეს) მავნებელი მიმართულება. ძრებამ განაპირება გლონოქორი და მის მაგიერ აღირჩია მიქელი: იხ. ისტ. ერთ. ბარათ., 11 რვ. 14—28 გვ. და ისტ. ერთ. გრუ. ქ. იოსცელ.

მიმელ 449—472 წ. რანის (ეხლანდელი ყარაბალი) და შირვანისერისთავი ვეროზი (მამა დედოფლის სარანდუხტისა) განრისხებული იყო ქართველებზე ქრისტიანობის გაძლიერებისათვის, რადგან ამის გამო ქართველნი უკავშირდებოდნენ საბერძნეთს; ამიტომ, მოკვდა თუ არა მირდატ მეფე, ქმარი სარანდუხტისა და მამა ვახტანგ გურგასლანისა, 446 წ.—ვეროზს უნდოდა საქართველოს აოხრება და ტაძრების შემუსრვა. სარანდუხტი წავიდა მრისხანე მოხუც მამასთან, შეეხვეწა ქარ-

თველთა შებრალებისათვის და გული მოულბო, მაგრამ იშპირობით, რომ ვისაც ცეცხლის თაყვანისცემა ჰსწამდა, იგინიარ შეევიწროებინათ. ამ პირობის ძალით ფეროზმა გამოისტუმრა საქართველოში მქადაგებელნი და მეცნიერნი ცეცხლის თაყვანისცემის სჯულისა დიდის ქურუმის ბინაქარის მეთაურობით. აი ამ ბინაქარის მოპირდაპირედ, რაკი მობიდაგეც იმ დროებში მოკვდა, სარანდუხტმა დაიბარა მთავარეპისკოპოსად პონსტანტინეპოლიდგან მეცნიერი მიქელ მღვდელი; რომ მიქელის მოქმედება არ გამჟღავნებულიყო, პატარა ვახტანგის აღზრდის და სწავლების საქნე იმას მიანდეს სახელოვან ჭუანშერ სპასპეტთან ერთად. მიქელი მხნედ შეუდგა საქმეს: იწყო განმხნევება და მოძლვრება ქართველთა ქრისტიანობის განსამტკიცებლად და ცეცხლის თაყვანის წინააღმდეგ ბრძოლა.

იმ დროს სომხებმა მიიღეს დამატება „წმიდაო ღმერთო“ ში (რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი), მაგრამ მიქელი არამც თუ დასთანხმდა სომხებს, არამედ ჭ. დვინუ კრებაზედ ქვით ჩაქოლა სომეხთა მოძლვარი პეტროს მკაწრველი.

ვახტანგმა 458 წ. შეირთო სპარსეთის მეფის ქალი. რომელისაც თან მოჰყვა აღმზრდელი რაზდენ, შემდეგ წმ. მოწამე, რა ამ მოყვრობამ ვახტანგი დაუკავშირა სპარსეთს ბერძნებთან ბრძოლის დროს მცირე აზიაში. პონსტოს დაპყრობის დროს ვახტანგმა აღუკრძალა გამარჯვებულ ქართველ-სპარსთა ჯარებს გაძარცვა ეკლესიებისა და სამღლელები პირთა. ამისთვის მღვდელი პეტრე და მონაზონი სამოელ მოვიდნენ და მაღლობა გამოუცხადეს ვახტანგს; ხოლო იმპერატორი მოურიგდა ვახტანგს, ომის გათავებადმდე მიათხოვა თვისი ქალი ელენე (სპარსეთის მეფის ქალი მშობიარობაზედ მოუკვდა ვახტანგს) და მზითევში გამოატანა „ეგრის მდინარეს იქით აფხაზეთი; კლარჯეთი და დასთანხმდა დამოუკიდებელი კათალიკოზი დაედგინა მცხეთაში — ოლონდ სპარსების მეგობრობაზე ხელი

აიღო. <sup>32)</sup> სპარსელები დამარცხებულნი გამობრუნდნენ და  
იწყეს მზადება საქართველოს ასაკლებად. ამიტომ ვახტანგი  
გამოეშურა სამეფო ში, რომ გამძინვარებულ სპარსელებს  
მზად დაპხვედროდა. სპარსეთის 300,000 ჯარი შემოესია სა-  
ქართველოს საზღვრებსა 464 წ. შეიქმნა ბრძოლა; ამ დროს  
მოვიდა დესპანი საბერძნეთის იმპერატორისა ხაზარეთიდამ  
(ეხლანდელი სამხრეთ რუსეთი) — მალე მოგეშველებიო. ამის  
გამო სპარსთა მეფემ შესწყვიტა ბრძოლა, შეურიცდა ვახ-  
ტანგს და წაიყვანა ჯარით ინდოეთისაკენ საომრად. ინდოე-  
თიდამ გამობრუნებულმა ვახტანგმა თავისი დედა და დაძ  
(ურა ქალაქში, ანუ ედესია, ელოდნენ მისს მობრუნებას)  
წაიყვანა თან იერუსალიმისაკენ წმ. ადგილთა მოსალოცად;  
აქედან მოითხოვა იმპერატორისაგან თვისი დანიშნული მლე-  
ნე, პეტრე (შემდეგ პირველი კათალიკოზი მცხეთისა) და თორ-  
მეტი ეპისკოპოსი და საქართველოში მობრუნდა 471 წ. გა-  
მარჯვებული აუარებელის სიმღიდრით. მიქელ მთ.-ეპისკო-  
პოსს ბრაზი მოუვიდა, რომ ვახტანგმა თან პეტრე და თორ-  
მეტი ეპისკოპოსნი მოიყვანა მისდა დაუკითხავად: შესწამა  
განდგომა ქრისტიანობისაგან და შეაჩვენა მხედრობიანათ  
ეკკლესიის ამბიონიდგან სახალხოდ. ვახტანგი მეტად კეთილ-  
შობილურად მოექცა მიქელს: „გარნა თუმცა მართალ ვართ,  
არამედ ჯერ არს სიმღიდო“, სთქვა წინაშე დიდებულთა,  
მივიდა ეკკლესიაში მიქელთან მუხლზედ ამბორისათვის; მა-  
გრამ თავგასულმა და უზრდელმა მიქელმა ამოკურა ფეხი  
და ფლოშტის წვერით ორი წინა კბილი ჩაეგდებინა ვახ-  
ტანგსა. ზრდილმა მეფემ ასე უპასუხა ამისთანა მხეცური  
საქციელისათვის: „შურით ჰქმენ ესე, რამეთუ მოვალს  
უხუცესი შენი და ამის ძლით რათა აღმძრა მეცა, არამედ  
მე არა რად გიყო შენ, გარნა წარგავლინო კონსტანტინეპო-  
ლიც“. ასეც მოიქცა ვახტანგი: ძონსტანტინეპოლში პატ-

<sup>32)</sup> იხ. ისტ. ბაქრაძ. 163 გვ. და ქ. ცხ. 125—130 გვ.

რიარქმა გენნადიმ კრებით განპსაჯა მიქელი ტაძარში სისხლის დათხევისათვის, განპკეცეთეს მღვდელობილგან „არღარა წირვად“ და დაპატიმრეს მფვიძარეთა მონასტერში სიკვდილამდე.

ვახტანგმა იქორწინა მლენეზედ 47გ წ., დაადგინა კათალიკოზად პეტრე და მთავარ-ეპისკოპოსად სამოელ, აგრეთვე ეპისკოპოსნი: ძლარჯეთს, მრუშეთს, წუნდას, მანგლისს, რუსთავს, ნინოწმიდას, ჭერემს, ჩელეთს, ხორნაბუჯს, აგარაკს, ნიქოზს. <sup>33)</sup>)

## V.

„აღშენდა ეკკლესია შრისტესი კლდოვანს საქართველოს ნიადაგზედ“ და პირველშივე მრავალი საფრხე და შემმუსრველი მტერი მოესია ახალსა ამას ლვთაებრივსა ნერგსა, მაგრამ ქართველმა ერთა მალე იგრძნო ლვთაებრიობა და სიწმიდე შრისტეს მოძღვრებისა, მალე იგრძნო თვისი ზნეობრივი განკარგება და წარმატებაც. ამ დროს (IV საუკუნის დამდეგს) რომის და საბერძნეთის სახელმწიფოებში ჯერ არ იყო შემუშავებული და გამორკვეული საღმრთო მსახურებათა აღსრულების რიგი, არ იყო დაკანონებული საქრისტიანო დოლმატინი და კანონ-მდებლობა ეკკლესიათა მართვა-გამგეობრისათვის. ეკკლესიის გამგენი ხშირად თავისებურად ასრულებდნენ ეკკლესიურ სამსახურსა; თავისებურად ესმოდათ და ხსნიდნენ საქრისტიანო დოლმატთა. ამის გამო მცირე აზიაში (მეტადრე სირიაში და სომხეთში) მალე იჩინა თავი სხვა-და-სხვა მწვალებლობამ. ამიტომ საჭირო შეიქმნა მსოფლიო კრებათა მოწვევა „განმართვად საქრისტიანო და საეკკლესიო წესთა“. საკუთრად საბერძნეთში ქრისტიანობა დიდს მერყეობაში

<sup>33)</sup> ვახუშტ. ისტ. 100 გვ. ისტ. გრა. ქ. იოსელ. 28, 29, გვ.

და განსაცდელში იყო IX საუკუნემდე. <sup>34)</sup> პირველ საუკუნე-  
შივე აღძრული დევნულება ქრისტიანობისა არ შეწყვეტილა  
ამოდენა ხნის განმავლობაში და ვინ იცის რამდენი ათასი  
ქრისტიანის სისხლი დაღვარა საბერძნეთის მთავრობაშ? შემ-  
დეგ დავინახავთ, რომ მცირე აზია იყო ბრწყინვალე ასპარე-  
ზი ქრისტიანობისა და სწორედ აქა ულეტავდა. საბერძნეთის  
მთავრობა განლმრთობილ ქრისტიანებსა.

საქართველოში პირ-იქით საბერძნეთის სამეფოდგან გა-  
მოდევნილნი ქრისტიანენი და სიწმილენი ჰპოვებდნენ თავშესა-  
ფარსა და სიყვარულსა. სპარსთა და არაბებმა ხომ მრავალნი  
აწამეს და დახოცეს საქართველოში ქრისტიანობის ერთგულო-  
ბისათვის. შართველი სამღვდელოება ამისთანა თავდადებულთა  
დღესასწაულს უდგენდა, უთხზავდა საგალობლებს და მათს ქე-  
ბა დიდებას გადასცემდა შემედგ საუკუნოებს მისაბაძავად და  
ქრისტიანობის განსამტკიცებლად. მაგ. ჭართველმა სამ-  
ღვდელოებამ დააწესა დღესასწაული—ჯვარ-პატიოსნისა 328  
წ. სულის წმ. მოსლვის კვირის ოთხშაბათს <sup>35)</sup>), წმ. ნინოს 340  
წ., წმ. რაფელენისი, შუშანიკისი, წმ. გიორგისი. მსტატესი,  
ათცამეტ-მამათა, აბო ტფილელისა, მირ-არჩილისა და სხ.  
ებრაულიდგან მთარგმნელნი წმ. ნინოს დროსვე მრავლად

<sup>34)</sup> სულ შვიდი მსოფლიო კრება მოხდა: 1) ნიკიისა 325წ; 2)  
კოსტანტინეპოლისა 381 წ.; 3) ეფესოში 431 წ. 4) ხალკიდონისა 451 წ.  
5) კოსტანტინეპოლისა II 553 წ. 6) კონსტანტინეპოლისა III 680 წ.  
და 7) ნიკიისა II 787 წ.

<sup>35)</sup> ამ დღეს ჯვარპატიოსნის დღესასწაული დღესაც წმინდად სრულ-  
დება ს. ჭალაში, სადაც ასვენია წმ. ნინოს დროსვე წმ. სვეტისცხოვლი-  
საგან გაკეთებული „ჯვარი პატიოსანი“. ამ დღესვეა დღესასწაული ლო-  
მისის წმ. გიორგისა, რაჭუა გვაფიქრებინებს, რომ ერთ-ერთი ჯვარი წმ.  
სვეტისაგან გაკეთებული აქ იქმნა დასვენებული მაშინვე და ერთხელ დაწე-  
სებული დღესასწაული დღემდე არ მოშალა ქსნის და არაგვის მკვიდრმა  
ჭართველობამ. იხ. ქ. ცხ. I, 94—95 გვ.

იყვნენ მცხეთის ურიათა შორის — აბიათარ მლვდელი, მეცნიერნი მწიგნობარნი — კარსანელნი და კოდის წყაროელნი და სხ. ამიტომ IV საუკუნეშივე აღფრთოვანდა საქართველოში ქრისტიანობა და მტკიცედ დამკვიდრდა, ვიდრე სხვა გან სადმე.

ზემოთ ჩამოთვლილ მცხეთის მთავარ ეპისკოპოსთა სასა-სახელოთ უნდა ვთქვათ, რომ იგინი მცირე აზიიდგან ჩაბა-ლოკიელნი ქართველნი ინიშნებოდნენ და საქართველოში არც ერთ მწვალებლობას ფეხი არ შემოადგმევინეს, მალე სთარგმნეს ქართულად საეკლესიო საღმრთო მსახურების წიგნენი, მალე შეაგნებინეს თავისს, ლვთისა. მიერ მომადლებულ სამწყსოს მოძღვრება შრისტესი.

იმ დროს, როდესაც საბერძნეთის და მთელი მცირე აზიის და აფრიკის ეკკლესიებს არყევდნენ მწვალებელნი და სამლვდელოება რომ საღვთის-მეტყველო დავიდარაბას უნდებოდა, ამ დროს საქართველოს ეკკლესიის სამლვდელოება მშვიდობიანათ მწყსიდა ქართველ ერსა და აკი მათმა მლვიძა-რე მოლვაწეობამ „ნაყოფი მრავალი გამოილო!“ ქართველმა ერმა იმდენი და იმისთანა საცვიფრო ტაძარნი, ჯუარნი და ხატნი შეჰქმნა, ისეთი მდიდარი სასულიერო მწერლობა დაჭ-ბადა, ისრეთი სულის აღმტრთობი საგალობელი კილოები შეჰქმნა საერო ნიადაგზედ, როგორც ზევით მოვიხსენეთ, რომ ქართული გალობა დღესაც დიადს სულიერ საგანძურს შე-ადგენს ქართველი ერის საისტორიო ცხოვრებაში; შეჰქმნა მრავალი თვალის წარმტაცი ხელ-საქმე (საოქრო-მჭედლო, საქსოვი და სხ.), ისრეთი კულტურით იწყო ცხოვრება, რომ ვერც ერთი მაშინდელი ქრისტიანე ერი ამ მხრივ ქართველს ერს ვერ დაედრება. მწვალებელნი და ურწმუნონი ვერ ჰქონდავდნენ ქართველებში ხმის ამოლებასა და შურის თვალით შეჰქმურებდნენ ქართველთა სულიერ ზნეობრივს ამა-ლლებასა და წარმატებასა, „რამეთუ მოქცეულ იყო მართლი

და დიდი სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა<sup>36</sup>“).

საძლვდელოებამ გამართა ეკკლესიებთან ყრმათა სასწავლო სკოლები, რომელთაც მთელი ერი ეკკლესიაში მკითხველ-მგალობლად გარდააქციეს. თუ რა მშვენიერად იყო ყრმათა ოლზრდა-სწავლების საქმე იმ დროს საქართველოში, ამის უკუკველს საბუთს ვპოულობთ წმ. პეტრე ქართველის სვინაქ-სარში: „და ვითარ მიეცა (პეტრე) სასწავლოდ, მცირედთა უამთა დაისწავლა უფლებივე წერილი და გულის ხმის ყოფით აღმოიკითხავნ და იწვრთინ დღე და ღამე; რამეთუ ფრთხილ იყო და მახვილ გონებითა და მაღლი ლეთისა იყო მას ზედა“<sup>37</sup>). თორმეტის წლის პეტრე მძევლად წარგზავნილი კონსტანტინეპოლში წარსდგა წინაშე იმპერატორის თეოდოსე მცირისა (424 წ.). აქ დააწყებინეს სწავლა ბერძულის ენისა. „მცი-რეთა უამთა ისწავა ენა ბერძული და ყოველივე სწავ-ლულება საეკკლესიო და საფილოსოფოსო. აგრეთვე წარვიდა რა იერუსალიმად, საფლავსა უფლისასა მიიწია და მუნ აკვე-ცილ იქმნა მონოზონებად, და უწოდეს სახელიად პეტრე; ესწავა ენა და სწავლულება ასურებრივი, ვიდრემდის უკვირ-და ყოველთა სიფრთხო და სიმახვილე გონებისა მისისა“<sup>38</sup>). აპა უეჭველი საბუთი, რომ მირიანის დროდამვე ქართულს, ენაზედ<sup>39</sup>) ისწავლებოდა და იმოძლვრებოდა ქართველი ერი,

<sup>36</sup>) იხ. ქ. ცხ. I ნაწ. 105 გვ.

<sup>37</sup>) იხ. იქვე 103 გვ.

<sup>38</sup>) იხ. იქვე.

<sup>39</sup>) თუ მეფის კარზე ყრმანი ისწავლებოდნენ სამშობლო ენაზედ და ბერძულ ასურული ენისა არა იცოდნენ რა, დაბალ ხალხში როგორლა შეიძლე-ბოდა უცხო ენაზედ (ბერძულზედ) სწავლა-მოძღვრება? პეტრე თვით სთარგმ-ნიდა და სწერდა ქართულს ენაზედ საღმრთო წერილს, აწერინებდა თავის მოწა-ფებს მრავლად წირვა-ლოცვის დროს სახმარებელ წიგნებს. გაამრავლა ყრმათა-სასწავლო სკოლები, დაააზსა მონასტერები ანტიოქიაში (საკვირველ მთაზე), სასტუმრონი და ქსენონი და ბოლოს მირიანის მიერ დაწყებულს და თა-ვის მიერ გამშვენებულ ჯვარის მონასტერში დაბინავდა, საღაც შობილგან 65 წლისა † 477 წ.

და რომ მთავარ-ეპისკოპოსნი და მღვდელნი ძაბადუკიელნი იყვნენ, ქართულის ენის კარგად მცოდნენი. საბერძნეთის იმპერატორნი ძაბადუკიელ მთავარ-ეპისკოპოსთა (მცხეთაში) შემწეობით ერთის მხრივ საქართველოს სამეფოს იეროგულებრდნენ სპარსეთის საწინააღმდეგოდ. საბერძნეთისა და სპარსეთს უძველეს დროეთგან დრო-გამოშვებით დიდი მტერობა ჰქონდათ ხოლმე ერთმანეთში და თუ ხან-და-ხან დაშოშმან-დებოდნენ ხოლმე, მხოლოდ იმიტომ, რომ დაესვენათ, ძალა შოეკრიბათ ახალის ბრძოლისათვის, ძველის დარდის-ჯავრის ამოსაყრელად. მათ შორის გამარჯვებული უფრო ხშირად იგი რჩებოდა ხოლმე, რომელსაც ქართველთა გული მოგებული ჰქონდა. მაგრამ ბერძენი ჯეროვნათ ვერ სარგებლობდნენ თავის გავლენით ქართველებზე და ზოგიერთა ბერძენთა იმპერატორების და მთ.-ეპისკოპოსების უგუნური ქცევა ხელს უმართავდა ქართველთა სურვილს საქართველოს ეკკლესიის სრულიადის განთავისუფლებისათვის ბერძენთა გავლენისაგან.

ამ დროს პეტრე შართველის მიერ დაწესებულნი მონასტერნი საცხენი იყვნენ ბერ-მონოზნებით, მოდიოდნენ იგინი სამშობლოში და თან მოჰქონდათ ქრისტიანობის და ეროვნული გრძნობის განმამტკიცებელი სწავლა-მოძღვრება და საეკკლესიო წიგნი და არიგებდნენ ეკკლესიებში, სადაც საჭირო იყო. მსრეთი სათნო მოღვაწეობა ქართველ ბერ-მონაზონთა პალესტინის და ანტიოქიის და მერე სინა მთის, ათონის მთის და სხ. მონასტრებიდამ არ შეწყვეტილა თვით XVIII საუკუნეებდე.

ქრისტიანობის წმიდა ზნეობრივმა ძალამ სპარსეთს გამოჰბირა მისი ღვიძლი შვილი სასანიანთ სამეფო გვარისა და საბერძნეთს დაუკავშირა, მაგრამ, როგორც ზევითა ვსოჭვით, მობიდაგეს და მიქელ მთავარ-ეპისკოპოსთა წინ დაუხედავმა მოქმედიამ ქართველნი, ცოტა არ იყო, ეჭვის თვალით შეახედა საბერძნეთზე და აფიქრებინა საკუთარის კათა-

ლიკოზ-პატრიარქის დადგენა მცხეთაში. პოლიტიკური მდგო-  
მარეობა საბერძნეთისა თითქოს ხელს უწყობდა ამ წმიდა-  
სურვილსა: ომის დროს ქართველნი რომ სპარსელებს არ  
მიმხრობოდნენ, საბერძნეთი მუდამ ეფერებოდა ქართველებს-  
და ყველა სათხოვარს უსრულებდა, უგზავნიდა წმ. ჯვარ-ხა-  
ტებსა, ნაწილებსა, უთმობდა ციხე-სიმაგრეებს და სხ. ამიტომ  
მეფე ვახტანგ ზორგასლანმა რომ ჯერ მობიდაგე გადააყენა-  
და მერე მისი მოადგილე მიქულ მთ.-ეპისკოპოსი გააძევა სა-  
ქართველოდგან, თვისი ნაცნობი პეტრე მღვდელი აღიყვანა-  
კათალიკოზ პატრიარქის ხარისხზედ 472\* წ. საბერძნეთმაც  
ნება დართო ამაზედ, თუმცა თვისი სულიერი გავლენა აბხა-  
ზეთზედ ხელიდგან არ გაუშვა თვით XVIII საუკუნემდე.  
მცხეთის საკათალიკოზო-საპატრიარქოს დაწესებამ სული ჩა-  
უდგა ქრისტიანობას ჯერ ცეცხლის თაყვანის მცემლობასთან და-  
შემდეგ მაჰმადიანობასთან ბრძოლის დროს და ზნეობრივ გა-  
მარჯვებასაც ყოველთვის ქართველებსა ჰკერძავდა ხოლმე. ძა-  
თალიკოზს მიეცა ტახტად სვეტიცხოვლის ტაძარი, იწოდე-  
ბოდა ძათალიკოზად მცხეთისა და ივერიისა და თითქმის 1400 წ.  
განმავალობაში განავებდა მცხეთის საკათალიკოზოს. ძათალი-  
კოზ-პატრიარქი მცხეთიდგან თავისუფლად განაგებდა საქართვე-  
ლოს საეკკლესიო საქმეებსა და ანგარიშს არავის აძლევდა.  
ძათალიკოზის ხელქვეითთა-მორჩილთა შექმნეს სამეფო სამე-  
ფოში, როგორც სჩანს ძველი სიგელ-გუჯრებიდგან და ვახ-  
ტანგ VII სამართლის წიგნიდგან, იმ სახითვე, როგორც ფეო-  
დალებმა დასავლეთ ევროპაში. ძათალიკოზი ითვლებოდა  
სულიერ მეფედ ქვეყნისა. მეფე და კათალიკოზი ერთნაირი-  
პატივითა და უფლებით სარგებლობდნენ: შეურაცხება კათა-  
ლიკოზისა უდრიდა მეფის შეურაცხყოფას. მის შემდეგი იე-  
რარქიის სასულიერო წევრნი გათანასწორებული იყვნენ საე-  
რო იერარქიის წევრებთან.

ძათალიკოზი, მღვდელთ-მთავარნი და სხ. სასულიერო-  
წარჩინებული პირნი შთამომავლობით უფრო ხშირად სამეფო

და დიდებულთა გვარისაგანნი იყვნენ და იგინიპატარაობიდ-  
განვე შესაფერს აღზრდასა და განათლებას იღებდნენ ხოლ-  
მე შოველი შეძლებული საგვარეულო ცდაში იყო, ორმ  
თავის სახლიდგან ერთი მწირველ-მლოცველი და მღვთის მა-  
ველრებელი ჰყოლოდა საყდარში. ამიტომ თვითოვეული სა-  
გვარეულო საკუთარს საყდარსაც იშენებდა და სწირავდა შე-  
ძლებისა გვარად უძრავ-მოძრავ ქონებასა, რომლის შემოსავ-  
ლითაც უნდა უზრუნველ ყოფილიყვნენ „საყდარი და საყდრის  
შვილნი“ (სამღვდელონი) მომავალში. მეფის კარიდგან დაწყებ-  
ბული უკანასკნელ გლეხამდე მრავალნი, კაცი და ქალი,  
ბერ-მონაზნობას იღებდნენ და თავის თავს ღმერთსა სწირავ-  
დნენ თავის სარჩო-საბადებლიინად. ამიტომ სასულიერო წო-  
დებამ პირველიდგანვე შეიძინა შესამჩნევი გავლენა, რომე-  
ლიც ნელ-ნელა იზრდებოდა და ვრცელდებოდა. მკკლესია  
სამღვდელოებიანად შეიქმნა დიდი მამულ-დედულის და მთა-  
ბარის პატრონი.

მცხეთის კათალიკოზის სასულიერო გამგეობას ემორჩი-  
ლებოდნენ ზემო (ოსმალეთის საქართველო) და ქვემო შართ-  
ლი, ძახეთი, ბლბანია (ალაზნის გაღმა მხარი), ლეთი, ძავკა-  
სიის მთიულნი, შაქი-შირვანი და სხ. კათალიკოზს ეჭირა მთე-  
ლი თემები საკუთარს გამეობაში; მის საკუთვნო ყმების რიცხვის  
დასახელება ძნელია: 1498.—1559 წ. საეკკლესიო გუჯრებში  
ნაჩვენებია 237 სოფელი, და შესდგებოდნენ გლეხეკაცთა და  
აზნაურთაგან.

ქათალიკოზი აწესებდა თავის საბრძანებელში მოურავებს  
რომელნიც ჰკრებავდნენ ერთხელ დადებულს გარდასახადს  
(მახტა, კულუხი) ფულათ და მოსავლით ყოველგვარ სამეფო  
გარდასახადის სამაგიეროდ, ქათალიკოზს ეკუთვნოდა ზოგი-  
ერთა საბაჟოები, სამღებროები და სათევზო აზგილებიც მტკვარ-  
ზე, ალაზანზე, ხრამზე და სხ. მდინარეებზე<sup>40</sup>).

<sup>40)</sup> იხ. Историч. и Этногр. опис. г. Тифлиса, Бакрадзе и  
Берзенова стр. 9.

საეკლესიო სოფლებში სამართალი და მსჯავრი, სამოქა-  
ქალაქო და სასისხლო საქმეები ირჩეოდნენ კათალიკოზისა-  
გან, ანუ მისის დავალებით რომელიმე სასულიერო პირისა-  
გან; დანარჩენი სამეფო და წარჩინებულთა საყმონიც ვერ  
იცილებდნენ თავიდგან სასულიერო წოდების სამართალსა და გავ-  
ლენასა. სამღვდელოებამ შეჰქმნა საკუთარი სასულიერო კანონ-  
მდებლობა, შემუშავებული მღვდელთ-მთავართა კრებათა მიერ  
ეროვნულ ნიადაგზედ. თუ ესე ზედ შესისხლ-ხორცებით რო-  
გორ გაძლიერდა და გავრცელდა საერო ხასიათი სასულიე-  
რო წოდებისა, ამისი განმარტება უნდა ვეძებოთ ხალხის გა-  
დაჭარბებულს სარწმუნოებრივს მიღრეკილებაში, როგორც  
ერთხელ დასავლეთ ევროპაში იყო. მეფე და ერთ მიღრეკი-  
ლი იყვნენ სარწმუნოებრივაკენ: კეთილდღეობა და ბედნიერე-  
ბა ცხოვრებაში, მტერზედ გამარჯვება, ყოველი საქმის წარ-  
მართება და კეთილი შედეგი მათის წარმოდგენით დამო-  
კიდებული იყო ეკკლესიის მოთხოვნილებათა წმინდად შეს-  
რულებაზედ მსრეთი მიღრეკილება, როგორც ზევითაცა  
კოქვით, აიძულებდა მეფეთა და დიდებულთა, შეძლებულთა  
და შეუძლებელთა შეეწირათ ეკკლესიებისათვის მთელი სოფ-  
ლები, მთელი საგვარეულონი, ოქრო, ვეცხლი, პური, ღვი-  
ნო და სხ. ამა სოფლის ამაოებისა და დაუდგრომელობისა  
გამო მრავალნი თავის ქონებას სწირავდნენ ეკკლესიას და  
თავის სულის საცხონებლად შორდებოდნენ სამშობლო ბი-  
ნაღრობას და საღმე შორს მონასტერში ასრულებდნენ თავის  
სიცოცხლესა. მსრეთი სარწმუნოებისა გამო საეკკლესიო გლეხ-  
ნი თავისუფალნი იყვნენ ყოველი საერო გარდასახადისაგან.  
როდესაც მეფე, დიდებული, ანუ სხვა ვინმე საეროთა-  
განი რამე დანაშაულის ჩაიდენდა, მაგ. თუ ვინმე კაცს გაჰ-  
ყიდდა, თუ მეფე შეირთავდა დაბალი წოდების ქალს, ან მე-  
ფის სახლისაგანს მიათხოვდა მოყმეს, თუ ქორწინებით და-  
არღვევდა ვინმე ნათესაობითს ხარისხს, ანუ დაარღვევდა რო-  
მელსამე საეკკლესიო გარიგებასა, — ყველა ესე დამნაშავეს

ეპატივებოდა წინაშე საზოგადოებისა მხოლოდ გადაწყვეტილი ჯარიმის გარდახდის შემდეგ სასარგებლოდ ეკკლესიისა. ამისთანა წესწყობილების წყალობით სასულიერო წოდების უფლებას დიადი ზედმოქმედება ჰქონდა მთელს სამეფოში. ამ ზედმოქმედების გამო ქართველი ერი ქრისტეს სარწმუნოების სიყვარულით აღფრთვანებული და სულიერად განმტკიცებული თავგამოდებით ებრძოდა მთელი 1500 წლის განმავლობაში თავისზედ უძლიერესს მტრებს — სპარსელებს არაბებს, სელჯუკებს, მონგოლებს, ლეკებს და სხ. შინაურ გარეულ მტრებს და თავისი მიწა-წყალი არ დასთმო, დაიცა მამა-პაპის სალოცავნი, ენა და თავისი ეროვნული ელფერი.

მტკიცებულება კათალიკოზისა და მთელი სასულიერო წოდებისა საქართველოში იყო მიზეზი ქრისტიანობის გავრცელებისა კავკასიის მთიულთა შორის, სადაც დღესაც მრავლად მოჩანან უძველესი ეკკლესიები ქართულის წარწერებით. შამისოდ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის (საშუალ ძლიერ ურწმუნო მტერთა) წყალობით ქრისტიანობა ადრე თუ გვიან უთუოდ დაემხობოდა. სასულიერო წოდება მუდამ მღვიძარებდა, ამხნევებდა ერს და უმტკიცებდა რწმენას, რომ გარ შემოხვეულ მტრებთან ბრძოლა არის ბრძოლა სარწმუნოებისა და სულის ცხოვნებისათვის.

სასულიერო წოდებას უნდა უმაღლიდეს ქართველი ერი თავის ძველი წარმატებული კულტურისათვის. წერა-კითხვის შემუშავება, ყრმათა სასწავლებელთა გახსნა ეკკლესიებთან და მონასტრებში, მოძღვარნი და მასწავლებელნი, მეცნიერნი და მთარგმნელნი, აღორძინება სამშობლო მწერლობისა, მხატვრობა, ხუროთ-მოძღვრება, მრავალი ხელოვნება, ერის ზეობრივა განსპეტაკება და სხ. — ყველა ამის მიზეზი და მოთხვე იყო დიდად მოღვაწე სასულიერო წოდება.

სამღვდელოებამვე გონივრულის მოსაზრებით საერო კილოებზე ააგო „ქართული საეკლესიო გალობა“, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ნაკვეთს ქართველთა ეროვნების

სულიერის ცხავრებისას, უმდიდრეს კრებულს საომრთო პან-  
გებისას მთელს დედამიწის ზურგზედ. ძართველთა მონასტერ-  
ნი სავსენი იყვნენ ბერებით; იგინი მუქთად არა სჭამდნენ  
სხვის ოფლით მოყვანილ პურსა: დღე ლამ სწერდნენ, სთარ-  
გმნიდნენ საჭირო წიგნებსა; მხატვრობით ამჟობდნენ წიგნებსა,  
ეკკლესიებსა, აშენებდნენ მშვენიერ ტაძრებსა და, როცა საჭი-  
რო იყო, თავის მოძმეებთან ერთად ებრძოდნენ მტერს. სამ-  
შობლოს და სარწმუნოების დასაცველად.

ძათალიკოზსა ჰყვანდა საკუთარი მხედრობა იმავე წეს-  
რიგით როგორც მეფესა; სპასალარებს, ათასის თავს, ასის  
თავს და სხ. მოხელეთ თვით კათალიკოზი ნიშნავდა. ღმში.  
ან თვით კათალიკოზი და ეპისკოპოსნი წინამძღვრობდნენ,  
ან სპასალარნი, როგორც დრო და გარემოება მოითხოვდა;  
ცალკე ჯარებს აგროვებდნენ, როცა საჭირო იყო ეპისკო-  
პოსნი და მონასტერთა წინამძღვარნი და ბრძოლის ველზედ  
გაჰყავდათ და მათთან ერთად ჰლვრიდნენ სასხლესა.

აი ამოდენა უნარი გამოიჩინა ეროვნულშა გრძნობაში  
საქართველოში და V საუკუნეში უკვდავის ვახტანგ ბორ-  
გასლანის მეთაურობით დაწესა დამოუკიდებელი საკათალი-  
კოზო მცხეთისა. მცხეთის კათალიკოზთა ვინაობა მჭიდროდ  
შეკავშირებულია ქართველთა ერის ისტორიასთან, და მთე-  
ლი მცხეთის საკათალიკოზოს თავგადასავალის შესწავლა ჩვენ  
მიერ იქმნება შესწავლა საქართველოს ეკკლესიის ისტორიისა.

### კათალიკოზი:

პეტრ I 472—510 წ. კაბალუკიელი ქართველი მლვდე-  
ლი, მოწაფე ბრიგოლ ნაზიანზელისა. პეტრემ დიდი ამავი  
დასდო ვიზანტიის იმპერატორს ლეონს, რომლის საიდუმლო  
მინდობილება ვახტანგთან მშვენიერად შეასრულა: დაარღვია  
ქართველთა კავშირი სპარსელებთან ტრაპეზუნტის მახლობ-  
ლიდ და ვახტანგი დაუმეგობრა ლეონს. პეტრეს რჩევით გა-

დიტანა ვახუანგმა სამეფო ტახტი ტფილისში, რომ აქედგან უფრო მარჯვედ ებრძოლნა სპარსელებთან და ცეცხლის თა- ყვანის მცემლობასთან, რაკი სპარსელებს ფეხი მოკიდებული ჰქონდათ იმ დროს ტფილისში და აქედგან მძლავრობდნენ ქართველებზედ.

პეტრემ დიდი ბრძოლა გამოიარა მიქელის მომხრე სამ- ლვდელოებასან, მაგრამ ყოველსავე დაბრკოლებასა სძლო და მის უამს ვახუანგმა იწყო შენება მცეთის სვეტის-ცხოვ- ლის ტაძრისა, აავსო ექლესიანი ყოველივე სახმარი ნივთით, შესწირა მთაბარი სამლვდელ მთავრო ტაძრებს და თვით სამ- ლვდელონი უზრუნველ ჰყო ქონებრივად პეტრე ამხნევებდა ვახტანგსა სპარსებთან საპრძოლველად; ქალკიდონის კრების განჩინებათა გამო ებრძოდა სომხებსა<sup>1</sup>).

**სამოხლე I.** 511—529 წ. წინად მთ-ეპისკოპოსი, შემ- დეგ მიქელისა. ესე მოჰყვა პეტრეს კაბალუკიიდგან და პეტ- რესთან ერთად დიდად იშრომა ქრისტიანობის განმტკიცები- სათვის საქართველოში.

**თავდეჩალე 530—536 წ.**

**ჩილირეანე 537—541 წ.**

**საბა I** 542—551 წ. იყო მცვიდრი მცეთელი, წარ- ჩინებულის გვარის შვილი, აღრჩეული მცეთაში პირველად:

ამ დროს ვიზანტიას იმპერატორი იუსტინიანე ებრძოდა აფხაზეთ-ოსეთის მოსამზღვრე ტასკუნებს და ამ ბრძოლის დროს საბამ აღმოუჩინა დიდი შემწეობა: აღამხედრა ფარსმან მეფე და მეშვეობად გაისტუმრა; ფარსმანმა სამეფო ჩაბარა ციხე დიდის (ძეგვს და შიომღვიმის შუა, მტკვრის მარჯვენა ნა- პირზე) მთავარს მვაგრის<sup>2</sup>). იუსტინიანემ გაიმარჯვა და

<sup>1)</sup> პეტრემ იმოგზაურა სომხეთში 490—493 წლებში ვალარშაპადის კრებაზედ დასასწრებლად და ამ დროს სამოელი კათალიკოზად იხსენება. მოსვლის შემდეგ პეტრემ განაგრძო კათალიკოზობა. იხ. ქრონიკ. უორ- დანიასი 51 გვ.

<sup>2)</sup> ჩვენის ფიქრით ევავრი ან ძმა არის და ან ახლო ნათესავი . სა-

საბას სახლს დაუმკვიდრა ქართლის კათალიკოზობა 549 წ.  
ამ შემთხვევისა გამო „ქართ. მოქცევაში“ ვკითხულობთ: „და  
აქათოვან ორთა სახლთა აღიღეს კათალიკოზობა მცხეთელ-  
თა მკვდრთა“ (ქრონიკ. I, 52 გვ.) შემდეგ ვნახავთ, რომ  
ორი კათალიკოზი ერთი ერთმანეთს სცვლიან საკათალიკო-  
ზო ტახტზე, ორი სახლიდგან ერთი მეორეს ადგილს იჭერდა  
მომხრეთა შემწეობით და გავლენით სამეფო კარზედა<sup>3</sup>).

**ეპლავიოს** (ევლალე) 551—557 წ. ამის უამს, მეფო-  
ბასა ფარსმანისსა, მოვიდა წმ. იოანე ზედაზნელი და ათორ-  
შეტნი მოწაფენი მისნი სირიიდგან, სადაც იგინი მოღვაწეობ-  
დნენ შავმთაზე დაარსებულ ქართველთა მონასტერში სვიმეონ  
II მესვეტის წინამძღვრობაში<sup>4</sup>). მვლავიოსი მტკვრის გაღა-  
მიერება იოანეს და ქართულად მოიკითხეს ერთმანეთი.

ამ დროს სპარსი მძლავრობდნენ ქართლ-კახეთში, უფ-  
ლება მეფეთა შევიწროებული იყო და წმ. ათცამეტთა გა-  
მათა ქადაგებამ ერი ქართველთა გაამხნევა სპარსელებთან  
თავგამოდებული ბრძოლისათვის. 552 წ. ეწაბა წმ. შუშანიკ  
დედოფალი, 570—575 წლებში წმ. აბიბოს ნეკრესელი,<sup>5</sup>) წმ.  
მესტათი მცხეთელი 589 წ. აი ამ დროში მოღვაწეობდნენ

---

ბასი; ევაგრი შემდეგ დაემოწაფა წმ. შიო მღვიმელს, ბერად შედგა და  
თავისი დიდი ქონება უდაბნოს შესწირა.

<sup>3)</sup> იხ. დაწვრილებით ქრონიკ. კორდანიასი I, 52 გვ. შენიშვნები.

<sup>4)</sup> იხ. იქვე 53 გვ. ეფრემ მც. წერილი.

<sup>5)</sup> წმ. აბიბოს ნეკრესელი მოიყვანეს ტანჯვა-წვალებით ქ. რეხაში,  
სადაც ბინადრობდა VI—VII საუკუნეში სპარსეთის მარზაპანი. რეხა მდე-  
ბარეობს გორის მაზრის ს. საკორინთლოს ჩრდილოეთით ერთ ვერსტედ. რეხა ააოხრეს ჯერ არაბებმა VIII საუკუნეში, მერე თემურლანგმა XIV  
საუკუნის დამლევს. რეხა დღეს წარმოადგენს დიდს ნავენაზობებს, მოფე-  
ნილს უზარ-მაზარი კაკლის და სს. ხილნარით, ქვითკირის მრავალ საწ-  
ნებელთა და სრა-სასახლეთა ნანგრევებს; რეხის უბანს დღესაც ლეგმა შეთი  
უწოდება და მისი ციხე და ღის-მშობლის მხატვრობიანი საყდარი მგზავრის  
ყურადღებას იჰუდევნ. რეხას სჭერია მდ. რეხულის ვრცელი ხეობის ზესა-  
ფალი.

სახელოვანნი მამანი, რომელთა მოძღვრება და ახლოვებით წინ გაიშძლვარა სახელოვანმა კათალიკოზმა ძირიონმა და შემუს-რა ერთბუნებიანთა (სომეხთა) მძლავრება.

მაკარი 558—569 წ. ამან აკურთხა მღვდელ მონაზონად ღირსი შიო მღვიმელი, ოხოვნისამებრ ფარსმან მეფისა, მღვდელთ მთავართა და საზოგადოებისა. ამისვე უამსა შესწირა მცფემან ფარსმან შიო მმღვიმეს: 30 ლიტრა ოქრო, სახარება საგდუხტ დედოფლისა ოქრო-თვალ-მარგალიტითა მკული, <sup>6)</sup> ჯვარი ოქროსი, ბარძიმ-ფეშეუმი ოქროსი და 18. სახმარნი ნივთნი და ამა შეწირულებათათვის გუჯარიც დაუ-

აი აქ აწამეს აბიბოსი. ყური ვათხოვოთ მემატიანეს: „...შემდგომ მრავლისა გუემისა და საკურველთა სატანჯუელთათა ქვთა განტკნეს უკი წერარი აბიბოს და მოჰკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქისა და მცუელნი განაწესნეს მის ზედა, რათა მხეცთა და მფრინველთა შეჭამნეს ხორცი მისნი, ვინადგან ეშინოდა, ნუ უკუე ქრისტიანენი. მოვიდენ და წარჩეუნენ იგი და დიდებითა დაკრძალნენ. ხოლო სანატრელთა ხორცითა გრძთა არა რა შეეხო ყოვლადვე მხეცთა და მფრინველთაგან და ვითარ ძლივარ ეამ ისხნეს, დაუტეჩეს მცუელთა მათ და წარვიდეს. გამოვიდეს. მანი იგი, რომელი მყოფ იყუნეს გარემო ქალაქსა მას რეხისასა და მათთა მოწაფეთაგანსა (?) აღეშენა პონასტერი იგი, და ალიხუნეს ნაწილენი იკი წილისა აბიბოსი და დაფლეს ადგილსა მას დიდებითა დიდითა“. ეს წონასტერი დღესაც მთლად დაცულია და იწოდება ძველადგანვე უკვაბის მანად, სადაც გდიჩენებენ, რომ „აქ წმინდა ნი არის დასაფლავებულიო“. იხ. საქ. სამ. 215 გვ. ეჭვი არა გვაჭვს რომ კვაბისმანის მონასტრის აღმშენებელი არის „მოწაფე ივანე ზედანელისა“ ღირსი ისიდორე სამთავრენელი. სამთავისიდამ მონასტრამდე მხოლოდ ეჭვი ვერსტი მანძრლი იქმნება.

\*) ამ სახარების გამო ცილობა დღემდე გადასაწყვეტია: საგდუხტი იყო ასული რანის ერისთავის ბარზაბოლისა, ცეცხლ-თაყვანის-მცემელის სპარსისა, მეუღლე მეფის მიზანურისა და დედა სახელოვანის ვახტანგ გორგასლანისა. საგდუხტმა საეკლესიო კანონთამებრ მიიღო ქრისტიანობა და ამი- ცომ საჭირო იყო თვით ზეესწავლა ქრისტეს მოძღვრება: „გამოიკათხ სჯული ქრისტესი, რამეთუ ქმარმან მოჰკვარნა კაცნი სჯულის მეცნიერნი და უთარგმნეს სახარებაც უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.

საგდუხტი იყო სპარსთა მუნიცილთა ასული, აღზრდილი სპარსთა რჯახში და საზოგადოებაში. რაკი საგდუხტმა იცოდა მხოლოდ სპარსული ენა და ქართული კი არა, ამიტომ საჭირო იყო ეთარგმნათ მისთვის სახარება სპარსულს ენაზედ. მაგრამ რომელი ენიდგან უთარგმნეს? აი კი-

წერა და დაუმტკიცა. სპარსთა მძლავრებამ ფრთები შეისხა  
ვახტანგ ზორგასლანის შემდეგ და მეტადრე მაკარის ქაშს:  
„ხოლო შემდგომად მისა, ვახტანგისა, მოიწინეს სპარსთაგან  
ქართველთა ზედა დიდნი ჭირნი და ფრიადნი სულნი მოსწ-  
ყვდნეს და ქუცყანანი დაიპყრნეს და მრავალნი იწამნეს შრის-  
ტეს სახელისათვის, ოჰმეფთანიმე წიგნი აღიწენეს და ოთ-  
მეჯთანამე დაშთეს აღუწერელი“... იქამდე გაბატონდნენ სპარ-  
სნი შართლ-ქახეთში, რომ გადავიდნენ შავის ზღვის პირად  
ლაზისტანში და მედგარი ბრძოლა აუტეხეს ბერძენთა მფლო-  
ბელობასა. იუსტინიანე მეორემ (565—578 წ.) სპარსებთან  
ბრძოლაში გაატარა თავისი მეფობა.

**სამოხლ II 569—572 წ.** მოძღვარი და განმამტკიცებელი  
შუშანიკ დელოფლისა „დათმენად ტანჯვათა ქრისტეს სახე-  
ლისათვის“, რომლისა სვინასქარში სამოელი წოდებულია  
„თავად ეპისკოპოსთა“ და „პირველ კათალიკოზად“. <sup>7)</sup> მეფე

თხვა. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ არამც თუ არჩილ (410—434 წ.) მე-  
ფის დროს, არამედ უფრო ადრე იყო ნათარგმნი სახარება ქართულს ენა-  
ზედ. ებრაელთა მწიგნობარნი და სჯულის მეცნიერნი აბიათარის მეთაუ-  
რობით პირველნი ქრისტიანენი იყვნენ და მათთვის ძნელი არ იყო ეთარ-  
გმნათ სახარება ქართულს ენაზედ. დღესაც დაცულია წ.-კითხ. საზოგად.  
წიგნთ საცავში სპარსული სახარება, დაწერილი ქართულის მხედრული ასოე-  
ბით. იგი დაწერილია XVII საუკ. დამდეგს და ეკუთვნოდა საქართველოს  
სამეფო ოჯახსა. ჩვენ ვაჩვენეთ მეცნიერს ეფენდის ეს სახარება, წავუკით-  
ხეთ რავდენიმე ადგილი და გადაჭრით გვითხრა, რომ ესა სახარებისა არის  
უძეველესი საუკეთესო მწერლობის ენა, რომელიც ძეველადგანვე სპარსეთის  
სამეფო კარზედ იხმარებოდა. არავითარიმე საბუთი არა გვაქვს გიფიქროთ,  
რომ საგდუხტისთვის ეთარგმნოთ სახარება ბერძულიდამ. თუ კი ერთის  
სპარსთაგანის ქალისათვის საჭიროდ აღმოჩნდა სახარების თარგმანი, განა  
ქართველთა სამეფო ოჯახში ეგვევ საჭიროება დიდის ხნიდგან არ იქმნე-  
ბოდა დაკმაყოფილებული? იხ. ქ.-ცხ. 108—109 გვ.

? იხ. საეკლ. მუზ. ხელნაწ. № 170, 128 გვ. და საქ. სამოთხ,  
რასკვირველია იმიტომ, რომ სვინაქსრის დაწერვის დროს სამოელი კა-  
თალიკოზად იყო, ხოლო თვით წამების დროს მთავარ-ეპისკოპოსად.

ბაქარი + 570 და დაუტევა მცირე წლოვანი ძე; ამის გამო სპარსი მეტად გათამამდნენ, გადააგდეს სამოელი და მის ნაცვლად დადგენილ იქმნა სიმონ პეტრე. სპარსელებმა გაა-მაგრეს ტფილისი და მცხეთის დამცირებასა ცდილობდნენ. დიდად.

სიმონ პეტრე, II ანუ ძირიონი 572—598 წ. კათალიკო-ზად ოლყვანილ იქმნა შობიდგან 25 წლისა; ამის დროს მოხ-და „განდგომა სომეხთა მართლ-მადიდებლობისაგან; საფუძვ-ლად ესრეთის სამწუხარო შემთხვევისა შეიქმნა ვიზანტიის იმპერატორის პრედის უარი მიჰშველებოდა სომხებსა სპარ-სების წინააღმდეგ, რომელთაც ამიტომ დაიპყრეს მთელი სომხეთი და ემუქრებოდნენ — თუ ბერძნებთან ერთობაზედ ხელს არ აიღებთ — გადაგასახლებთო. ამის გამო მეფისა და კათალი-კოზის რჩევით სომხეთმა აღიარა იაკობიტთა მოძღვრება, უარ ჰყო შალკიდონის კრების (451 წ.) დადგენილებანი და განუ-გა მართლ-მადიდებლობისაგან, სპარსეთსაც ეს უნდოდა.

ძირიონმა თვისი დრო მოანდომა სომხის კათალიკო-პპრაამთან ბრძოლასა, უარ ჰყო ერთობა სომხებთან და არ უღალატა მართლ მადიდებლობასა<sup>8)</sup>; განდევნა სანალირო ქა-ლაქიდგან (წორთავი) სომეხთა ერთგული ეპისკოპოსი მოხე-და გამართა მიწერ-მოწერა რომის პაპა გრიგორთან<sup>9)</sup>, არ დაესწრო სომეხთა კრებასა ქ. ღვინში 596 წ., არამედ გაუგზავ-ნა მხოლოდ დადგენილებანი მსოფლიო კრებათა — „ამათ თა-ნახმად იმწყსება საქართველოს ეკკლესიაო“. ბმიტომ სომ-ხებმა უწოდეს ძირიონს ბორცტი. ბევრს ეცადნენ შემდეგ ერთობის აღდგენისათვის ბერძენთ-სომეხთ კრებებზედ — ორ-ჯელ დვინში, კარნუქალაქში (არზრუმში) და კონსტანტინე-პოლში, მაგრამ ამაოდ, თუმცა სომხების წარმომადგენლებმა ბოლოს აღიარეს შალკიდონის კრების განაჩენი.

<sup>8)</sup> იხ. Ист. Барат. IV тетр. 79 გვ.

<sup>9)</sup> იხ. Древн. г. Тифлиса Йосел. 170 გვ.

პირიონშა აკურთხა ზვალამ უნდა ტე სა ცი ბერი ბა ბა  
რატიონი) 575 წ. საქართველოს შეფერ 11).

**სამოხლ III „სხუაძ“<sup>11)</sup>.** 598—612 წ. ამის დროს იწ-  
ყეს ჯვარპატიოსნის და ტფილისის სიონებს შენება<sup>12)</sup>. წინად იყო  
მთავარ ეპისკოპოსად. ამის უამს ეკურთხა. ეპისკოპოსად ურბ-  
ნისისა წმ. მღვდელ მოწამე ნეოფიტ<sup>13)</sup>.

**ბართლომე 613—620 წ.** არს უამს ჰუანისატიოსანი  
და ტფილისის სიონი ისევ შენდებოდნენ. სტეფანოზის ერთ-  
გულობისათვის, ვგონებ, ვიზანტიის მმართვა. მრეკლემ ბართ-  
ლომე გადაყენა კათაღ იყო. მმიღებან, შაგრამ მისი წასვლის  
შემდეგ სტეფანოზი ასევ აღიყვანა ჩამორთმეულ ხარისხ-  
ზე<sup>14)</sup> გარის არივნელის მოწმობით, ამის დროს სრულიად  
გა აგნენ ივერიელნი სომეხთა თანა თანხმობისაგან<sup>15)</sup>. „შამ-  
თა მათ, ოდეს მთავრობდა ქართლსა შინა სტეფანოზ, ინება  
ამან, რათამცა მოვიდა მღვმედ... და აღმოუწოდა კათალი-  
კოზსა ბართლომეს, რათა იგიცა მივიდეს კრებისა ყოფად  
მისთანა და, მოვიდა რა კათალიკოზი, ჰეცნეს მამათა ყოველ-  
თა და განვიდეს მიგებებად მის წინაშე ჯუარებითა და კე-  
რეონებითა, ვითარცა ჰეცნის მამათ-მთავარსა და შეასხმიდეს  
გალობასა ჯერისაებრ. იხილა რა ესე სტეფანოზ, განიხერხე-  
ბოდა შურითა, რამეთუ ამას არა რად ესე ვითარი. პატივი  
უყვეს მონათა მათ ღუგისათა“. ამისათვის სტეფანოზი დი-  
დად გაუწყრა წინამძღვარსა და ძმათა კრებასა, წართვა ორი  
აგარაკი და დამუქრებული წავიდა ტფილისისაკენ. სამ-  
ჯერ უბრძანა წმ. შიომ სტეფანოზს სიზმრად წართმეულ აგა-  
რაკთა დაბრუნება; მაგრამ სტეფანოზმა ყურიც არ ჰოხვა.

<sup>10)</sup> იხ. არქეოლოგ. путеш. ბაკრაძე 157—158 გვ.

<sup>11)</sup> იხ. ქ.-ცხ. 34 გვ.

<sup>12)</sup> იხ. ქ.-მოქც. 34 გვ. და სუმბატ. ისტ. 45 გვ.

<sup>13)</sup> იხ. საქ. სამოთხე 309, 322, 359 გვ.

<sup>14)</sup> იხ. ქ. მოქც. 36 გვ.

<sup>15)</sup> იხ. მისი ისტ. და საქ. სამ. 256 გვ.

ამისთვის, მიეღო თბულთა მისთა ნათელი და განცოფნა; ეგრეთვე იქმნეს ცოლი და შვილი მისნი... გულისკაუცეს წარჩინებულთა მის ქლაქისათა და კრულნი წარიყვანეს სარკინისა მღვმელ წოდებულსა მას მონასტერსა". სტეფანოზი განიკურნა ცოლშვილით წმ. შიოს კვერთხის შეხებით. ამიტომ „სტეფანოზმა მოუწოდა მწიგნობარსა თვესსა და უბრძანა მას, რამა დასწერნეს ორნი დაბანი დაბათაგანი სამეულოთა ურჩეულესნი; მერმე აღილო კელითა თვესითა ქარტა იგი და დადვა საფლავსა ზედა წმიდისა შიოსსა. დაამტკიცა კელით წერილი იგი კელითა თვესითა და წარსცა ყოველსა ჭუეყანასა ქართლისასა, რათა ყოველნი ეყალესიანი განათავისონენ მძლავრებისაგან და ხარკისა მიხდისა, და პატივისა პურბად ეპისკოპოსთა, მღდელთა და მონაზონთა და ამანცა ფრიადი აშენა ეყკლესიასა ზედა ჯუარისასა". აგრეთვე ცოლმა მრავალი საგანძური შესწირა წმ. შიოს უდაბნოს და ყოველ წლივ მიღიოდნენ 9 მაისს „დღესასწაულობად". შეიძლება ვითიქროთ, რომ განრისხებულ სტეფანოზს გადაეყენებინოს ბართლომე კათალიკოზაბიდგან და განკურნების შემდეგ ისევ ალეუცანოს კათალიკოზის ხარისხზედ<sup>16)</sup>.

**იოანე I 620—623** წ. ზვარამ კუროპალატმა ესე ითანე, ჯერეთ მღვდ. მონაზონი, წარგზავნა ანტიოქიის პატრიაქთან, რომელმაც აღიარა დამოუკიდებლობა ივერიის ეკკლესიისა, აკურთხა კათალიკოზად და წარმოავლინა. იგი იყო უკანასკნელი კათალიკოზი ანტიოქიაში ხელდასხმული.

**ბაბილონი.** 624—635 წ. ადარნასე მეფემ (614—639 წ.) იმეცალინა საქართველოს კათალიკოს პატრიარქნი, აღრჩეულნი მცხეთაში საქართველოს მღვდელთ მთავართა კრებისაგან, აქვე, მცხეთაში კურთხებულიყვნენ, და არა ანტიოქიაში, რაზედაც ანტიოქიის პატრიარქმა ნება დართო<sup>17)</sup>.

<sup>16)</sup> იხ. Ист. Баратава II тетр. 70 83.

<sup>17)</sup> იხ. Др. г. Тифлиса 24 83.

ბაბილო იყო პირველი კათალიკოზი, მცხეთაში აღრჩეული და კურთხებული. ამიტომ ბაბილამ ტფილისში აღიშენა ოვი-  
სი საკუთარი მეტოქი—ტაძარი ლვთის მშობლისა მტკვრის  
მარჯვენა კლდოვან ნაპირზედ. მსე ტაძარი დღესაც მრთ-  
ლად დაცულია და იწოდება ანჩისხატის, ტაძრად. ამა ბა-  
ბილოს დროს, 630 წ. დასრულდა სიონის ტაძრისაშენება<sup>18)</sup>.

„...და მან, ჰერეკლე მეფემან ტფილის და მცხეთას და  
უჯარმოს ქადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტიანენი  
ეკკლესიასა შევიდენ, და ყოველნი მაგუნი და ცეცხლის მსა-  
ხურნი, რომელნიცა და არა მოინალნეს—მოისრნენ. ხოლო  
მათ ნათლის ლებად არა ინებეს, არამედ ზაკვთ აღერინეს  
ქრისტიანეთა თანა და მიაწიეს ყოველთა მათზედა მახვილი  
და ეკკლესიათა შინა მდინარენი სრხლისანი დიოდეს; და  
განწმიდნა სჯული ძრისტეს ღმრთისა ჩუენისა, და წარვიდა  
ჰერეკლე სიმეფოდვე თვალი“<sup>19)</sup>).

**თაბორ.** 635—639 წ. მოხსენეებულია შრომის ტაძრის  
ქვის წარწერაში<sup>20)</sup>.

**სამოხლ IV** 639—647 წ. მედროვე სტეფანოზ II-სა.

**მვრცელ** 648—655 წ. ამის დროს დასრულდა სტეფა-  
ნოზის მიერ ჯვარპატიოსანი და იკურთხა ერთის თვის დღე-  
სასწაულობით<sup>21)</sup>.

**თავფეჩაგ** 656—664 წ.

**მვლალე** 665—668 წ.

**იოველ** 669—670 წ.

**სამოხლ V** 670—677 წ.

**გვრცელი I** 677—678 წ.

**კირიონ II** 679—683 წ. ამის დროს **VII** მსოფლიო

<sup>18)</sup> იხ. სუმბატ. ისტ. 48, 49 გვ.

<sup>19)</sup> იხ. სუმბატის სტ. 48—49 გვ.

<sup>20)</sup> იხ. ქრონიკ. I კორდანიასი, 70 გვ.

<sup>21)</sup> იხ. ქ. მოქც. 36 გვ. და სუმბ. ისტ. 50 გვ.

კრებამ დაამტკიცა დამოუკიდებლობა მცხეთის კათალიკოზისა „პონტის ზღვიდამ დარუბანდის ზღვადმდე<sup>1)</sup>“.

იზიდ-ბოზიდ 683—685 წ.

თევდორე, თუ თეოდოსე? 685 წ.<sup>2)</sup>

პეტრე, ანუ სიმონ III 685—689 წ. „ხოლო კათალიკოზი, რომელნი მვნონისითგან მომართ იყვნეს, ესე ცხრანი ცოლოსანნი იყუნეს“<sup>3)</sup>.

**მიშალ I.** 689—702. არჩილ მეფის კურთხევის შემდეგ აღძრულმა უთანხმოებამ საქართველოს ეკკლესიის მღვდელთ-მთავართა შორის ესე მიქელი აიძულა შეედგინა „წესი და განგება მეფის კურთხევისა და მღვდელთ-მთავართა სხდომის რიგი მეფის კურთხევის დროს“. ამა მიქელის მეცადინეობით და კურთხევით დაიწერა: а) შთამომავლობა ქართველთა ერისა; ბ) შართლის მოქცევა ნინოს მიერ; გ) წესი მირონის კურთხევისა; დ) იერარქიული სია საქართველოს ეკკლესიის მღვდელთ-მთავართა, მონასტერთა და წინამდღვართა და მოთხოვბა: კათალიკოზობის დაწესება მცხეთაში: იხ. ისტ. საქართველო., 200 გვ. თეიმურაზ გატონიშვ. ცნობა: მეფენი სახელით „არჩილ“ მოხსენებულ არიან სულ სამნი: არჩილ I (410—434), არჩილ II (668—718) და არჩილ III (1678—1712). კათოლიკოზი სახელით მიქელ მართალია პირველის და მეორის არჩილის დროს არ არის მოხსენებული, მესამის დროს ხომ შეუძლებელია ვითიქროთ, მაგრამ ისტორიულ პირობათა გამო რომ არჩილ I (410—434) დროს სამღვდელთ-მთავრო საყდრები ჯერ ისე მრავლად დაწესებულ არ იყვნენ (დაწესდნენ ვახტანგ I 446—499), რომ კათოლიკოზობა ჯერ ისე მტკიცელ დამყარებული არ იყო და, მაშასადამე, არც წესი საეკკლესიონი იყვნენ. დადგენილ და არც „დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ებისკოპოსთა

<sup>1)</sup> იხ. ქ. ცხ. I 191 გვ.

<sup>2)</sup> იხ. ქ. მოქც. 38 გვ.

<sup>3)</sup> იხ. იქვე.

ცილობისაგან”; რადგან მირონი ანტიოქიილგან მოჰქონდათ მესტათი პატრიარქის დროდგანვე, რისთვისაც საქართველოს მეფენი ჯერ ასი სოფლის შემოსავალს უგზავნილნენ და მერე „ასა დრაპეანსა”, და მირონის მოტანა გაძნელდა მეშვიდე საუკუნიდგან, — ამისათვის მხოლოდ პრილ II მეფობის დროს უნდა მიეკუთვნოს ქართლისა კათალიკოზობა მიქელისა და მის მიერ შედგენა „მირონის კურთხევის წესისა”. და სხვ. აპა, თვით ტექსტი მირონის კურთხევისა და ეპისკოპოზთა რიგზედ სხდომისა.

## 9 X 7 მეტა გურთხევა მიწოდება.

ღიღნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეპისკოპოსთა ცილობისაგან და ლუთივგვრგვნოსანმან მეფემან პრილ არა სათო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად და გვიბრძანა განხენად, ვითა ნიშანთა შეეტყუბოდა, და ხელვყავ მე გლახაქმან მიქელ ქართლისა ქათალიკოზმან და ვაკურთხეთ წმინდა მიპრონი. ღდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელთ მოძღვარნი შემოკრბენ მცხეთას ღიღსა ხუთშაბათსა, ღიღისა სომხეთისა მიტრაპოლიტსა ჰმართებს ნივთთა ზედა დგომად; და ქუაბნი საკურთხეველთათ გამოიხუნენ, და მიტრაპოლიტსა და ქადაგსა ეტვრთნენ კეტნი ქუაბთანი; წინათა კეტთა მიტრაპოლიტი შეუდეგს და უკანათა ქადაგი. თუ მწირველი იყოს, თეთრითა შესამოსლითა შემოსილ იყოს; თუ მწირველი არა იყოს თეთრისა ატლასისა ჩაჩი თავსა ებუროს მოყუნტუზვილი. და მეორეთა ქუაბთა მთავარ-ებისკოპოზი ქუბშე უდგეს და წინა მივიღოდეს და უკანათა კეტთა მაწყურერელი და უკანა მთავარ-ებისკოპოზისა მოჰყვებოდეს; და რაეამს განზავებდენ ტაკუკი, ტაკუკი მაწყვერელსა ეტვრთოს; და რაეამს განზაონ ტაკუკი, ქადაგისა კელითა დაიბეჭდვოდეს და ყოველთა ებისკოპოზთა თვითო კუკად მირონისა ეტვრთოს; და კე-

რეონებითა სვეტსა ცხოველსა გარე მოადგენ და კათოლიკურ ქადაგებისა გალობდენ.

„შეზადება... მირონისა ვითარ იგი სრულ იქმნების... წმინდასა სოფიას ზედ-მიწევნიო გამოძიებული და გამოწულილვით გამოკულეული თვთ კეთილ-მსახურთაგან და მოძღვართა ამისისა შეზავებისა და სრულებისათა. ხოლო მე ერთ გვარიცა კურთხევად მინახავს იერუსალიმს, გარნა ამის ეკკლესიისასა სოფია-წმიდისა და ანტიოქელთა ეკკლესიისა ესთენ არს წესი წმიდისა მირონისა კურთხევისა და ესთენ ლოცვანიცა და თქვენ ვინადგან ამის ეკლესიისა შედგომილნი ხართ, ამისითა წესითა გილირს ბაძვა და მიმსგავსებაცა ძალისაებრ“. <sup>1)</sup>

აქა დაგვშთა საძიებელი მრავალთამ, თუ ოდეს მიიღეს ქართველთა კურთხევად მიჭრნისაჲ; და ამისდა ცნობად მრავალ უამ ვდროებდ აღწერად ბრძანებულსა ჩემდა შენ მიერ მოსაქსენებელსა ამას, და ესოდენ ვპოე საზოგადოდ ყოველთათვს, ვითარმედ მალკიდონისა კრებასა ესმა, რომელ სიძრისათვს ფასით ჰყიდდეს მიპრონსა. ამისთვს ბრძანეს წთა მამათა, რათა არა ხოლო ანტიოქიას, არამედ სხუთაცაცა ეკკლესიათა შინა წმიდა იქმნებოდეს მიპრონი. ხოლო თვსაგან მართველთამ საგონებელ არს, ვითარმედ სიშორისათვს გზისა და რომელ ფრიად საშიშ არს უცხო თესლთა შორის ქმელით ანტიოქიით მართლს წაღებად წსა მიპრონისა, — ამისთვს თვთ ადგილსა დაწესებულ არს მათდა კურთხევად მიპრონისად. <sup>2)</sup>

### განგება დარბაზთაბისაა.

რაუმს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ჭახტსა ზედა, ებისკოპოსნი ამა წესითა დასხდენ: ა) ბრძანოს ქართლისა ქათა-

<sup>1)</sup> იხ. წ.-კით. ბიბლიოთ. ხელნაწ. № 352.

<sup>2)</sup> იხ. ქრონიკ. 47 გვ. და ქართ. ცხ. 117 გვ.

ლიკოსმან და დაჯდეს მარჯულნით მეფისა ნატითა და ბალიშითა; ბ) შემოვიდეს ჭყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მეფისა ნატითა და ბალიშითა; გ) შემოვიდეს დიდისა სომხითისა მიტროპოლიტი და დაჯდეს კათალიკოზსა ქუმრო ნატითა და ბალიშითა.

შემოვიდეს მთ. ებისკოპოზი და დაჯდეს მიტროპოლიტ-სა ქვემოთ ნატითა უბალიშოდ.

შემოვიდეს მაწყვერელი და დაჯდეს მთავარ-ეპისკოპოზსა ქუმროთ ნატითა უბალიშოდ.

შემოვიდეს აბბა ბლავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელისა ქუმროთ ნატითა უბალიშოდ.

შემოვიდეს შიზიყელი და დაჯდეს აბბა ბლავერდ. ქუმროთ უნაოდტ.

შემოვიდეს შუმურდოელი და დაჯდეს ქიზიყ. ქვემოთ.

ნინოწმიდელი არქიმანდრიტი— მაწყვერელ ქვ.

იშხნელი—შუმურდ. ქვ.

ანჩელ არქიმანდრ. ნინოწმ. ქვ.

ტბევარი. იშხნელის ქვ.

წურწყაბელი ანჩელის ქვ.

წყაროს თაველი ტბევარის ქვ.

მრუშნელი. წურწყამ ქვ.

მანგლელი წყაროსთავ. ქვ.

წინწყაროელი ერუშნ. ქვ.

რუსთველი მანგლელის ქვ.

წილკნელი წინწყაროელის ქვ.

კაწარელი რუსთველის ქვ.

ურბნელი წილკნელის ქვ.

მრუელი კაწარელის ქვ.

სამთავრნელი ურბნელის ქვ.

ნიქოზელი მრუელის ქვ.

მამათ მთავარნი.

ვალაშკერტელი, ნიქოზ. ქვ.  
 ბოლნელი სამთავნელ ქვ.  
 ძარელი ვალაშკერტელ ქვ.  
 ანელი ბოლნელის ქვ.  
 ხარჭაშნელი კარელის ქვ.  
 ტფილელი ანელის ქვ.  
 წალკელი ხარჭაშნელ ქვ.  
 ბანელი ტფილელის ქვ.  
 ჭერემ — ქალაგელი წალკელის ქვ.  
 ღმანელი ბანელის ქვ.  
 დადაშნელი ჭერემ. ქვემოთ.  
 ზიშელი დადაშნ. ქვემოთ.

მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღვარნი და წინამდღვარნი და მათითა წესითა წინა მიუსხდენ. ეპისკოპოსთა.

„შეფესა ჯვარის მტვირთველსა ათაბაგსა და სპასალარსა შეუა მართებს ჯდომა. ვინცა ესე ღუთისა სწორთა მეფეთ შეფისა არჩილის ბრძანებული და განაჩენი და ჩვენ გლახაკისა ქართლისა ქათალიკოზისა მიქელისაგან დამტკიცებული შეურაცხებულს და ამა განაჩენსა ურჩექმნას, კათოლიკე ეკლესიისა-გან განიხადოს და ურჩებისა პატიცი მიეხადოს, ვითარცა ურჩხა და სჯულისა გარდამივალსა და რომელიცა პატიცი აქვნდეს, იგიცა მოეძარცოს“.

იოანე II 720—752 წ. ამის დროს მიაწერენ არგვეთის მთავართა — დავით და ძოსტანტინეს წამებასა 741 წ. იხ. საქარ. სამ., 330 გვ. და ვახ. ისტ., 116 გვ. შენიშ. ბაქრაძისა. თეოფილაქტე ანტიოქიის პატრიარქისაგან (744—751 წ. ხელდასხმულს, დროთა შლილობისა გამო; ამა იოანესვე მიაწერენ გოთელთა (ყირიმის ეპისკოპოსის) იოანეს (751—775) პურთხევას- მცხეთაში, რაღვან საბერძნეთში მიმავალი გზები

შეკრული იყო ხატთა მბრძოლთაგან. იხ. ისტ. საქართ. ბაქრაძ..  
201—202 შენიშვნა, და სვინაქსარი 26 ივნისისა.

**გრიგოლ I 752—759 წ.**

სარმიანე I 760—774 წ. მსე სარმიანე ოდესმე შიო-  
მლვიმე ში იყო მწირველი ყველიერისა ხუთშაბათსა, დღე-  
სასწაულს დღეს. ამ დღეს მოსრულიყვნენ ტფილისიდგან  
ეგვიპტელნი მწვალებელნი—იაკობიტნი: ამათ მიართვეს კა-  
თალიკოზს ძლვენი—ხილეული „თვისისა ქვეყნისაგან“, და  
სთხოვეს კათალიკოზს ზიარება წმ. საიდუმლოთა. ძათალი-  
კოზმა გამოუძიებლივ აზიარნა იგინი თვისითა ხელითა და  
წარვიდა მცხეთად. იმ ღამესვე ძილში ზეგარდმოქმდილა სარ-  
მიანეს. ესრეთი წინდაუხედაობა და უღირსებით შეურაც-  
ხება ხარისხისა მისისა. ზამოლვიძებულმა ჰქმნა კრება ეპის-  
კოპოსთა და მათის რჩევით დასწვა იაკობიტთა მიერ მორ-  
თეული ძლვენი; ხოლო თვით მივიდა ღირსის შიო მღვი-  
მელის უდაბნოში და ცრემლით სტიროდა ცოორმასა თვისსა;  
სიზმრალვე ემხილა შენდობა და მიქცევა მცხეთად. ამავე  
დროს მღვდელთ მთავართა კრებამ ეპისკოპოსის შილიპე ხე-  
ლით წარმოუვლინა. სარმიანეს შემდეგი წერილი: „დიდსა  
მამათ მთავარსა, მეუფესა ჩვენს სარმიანეს, გიხაროდენ! შვილ-  
ნი შენი და სიწმიდისა შენისა მრწემნი, ყოველნი ეპისკო-  
პოსნი გაუწყებთ, რათა არღარა დააშრობდე მოხუცებულსა  
გუამსა შენსა, რამეთუ მოწყალე ჰყუეს ღმერთი დიდებულისა  
მაგის წმიდისა შიოს მეოხებათა და გამოვერნდა უღირსთა  
მონათა მისთა, რიცხვთ ხუთთა და თვთოვეულსა გვბრძანა,  
ვითარმედ „მიუტევა ღმერთმან სარმიანეს კათალიკოზსა ბრძ-  
ლნი მისნი და აწ შეუორგულებელად მიიყუანეთ მწყები  
ფქუენი“. აწ გვბრძანენ სიწმიდემან შენმან, რათა ყოვე-  
ლნი მანდა მოვიდეთ და მაღლი აღუროთ საკურუელთ მო-  
ქმედსა მამასა შიოს“<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> იხ. საქ სამოთხ. 262—264 გვ.

თალელე 774—776 წ.

სამოელ VI 776—791 წ. ამის დამს (786 წ. 6 იანვარს პარასკევ დღეს) ეწამა წმ. აბო ტფილელი<sup>1)</sup>. ამ სამოელის ბრძანებით აღწერა ცხოვრება და მოწამეობა წმ. აპოსი მღვდელმა ითანე საბანის ძემ. აპა თვით ბრძანება კათალიკოზის სამოელისა, რომელსაც წინ უძღვის: „თვესა იანგარსა ზ წამებად წმ. მოწამისა ჭაბოქისი, რომელი იწამა ქართლის შინა ქალაქსა ტფილის გელითა სარგინზთამთა, გამოთქმუკლითან მიერ ძალა საბანისი, ბრძანებითა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზისათა“. „მე სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოსი ითანეს საბანის ძესა სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისასა და საყუარელსა ჩუენსა ლოცვით შფლისა მიერ გიკითხავ! მშვიდობად იყავნ შენზედა და და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ. ჩვენ თვთ უწყით წადიერებად შენი ღუთის მსახურებისათვს და ღუთივ მიმადლებული შენი მეცნიერებად საღმრთოთა წიგნთად და გულს მოდგინებად შენი, კეთილთა საქმეთა მოღვაწებად შენი. შენ თვთ უწყით სანატრეჭისა ამის ასლისა მოწამისა ჭაბოქისი, რომელი დღეთა ამათ ჩვენთა იმარტიკლა მეოხად ქრისტეს მიმართ ყოველისა ამის სოფლისა ჩვენისა მართლისათვს; მნებავს, რათა დაიწეროს სანატრეჭისა ამისცა მარტიკლაბად, ვითარცა შირვეჭთად შათ ქრისტეს მოწამეთა და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებელად ყოველთა, ვინ იყუნენ შემდგომად ჩუენსა. ამისთვეურა მოვავლინე წიგნი ესე ჩემი კელითა ხსართან მღვდელისა ჩემისათა; აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვად ჩუენი და ჯუარისა დაწერად კელითა ჩემითა და შეწევნითა ღუთის. მშობელისათა და წმიდათა მოციქულთათა და მოწამეთამთა, — კელ-ყავ გამოთქმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თვთ უწყით, და აღწერე მარ-

<sup>1)</sup> ქრინიკ. ეორდანიასი 48.

ტვილობად წმიდისა მოწანისა პაბოხისა და აღწერილი ჩვენ  
მოგვიძლუანე, რათა უმეტესად ლოცვა ვყოთ შენთვს. მაღ-  
ლი უფლისა იყავნ შენზედა. ამინ“.

საკითხავი პასუხი წიგნისად ითანეს მიერ. „მარადის სა-  
წადელი და თაყუანის-საცემელი ბრძანებად ღუთივ პატიოს-  
ნისა მამფლისა<sup>1)</sup> და უფლისა ჩემისა კელითა სიწმიდის მო-  
ყუარისა სანთან მღუდელისადთა, რომლისათვსცა აპყრობითა  
კელთა ჩემთახთა მაღლი შეწირა ულირსებამან ჩემმან ყოვლად  
ძლიერისა და ქველისმოქმედისა შრისტეს ღუთისა ჩუენისა,  
რომელმან არა დავიწყებულ ყო სიმდაბლე ესე ჩემი ღუთის შეწ-  
ყნარებულთა წმიდათა ლოცვათა შენთა, რომელსა ესე ლირს  
ვიქმენ მიმთხუევად. და უფროს-და ვაქებ და ვაკურთხევ მოწ-  
ყალებასა ღუთისასა, რომელმან დაპნერგა გულსა მამფლისასა  
ესე ვითარისა ამისთვის ბრძანებად, რომელი სარგებელ და  
ნაყოფ სულისა და სიქადულ და სიხარულ კორცთა მექმნე-  
ბის საუკუნოდ მიმართ და სოფელსაცა ამას. აწ რაც მოვახ-  
სენო უფლებასა თქუენსა? მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე: უკე-  
თუ ურჩ ვექმნე ბრძანებათა თქუენსა, წერილ არს — „შვილი  
ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“; და თუ ვისწრაფო მორჩი-  
ლებად, მისთვის იტყვს: „უდარესსა შენსა ნუ გამოეძიე-  
ბო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო“. ამისთვის  
შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონება ჩე-  
მი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან; არამედ უმ-  
ჯობესად შევპრაცხე მორჩილყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფ-  
ლისა ჩემისასა, რომლითა კვალად განვდლიერდი და აღვე-  
ბართ ღუთისა სათნოეთა წმიდითა ლოცვითა თქვენითა და

<sup>1)</sup> სიტყვა მამფლობელი, ანუ მმფლობელი) VIII—X  
საუკუნეებში მიეთვისებათ დამოუკიდებელ მეფეთა ქართლისათა, აკრეთვე  
მცხეთის კათალიკოზთაცა. მათი დამოუკიდებული მოხელე, მათგანვე რადეამე  
„ფლობად დადგინებული“, უწოდებდა თავის „ფლობად დამდგენს“ მამ-  
ფლად. მამფალი შემდეგ საუკუნოებში თავის ადგილს და მნიშვნელობას  
უთმობს სიტყვას „პატრონი—ბატრონი, ბატონი“.

მარადის ძლუნის მიმპყრობელისა ღუთისა მარჯულნისა თქუცნისა ჯუარისა წერითა ჩემ ულირსა ზედა, და რამეთუ ვის-წავეცა ბრძენთ მთავრისა მის სოლომონის მიერ თქმული ვითარმედ — „ჰპაძევდი ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუ. შაკ მსგავსი მისა, ვითარცა იგი მან თვისსა უდიდესსა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა უყვის გულს მოდგინედ, ვიდრემდის აღილის და წარილის საზრდელად თვისა...“ მეცა გულს მოდგინე ვიქმენ უძლიერესსა ჩემსა აღებად და წადი-რებად გულისად ჩემისად აღავსო უფალმან და აღვწერე ულირ-სისა გონებისა ჩემისა შეკრებული მარტვლობად ჭეშმარიტი და უტყუველი წმ. მოწამისა მადლითა და მეოხებითა ნეტა-რისა ჰაბოდესითა, და მიგიძლუანე უფალსა ჩემსა, რომლისა-თვს კვალად ვითხოვ ვეზრებით — სათნო ყავნ უფალმან გულ-სა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტეს მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვდენ, რათა ზიარ ლოც-ვათა თქუენთა იქმნეს კუალად და მერმეცა ულირსებად ჩე-მი“. 1) მართველთა ეკკლესიის წმიდათა ცხოვრება, ღვაწლა და ტანჯვათა დათმენა ქრისტეს სახელისათვის ამა წესით იწერებოდა და ინახებოდა სამოძღვრებელად შემდგომთა საუ-კუნეთა. ამისთვის ჩვენ გვაქვს ძველი მოწმობა: „ხოლო შემ-დგომად მისა (ვახტანგ გორგასლისა) მოიწივნეს სპარსთავან ქართველთა ზედა ღიღნი ჭირნი და ფრიაღნი სულნი მოსწ-ყვდნეს და ქუცყანანი დაიპყრნეს და მრავალნი იწამნეს ქრის-

1) ესე წერილები და ვრცელი ჰაბოს ცხოვრება დაცულია „სვანურ მანუსკრიპტში“, რომელიც 1848 წ. სვანეთიდგან ჩამოიტანეს ბროსსეს ჩვენებით და ექსარხოსის ისილორეს ბრძანებით და ეხლა ეკუთვნის „საეკ-ლესიო მუხეუმს“, № 19. ესე აბოს ცხოვრება უმეტნაკლებოდ დაიბეჭდა საქართველოს სამღვდელოების საეკკლესიო მუზეის ხარჯით და უდ სამ-ღვდელო ეპისკოპოსის კირიონის ბრძანებით 1899 წ. აბოს საველრებელი პარაკლისით. სახელოვანის მიქელ მოდრეკილის X საუკ „საგალობელთა“ ქრებულში იანგარს ზ. აღნიშნულია წმ. ჰაბოს დღესასწაული და მოთავ-სებულია ოთხი სხვა და სხვა სამწუხრო და საცისკრო საგალობელთა კა-ნონი, იხ. 176 გვ.

ტეს სახელისათვს, ოთმელთანიმე წიგნი ადიჭერნეს და რომელთანიმე დაშთეს აღუწერელად, გარნა ყოველი აღწერილ არიან წიგნსა მას ცხოველთასა“<sup>1)</sup>.

მღვდელი ითანე საბანის ძე კარგს ცნობებს გვაძლევს მასზე დაუ რომელი მოდგმის ერი მკვიდრობდა VIII საუკუნეში შევი ზღვის ნაპირებზე და რავდენად ჰყვაოდა მათ შორის შრისტეს სარწმუნოება „მაშინ ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოსთვის, რამეთუ ახალ ნათელდებულ არს, განიხარა ფრიად ყოვლით ერით მისიათურთ და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსთა და მღვდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინის სცემდეს მას სიტყვა ცხორებისათა და ახარებდეს შრისტესთვს და საუკუნოება მის ცხორებისათვს... და იხილა მან (ჰაბომ) ქუეყნება იგი სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნთაგანი შევიდრ იშქების საზღვართა მათთა. რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუად იგი შონტოისა, სამკვიდრებელი უოვლადვე ქრისტიანეთა შისაზღვრადმდე ქალდიამსა, ტრაპეზუნიად მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეამსად და ნაფსამს ნავთსადგური და არს ქალაქები იგი და აღგილები საბრძანებელად შრისტეს მსახურისა მონთა (ბერძენთა) მეფისა...<sup>2)</sup> ამა ცნობებს ამოწმებს თვალსაჩინოდ მცხეთის მეტაფრასი XIII საუკუნისა: „...ხოლო შრეკლე მეფემან (ვიზანტ. იმპ. VII საუკ.) ისწრაფა და ყოვლით კერძო შეიკრიბა ლაშქარი და ურიცხვი ერი მბრძოლთა ნათესავთაგან მრავალთა და ევკსენი პონტოოთ (შევიზღვა), რომელ არს ზღვა ვრცელი ჩრდილოთ კერძო, წარემართა სიმრავლითა ურიცხუთა ნათესაობისათა (622 წ.) და ჰყვა მისთანა ცოლი თვისი შიიწია რა ტრაპეზუნდედ, სანახებთა (სამზღვრებთა) სამეგრელთასათა, უშვა ძე, რომელსა უწოდა შრეკლე.<sup>3)</sup> აი უცხადესი საბუთი, რომ ტრაპიზონდი და

<sup>1)</sup> შიომღ. მამათცხ. 364 გვ.

<sup>2)</sup> იხ. წმ. ჰაბო ტფილელი, 1899 წ. 18 გვ.

<sup>3)</sup> იხ. ქრონიკ. I, 64 გვ.

შისი მიღამო ხეობანი ძველის ძველად სამკვიდრებელი ჩყა  
ქართველთა ტომისა, აქ აყვავდა ქრისტიანობა და აქედგან  
გავრცელდა იგი საქართველოსაკენ.

მეშვიდე საუკუნიდგან დაწყებული თითქმის ოთხასის  
წლის განმავლობაში არაბები ბატონობდნენ საქართველოში  
და მთელი მცირე აზია გადათელ-გადმოთელეს. არაბები  
სდევნიდნენ ქრისტიანობის მქადაგებელთა, თავის ბატონობის  
ურჩითა და სჯულის (მაჰიადის) მოღალატეებს. ბარეშე ამისა  
არაბების დროს, სხვა შემოსეულ მტრებთან შედარებით, ქარ.  
თველებს შედავათი ჰქონდათ; ამის გამო არაბების მფლობე-  
ლობის დროს გაძლიერდა ქართველთა შორის ეროვნული  
გრძნობა და ქრისტიანობა. არაბი ისე უდიერად არ ეკიდე-  
ბოდნენ სამლენელოებას და საქრისტიანო ტაძრებს, რო-  
გორც სხვა მტარვალნი. სტეფანოზ ადარნასეს ძის დროდ-  
განვე ჯვარპატიოსანში, პარასკევისა და ხუთშაბათსა, მახლო-  
ბელ მღვდელომთავართა კრება დაწესდა კათალიკოზის მოთავეო-  
ბით და დაუწერა (სტეფანოზმა) კრება ყოველთა პარასკევთა  
და მუნ. შეკრბიან ყოველნი ებისკოპოზნი და მღვდელნი მის  
არისანი კათალიკოზსა თანა წინაშე პატიოსნისა ჯუარისა და  
აღიდიან პარასკევი, ვა დიდი პარასკევი; ხოლო საკათალი-  
კოზო არნ კრება ყოველთა ხუთშაბათთა და აღიდიან წმი-  
დად სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა თანა  
კორცითა და სისხლითა. ხოლო მცხეოს საეპისკოპოზოსა  
(სამთავრო) არნ კრებად ყოველთა შაბათთა და კსენებად პირ-  
ველ მოწამისა სტეფანესი და წმ. აბიბოს ნეკრესელისა ების-  
კოპოზისა. <sup>1)</sup> სწორეთ არაბების დროდგან (VIII საუკ.)  
ქართველთა ეკკლესია განთავისუფლდა პნტიოჭის პატრიარ-  
ქთა ბატონობისაგან და მის შემდეგ „იქმნა კათალიკოზი ქართ-  
ლისა სწორი პატრიარქთა თანა... და მწყემსად შართლისა გაღ-  
მა გამოღმა ჩახეთისა, შაქისა, შირვანისა, სვანეთისა, მცხეთისა

<sup>1)</sup> ქ.-ცხ. 169—170 გვ.

და ყოველსა ზემო ქართლსა და სამცხე-საათაბაგოსა“... ან-  
ტიოქიის პატრიარქი სწერს „მიგვიცემია ხელმწიფება შეკრ-  
უისა და განსხნისა, რომელი შეკრას, კრულ იყოს იგი ცათა  
შინა; და რომელი განპხსნას ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს  
იგი ცათა შინა... ამა კრებისა მიერ დაგვიმტკიცებია პატ-  
რიაქად (მცხეთის კათალიკოზი). ნუ იქმნებინ მიტროპოლიტი  
ნუცა ებისკოპოზი კათალიკოზისა შეუნდობრად. ხოლო უკე-  
თუ იკადროს ვინმე მთ.-ებისკოპოზმან, გინა მიტროპოლიტ-  
მან, ანუ ებისკოპოზმან და დაიპყრას ხარისხი და ეკკლესია  
ძალითა კათალიკოზისა უკითხავად და შეუნდობელად, ანუ  
აკურთხოს მეფე, გინა მთავარნი, ანუ მთ-ებისკოპოზნი და  
მიტროპოლიტ-ებისკოპოზნი — განიკვეთნენ. ხოლო ოდესა  
ენებოს შემზაღება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვესა  
ეკკლესიასა (სვეტიცხოველში).<sup>1)</sup> თვე მურვან ყრუს ცეცხლი-  
თა და მახვილითა შემოსევის დროს, როდესაც საქართველო-  
ში, შავის ზღვის პირამდე აუარებელი სისხლი იღვრებოდა;  
აი ამ დროს ერთს გაპმადიანს არაბს ძილში უნახავს მაჰმადი  
რომელსაც უბრძანებია — „მოუცემია ღმერთსა ძლევად ჩვენდა  
ვიღრე აღსრულებადმდე ათთა მეფეთა, ვითარცა ჰრეკუა აბ-  
რაამს და აგარს. არამედ ეპელესიათა და კაცთა ღუთის  
შესხერთა ეკრძალებოდეთ, ვითარცა იგი გამცენ ყურანსა შინა  
ჩემსა.<sup>2)</sup> ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რომ განძლიერება ქრისტეს  
სარწმუნოებისა და ეროვნული გრძნობისა ქართველთა შო-  
რის არ შემდგარა და დაგვირგვინდა ოქროს საუკუნით.

**კირილე** 791—794 წ.

**გრიგოლ II.** 795—797 წ..

**სამოელ VII.** 798—801 წ.

**გიორგი II** 802—805 წ.

**გაბრიელ I.** 806—809 წ.

<sup>1)</sup> იხ. ქ.-ცხ. 171—172 გვ.

<sup>2)</sup> იხ. იქვე 176 გვ.

ილარიონ I. 810—812 წ.

არსენი I. 813—815 წ.

გვარეთი 816—818 წ.

**კლიმენტოს** 819—832 წ. ამან აღაშენა ზედაძენის ტაძარი, დღედე მრთლივ დაცული. შინად იყო ზედაძენის წინამძღვრად, მერე შიო მღვიმის ლავრის არქიბილ დრიტად. დაახლოვებით ამის ეამს (826 წ. იანვრის 29) აწამეს აგარიანთა მეფე აშოთ კურაპალატი, რომელმან „პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე, რომელი პირველ ვახტანგ ზორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი, ამხრებზულ იყო ბალდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოთ და აღაშენა ციხე და მას შინა ეკკლესია წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლესი და შექმნა მას შინა საფლავი თვესი... დაესხნეს მას (აშოთსა, სარკინოზნი უცნაურად... და შეივლტოდა აშოთ ეკკლესიად და მოწყლეს იგი მახვილითა საკურთხეველსა ზედა და შეისვარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხეველისასა და სისხლი იგი მისი დღესაცა საჩინოდ სახილველ არს<sup>1)</sup>)...

**ბასილი** I. 833—855 წ. ამას მიეწერება აღშენება ტფილისის წმ. ანდრია პირველ წოდებულის (ეხლა იოანე ღვთისმეტყველისა, ვერაზედ) მშვენიერი ტაძრისა, რომლის სამხრეთის კარების თავზედ დღემდე დაცულია ხუცური ასომთავრულით. წარწერა: ...ვინაიდგან ჩემებრ ბრალეულთაგან სარწმუნოებითა კეთილ შთამომავალნი კეთილად ქმნილნი, ამისთვე მეცა უკლი ჭეშმარიტისა ემბაზისა, გარნა სახელით ოდენ ქრისტიანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლად უშიში, ღუთის ბრძანებითა უდინსი ბასილი ქართლისა მთავარებისქმდზ უთვილი ძე კეთილ ნაშრომისა იობისა უნდოთა აგათ მცირეთა ნივთთა მიერ, გულსმოდგინებით მსასოებელი

<sup>1)</sup> იხ. ქ.-ცხ. I, 188 გვ.

შენი, ცეკვასა ამას გიმკობ საყდარ-სართულსა, სამსახუროსა ამას კადრსა, შორის ყოვლისა სოფლისა მომნადირებელთა სარწმუნოებასა ზედა მართალსა სამართალსა, ათორმეტ თავად აღრაცხილსა, დასსა მოციქულთასა თანამოსაყდრეო და სწორო ანდრია! ხოლო მე ვითხოვ, შეიწყნარე ნაცუალ საგებელად ჩემთვს და საყუარელისა ძმისა ჩემისა მრისთავთ მრისთავისა შართლისა, ამირთა ამირისა რუისთავისა და შვდთა მთეულელთა პატრონისა ბბულსანისათვს და უპირმშოესისა ძმისა ჩემისა შვლისა დავითისათვს, ვიღრემდის დაუდგრობელსა. ამას და წარმომდინარესა სოფელსა შინა, ხოლო... ვიუწნეთ მშვიდობით დაცულ საძუალეთა ამათ შინა. შორონიკონისა...“ უკანასკნელი შვიდი სიტყვა ეხლა აღარ არის, რადგან ამ ოციოდე წლის განმავლობაში მოუმტვრევიათ და ამოკითხულია წინად განსვენებულის პ. იოსელიანისაგრ ¹). ამის დროს ეწამა წმ. პონსტანტინე. ქართველი 853 წ. 10 წევმბერს წმ. გიორგის დდესასწაულსა. ²)

მიხალ II. 856—858 წ.

დავით I. 859—861 წ.

არსენი II. 862—865 წ.

იოანე III. 865—867 წ. ეს ბიორგისა, რომელი იყო უშვილო. ესე ბიორგი თავის ცოლთან ერთად მივიდა შიო მღვიმელის უდაბნოში, ევედრებოდნენ ღირსსა შიოს შვილი-ერებასა. შესმენილ იქმნა ვედრება მათი და დაებადათ ესე ყრმა, რომელიცა მიიყვანეს იმავე უდაბნოში და მონათლეს მლია წინამძღვრის ხელითა და უწოდეს სახელად იოანე. შესრულდა ათის წლისა, მიიყვანეს წმ. შიოს უდაბნოში, სადაც აღიზარდა მამათა მიერ მის უდაბნოსათა, „რომელი ესე ყრმა არს იოანე ქართლისა კათალიკოზი, რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნა-

¹) იხ. დрев. გ. თიფლ. 34 გვ.

²) იხ. ბაქრ. ისტ. 218—219 გვ.

ებანი და საქმენი უკეთუ ვისმე უნდენ ცნობად, მიიღედ ხელად მისთვის ოღწერილი წიგნი და მუნიჲ ჰსცნობდინ<sup>1)</sup>. ამან დააწესა დღესასწაული ძონსტანტინე მთავრისა 22 ნოემბერს, რომელიც ეწამდა ბალდადში 849—854 წ. ამა წერ ძონსტანტინეს დღესასწაული და სრული საგალობელთა კანონი დაცულია მიქელ მოდრეკილის კრებულში 22 ნოემბერს ქვეშე<sup>2)</sup>.

**სვიმონ I 867—878 წ.** ამა სვიმონს მიეწერება შესანიშნავი ხუცური ასომთავრული ხელნაწერი ტყავზე „იაკობის ქამის წირვა“ . ამ ხელნაწერში მოთავსებულია: ქამის წირვა 1—95, კურთხევა ებისკოპოზისა 96—101; წიგნის მკითხველისა 101—104; დედათ დიაკონისა 104—110; მღვდელთა, გინა თუ ებისკოპოზთა 110—121; ხუცესისა 121—130; ქორებისკოპოზისა 130—135; ებისკოპოზისა და კათალიკოზისა 135—154; ზადიკისა „რომელ არს საგზაური მიმოსაღებელი საკურთხეველი 154—164 გვ. აქა-იქა ამ ხელნაწერში ჩვენ ვკითხულობთ: „მოიხსენე უფალო და ადიდე მომგებელი, ამა ქამის წირვათაც სვიმონ ქართლისა კათალიკოზი და შეიწყალენ და ადიდენ ითანე აწყვერელი ებისკოპოსი და მფრემ წილკნელი... უკეთუ ებისკოპოზი იკურთხებოდეს, ესე ლოცვაც მთავრ ებისკოპოზმან წართქუას, და უკეთუ კათალიკოზი იკურთხებოდეს — მანგლელმან წართქუას“. ბოლოს: „...მე ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან სვიმონ დავწერენ წმინდანი ესე ქამის წირვანი სამღვდელო-მოძღვრად“ ...<sup>3)</sup>

**ბასილი II. 879—901 წ.** ძე დიდისა პატრიკის ვაჩესი.

<sup>1)</sup> იხ საქ. სამოთხ 261—262 გვ. ამა ითანეს ცხოვრებას საბინინი შეცდომით მიაწერს XI საუკ., რადგან ამა ითანეზედ აღსრულებულის სასწაულის აღმწერი კათალიკოზი ბასილი, ძე დიდისა პატრიკისა ვაჩესი, დაახლოვებით სცხოვრებდა 874—901 წ.

<sup>2)</sup> იხ. საქ. სამ. 168 გვ. და ქამნში 10 ნოემბერი.

<sup>3)</sup> ამ ხელნაწერზე იხ. ბაქრ. ისტ. 221—222 გვ.

ამან შეკრიბა ერთად და აღწერა სასწაულნი ლირსისა შიომ  
მღვიმელისა. ბასილი მოგვითხრობს, რომ წმ. შიომ განითქმუა  
ნიშებითა და სასწაულებითა რომეონი უკეთუმცა ბერძენთა  
შორის ქმნილ იუენეს, ძლიმერა აფსარიცხელნი წერილი შეექმნა;  
გარნა ვითარცა არს ნათესავი ქართველთა მარტივ და ამასთანა  
ჭირობიცა, არავინ იდუაწა აღწერად. გარნა ესე მცირედი  
თითო სახელ სხუათა და სხუათა მოსახსენებელთა შინა ჩემ  
მიერ პოვნილი არა დავიცონე ერთად შეკრებად, ვინათ-  
გან თვით მეცა მრავალთა თუალითა ჩემითა მხილველ ქმნილ-  
ვარ სასწაულთა წმიდისა ამის და დიდისა მამისა შიოსთა,  
თვით ჩემხედაცა აღსრულებულთა და სხუათაცა მრავალთა და  
ვითარცა ღმერთმან ძალი მოგუცეს, ყოველი გარდამოვსცეთ  
სიყუარულსა თქუცნა“<sup>1)</sup>).

**მალაშია I.** 901—917 წ. ამის ეამს დინარ დედოფა-  
ლმა კახელნი მოაქცია სომეხთა წვალებისაგან მართლ-მად ი-  
დებლობად (კახეთ. ცხ. 97 გვ.) ამა წვალებას კახელნი აღი-  
არებდნენ ქასრეს შემდეგ. დინარი იყო მეუღლე ჰერეთის  
მპურობელის ბლარნასე პატრიკის ძის იშხანიკისა და ასული  
ადარნასესი და დად ბურგენ ერისთავთ ერისთავისა. საქართ-  
ველოს განაპირად მართლ-მადიდებლობა მტკიცდებოდა მართ-  
ლიდამ და დინარიც ხომ აქაური იყო. ამის ეამს, 912, აწამეს  
სარკინოზთა ყველის ციხეში წმ. ბობრონ (მიხაილ) შველის  
ციხეში, მეფობასა ბურგენ მრისთავთ-მჩისთავისასა († 941).  
ბობრონის ცხოვრება და მოწამეობა აღწერა სტეფანე მტბე-  
გარბა, სანანოს ჩემ აშოთ კუხის († 918) ბრძანებით. ბაქ-  
რაძის ისტ. 228 გვ.

**მიხელ III.** 918—948 წ. მოხსენებულია გრიგოლ ხან-  
ცოტელის ცხოვრების ბოლოს წარწერაში. ამის ეამს (922 წ.)  
მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უხმობენ საჯობით, და მოტ-  
ყვენეს ჭახეთი და დაწვეს ჯვარი, მცეთა და შეიქცეს და

<sup>1)</sup> ობ საქ. სამოთხე 253 გვ.

წარვიდეს და წარიტანეს თანა ჯვარი შატითსანი დაჭრილი. და შემდგომად მისა შეედგათ სნება მუცლისა და გულის ხმა ჰყვეს, რომელ ჯუარისაგან ევნოთ. ამისთვის შეკრიბნეს ნა. წილნი და წარმოსცნეს შართლსავე, ხოლო მათ ჩაკრიბნეს ნაწილნი იგი ბუდესა შინა და აღმართეს ადგილსავე თქ. სა<sup>1)</sup>.

დავით II 949—955 წ.

არსენი III. 956—972 წ. ვაჩეს ძე. არსენი პირველად მოღვაწეობდა შიომღვიმის უდაბნოში, სადაც სთარგმნიდა ბერძულიდგან ბრიგოლ ნოსელის დოდმატიკონსა და სხ. ამისათვის აი მოწმობა დიდის მეფის დავით კუროპალატის († 1001 წ.): „მე მაშინდელი კაცი ვარო, ოდეს (934 წ.) არსენი და როვიდი ჭამად, მარჯუენასა გუერდა ზედა წევ, ნოსელსა იკითხვიდა და დოდმატიკონსა აწამებდა (შიომღვიმეში)“<sup>2)</sup>.

არსენი იყო სამცხიდგან „სანახებთაგან საფარით“ ... მრავალნი დაემოწაფნეს წმ. იოანეს (ზედაზნელსა...) და შემდგომად ოთხას ოთხის წლისა (550, ანუ  $557+404=954$ , ან 961 წ.) გამოიძია წმიდამან მამამან ჩვენმან არსენი შართლისა კათალიკოზმან წმინდათა ცხოვრებანი, შეკრიბნა, „განაახლა და განავრცნა წმ... კათალიკოზმან არსენი აღწერა მათნი; საგალობელნია რომელთაგან მცირედია დაბეჭდილი დღესა“<sup>3)</sup>.

მანვე აღწერა-მოთხრობა განცოფისათვის ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობისაგან,<sup>4)</sup> რომლის აღწერის მიზეზი მისცა სომეხთა მოძრაობაშ კვლავ შეერთებისთვის (965—970 წ.) ქართველთა თანა; ამას გარდა აღწერა ცხოვრება იოანეს ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა; კანონისა-

<sup>1)</sup> იხ. ქ. ცხ. I 197 გვ.

<sup>2)</sup> იხ. ქრონიკ. უორდანიასი I, 309—311 გვ.

<sup>3)</sup> იხ იქვე 79 გვ. შენიშვ.

<sup>4)</sup> ეს წერილი იხ. ქრონიკ I უორდანიასი 313—332 გვ.

გალობელი წმ. ნინოსი<sup>1)</sup>). ამა არსენმა დააზავა 958 წ. დო-  
მიტრი მეფე და ძმა მისი თეოდოსე კვირიკე ქორიკოზის გა-  
მო ამ ცოტა ხანში აღმოჩნდა მცხეთის სვეტისცხოვ-  
ლის ტაძრის ძველ ხელ ნაწერთა ფურცლებში ახალი ვა-  
რიანტი (XII საუკ. ხელნაწერი). წმ. ნინოს ცხოვრებისა  
ეკლესიაში საკითხავად შეწყობილი ამა არსენისაგან. აქა-  
ბოლო სიტყვაობა ამა ხელნაწერისა: „წმიდანო მამანო და  
მმანო! ესე ნეტარისა ნინოს ცხორებად შეუწყობლად და  
განბნეულად ქართლისა მოქცევისათანა და ჭანბაფსა მეფეთასა თა-  
ნა არეულად სწერია, ვითარცა თქუმნ უწყით: ომელიმე,  
თუ მის წმინდისაგან მთხორებილად, ომელიმე მეფისა მირია-  
ნისაგან, სხუდ თავთბ მდდლისაგან, სხუდ აბათარისაგან, სხუდ  
კვალად სიდონიასაგან. გარნა წინაუკუანა და უკუანა წარ-  
იგივე და ერთი პირი. და ამისთვის საეკლესიოდ მკით-  
ხელთათვს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვს უკმარ  
და ვერსაცნაურ. ამის პირისათვს დაფარულად მდებარე იყო  
და თანა წარვპხდებოდეთ მითხრობასა ლვაწლისა მისისასა,  
ლეგსა კსენებისა მისისასა, რომელი ესე დიდი ზოვევად არს-  
უველთა მორწმუნეთათვს და უფროხესად ჩუმნ ქართველთა  
სასწაულთა და შრომათა და ლუაწლთ მისთა დავიწყებასა  
მიცემად, რომელი იგი ღმერთმან აღიდა და რომლისა მიერ-  
განათლდა ნათესავი ჩუენი და ლუთის მეცნიერებად პოვა.  
სმისთვის ვიკადრე თვთ მის წმიდისა მეოხებითა თანა შეწევ-  
ნითა და თქუმნთა ბრძანებათა მრავლებითა მე უნდომან  
მტუმან ფერხთა თქუმნთამან ყოვლად (უდებად) ცხოვრე-  
ბულმან და ა... უღირსებან არ...ნი (ამისა) ადწერად (მეფობასა-  
და) მიტრისასა. მშობელთა...ღზრდით სულიერი...თა ლვაწლ-  
თა და ქადაგებ... სასწაულთა შემდგომითი შემდგომად მიწუკა-  
ლიტონითა სიტყვთა იგი პირი, ომელი ძეშლისა შინა სწერია,  
არცა შემიმატებია, არცა დამიკდია. არამედ ძალი სიტყვა და

<sup>1)</sup>. იხ. საქ. სამ, 301 გვ.

გამოცხადებად საქმისად მოკლედ და მარტივად წარმომითქმუამს; და მრავალ კეცსა და მასვე თანა აღრეულობასა ჰანბავისასა თანა წარვხლილვარ. და უკეთუ რადმე შესავალად თხრობისა, ანუ ადგილ-ადგილ შესაკრავად სიტყვასა სიტყუად გკემარებია, იგიცა საღმრთოთა წიგნთაგან და წმიდათა მიერ თქმულისა-გან არს და ყოველი ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებით აღწერი-ლი და წამებული მათ მიერ აპა, წინაშე თქუცნსა არს, შე-ზღუდვილნო საღმრთოთა სიყუარულითა და მარალის მო-სურნენო წმიდათა ღვაწლისა ო! იკითხევდით და ერსა წარ-მოუთხრობდით საღიღებელად ღუთისა და პატივად, რომლი-სად არს დიდებად...“ დიმიტრი მეფე, ხე ზიორგისა და მა ლეონისა და თეოდოსესი, გამეფდა 957 წ. † 981 წ. ამა დემეტრეს ებრძოდა მისი ძმა თეოდოსე და პასენ კათალი-კოზის მეცალინეობით დაზავდნენ ერთმანეთს<sup>1)</sup>.

პირველში, 934 წ. პასენი მოღვაწეობდა შიო მღვი-მეში, სადაც ამ დროს ახლო ხანში უთარგმნის „დოლმატი-კონი“ (წერ. კითხ. საზ. ბ. № 1463), ამ ხელნაწერზედ იპო-ვება დიდი დავით კუროპალატის († 1001 წ. ზემოდ მოხსე-ნებული მინაწერი.

**ბასილი III. 973—983** წ თანამოღვაწე დავით ხახუ-ლელისა, დიდებულს ხახულის ლავრაში.

**ორბერი იოანე IV 984—995** წ.

**ილარიონ II. 996—1002** წ. ამის ბრძანებით სთარგ-მნა წმ. მფთვიმე ათონელმა მათეს სახარების განმარტება ბერძულიდამ. იხ. ანდერძი მფთვიმესი პუთევ. ვაპ. იო ჯახეთ. 137 გვ. უკანასკნელ ნებისით განეშორა საყდარსა საკათალი-კოზოსა.

**სვიმონ II 1002—1012** წ. ამის კათოლიკოზობის უამს აღშენდნენ ქუთაისის მშვენიერი, ოდესმე დიდებული ბაგრატის ტაძარი და ბედისა საეპისკოპოსო, სამურჩაყა-

<sup>1)</sup> იხ. იმერეთ. ცნ. 181 გვ.

ნოშია ვგონებ ამა სვიმონმა განაახლა ძველი საეკულესით ტიბიკონი და მასთანავე განპკარგა წესი ეპისკოპოსთა და სხ. სამღვდელო პირთა კურთხევისა.

**მელქისედევზ I 1013—1042 წწ.** მელქიზედევგი ფრიად შესანიშნავი და განათლებული პირია საქართველოს ეკკლესიის XI საუკ. ისტორიაში, აღზრდილი სამეფო კარზედ. მიზეზი ეს არის, რომ მელქიზედევგი ასე თამამად მოგზაურობს საბერძნეთში, რომლის იმპერატორ ბასილთან შინაურულად მიღის-მოდის. მელქიზედევგს უნდა მიეწეროს, სხვათა შორის საბერძნეთის სამეფო ოჯახის დამოყვრება ჩვენ მეფეებთან (ბაგრატ IV და სხ.)

შემდგომად ამისა წმინდამან მეუფემან კათალიკოს-პატი-რიარქმან მელქისედევ მოიგო ქართლისა მონასტერი პალავრა თხხითა სოფლითა და წუქეთი შესავლითა მასითა, შინცვისი შესავლითა მისითა და შინდობის ნახვარი; ძურბითს, რაზნაორი კარგი სოფელი ერთი; ჩუქეთს უბანი ერთი, მიწა და ვენახი სასეფეო. ზეგანთა სოფელი, შიდარი და კუჭეოს სახატანს უბანი ერთი და ნოსორნა სოფელი ერთი; და ჰერეთს მონასტერი დიღითა ძალითა და ლაგოდები. და ჰერეთსვე მატებისა ეკკლესია შესავლითა მისითა; და ძაკს ვაჭარი ათორ-მეტი და ზიარი სოფელი დიღი <sup>1</sup>). მსე ყოველი სოფლები, რომელი მან მოიგო, და რომელნი სოფელნი ძველად ჰქონდეს სვეტსა ცხოველსა და კათოლიკე ეკკლესიასა, და სხვა შესავალნი რაც იყენეს — მოახსენა ბაგრატ კურაპალატსა. და შეუვალიად გახადნეს და მისცა სრმტკიცე შეუალობისა; და სხვა რომელნიმე შესავალნი ამას წმიდისა დედა-ქალაქისა — ცხვარი, ცხენი, ლვინო ზედაშენი და რაცა იყო, ყოველი აღი ამირმა ამოაგდო და ახადა ამას წმიდასა კათოლიკე ეკ-

<sup>1</sup>) ს. ზიარი დღესაც არსებობს სიღნაღის მაზრაში, ს. გურჯაანის დასავლეთით მაღლა მთის დავაკებაზედ, ს. ფხოვლის ჩრდილო დასავლე მით, გადაჰყურებს მდ. ალაზნის და იგრის ველ-მინდვრებს და ეკუთვნის თთ ანდრონიკაშვილებს, აბაშიძეებს და სხ.

ლესიასა; <sup>1)</sup> და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდასა კათოლიკე ეკკლესიისანი არიან, ააშენა, დაღნა ყოველგან სახლნი და ააგნო ეკკლესიანი ყოველნი, რიცხვით ყოველნივე და შემდგომად სამხრით საღიაკვნოსა წმ. მოწამეთა სამარტვილოსა შიგინ შექმნა საფლავი თვისი და დააყანა საფლავსა ზედა თვისსა გაზრდილი მისი მოანე და უჩინა ამას საკურთხეველსა უამის მწირველსა და მისცა თეზს <sup>2)</sup> გლეხი სამი ფოძითა (ფუძი) სრულითა, ვენახი ერთი, მიწა ერთი, წისქვილი ერთი, ვალა და ოტათლოანს გლეხი ერთი, ციხედიდს გლეხი ერთი, ორივე ფოძითა სრულითა და ვენახი ერთი. მცხეთას სენაკი ერთი, ბოსელი, ყანა, ვენახი. მსე ყოველი ხელ-შეუალად თავისუფლად მისცა და გაირიგა სამკვიდრო სასულიერო აღაპნი და მოსახსენებელი და გარდაიცვალა წმიდა ესე <sup>3)</sup>). მელქისედეგ კათალკოზმა განახლა სხვათა შორის: ა) სვეტის ცხოვლის ტაძარი, რომლის ჩრდილოეთ კედელზედ მაღლა საშუალ კარნიზის ქვეშ და ჩუქურთმიან ჯვარს აქეთ იქით მომწვანო ყველის ქვაზედ აწერია ხუცური ასო მთავრულით: «ქ. ნებითა:.. ლვთისათა:.. განათლდა:.. ახლად:.. სამირონო ესე:..» ბრძანებითა ქრისტეს მიერ ქათალიკოზის მელქიზედეგისითა: შეიწყალე უფალო

<sup>1)</sup> ალიამირი ტფილისისა შუაბისძე წინამოადგილე საპაკიჯამირისა 790—840 წ.) ამის შემდეგ მცხეთა ჯვარპატიოსნიანად ააოხრეს სარკის ნოზთა 922 წ. (ქ.-ცხ. 197 გვ.)

<sup>2)</sup> ს. თეზი მდებარეობს მდ. ქსანსა და ოკამს შუა, 1868 წლამდე საეკკლესიოდ ითვლებოდა; მისი გაზებელი მიხეილ ბერი—არხიმანდრიტი + 1830 წ. და მარხია სამთავისის ტაძრის ეზოში, დასავლეთის მხრივ.

<sup>3)</sup> სრული პირი ამა შესანიშნავი გუჯრისა იხ. დ. ჩუბინა შეილის პირველად გამოცემულ ქრისტომატიაში, 1846 წ. ქართლის ცხოვრებიდამ და სხ. ცნობები ჩვენ მოვიყენეთ იმიტომ, რომ კათალიკოზი მელქისედეგი არც ერთს სიაში არ იხსინიება, არ ვიცით კი რა მიზეზით, თუმცა მემატიანე თანამედროვეა აღნიშნულ შემთხვეულებათა. ესევე მშვინიერი სრული გუჯარი მელქიზედეგისა იხ. ქრონიკ. II, ჟორდანისი, 31—36 გვ.

შონა: შენი: ამისი გალატოზნი ოთხნი ამინ», ბ) აღა შენა დასავლეთით მშვენიერი გალავნის კარის ბჟე (დღეს ამოშეუ ნებული, ამოქოლილი). აპა წარწერა ასო მთავრული კარი- ბჟის თაღზედ: «ქ. აღიდე შენ მიერ დამყარებული მეუფე ჩვე- რი ქრისტეს მიერ მელქიზედექ ქართლისა კათალიკოზი, რო- მელმან აღა შენა წმ. ეკლესია სულისა მათისათვის...» გ) ჭე- რემის საეპისკოპოსო ტაძარიც, რომლის საფუძველთან და- ტანებულ ქვაზედ წარწერაში იხსენიება. იგი იხსენიება მცხე- თის სვეტი ცხოვლის ქარტაში და ზრიგოლ ღვთის-მეტყვე- ლის წიგნში<sup>1)</sup> სვეტი ცხოველს შესწირა მრავალნი წმ. ნა- წილნი, ხატნი და ჯვარნი, მათ შორის შესანიშნავი საქა- დაგე ხატი, მრავალ ნაწილიანი, რომლის შემდეგში თავ- გადასავალს მოვიყვანთ წარწერებიანათ შემდეგ.<sup>2)</sup> ამან შეად- გინა სია სვეტი ცხოვლის უძრავ-მოძრავ ქონებისა, რაც კი მოიპოვა საბერძნეთში და საქართველოში და იმ ქონების ხე- ლუხლებლობის დამტიკიცებას ასე ევედრება მეფეებს—ბაგ- რატს და მვირიკეს: «ლოთივ. ლიდებულნო, ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეეო და ნებითა ღვთისათა ყოვლისა აღმოსავლე- თისა კუროპალატო და ძლიერო მეფეო მვირიკე! ესე დაწე- რილი და განგებული სულისა ჩემისათვის ხელითა თქვენითა დამიმტკიცეთ»<sup>3)</sup> 1059 წ. ათონიდამ მოვიდა საქართველოში ზორები მთაწმინდელი, თან მოიტანა მრავალი ხელ ნაწერი. საეკლესიო წიგნნი და მიმავალმა თან წაიყვანა რამდენიმე ყრმანი განსასწავლებლად ათონის მთაზედ.

**იოანე V (ოქროპირი)** 1042—1063 წ. საფარელი აღი- ზარდა ანტიოქიის მახლობლად ქართველთა ღის მშობლის მინასტერს კადიპოსში. მელქისედეკის საბერძნეთში უკანასკ- ნელ მოგზაურობის დროს ესე იოანე განაგებდა საკათალიკოსო

<sup>1)</sup> იხ. ისტ. ბაქრაძ. 257 გვ.

<sup>2)</sup> იხ. 1605—1615 წ. ქვეშე იოანე კათალიკოზი.

<sup>3)</sup> იხ. ქ.-ცხ. 221—222 გვ.

საყდარსა. „გარდაიცვალა წმიდა ესე (ზელქისედევე) და აწ წარუ-  
მართონ ღმერთმან ოქროპირს, მელქისედეკისაგან შვილად  
გაზრდილსა; დაჯდა კათალიკოზ-პატრიარქად ოქროპირი“.  
ამანაც მრავალნი შემატნა დიდხა კათოლიკე სამოციქულო  
ეკკლესიასა და აღაშენა დასავლის კუთხესა სამხრით ეკვდე-  
რი ქვითა წმინდითა და ოეთრად შვენიერად გამოქანდაკებუ-  
ლითა... და სხვაც შესავალნი, რაც იყვნეს, მოახსენა ბაგ-  
რატ კურატ-პალატსა და ძვირიკე კახთ მეფესა, ძის წულსა  
ქვირიკე მეფისასა, და შეუვალად გაუხადნეს და მისცა სიმჭ-  
კიცე შეუალობისა. წმიდამან ამან კათალიკოზ-პატრიარქმან  
ოქროპირმან მრავალნი ეკკლესიანი აღაშენა და განაახლნა“...  
ასრე მოგვითხრობს მემატიანე. ბერძოლიდამ სთარგმნა მან „წი-  
ნამძღვარი“ პატრიარქისა და წიგნი ზრიგოლ ნაზიან-  
ზელისა<sup>1)</sup>). იერუსალიმში, გოლგოთის მონასტერს მისრული  
მცხეთელი მღვდელი სტეფანე პალავრელი დაუწესებიათ მწირ.  
ველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა“, აქვე უყიდ-  
ნია სტეფანეს 1048 წ. აღწერილი ლაშონევერის სახარება.  
სოფ. ზოქაში ამა იმანეს დროს აღშენდა თოფორავანის  
ტბის მახლობლად მშვენიერი ტაძარი. XI საუკუნეში ქართ-  
ველთა შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზედ ეროვნულის გრძ-  
ნობის დიდის ხნიდგან აღორძინებამ, როგორც წინათ მოვნე-  
სენეთ, გამოიწვია წინააღმდეგობა საბერძნეთში და სირიაში.  
ამიტომ ანტიოქიის პატრიარქი XI საუკ. თეოდოსე შეც-  
თომად სთვლიდა თვის წინამოადგილეთა თანხმობასა ქართ-  
ველთა ეკკლესიის თავისუფლობაზედ და ამ საქმის გამო-  
ძიებაში შევიდა; მოახსენეს თეოდოსეს: მღუდელთ მოძ-  
ლუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიარქისა კელმწიფე-  
ბასა ქუშე არიან და ყოველნი საეკკლესიონი წესნი მათ მიერ  
განიგებიან და თვთ დაისმენ კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა  
და არა სამართალი არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულ-

<sup>1)</sup> იხ. წყობილ სიტ. 208 გვ.

თაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა... ჯერ არს რა-  
თ კელმწიფებასა ქუეშე ანტიოქიისა პატრიარქისა იმწყსედ.  
ბოლიონ და აქა იკურთხებოდეს კათალიკოზი.“ ამ ღრმს წმ.  
ბიორგი მთაწმიდელშია, როგორც მკაფიოდ გამომთქმელმა-  
ქართველთა ეროვნული გრძნობის აღორძინებისამ—უპასუხა-  
შევახედ: „რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი  
მართველთა, წრფელი და უმანკო?.. მოღებად ეც წიგნი  
„მიმოსლვა ანდრია მოციქულისა“... წმიდაო მეუფეო! შენ  
იტყვა, ვითარმედ თავისა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარ-  
სა ვჩიო. ხოლო ჩუენ პირველ წოდებულისა და ძმისა თვესი-  
სა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი, მის მიერ მოქ-  
ცულნი და განათლებულნი, და ერთი წთა ათორმეტთა  
მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვა ძანანელსა, ქუცყანასა ჩუპნ-  
სა დამარხულ არს ბფხაზეთს, რომელსა ნიკოპსია ეწოდე-  
ბის... შუპნის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელ-  
სა მას დაემორჩილოს; რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა-  
დაემორჩილოს მწოდებელსა თვესა და ძმასა ანდრიას, და  
რათა თქუმნ დაგვემორჩილნეთ... იყო უამი, რომელ ყოველ-  
სა საბერძნეთსა შინა მართლ-მალიდებლობა არა იპოვებოდა;  
მოანე ბუთელ ებისკოპოზი მცხეთას იკურთხა ებისკოპოზად,  
ვითარცა სწერია დიდსა სკნაჭარსა „ კურთხევა ბუთელ იო-  
ნესი მოხდა 758 წ. (ისტორია ბაქრაძისა გვ. 202).

„ამისა შემდგომად (ე. ი. შემდგომ ერეკლე მეფის ძლე-  
ვა-მოსილად დაბრუნების) განეფინა ქადაგება მუჰმედ უს-  
აფულოსა და მრავალი ერი შეუდგა მას. შემდგომად მისა  
გამოვიდეს სპარსნი და პონტომდე მოიწივნეს და ყოველი  
მაბლუკია დაიპყრეს. და ვითარ იგი იყო კურთხევა კათალი-  
კოზისა ანტიოქიით, ვერლარავის კელეწიფებოდა სლვად გზა-  
სა ანტიოქიისასა: ამისთვის დიდი ზრუნვა აქვნდა ქართველ-  
თა.—ხოლო დღეთა თეოფილე ანტიოქიელ პატრიარქისათა  
წარავლინეს მოციქულნი და მიუთხრეს ამის პირისათვეს. ხო-  
ლო თეოფილე ჰქმნა კრება საზოგადო და განაწესეს, რათა

შეკრბებოდიან ეპისკოპოზნი სამრევლოდა მისისანი და აკურთხევდენ კათალიკოზსა, რომელიცა სთნდეს მეფესა და ერსა; და ამის პირისათვეს დაწერა წიგნი და დაბეჭდულად წარმოგზავნა. ხოლო ვითარ იგინი პირველ იყვნეს ასნი სოფელის სასყიდლად მირონისა, ამის წილ განუწესა ასი დრაჟანი. ხოლო შემდგომად ამისა კვალად ეს ოდენ განაჩინეს, რათა სახელით ოდენ მოიხსენებოდეს პატრიარქი პნტიოქელი მართლს, ესრეთ განაგეს მართლისა ეკკლესიათა წესი. და ქვევა და ესრეთცა არს დღეინდელად დღედმდე<sup>1)</sup>.

ბესარიონ კუზი „გრდემლში“ სწერს: „ესრეთ შესასწავებელ არს ტახტიკონსა შინა წისა კონსტანტინეპოლისასა: „მას უამსა წა მეექუსესა კრებასა ძონსტანტინე პოლონატისასა ზიორგი ძონსტანტინეპოლელისა და თეოფანე პნტიოქელისა და მათ თანა 130 მამათაგან გაპატიოსნდა კუზი ქართლისა და ჰყვეს მამათ მთავრად და თავისუფლად და უფლად ყოველსა ზედა საქართველოსა; და მერმე კვალადვე კრებასა შინა ანტიოქიისასა განთავისუფლდა და გაპატიოსნდა, რამეთუ არღარა ვისგან ხელჭვებარ არს, არამედ თავისუფალ და მამათ მთავარი არს“.<sup>2)</sup>

**გიორგი III** 1056—1063 წ. ამას უწერია ხელი 1058 წ. **ბაგრატ IV** გუჯარზედ;<sup>3)</sup> ამის დროსვედ აღწერილი პლავერის სახარება:

**გაბრიელ II** საფარელი. 1064—1089 წ. ხელი უწერია მეფე ზიორგი II 1073 წ. გუჯარზედ<sup>4)</sup>.

<sup>1)</sup> იხ. ქრონიკ. I 76—77 გვ.

<sup>2)</sup> ყურადღების ღირსია, რომ XI საუკ. ქართველი მოღვაწე გრიგოლ ბაკურიანის ძე გავიდა საბერძნეთში; დაარსა რამდენიმე მონასტერი და სხვათა შორის ბოლორიაში; ამა მონასტერთათვის შეადგინა სამონასტრო ტიბიკონი, რომლითაც აკრძალა ჯოხით, ანუ ხელით დასჯა ბერმონაზონთა. ეტყობა წინათ ხმარებაში ყოფილა ესრეთი. სამარცხვინო სასაჯელი. იხ. ათონის მთის აღაპი № 38, 225 გვ.

<sup>3)</sup> იხ. შიომღვიმ. გუჯარები 4 გვ.

<sup>4)</sup> იხ. შიომღვიმ. გუჯ. 12 გვ.

**იოანე V 1090—1127** წ. საფარელი, ამის დროს იყო ქრება რუის-ურბნისისა 1104—1105 წლებში; ამ კრების სრული „ძეგლის დება და განაჩენა“ დაცულია სვეტის ცხოვლის „დიდს სჯულის კანონთა XII საუკ. ხელნაწერში № 76, რომელიც დღეს საეკკლესიო მუზეუმში ინახება. მა ძვირფასი „ძეგლის დებად“ ცალკე მოათავსა თ. უორდანიამ ქრონიკებში II, 54—72 გვ.

**სპარს III 1128—1144** წ. ესე იყო გულაბრისძე, ბიძა სახელოვანის კათალიკოსის ნიკოლაოზისა, კახელი<sup>1</sup>). აღიზარ-ლა არმაზის წმ. საბას მონასტერში, რომელიც შემდეგ მეფე დავით აღმაშენებელმა შესწირა სინა მთის წმ. მკარერინეს მონასტერს. XVII საუკუნეში ისევ დედათ მონასტრად იყო; აქ მოლვაწეობდა სპარსეთიდგან ტყვეობიდგან. მოსული ცო-ლი ზურაბ ერისთავისა, რომელიც მოლოზნად შედგა და თა-ვისი დიდალი ქონება იქვე მიიტანა და შესწირა. დღეს ეს მონასტერი ვიღაც გორნიჩის ცოლის ხელშია.

**ილია 1145—1149** წ. ამან განამშვენა ქართველთა ეკკლესია ქადაგებითა; დიდი ამაგი დასდო სვეტიცხოვლის ტაძრის განშვენებისათვის.

**ნიკოლაოზ I 1149—1160** წ. ძახელი, ძმისწული სვი-მონ კათალიკოზისა; აღმწერი სვეტიცხოვლის „სვინაქსრისა“ № 48, გვარით — გულაბრის ძე. ნიკოლოზი ორის დიდად განათ-ლებული და ნიჭიერი კაცი. იგი საუკეთესო წარმომადგენელია XII საუკუნისა, როდესაც ქართველი ერის კულტურამ და ისტორიულმა ცხოვრებამ ფრთხები შეისხა და უმაღლეს წარ-მატებადმდე მიაღწია. ნიკოლოზის შეხედულება ბერძნების და ქართველების შესახებ ფრიად საინტერესოა: მცირედ რა-მეს ბერძნენი აზვიადებენო, ბუკს ნაღარას უკრავენო, არც ერთს შემთხვევას — მცირეს, თუ დიდს დაუწერავს არ უშვე-ბენო. ჩვენ ქართველნი კი ალალ-მართალნი, გულუბრყვა-

<sup>1)</sup> იხ. საქ. სამოთ. 108—109 და შიმლ. მამათ. ცხ. № 170, 122 გვ.

ლონი ვართ და ჭეშმარიტი, დიდი შემთხვევების დაწერაც  
გვეძნელებაო, არამც თუ წვრილმანებს ავჭყვეთ და გავაზვია-  
დოთო. ამიტომ უცვლელად მოგვყავს ეს ადგილი: „...პირ-  
ველად უკვე ესე საცნაურ ვყო თქვენდამი, ჲ ღვთის მოყ-  
ვარენო! რომელიცა ესე ნამდვლვე ლირს არს თხრობისა, რა-  
მეთუ ვითარცა რამ ნათესავთა შორის კაცთასა მრავალნი  
რამ კელოვნებანი იპოვებიან და კაციდ-კაცადთათვს თვისად  
მიუჩნს ყოველთავე თვისი სახმარობად, რამეთუ რომელსამე  
იგი, და რომელსამე ესე. მსრე სახედვე უკვე იხილვების და  
ნათესავთაცა შორის: რამეთუ რომელნიმე ნათესავნი ესე ვი-  
თარნი არიან ბუნებით, ხოლო რომელნიმე ეგე ვითარნი,  
სიტყვსაებრ სამოციქულოსა ნამდვლვე განუფლობანი არიან მადლ-  
თანი უფლებავე შორის, რამეთუ რომელნიმე ნათესავნი ფასი  
და დედალ არიან და ფრიად მოსწრავე ენა მჭევრობისა ფილო-  
სოფოსობისათვს და საკურველი რამე გულსმოდგინებად და  
ტრფიალებად მოუგიერ გამოძიებადთა, რომელთათვსმე ღვთი-  
სახთაცა და კაცობრივთა და ყოველთავე დაბადებულთათვსცა.  
და ამით სახითა რეცა მძლეობენ ყოველთა ზედა სილალითა  
გონებისათა, ვითარცა ზეშთა ქმნილნი და ენა მჭევრობადთა  
და სიბრძნეა თვისთა მიმართ მინდობილობენ, რათა სიბრძ-  
ნით მოხსენებითა ენისათა ნუგეშინისცემდედ სკნიდისითა  
ცხოვრებისა თვისისათა, ვითარ სახედ არიან ელენი ესე ბერ-  
ძენი. ხოლო სხვანი არიან ბუნებით სადაგნი და მარტივნი და  
გონებით წრფელნი, სიმართლესა ცხოვრებისასა და უდელსა უმნ-  
კოებისასა მზიდველნი, და მხრიდა ღვთისად თდენ და შეჭავისა  
თვისისა მოსავნი, რომლითაცა უკვე გამოისახვს და საცნაურ იქმნე-  
ბის სიგვაჯე ჭაბუკისა, ვითარცა აპა ესე რა არიან ნათესავნი  
ჩვენ ქართველთანი, რამეთუ ვითარცა საცნაურ არს ყოველ-  
თა მიერ უეჭველად ესე ვითარი ბუნებად პარველითგანეე  
უკვე დამცველობს ნათესავთა შორის ქართველთასა, რამეთუ არა  
რდეს ჰქონებია ჩვეულებად ფილოსოფოსობისა და სწავ-  
ლულებისა გამოძიებითა და ენამჭევრობადთა. ხოლო სხვანი

უკვე ნათესავნი სხვადთა რაჭომე მიმართ ლონისძიებითა და ხელოვნებადთა მინდობილობენ. და სხვანი სხვადთა რომელნიმე მათდა, რომელნიმე ამათ და ყოველთავე უკვე თვს თვ-სად შეუცავს საზღვარი ტომებისა თვსისა და უკეთუმცა არა კიდრებე საჭირო მექნებოდა მიზეზი მეტყველებადთა განგრძნებისა, თვთეულადმცა უკვე წარმოვაჩინე შემსგზავსებულებად ნათესავ ტომებისა თითოეულისა, რამეთუ არა საჭირო კიდრებე იყო ჩვენდა ესე წყალობითა ღვთისადთა. ხოლო აწ შეუდგინო ცხად მყოფელად სახისა საქმეცა მიზეზმყოფელი განგრძნებისა ჩვენისა, რამეთუ მიზეზი მეტყველებისა ჩემისა ესე ვიდრემე არს, რამეთუ, ვითარცა ეგერა პირველვე ვთქუ ხმორე ჩვეულებად, ვიდრემე და წურთილებად გამომეტყველებისა და გამოძიება სამეცნიეროთა და საფილოსოფოსოთა საქმეთა არა რად უკვე ჰქონებია ნათესავსა ქართველთასა, ვითარცა ბერძენთა შორის დღესცა იხილვების ესე ვითარი საქმე, რამეთუ რამდე რამდე უცხო და საკრველი საქმე საცნაურ იქმნეს, მეს მისვე უამსა შინა მეუგსეულად აღსწერენ, და ესრეთ სიმტკიცედ და სახსენებელად მომავალთა ნათესავთათვს ძეგლად წარუწყმედელად დაუტეობენ. ხოლო უკეთუ საღმრთოთა მოქმედებითა, გინა თუ ხატთაგან იქმნეს რად, ანუ თუ ჯვარისა, გინა თუ ნაწილთაგან წმიდათასა, ანუ თუ სხეულსავე შორის მყოფთა წმიდათა კაცთაგან,—რადღა უკვე სახმარ არს სათქმელად, თუ ვითარ კნინ ოდენთაცა არა რადს დაუტეობენ აღუწერელად და არცა ვიდრემე მისცემენ უფსკრულსა დავიწყებისასა. ხოლო ვითარცა მრავალ გზის ვთქუ, ესე ვითარისა მოქმედებისაგან უფლად უცხონი და უშეცარნი არიან ნათესავნი ესე ქართველთანი. უკეთუ არა, ვითარცა ვინ აღრიცხვნა, თუ რაოდენნი უკვე და რაბამნი სასწაულნი ქმნილ არიან სვეტისა ცხოველისაგან უამსა მას პირველ გამოჩენისა მისისასა და შემდგომითი შემდგომად. მსე უკვე უწყოდეთ ჰეშმარიტი, უკეთუმცა ვის აღეწერნეს, ვითარცა არს ჩვეულება ბერძენთა ნათესავისა, არამცა უპშე დაიტა.

სოფელმან უოველმან აღწერილი წიგნები, სიტყვსაებრ წმიდისა სახარებისა...“<sup>1)</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ რომ ნიკოლოზმა პთონზე, ივერიის ლავრაში და საბერძნეთში მიიღო განათლება. 1160 წ. ნიკოლოზმა უარი სთქვა კათალიკოზობაზედ და იერუსალიმში წავიდა. „პირველად აღმოუწოდა (წმ. თამარ მეფემ \*) 1184 წ. წმიდით ქალაქით იერუსალიმით ნიკოლოზს ბულაბრის ძესა, რომელსა სიმდაბლისა ძლით ეჯმნა შართლისა კათალიკოზობისაგან... ხოლო შემოკრბეს ყოვლით კერძო სამეფოს მისისა ებისკოზნი, რომელთა შირველად აქვნდა ზემო ხსენებული იგი ნიკოლოზ, მსგავსი სეხნისა თვისისა წმიდისა ნიკოლოზისი...“<sup>2)</sup> ამა კრებამ დიდი საფრთხე მოაშორა თავიდამ როგორც საქართველოს ერთსა, ისე ეკკლესიასა.

**მიზან III(1160—1186 წ.)** მირიანის ძე. ამის უამს მოვიდა საქართველოში სირიის პატრიარქი მგნატე მეფე ბიორგის III წინაშე მოციქულად ჯელალ მდლინისაგან, რათა ტყვეები განთავისუფლებინა<sup>3)</sup> ამა მიქელს პხვდა წილად მეფედ კურთხევა თამარ დედოფლისა 1179 წ., რომელიც პატივს არა სცემდა ვითარცა კაცია ამპარტავანსა და უფლებისა მოყვარესა, ამისათვის თამარს უნდოდა ამისი გადაყენება და ნიკოლოზ ბულაბრის ძის (იერუსალიმელის) ალყანა; მაგრამ ამ უკანასკნელმა სიმდაბლისა გამო უარი ჰარქვა. თამარ დედოფალმა გამეფების უმაღ (1186 წ.) მოახდინა სა

<sup>1)</sup> იხ. შიომღვიმ. მამათ ცხოვ. № 170 გვ. 417—418.

<sup>2)</sup> ქრისტეს ეკკლესიისათვის და სამშობლოსათვის დამაშერალი და მრავლად ჭირნახული წმ. თამარ დედოფალი დღემდე მიჩრდილული იყო, ვიეთნიმე უარპყოფდნენ თამარის წმიდათა შორის აღრაცხვსა ჩვენ დროში, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს საგარეჯოს მთაში ერთს ძველს საყდარში აღმოჩნდა ძველი ტილოზედ დახატული, ჩარჩოიანი ხატი თამარისა თავს სხივ მოვლებული წარწერით: «წმიდა თამარ დედოფალი». დღეს ეს ხატი საქართველოს სამღვდელოების საეკკლესიო მუზეუმშია დაცული».

<sup>3)</sup> იხ. ქ.-ცხ. I 279—280.

<sup>4)</sup> იხ. ბარათ. IV რვ. 44 გვ. და ქ.-ცხ. 276 გვ.

სულიერო პირთა კრება „განმარტვად საეკკლესიოთა და ქრისტეანებრივთა წესთა“. ამ კრებაზედ თავმჯდომარეობდა ნიკოლოზი. ამ შესანიშნავ კრებაზედ ყური ვათხოვოთ ჩვენს მემატიანეს: „...ინება (თამარმა) რათა იქმნეს შეყრა და გამორჩევა დიდთა მათ და მსოფლიოთა კრებათა. პირველად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალიმით ნიკოლოზ გულაბრის ძესა, რომელსა სიმდაბლისა ძლით ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან. მსე რა მიიყვანნა, შემოჰკრიბნა (თამარმა) ყოველნი სამეფოსა თვისისა მღვდელთ-მთავარნი, მნიაზონნი და მეუდაბნოენი, კაცნი მეცნიერნი საღმრთოსა სჯულისანი და მოსწრაფე იყო, რათა მართლ-მადიდებლობასა ზედა შემოთხესილნი ბოროტნი თესლნი აღმოფხვრნენ სამეფოსაგან თვისისა, რომელი ესე განემარჯვა აღრე სასოფბითა კეთილის მქონებლითა. ხოლო შემოკრბეს ყოვლით კერძო სამეფოსა მისისა ეპისკოპოსნი, რომელთა პირველად აქვნდა (თავმჯდომარეობდა). ზემოხსენებული იგი ნიკოლოზი და ბნტონ ქუთათელი საღირის ძე, დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი სიტყვით და საქმით. მიეგებვოდა მათ წმ. თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა ერთი კაცი შეურაცხი, და არა ვითარცა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა. შეჰკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა (მაღალი დასაჯდომელი — კათედრა), ხოლო თვით დაჯდა შორის მათსა მარტოდ, და არა მეფობით, და ესჩედ ეუბნებოდა:

„შ, წმიდანო მამანო! თქვენ ლვთისა მიერ განჩინებულ-სართ მოძღვრად ჩვენდა და მმართებლად წმიდათა ეკკლესიათა, და თანაგაცთ სიტყვის მიგებად სულთათვს ჩვენთა! გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი და განხადეთ ყოველი გვლარძნილი; იწყეთ პირველად ჩემზედა, რამეთუ შარავანდედი ესე მეფობისა არს, და არა ლვთის მბრძოლობისა! ნუ თვალახვამთ მთავართა სიღიღისათვს, ნუცა გლახაკ-თა უდებყოფთ სიმცირისათვს: თქვენ, სიტყვთ, ხოლო მე

საქმით; თქვენ სწავლით, ხოლო მე განწვრთით! ზოგად უკლ. მივცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუშინებელად, რათა არა ზოგად ვიზღვივნეთ! თქვენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცუ მეფე! თქვენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ებგურ (ჯაშუში)!“..

მსნეს რა სიტყვანი ესე ყოველსა მას კრებულსა მამა-თასა, მადლობდეს ღმერთს და თანად მეფესა ღვთივ განპრძ-ნობილსა. პდა უკვე წმ. თამარ მცირედ ჟამ შორის მათსა, მერმე მოილო კურთხევა მათგან და წარვიდა პალატად თვისიად. ხოლო წინამძღვართა კრებისათა ნიკოლოზ და ანტონი, რომელნი ვითარცა პირმეტყველნი მთიებნი უძლოდეს მომ-რგვლებასა ცაებრისა მის ვარსკვლავთა ვარსკვლავისასა, ხო-ლო არა ინება მაშინდელან მან მიქელ კათალიკოზმან შო-რის მათსა (კრებისა) ყოფა, რამეთუ წინა უკმო იყო წესთა-გან საეკკლესიოთა და ჭყონდიდელ-მაწყვერლობა და მწიგ-ნობართა უხუცესობაცა მას (მიქელს) მოეხვეჭა უფლისა-გან,—არამედ ვერ განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღვაწეს, არამედ თვით განაყენა აღრე სასჯელმან ღვთისამან. ხოლო სხვანი ფინმე ეპისკოპოსნი შესცვალნეს და მათ წილ საღმრ-თონი კაცნი და მეცნიერნი სჯულისანი დასხნეს და სხვანი საეკკლესიონი წესნი განმართნეს, უდებთა მიერ დახსნილნი; ხოლო აღივსებოდა რა კრება და აღდგეს წმინდანნი მამანი, კვალად მეფე თამარ მიექცა საურავთა და განსაგებელთა სა-მეფოსა თვისისათა...“<sup>1)</sup>) მიქელმა, ვითარცა ფრიად თავმო-ყვარე კაცმა, ვერ აიტანა ნიკოლოზის პირველობა. კრება-ზედ და თავის შეურაცხებად მიიღო; ზედ კრებამ მითვისებუ-ლი ჭყონდიდელ-მაწყვერლობა და სამთავრელობაც ჩამოარ-თვა — და ამიტომ მალე გარდაიცვალა. მიქელის სიკვდილი დასაკლისად არავინ მიიღო, არავის ეწყინა, „რამეთუ ყო-ველნი სძულობდეს მას“<sup>2).</sup>

<sup>1)</sup> იბ. ქ.-ცხ. 279—280 გვ.

<sup>2)</sup> იბ. ქ. ცხ. I 191 გვ.

მიქელის შემდეგ დავით გარესჯიდამ მოიყვანეს ანტონ ბელონის ძე და კვლავ უბოძეს ჭყონდიდლობა, რომელი მისტაცია მიქელმა; მისცეს ეგრეთვე სამთავისის ეპარქია, ზისისხევი და მწიგნობართ უხუცესობა. მიქელის დროსვე (1174 წ.) მოვიდნენ ათანის მთიდამ საქართველოში მთარგმელნი მამანი— მფრემ მცირე, თეოფილე, არსენი, იოანგ თაიჭის ძე და სხ.

**თეოდორე II 1188—1202 წ.** სხვა ეპისკოპოსებთან ესეც იმყოფებოდა დედოფალ თამართან ჯარის გასტუმრების დროს როქნედინთან საბრძოლველად 1203 წ. ყარსის მახლობლად. მობრუნებულნი სამცხეში, მდრეს ციხეში განატარებდნენ დღე დამესა ლოცვითა, მომლოდნელნი ომის ამბავისა ბრძოლის ველიდამ. 1189 წ. აწერს ხალს თამარ დედოფლის გუჯარზედ<sup>1)</sup> ისტ. ბარათ. IV რვ. 78. გვ. „კაცი წმინდა და სახიერი“.

**ბასილი IV 1202—1204 წ.**

**იოანე VI 1204—1209 წ.** ებრძოდა სომეხთა სარწმუნოებას და მცდელობდა მათ შემოერთებასა. „კაცი ანგელოსთა სწორი და სულითა საღმრთოეთა აღსავსე“.

**ეპიფანე 1207—1208 წ.<sup>2)</sup>.**

**ნიკოლოზ II 1209—1212 წ.**

**არსენი 1213—1234 წ.** ბულმაისის ძე, ძმა აბუსერისა და ვარდანისა; აღმწერი ოთხ-თოვეულის პროლოგისა (თებერ., მარტი, აპრილი, და მაისისა) პატივად წმიდათა და მათ შორის პატივად შიომ მღვიმელისა, პირი ლუთის ხატისა<sup>3)</sup>). ამის, ნებართვით რუსულან დედოფალს ჰქონდა მიწერ-მოწერა, 1225 წლითვან რომის პაპა პონორი III-თან—თათრებზე მოჰყეშველე და შენი ქვეშევრდომნი შევიქმნებითო. არსენი კრე-

<sup>1)</sup> იხ. ქრონიკ. უორდანიასი I 277 გვ. და II 75 გვ.

<sup>2)</sup> იხ. ქრონიკ. I, 80—81 გვ.

<sup>3)</sup> იხ. ხელნაწ. № 85 სსეკ. მუხ. და ქრონიკ I უორდან. 81 გვ.

ბით ამხილებდა ლაშა გიორგის უგვანსა ცხოვრებასა და გარ-  
ყვნილებაში დროს გატარებასა; ვერა გზით ვერ დაითანხმეს  
ლაშა კანონიერად ექორწინა და ცოლი შეერთო<sup>1)</sup>). შეანას-  
ნელ დროს არსენმა თავი დაანება კათალიკოზობასა და შიო-  
მღვიმის უდაბნოში დამკვიდრდა სამოლვაწეოდ.

**გიორგი II 1234—1239** წ. წინად მთ.-ეპისკოპოსი.  
ამის დროს დაწერილია შესანიშნავი ისტორიული „ვაჰანის  
ქვაბის ძეგლი“<sup>2)</sup>

**ნიკოლოზ 1240—1279** წ. ძე ძაგანისი, ვეონებ აბუ-  
ლეთის ძისა.<sup>3)</sup> მსე ნიკოლოზ კათალიკოზი არის ერთი საუკე-  
თესო საქართველოს შეილთაგანი. იგი სცხოვრებდა იმ დროს,  
როდესაც სისხლის ნაკადულნი სდიოდენ საქართველოს მიწა

<sup>1)</sup> იხ. ქ.-ცხ. 342 გვ.

<sup>2)</sup> იხ. გამოც. უორდანის მიერ 1896 წ.

<sup>3)</sup> როგორც თანდათან ირკვევა, ზევდგინის ძეთა (შემდეგ ამილა-  
ხვართა) საგვარეულო დაპატრიონებია ზედსიძეობით აბულეთის ძეთა,  
ქართლის ერისთავთა სამკვიდრებელსა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ  
ს. ჭალაში, სადაც უმთავრესად ბინადრობენ ამილახვარნი ძველად-  
განვე და პატრიონებენ რეხის ხეობასა, უძველესი საყდარი წმ. ნი-  
კოლოზისა, მდებარე ცხვილოსის გალავნიბიდგან ჩამომავალ ზემო გზის  
ბოლოს, თ. ი. და დ. ამილახვართა ზერის აღმოსავლეთით, —აღშე-  
ნებული უნდა იყოს ამა ნიკოლოზ კათალიკოზისაგან, რადგან ამა  
საყდრის ძველს ძეირფასს ხატზედ ჩვენ ამოვიკითხეთ ხუცური ასო  
მთავრულით შემდეგი წარწერა: „ქ. ჭ მღუდელთ: მთავართა: შო-  
რის დიდებულო: წაო: ნკზ: მრს მფროვლ: ექმნ: მოვს: დ: მკო-  
ბელს: შსა: პა: ნის: კ: მნაგლ: დმიტრის:...“ ჩვენ ასე ვკითხუ-  
ლობთ — ჭ მღუდელთ-მთავართა შორის დიდებულო, წმიდაო ნიკოლოზ,  
მეოხ-მფარველ ექმენ მოსახსა და მკობელსა შენსა პატრიონსა ნიკოლოზ კა-  
თალიკოზსა, მანგლელ დიმიტრის... ნიკოლოზ კათალიკოზის მედროვეთა  
შორის ჩვენ ვიცით დემეტრე წილკელი (ქრონ. II 126 გვ.), რომელსაც  
შეიძლება მერე მანგლელობა მიეღოს, რადგან აბულეთის ძეთ ეკუთვნო-  
დათ მაშავერ-ხრამზე დიდი მთა-ბარი. რუს-ურბნისის კრებამ (1103—  
1104 წ.) განპკვეთა ეპისკოპოსი მოდისტოს, ძმა ძაგანისა. იხ. ქრონიკ II  
142 გვ.

წყალზედ, როდესაც „სალმობიერი ღალადი, ტირილი, ტკი-  
ვილი და ზახილი, და უზენარო ვნება და საზარელთა ხმათა-  
გან იძროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა-  
ცხოვარნი შეკრიბიან (თათართა, ჯალალედინისაგან ტფილი-  
სის ოხრების დროს 1227 წ). და ხოციან! და პხედვიდეს  
ზოგნი საყვარელთა შევილთა და ზოგნი ძმათა, და მამათა, და  
ქმარნი ცოლთა, უპატიოდ მკვდრად მდებარეთა, ცენტო მიერ-  
დათრგუნვილთა და ფოლორცთა (ლრატე): შინა ძალლთა-  
მიერ ზიდულთა; და არა თუ დაფლვასა მიწასა შინა ღირს  
ჰყოფდეს, ეკკლესიანი და ყოველნი პატიოსანნი სამსხვერპ-  
ლონი შეურაცხ იქმნებოდეს, პატიოსანნი მღვდელნი და დია-  
კონნი და მონაზონნი ეკკლესიათა შინა თვით ხატთა და  
ჯვართა თანა შეიმუსრეოდეს!..“<sup>1)</sup>) როდესაც „იქმნა მოწევნა-  
სრულიადისა ღვთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნა-  
თესავისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთასა, და იქმნა  
უყუნ ქცევა სვე-სვიანისა, სრულისა და მაღლისა და საჩი-  
ნოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა!“<sup>2)</sup>) როდესაც  
„უმთავრესთა მკვდართა მდინარეთა შინა შთაუტევებდეს;  
მოიგონეს სხვაცა სიბოროტე, რომლისა ხსნება სირცხვილ  
მიჩნს, რამეთუ გლოვათა და ცრემლთა მიერ შევიცვები, თუ  
ვითარ განვარისხეთ მოწყალე და შემწყნარებელი ღმერთი  
არა შეწყალებად ჩვენდა! იწყეს რღვევად ეკკლესიათა, ვიდა-  
რე საფუძველადმდე!..“<sup>3)</sup>) და ყოველი ესე იქმნებოდა „უკეთუ-  
რებისათვის მკვიდრთა ქართლისათა; რამეთუ ყოველი პასაკი  
ბერთა და ჭაბუკთა, მეფეთა; და მთავართა; დიდთა; და მცი-  
რეთა—მიღრკა სიბოროტეთა მიმართ, რამეთუ დაუტევეს სა-  
მართალი და წყალობა! ყოველი ერი იქმოდა სიბილწესა:“<sup>4)</sup>)

<sup>1)</sup> იხ. ქ.-ცხ. I, 358 გვ.

<sup>2)</sup> იქვე 347 გვ.

<sup>3)</sup> იქვე 354 გვ.

<sup>4)</sup> იქვე 359 გვ.

და ესრეთ „ირყვნებოდა ქვეყანა(ქართ ლი) მათ მიერ და ძლიერ. ნი იგი მბრძოლნი და სახელოვანნი ულონო იქმნეს და ვერ. ლარა ეძლოთ წყობისა ყოფად თათართა... და სრულიადსა გაოხრებასა მიეცნეს!“<sup>1)</sup> პი ამისთანა მწარე დროს დაიბადა, აღიზარდა და კათალიკოზ იქმნა ნიკოლოზი. ამისთანა გა- ჭირვებაში ქვეყნის საშველად ნიკოლოზმა მიმართა სარწმუ- ნოებისა და ზნე-ჩვეულებათა განმართვასა. ამისათვის იგი ძლიერის სიტყვით ამხილებს ჯერ რუსულანს, მერე ორივე დავითებს და ბოლოს დიმიტრი II, თავდალებულს; მაგრამ იმედ გადაწყვეტილი ნებსით თავს ანებებს კათალიკოზისა და შიომღვიმეში ბინავდება, ვითარცა ერთი მემხოლოეთა- თაგანი და ემსგავსა იერემია წინასწარმეტყველსა, ტირილით და ვაებით მომთქმელი სამშობლოს უბედურებათა! ნიკოლოზი ბოლოს არ დაერიდა, არ შეუშინდა მაინც მონგოლთა ძლიერებას: იგი მივიდა სამარყანდში ულო ყენთან 1243 წ., ჰსთხოვდა ქრისტიანეთა შებრალებასა, ეკკლესიათა დაცვასა. ნიკოლოზის ესრეთს საღმრთო მოქმედებას მონგოლთ მბრძანებელმა დიდად პატივისცა და უმთავრესი სათხოვარიც აღუსრულა: მეორე წელ- სვე(1244 წ.) ნარინ დავით IV და დავით V მეფედ ეკურთხნენ ტფილისის მეტების ტაძარში მონგოლთა ნებართვით. პი რო- გორ აღგვიწერს ჩვენი თვალ ცრემლ-შეუშრობელი მემატია- ნე ნიკოლოზის სახელოვანს მგზავრობასა: „...წარვიდა ულოს წინაშე კათალიკოზი ნიკოლოზ, კაცი სულითა მხილველი, მობაძავი ანგელოსთა და მრავალთა მოლვაშებათა შინა საკ- ვირველი მართლმადიდებელი, ძლიერი და თვალ-უხვად მამ- ხილებელი მეფეთა და მთავართა! რამეთუ იყოცა უმანქო და არავის თვალ ახვნის. იხილა რა ყაენშან, განჭვევირდა წესსა და ხილვას შესახედავისა მისისასა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნა- თესავსა ქრისტიანეთასა, თვინიერ არქვანთა, და პატივსცა პა- ტივითა დიღითა და დაუწერეს იერლავი, რომელ ას წიგნი შე-

1) იქვე 360 გვ.

წელებისა, და მთხვეს შანა (საწირავი ფული), და შეუქმნეს ჯვა-  
რი აქტოსანი და შეუმკვნა თვალთა მიერ და მარგალიტა და უბო-  
ქა ქრის თვეთ კათალიკოზისა, ერთი მოძღვანსა ვარძისასა, რო-  
მელი თანაპყვა კათალიკოზისა; და არგანიცა (კვერთხი სამღვ-  
დელთმთავრო) იგი აქტოთა შეკაზმული მოანიჭა კათალიკოზისა  
ოდენ, ჯვარიანი იგიცა, და ესრეთ პატივითა წარმოავლინეს და  
დაიცვა უოველი ეკკლესიანი და მთხასტენი მოწეალებითა დათი-  
სთა.<sup>1)</sup> ) ნიკოლოზის თანა მოღვაწე იყო მაწყვერელი მთავარ-  
ებისკოპოსი ნიკოლოზ (ჯუანშერისძე). ნიკოლოზი რომ  
სამეფოს ალდგენას მცდელობდა და ორივე ღვითების გამე-  
ფებასა, ამ დროს დიდ მოწინააღმდევებელ აღმოუჩნდა ძლიერი  
სარგის ჯაყელი, რომელმაც უთავა მესხთა და განდგა სამე-  
ფოს ერთობისაგან და თვით სამცხე საათაბაგოს მღვდელთ-  
მთავართა და სამღვდელოებასაც კი პატირავდა მცხეთის კათა-  
ლიკოზისა და უმორჩილებდა პატრიარქსა. ნიკო-  
ლოზ კათალიკოზის და ნიკოლოზ მაწყვერელის მხილებამ  
აქც ამაოდ ჩიიარა და, მესხნი რომ აწყურის ტაძარს და მის  
მიღამოს აოხრებდნენ, იძრა მიწა და მრავალნი ეკკლესიანი  
შეირყივნენ, მათში მცხეთის ტაძარიც, და ამისათვის წამო-  
სვენეს აწყურის ლვთის მშობლის ხატი. ნიკოლოზმა განდ-  
ახლა ჯალალედინისაგან (1227 წ. შემუსვრილნი და შებილ-  
წულნი ტაძარნი და აკურთხა. <sup>2)</sup> ნიკოლოზ კათალიკოზს უწე-  
რია ხელი რკონის მონასტრის გუჯარზედ, (1260 წ.) რომ-  
ლითაც ერისთავი მახა (თორელი) და დელოფალთ-დელო-  
ფალი ხათუთა სწირავენ სოფელ ხოვლეს, თათართაგან ბალ-  
დადის აღების დროს ნაშოვნ ფულით ნასყიდს. <sup>3)</sup> ამ გუჯარ-  
ში ნიკოლოზი თავის თავს მეექვსე პატრიარქად უწოდებს.  
ნიკოლოზი გადადგა კათალიკოზობიდამ და თვით აკურთხა

<sup>1)</sup> იხ. ქ.-ცხ. 380 გვ.

<sup>2)</sup> იხ. დრ. გ. თიფლ. იօსელ. 187 გვ.

<sup>3)</sup> იხ. ვახუშტ. ისტ. 240—241 გვ.

კათალიკოზად აბრაამ ჯვარის მტვირთველი მეფისა. „შრიუ. ხვთა კეთილთა მიერ აღვსებული მეფე (დიმიტრი თავდაღუ- ბული) მცირედ სიბოროტედ მიღრკა, რომლისათვისცა ნიკო- ლონგ კათალიკოზი განრისხებული უთქმიდავე და ამხილებდა მრავლად და ვერ დაარწმუნა: დაუტევა კათალიკოზობად და კელითა თვისითა აკურთხა ჯუარის მტკრთიელი მეფისაც. აბ- რაპამ კათალიკოზად და თვით წარვიდა მამულად თვისად (ჩეხის ხეობაში) მოხუცებული და მუნ იყოფოდა მრავლითა მოღუ- წებითა, მარხვთა, მღვდარებითა და გლახაკთ მოწყალებითა და სავსე სათნოებათა ტკრთითა უფლისა მიმართ მიიცუ- ლა. <sup>1)</sup> მეფის დიმიტრის უა მისი მეგობრის სადუნის უჯე- როების (სამკოლიანობა) მხილება განაგრძეს ათონიდამ მო- სულმა ბასილ მონაზონმა და გარეჯის მოღვაწემ პიმენ სა- ლოსმა <sup>2)</sup>.

აბრაამ (1279—1297 წ. ბობირახის ძე; ესე აბრაამ და მღვდელი მოსე თან ახლდნენ 1289 წ. მეფე დიმიტრი თავ- დადებულს მონგოლებთან, არღუნ ყევნის ბრძანებით წამე- ბულს; მისი გვამი ტფილისელ მეთევზე ვაჭრებს გამოაპარე- ბინეს, ჭილობში შეხვეული, და მცხეთაში დაფლეს. ამანვე აბრაამმა გადაარჩინა სიკვდილს ძე დიმიტრისა დავით IV „და კათალიკოზი აბრაამ კეთილად პმართებდა საქმეთა (საჭე- თა) კათოლიკე ეკკლესიისათა, რამეთუ იყო კაცი ესე მართლ- მოქმედი კეთილთა საქმეთა და საურავთა სამეფოთა გამგე კეთილი“. <sup>3)</sup> ასე აგვიწერს მემატიანე აბრაამის გამგეობასა <sup>4)</sup> აბრაამის მეცადინეობით მონგოლებმა დაუბრუნეს დავით VI ტფილისი.

ევთიმი 1298—1310 მერე ისევ 1319—1335 წ. იგი

<sup>1)</sup> იხ. ქ.-ცხ. 418 გვ.

<sup>2)</sup> იხ. Ист. взгл. на сост. груз. ц. подъ вл. ц. магомет. Йосел. 11 და 13 გვ. და ქ.-ცხ. 415—418 გვ.

<sup>3)</sup> იხ. ქ.-ცხ. I 420 გვ.

<sup>4)</sup> იხ. იქვე 418—424 გვ. და ვახუშტ. ისტ. 251, 225 გვ.

იყო ძმისწული ბასილი ათონელისა. ცოცხალი იყო 1344 წ.  
და მიიღო მონაწილეობა მეფე გიორგის „ძეგლის დები“-ს  
შედგენაში, ეპისკოპოსთა და ერისთავთა თანა.

**მიქელ 1310—1318 წ.**

**გასილი 1319—1356 წ.** რა კი მაჰმადიანთა ძლიერზა  
მთავრობამ ფეხი მკვიდრად მოიკიდა საქართველოში, იწყეს  
მუქარა ქრისტიანობის აღმოფხვრისათვის; პეტრი მეფე გიორგი V  
კრება განსამტკიცებლად ქრისტეანობისა (1344 წ.  
„განახლებისაოვის საეკკლესიოთა წესთა, განმართვად და-  
დადგენად მოწესეთა წესთა ზედა თვისთა და უწესოთა გან-  
კვეთად“<sup>1)</sup>) ამა ბასილს გამოუცხადა სრული მორჩილება სამ-  
ცხე-სასათაბაგოს ეპისკოპოსთაგან კუმურდოს მთავარ ეპისკო-  
პოსმა ზოსიმემ, რაკი თვით ყვარყვარე პთაბაგი (1335—1361 წ.  
სარგისის ძე) ემორჩილება საქართველოს მეფეს და მცხეთის  
კათალიკოზს. აპა თვით წერილი. ა) „მოგახსენეთ ჩვენ-  
პატრიონმან ათაბაგმან ცათა მობაძევსა კათოლიკე, მცხეთისა-  
საყდარსა და მას შინა დამკვიდრებულსა ქართლისა კათალი-  
კოსსა ბასილის და კათოლიკე მცხეთის სყდრის შვილთა მას  
უამსა, ოდეს სჯულის საქმეზედ კარზედ მოგადექით (1344  
წ. კრების დროს) და ჩვენ ამას დაგპირდით, იპრიანოს ღმერთ-  
მან და ჩვენი საპატრიონო მამული ჩვენვე დავიჭიროთ, რო-  
გორათაც ძველითგან და პაპისა და მამისა ჩვენისა უამშიგან  
მცხეთის საყდრის მამული ყოფილიყვნენ და ეპისკოპოსნი  
და მაწყვერელი თქვენგან საკურთხევლი ყოფილა და სხვანი  
სამცხის ეპისკოპოსნი, ყოველნივე ისრე დაგამორჩილება  
და სალმრთოთა და სულიერითა საქმითა თქვენისა ბრძანე-  
ბისა მორჩილნი ვიყვნეთ. ამისა გათავებისა თავსმდებად  
ღმერთი, სვეტი ღვთივ აღმართებული და ყოვლად წმიდა აწ-  
უვერისა ღვთის მშობელი მოგვიხსენებია და რაცა საათაბა-

<sup>1)</sup> იხ. ვ ხუშტ. ისტ. 279 და ქ. ცხ. 449 გვ. და ქრისტ. ეორდან.  
176 და 186 გვ.

გოშიგა მცხეთის საყდრისა მამულნი იყვნენ, არც ისი დაგი-  
ჭიროთ და მოგანებოთ». ბ) „ესე წიგნი გკადრეთ და მოგახ-  
სენეთ ყოვლისა საქართველოსა პატრიარქ კათალიკოზეა ბა-  
სილის ჩვენ კუმურდოელ მთავარ-ეპისკოპოსმან ზოსიმე  
(1431—1369). მას ფამსა, ოდეს კუმურდოელიდ ხელნი დამ-  
სხენ და თქვენ მიერ კურთხევა მივიღე, ასრე და ამა წესითა  
პატრიკისა ათაბაგის (სარგის ბექას დე 1309—1334 წ.).  
უზიანოსა საქმითა თქვენნი და თქვენისა საყდრისა გაუკ-  
რელნი და ერთგულნი ვიყვნეთ, საღმრთოთა და სულიერი-  
თა საქმითა რაც მცხეთის საყდრისა წლითი წლად სამსახური  
გვმართებს, როგორც სხვათ სამცხის ეპისკოპოზთა რაცოდენ  
გვედვას, არც ჩვენ დაგაკლოთ“. მრთის მხრივ მცხეთის კა-  
თალიკოზი მცდელობს სამცხე საათაბაგოს სამღვდელოების მორ-  
ჩილებასა და საქართველოს სამეფოსთან გაერთგულებისათვის;  
მეორე მხრივ ანტიოქიის პატრიარქი, ჯერ ბერძენთა და მე-  
რე ოსმალთა მომხრეობით, მცდელობენ სამცხე საათაბაგოს  
სამღვდელოების დამორჩილებასა. ამა ბრძოლის პირდაპირი  
შედეგი იყო ვიზანტიის და სამცხე საათაბაგოს დაუძლიურე-  
ბა, რაკი ამა უგუნური პოლიტიკით დაასუსტა იგი. ერთ და  
თვით ვერ მოუარა და, როგორც თვით ვიზანტია (1453 წ.),  
ისე სამცხე სასთაბაგო (1600 წ.) შეიქმნენ მსხვერპლნი ოს-  
მალთა მძლავრებისა.<sup>1)</sup>

**ვით I 1365—1364 წ.** თანამედროვე ყვარყვარე ათა-  
ბაგისა († 1261)

**ნიკოლოზ 1365—1377 წ.**

**ვითრეზი 1377—1398 წ.**

**ელიოზ 1398—1419 წ.** გობირახის დე, თავის ნებით  
გადადგა კათალიკოსობიდგან თემურ ლანგის შემოსევის დროს  
1401 წ. ესე მლიოზ მცხეთის ტაძრის ქონებით და სამკაუ-  
ლით გახიზნული იყო მსნის ხეობაში ლარგვისის მონასტერ-

<sup>1)</sup> იხ. ვახ. ისტ. 286 და 287 გვ.

ში, ერისთავ ვილშელთან, რომლის მეუღლე თამარმა (მეტის ბაგრატის ასულმა?) იმ დროს შვა ძე და კათალიკოზმა მილიოზმა მონათლა.

დრო ელიტის კათალიკზობისა ფრიად შესანიშნავია, მაგრამ ფრიად მცირედ ცნობილი კი საქართველოს ისტორიაში. ამ თავის წლის შორის დიდ-დიდნი ისტორიული შემთხვევულებანი სრულად არ არიან მთხვეწებული ქ.-ცხოვრებაში. მემატიანე გატაცებულია თემურლანგის მიერ სამშობლოს ათხებათა გამო სიმწარით და შინაურული ამბავის ადარ ეპრიანება, ადარ ეხალისება დასაწერად. 1405 წ. იანვრის 19-ს მოკვდა თემურლანგი, ხოლო გიორგი მეუე მთიკლა თურქთაგან 1407 წ. მაშინ გიორგი მეფის ძმაშ კონსტანტინემ მიითვისა მეფობა და სჯულიერი ტახტის მემკვიდრე (18 წლის ალექსანდრე) გააძევა საათაბაგოში. კონსტანტინეს ესრეთს მმავრებას არა თანაუგრძნებლენ ქართლის დიდებული და სამღვდელონი და მიზეზიც ეს არის, რომ ქ.-ცხოვრებაში კონსტანტინეს ცალკე მეფობა სრულებით არ ისტენება. ეჭვი არ არის, რომ თავაღ-აზნაურთა გაერთიანებისათვის კონსტანტინე უხვად ურიგებდა ათხრებულ ეკალესიათა მამულებს. ჩვენ ამ დროს მივაწერთ მღვდელთმთავრთა კრების შემდეგს გამართილებით სავსე წერილს, და არა დაშიტრი თავდაღებულის მეფობას. სამღვდელოების და ქართველის ერის სული და გული იმ დროს ათაბაგ იგინესთან მუოფ ალექსანდრესთან იყო, რადგან წარჩინებული ქართლის დიდებული თან ახდნენ „ხუთსა წელსა დარიბობასა“, დიდი ბარათა, თავა ზევდგონის ძე და სხ. მოგვუაგს ეს შესანიშნავი კრების გარდაწუმეტილება და... „ბეჭმედრებით და გრეკთ კარსა მოწეულებისა თქვენისასა, მთიწეინეთ ჭრტინგა ჩვენი და სიგლასაკე და უქონებელი... ქვრივად და აბლად დასხმული ეკალესიანი ღმრთისანი, შეიწეალენით განშოულებანი, სიმართლით შემთხვენით, ისტენით დაწუნებული, უსაჭერ სამართალი მართალი, რათა მართალთა თანა ეწესნეთ და ისტენით ჟარიოებისაგან მწარისა, გითარცა იტევის წინასწარმეტეველის შინოთა, უფალი საბაზ, დმერთი წმიდა ისრაელისა: „რომელმან გამოიუგანს პატიოსანი უპატიოებისაგან, გითარცა პირი ჩემი იუს“,

რომელთა შირველი არს თავი სჯულასა და ეკლესიათა მცხეთაი. და უკეთე თავსა ჯერეთცა ნედლსა ესრეთ ეყოს ხელ-ფერს, თით-თით, მწვერვალებამან რამცადა ინაუროვეს? გადად იტევის: „აღუთქუ და აღუსრულე უფალსა უოველი აღნეთქუ შემით“; და „უმჯობესის არს არა-აღთქმა, ვადრე აღთქმა და არა აღსრულება“. სრულ უავ, წმადან და ქრისტეს კვართითა მოსილო მეფეო, ბრძანებული ესე თქვენი! სიტევგნი საქმით სრულ უვენით, მოაღებინეთ სიგლები და ნაშები უველაი უველაის, ვის ვისთვისცა გიბძებია! არა თუ ჩვენთვის რაისამე და ჩვენისა შეძენისათვის ვიწყინებით, მაგრამ საღმრთოდ წერილს საღმრთოდე სამს ქონება და მაუენება და თვით საუდართა ქონე. ბაი დიდათ უფრო თქვენი ქონებისა: აშ თუ ერთხელ საჭურჭლე-სა თქვენსა შემოდებული და ერთგზის თქმებულის გამოძღვანებული თვალთა და მარგალიტა და ჭურჭელთა ფქრთსა და ვეცხლისათა თანა რამე მცირე, ანუ გინა დიდი საჭურჭლესა შინა თქმენსა მდება-რე გამოიღოს ვინმე, ანუ თქვენვე გამოგწირს, ანუ წარაგოს, რა-იდმე ნიჭიმცა მიანიჭენათ, ანუ პატივნი და ქებანი აღუარენით? არამცა უფროს რისხვეულ და პატივებულ უპირით? ღმირთისათვის შეწირულთა ადგილთა გაცემის ვაზირი მაწვეველი, მაქმნეველი და მნებელი გაცემისათვის, ვითამცა არა ღვთისგან რისხეულ იქ-ნეს? ვინცა იკადებს და გინა აქნევს? ვითა კეთილის მ. მოქმედე-ბულსა კეთილი მიენიჭების ღვთისა მაერ, ეგრეთვე ბოროტის მი-ზეზი ბოროტისა მოისთულებს ღვთისა მიერ.

ვაცი, რომ მრავალნი კადრებებ უაშისა მაქლბედობასა და სა-ჭირობასა, მარა ამის უძნელბედესნიცა უოფილან მაშინ უაშინ, თდეს დიდი კათლივებ ეკლესია შენებულა, ასრე. რომე ჯაფარამირი და ჯადობილა, თბილის ქალაქი სპარსთა ჰქონებია და თვით არამცა მიზეზი არგინ კადრა საუდართა, ქვეუანისა ქონებისა და დარღვევის მნებებელმან. უოველი დრკულ მავალი მიზეზებამდ მზაო, მაგრამ ნუ მისცემთ გზასა შეტეველთა ესე ვითარისა შეტეველებისასა.

სამოცდა მეათხუთმეტენი შვილი კართ თქვენთა გვართანი და რომელი მეზე თქმა დღენთა ჭირთა, ღვაწლთა და განსაცდელთა გან არა სხსალა, ვითა ღმერთსა თქვენსა მხსნელსა თქვენ უსხი-

ჭართ? და არცა რომელსა მეფესა თქვენგან უფრო ღვის გზის და-  
ჭირება ჰქონდებია. ამ სამოცდა ათხუთმეტთა თქვენთა გარდასრულთა  
შეფიბისა შიგა უფროსი და უმრავლესი ჟამი ამისგან უძნელეს და  
უბროლეტესი უოფილა, გითა ქართლისა ცხოვრებად გამოაჩენს. რო-  
მელისა დიდებულესა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გვესა  
აქვს სიგელი თქვენთა გვართაგან ბოძებული? და თუ ვის აქვს, არა-  
ვინ დაჭმალავს, რად არა ვინ გამოაჩენს, რომე საუდართა სოფელი  
ვის ზედა გაცემულ იუს და ეწეროს თვინიერ ამისსა რომე თქვენ  
გაგიცემიან და კიბოძებიან სიგლითა. ესეც იუწერნ წმიდამან მე-  
ფობამან თქვენმან აწ შეკრებულისა ამის კრებისაგნ წესი სახლისა  
და ჭალატისა თქვენისა ესე უოფილა: ვინცა ვინ დაკრულვალა რა-  
თაცა მიზეზითა და საქმითა, თქვენ მიერცა შერისხულა — მამული  
ღასპირვია და ლაშქართა შიგან არ შეშვებულა. აწ თუ ვის  
დაჭმულულავთ, გამოიჭებს თქვენსა დარბაზისა და თქვენთა ვაზირთ  
შეჭმირთებს; ბრძანებასა და კაცს უბოძებთ — ჯვარი დასწერეთ, გაწე-  
რომისა და ჭავად გახდის ნაცვლად. — ესე ეწესო წესი ნებარადეს  
იქნების, ნუ დაგვემართების. ვისაც დავკრულვიდეთ, თქვენც შექრის-  
ხედით და ხრმლითა თან უდეგით სჯულთა და წესთა სამდვდე-  
ლოთა, საღმრთოთა წერილთა მოძღვრებისაებრ. თუ თქვენს მე-  
ფობაშიგა არ შეჰქაზმავთ საუდართა და მოხასტერთა და არა უბო-  
ძებთ. სელთა მათთა საქონებელთა, ვინცადა დაუურება, ანუ ვინცადა  
ჭედრა თქვენთა სიგლებ ნიშნებთა გატეხაი? ცოდვა ებე ბრალი  
და ცოდვაი არა არს, ვითა ცოდვის სახედ და იგავად დიდებაშ მომა-  
კალთა და უოფადთა ჟამთა და კაცთათვის მისათხრიბია მოსახსე-  
ნებლად. არღარავისგან გვაქვს ჟატივი: არც სჭულსა და არც ების-  
კოჭისთა, არც მოხაზონთა, არც სუცესთა, არც მღვდელთა, არცა  
შიჭრინსა, არც ქორებისკოჭისთა; — უკელა უკელას უპატიდ, შეუ-  
რაცხად, გინებით და ბასრობით უჭეავთ! რად დახსნით წესსა საქე-  
მელისა? რად უპატიდ ჟეოფთ პატიოსნებასა და საკრძალაობასა ამის  
სისისა საქმისასა? რომელი მეფე იქნების უპატიდ მეოფელი, შეუ-  
რაცხად მახსენებელი ებისკოჭისთა და მოხაზონთა?

თქვენ სიყრმითვან ღვთოვ წწავლულნი ხართ და საღმრთონა.

წერილი ზეპირით უწესით. ომელთა საქმეთა მოქმედი მუზე იქ. ნების, ანუ ომელთა იუველირის? რანიცა პატივზნი თქვენთა გვართაგან ზედ სხმის ებისკოშზთა და მონაზონთა, მასვე თვენგან ვიღილსებო. დეთ; და თუ თქვენ უშატიოდ გვეავთ, ვანმცა არა შეურაცს გვევნა? ვინმცა რა გვაგინნა? ვინმცა არა უშატიოდ და ავად დაგვხადნა? თვით პირად ამას გვეუბნებიან მქონებელნი და მნებებელნი საყდართა და მონასტერთა საჭონებელთა ქონებისანი: „პატრონი არ გვა- დებინებს და არც წაგვიდებს, ომელსა სიგელით უბოძებია და თქვენ არ დაგვიდებთ და არც გვემართლებით დადებინებასა, ქრთამს მოგცე- მთო“. ამ საქმეს თქვენვე სწამლეთ და დასდევით ემშლასტრო სა- კუნებელი. ნუცა ვინ უალნობის მიზეზსა შემოიდებს: რაც საყდარ- თა საჭონებელთა უალანი ჰქონთებს, მისნიმც მზღველი ვართ და არას უკუგადგვით და თქვენს თქვენნი თქვენთაგან განადამც გმის- ხურებდით ძალისაებრ და შეძლებისა ჩვენისა! ესე ამის კრების აწ შეკრებულისა ძალი უფლეთა შორის საცნაურ იუავნ წმიდასა და თვით-მშერობელსა მეფეთ შეფობასა წინაშე, ომელ, თუ ღმერთი გურისსავს და მიუღრებელი და წმიდა გონება თქვენი ცოდვათა ჩვენთა სიმრავლისაგან მიღრებების და ესე რაც გვიგადრებია და მოგვისე- ნებია არ დაგვეურვების ჩვენითა წესითა, რაიცა დაგვიპირებია, ამისნი მქნელი ვართ: არცა მიჟრონისა განვჭისნით, საჭართველოს ეკელე- ბისთა დავჭიბეჭდავთ, ხუცესთა დავაუენებთ წირვისა და ნათლვისა და სამკუდრთთა ზიარებისაგან. თვინიერ ამისსა ქნისა სხვისა ღონის უფლოთ ვართ. და ნუ თუ ამისითა ქნითა სხვად სჯუ- ლთა და სხვას ცოდვათაგან. მეფობასა თქვენსა საწეინო რამე შე- მოუვიდეს და სჯულიცა ჩვენი დაკნინდესა ეზომის კადნიერებისა და წეენა კადნებისთვის გითა საშენელისა ღვთისა საშინელებათაგან ვძრწით და ვიშმუვით, გარნა საღმრთონ სჯული მეფეთაცა ზედა მთავრობად ბრძანებულან და სადა ღმერთი დაგვწირდების, მუნ- ერველსავე შეურაცხველფფით, და „მათნებელი კაცთა ქრისტესრა მთ- ნა არ ვიუოო“, წმიდა მოციქული შავლე სწერს.

აწ აქა შეურილი და გაუურელი და მომლოდენი ამისის დაურევებისანი უფლენივე აქა ვართ და ვიღოცავთ წმიდასამ....“

შეფერა მიერ შევიწროება სამღვდელოთა და ეკკლესიათა იშვია-  
ზო არ იყო; მაგ. შეფერ დაგით რუსულანის ქ. „მაშინ.... მგზავრ  
მომავალსა შეფერსა დავითს შეედეს სადმობამ შეცლას და ვითარ  
შეუწინალთა ვერ უძლეს კურნებად, მაშინ ევედრა ხატსა მარტომერ-  
ფისასა და მივიღა მის წინაშე, ვითარ ჩვეულ იყო, რამეთუ პირველ  
ამის შეცლისა სნეულებითა შეპურია ილ იყო და მეუდარი იღვა  
უსიტუგოდ, აღედგინა ხატსა ხორცშესხმულისა ღუთისასა, ხოლო აწ  
არღარა ჭრია ლხინებამ ამისთვის, რომელ მოაკლო ღვთის მსახუ-  
რებამ და იწყო რღვევად საყლართა დაბლად....“<sup>1)</sup>)

თუ რა თავზარდა მცემი და შემშესყრელი იყო ლანგორემურის  
შეიძლებ შემთხვევა (1393—1405 წ.).) საქართველოში და რა  
განსაცდელი გამოიარა ამ ღრცს საქართველოს ეკკლესიამ სამღვდე-  
ლოებითურთ — ამის არა ნაკლებ შემაძრწუნებელი მოთქმით გაღმოგვ-  
ცემს ჩვენი თვალცრუებულიანი მემატიანე ისე და იმ კილოთიგე, რო-  
გორც მონგოლთა შემთხვევის ღრცს. ასე აგვიწერს იგი ქვემის  
ნირვისა და აკლების შემთხვეულობათა: „....განწესა (თემურლანგმა)  
სტასადარ ერთი ვინმე წარჩინებულთა თვისთაგანი და მისცნა სიმ-  
რავლენი სპათანი ურიცხვი, წარმოგზავნა საქართველოსა ზედა და  
ამცნო სრულიად მოხსრება და დასრულება ქართლისა, და უშეტესად  
წმიდათა ეკკლესიათათვის, ციხეთა და შენობათათვის ეტეოდა —  
„დარღვიეთ, დაარღვიეთ მისაუმჯელადმდე მისა!“ მხცოფანთა მამა-  
თა და დედათა, უფროსთა სამღვდელოთაგან, რომელნიცა შეიპურან,  
მოსრან უფველნიერ პირითა მახვილისათა და სხვანი წარტევენონ,  
და ტუგე ჭერნ და მოწვან ცეცხლითა წმიდანი ეკკლესიანი და ერ-  
ვნებიერ დაბანი და შენობანი ქართლისანი.“ და ესრედ ამცნო და  
განმოტკიცნა სარდალნი. და უფველნიერ სპანი თვისნი მმღავრმან  
უწალომან ლანგ თემურ. მაშინ წარმოგიდენ და მოწიგნენ მსწრაფლ  
შეისთა შინა აკეთა ქართლისათა, ქრისტეს აქეთ ჩტებ.

და ვითარცა მოიწიგნეს, მაშინ მოცვეს ტფილისი და სრუ-  
ლიად უფველნიერ სანახები ქართლისანი, და სრულეს უწალოდ,

<sup>1)</sup> იბ. ქ.-ცხ. 409: 33.

ჭითარცა პირველად მეგგიზტელთა ღვთისა მიერ რისხვით მივჭინებული იგი მომსრველი სენი, რამეთუ ესრედ თქმულ არს— „რა გზის უამიცა აღარ მიექცევისო.“ ნამდვილვე ფრიად უბოროტეს გამისა გამოჩხნდეს იგინი, რამეთუ მომსრველი იგი უამი ზეგანდა. მთ ბრძანებითა უფლებად მოწყალისა ფვთისათა მითვისნების კაცთა ზედა, განმრავლებისათვის ცოდვათა ჩვენთასა და ჭიშროვნის ვა. თარცა საუვარელსა ძესა მამა იგი მოწყალე, რათა შეინახონ და მოიქცენ სინაულად, და განგებითა ღვთისათა მის მიერ აღსრულებული გვამი მკვდართანი უფლენივე მღვდელთა მიერ შეიმურვის და იმსახურების და წმიდათა ეკკლესიათა შინა განწესებულ არს სამარხო მათი, პატივად და სალინებულად აღსრულებულთა სულთათვის; და მომსრველი იგი სენი ვერ მიესების მღვდელთა რათურთ, და ესრედ განთავისუფლებულ არიან მღვდელი მომსრველთა სენთა მიერცა, და წმიდათა ეკკლესიათა მიერ ფრიად შიშნეულ არს და მძრწოლარე ჭირი იგი მომსრველი; არამედ ფრიად უბოროტეს გამოჩხნდეს მომსრველისა მისგან უამისა სშანი იგი ჭანგთემურისანი საქართველოსა შინა. ხოლო არა თუ უფლებათა კაცთა სრვა კმა ეუთ, არამედ წმიდანი ეკკლესიანიცა და მას შინა მუთფრი სამღვდელონი კრებული ცეცხლითა დამწვარ იქმნეს მათ მიერ. მაშინ დაუტევეს ძვე პერძონი იგი სანახები ქართლისანი და წარვიდეს ზემოთ კერძო, შიდა ქართლად, ოომელისა აწ ზემო ქართლად უწიდენ; რამეთუ პირველ მათსა დაშთა შიდა ქართლი წარუტეველად. მაშინ მივიღეს უსჯულონი იგი წმიდა კათოლიკე ეპკლესიასა მცცელას, უფროსიდა და უმეტეს საკურთხევენი შერითა მისითა ეჭა ვამე, ღლისა მისთვის და უამისა, ოომელი მოიწია ჩვენდა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა! აჭა, წარმოდეგინ ჩვენდა გოდებისა მთხველად ხმა ღრმათ მტირალი საღმრთო იერემია, მეტწეველი ესრედ: „განიშორა უფალმან საკურთხეველი თვისი, განაბნია სიწმიდე თვისი, შემუსრა ხელითა მტერისათა ზღუდე ტაძართა მისთა!“ ხმა ბრძოლისა მოსცა სახლსა შინა უფლისასა, ვითარცა ღლესა შინა ღლესასწაულისასა, და ეპვეთნეს ქვეუანსა ბჭენი მისი, წარწეუმიდნა და შემუსრნა მოქლონი მისი, მეფე მისი და მთავარ-

ნი შისნი წარმართთა შორის და არა არს ჭიჭული, წინასწარმეტე-  
ვეფთაცა მისთა არა შეგეს ხილვა უფლისა მიერ!“ რამეთუ ესრეთ  
სახედ უოველივე ჭურ მძღვანელის უწევალომან ლანგ-თემურ საქართვე-  
ლისა შინა, ვითარცა მეფემან ბაბილონისამან ნაბუქოდონისარ  
მთა-  
წია იერუსალიმს შინა, და უფროსდა გარდამატა მას, რამეთუ მან.  
არა იყადრა დარღვევა ტაძრისა მის სოლომონისა, თვინიერ წარლე-  
ბისა მრავალ ფასისა მს: პატიოსანთა ჭურჭელთა ტაძრისათა. არამედ  
ამან ლანგ-თემურ ესე თდენი ბოროტი ჭემნა, ვითარმედ წარიღდ  
სრულიად პატიოსანი. სამკაული და შემცირდოლობანი ჭურჭელინ  
წმიდისა გათოლიკე ეპელესისისნი და იგი არა ჯერ უჩნდა კმა უო-  
ფად. არამედ თვითონა შეჭერა და ბილწითა ხელითა წარმდებად  
ხელ-ჭურ დარღვევაზ და მოთხოვებად სვეტისა ცხოველისა შინაგან  
გრეთ ზღუდენი და პალატი და უოველივე შენობანი სრულიად  
იაყარ ჭუვეს სპათა ლანგ-თემურისათა. ამისა შემდგომად აღიყარნეს  
და წარვიდეს და, სადაცა განვილეს, დაწევს და მოთხოვეს დაბანი და  
შენობანი აქმდ კერძოთა სახახებთანი.

და ესე ვითარითა სიბოროტითა მიიწივნეს ქვაბთა-ხევს და  
იგრა მოიცვეს და წარმოსტევენეს, და ჭუვეს მრავალი ბოროტი  
გარეშე წმიდისა ეკვლესისა; და ინებეს წმიდისა მის ეკვლესისა  
ცეცხლითა დაწვა და დარღვევა, რამეთუ შიგან ტაძრისა მის შეჭ-  
ტოლველ იუგნეს უოველივე მუნ მუოთნი. წმიდანი მღვდელი, დია-  
კანი და ფიჩისანი, მღვდელ-მონაზონი, გლახაკნი და უდონო-  
ნი, დავრდომილი და დედანი მონაზონი, რომელი მდგომ იუგნეს  
აზნაურთა და თავადთა ასელი და დედანი. ხოლო ესე უოველივე  
მონაზონი გამოიყვანისა და შეასხნა სამეჩანგო შესასხველი, და  
დაწვიდნა ეჯვანი და ფერხითა დააბმევინა<sup>1</sup>), ათამაშა და აღდერა;  
და ერთმა ვინმე მონაზონმა ადმოთქვა „ვაჟ ჩვენს დედაბორობასა,  
ეს რა გვეჯდარუნებიან!“ ამისა შემდგომად რომელიცა ინებეს წა-  
რიუგანეს, და რომელთა არა დაუტევეს ჭიჭული ქრისტესი. და ურჩ  
ექმნენ მათ და გლახაკნი და დავრდომილი იუგნენ, მათ უოველთა

<sup>1</sup> ე. ი. ფერხული.

შეუკრნეს ხელი და ფერხი და დაწვეს საშეალ ეპკლესისა! რა მეთუ იქ ხმა მათი ვაებისა და ოხრებისა, ვითარცა ქუხილი ცისა! ხოლო მათ უოველთა, უკეთურებითა ადსავსეთა, აღაგზნეს შიგან და გარეშე ტაძრისა მის ცეცხლი მძაფრი და დაწვეს ტაძარი იგი ქვაბთა ხევისა და მის შინა მუთფნიცა იგი წმინდანი და სამ გზის სასატრელი სამღვდელოთა დასწინ, რომელი მას შინა ცეცხლითა ადესრელნეს და წამებისა ღვაწლითა და გვირგვინითა შემქულნი აწ იხარებენ წინაშე ღვთისა და ჩვენთვის ჰელი ვეღრებასა! ხოლო დამწვანი იგი წმიდათა გვამთა მათთა აჩრდილი ვიღრე დღეინდელად დღედმდე, მსგავსად კაცთა სახედ, იხილვების იატაკსა შინა შიგან წმიდას ტაძრისასა, და ესენი სერვილითა წამებისათა და ტროიალებითა ზესთა სასურველისათა შეთქმულ იქმნეს, რათა ღიას იქმნენ იგინი ქრისტესთვის სიკვდილსა და ტანჯვასა! და აქა მცირედ მოითმინეს, და მუნ საუკუნოდ იშვებენ და ითხოვენ ზეცათა შინა უკავილთა მათ დაუჭირებელთა!

ხოლო უსჯელოთა მათ მოვლეს გარემონა მათ აღგიავთანი და წარიტუვენეს უოველნა და ამისა შემდგრმად წარვიდეს და მაიწივნენ რუისს და დაბანაკეს მუნ. მოიცვეს სრულიად შედა ქართლისანი და აღიღეს ციხენი, გოდოლნი და სიმაკრენი უოველნივე, თვინიერ მთისა კავკასიისა. მაშინ ძარითურთ აღმოთხვრეს დიდი ეპკლესია იგი რუისისა, რომელ არს საყდარი ღვთაებისა, ვიღრესაფუძველითურთ დაარღვიეს და ანსადა დაშთა დაბანი და შენობანი მათ მიერ წარუტუვენველად. და ესრეთ სრულ ჰუკეს ბრძანებული დგი დანგ-თემურისნი სპათა ზისთა, ვითარცა პირველ ნაბუზარდან მთავარ ქნდაქარმან შეფისა ნაბუქოლონისორისმან ჰეთ იერუსალიმს შინა, იუდიანთა ზედა მოქმედმან ესე ვითარისა უკეთურებისმან, რომელმან განასახლნა იერუსალიმით ბაბილონივნად იუდიანი, ძენი სითნასანი, სიტუვისაებრ წინასწარმეტუველისა იერემიასა—, მოვალეა ნაბუზარდან მთავარ ქნდაქარი და წინაშე მდგრმი მეფისა ბაბილონისა იერუსალიმად, და დაწვა სახლი უფლისა და სახლი შეფისა და უოველნი სახლი ქალაქისანი, და უოველი სახლი და და მოცეცხლა ცეცხლითათ: “ ესე უოველნივე ჩვენდა მომართ აღა-

სრულა უწევადობას დანგ თემურ და სპათა მისთა, თამეთუ სრულ  
ჰქონეს უფეხლივე ბრძანებული მისი<sup>1)</sup>.

საუკადებობა, რომ ელითზის დროს (1397 წ.) ერთს მცხე-  
თის გუჯარში მოხსენებულია წმ. ნინოს ვაზის ჯვარი<sup>2)</sup>.

**მიმღელი V 1414—1426 წ.** წინათ მთ. ეპისკოპოზი, აღ-  
მზრდელი ბლექსანდრე I მეფის ძის დავითისა კათალიკოსად.  
უგუნურმა პოლიტიკამ ათაბაგებისამ საბურგ მოსწყვიტა საშვი-  
ლიშვილოდ საქართველოს ერთობასა და მით ხელი შეუწყო  
ოსმალთა გაძლიერებასა. მსრეთს პოლიტიკას ხელს უწყობდა  
ანტიოქიის სამღვდელოებაც, შორს მხედველობას მოკლებუ-  
ლი, რაკი სამცხეს სამღვდელოებისა და ეკკლესიებისაგან ნივ-  
თიერ გამორჩომას ელოდა. პოლიტიკურმა განცალკევებამ  
ეკკლესიური განცალკევებაც გამოიწვია. ბლექსანდრე მეფემ  
1415 წ. ათაბაგი ივანე დაამარცხა და შეიძყრო ძოხტის თავს,  
1416 წ. ოსმალებმა ააოხრეს ახალციხის მიდამონი და ამის  
გამო ცოტაოდენის ხნით, დროებით აღდგენილ იქმნა საქარ-  
თველოს გავლენა სამცხეზედ. აი ამ ხანგბში (1420—1426 წ.)  
დაწერილი საინტეცესო პირობის წერილი ზერასიმე მაწ-  
ვერლისა მიქელ კათალიკოზთან: „ქ. ეს წიგნი გკადრე და  
მოგახსენე შენ წმიდასა და მრისტეს მიერ კურთხეულსა . . .  
ქართლისა ქათალიკოზსა მიქაელს. ზკადრეთ და მოგახსენეთ  
მას უძასა, ოდეს მცხეთას მოველ და მაკურთხეთ. აწ ეს წიგნი  
მე მაწყვერელ მთ.-ებისკოპოსმან ზერასიმე გკადრე და  
მოგახსენეთ ვინც შემდგომად ჩემსა სხუანი მაწყუერდლნი  
იყვნენ და საყდრის შვილნი, როგორათაც ამას წინათ მეფეთა  
მლოცვანი და თქვენნი მომხსენებელნი და ერთგულნი ყოფი-  
ლან, ამავე წესითა მეფეთა მლოცვანი ვიყვნეთ და თქვენნი  
მომხსენებელნი ვიყვნეთ. არც ჰარიანე მოვიხსენთ ანტიოქი-  
ისა და არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწენართ, არც ვარ-  
ძის დიაკონი ვაკურთხოთ (ვარძია კათალიკოზისა იყო), და

<sup>1)</sup> იხ. ქ.-ცხ. 454—457 გვ.

<sup>2)</sup> იხ. ქრონიკ. ეორდანიასი II 202 გვ.

ვინც ამა თემსა, ანუ სხუაგან შეაჩუქროთ, როგორაცა თქუქნ-  
გან ნაკურთხევსა გვმართებს აგრე შევაჩვენოთ; და ვისცა შენ  
სწყალობდე, ჩვენც მისნი მლოცველნი ვიყვნეთ . . . და თუ  
ესე ასრე არ გაგითაოთ ჩვენ და შემდგომად ჩვენსა სხუათ  
აწყურისა ებისკოპუსთა და საყდრის შეილთა, შენისა კურთ-  
ხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნეთ, კათოლოკე ეპკლესიი-  
საგან განვეყოთ, ვითარცა ურჩი და ძრის მოქმედი... საფა-  
რის სამწყსო თვინიერ შენისა ბრძანებისაგან კიდე არა ვა-  
კურთხო<sup>1)</sup>). მოგვყავს საყურადღებო წერილი ალექსალრე  
მეფისა: „...მეტეხისა და ხახულისა და ვარძისა ღვთის-მშო-  
ბელო! ჩუენ მეფეთ მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრე-  
მან ჩუნმან დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა მონაზონ-  
მან დავით, ვახტანგ, ლიმიტრი და ზიორგი და ძმათა. ჩუენთა  
ბაგრატ და ზიორგი.... ვცანით რომელ პირის მწდე ტოხასძე  
ძუელთაგან მკვდრი მცხეთის შეილი იყო.... შეცვლოდა  
ახლად შემოგწირეთ მამულითა... კათალიკოზო მიქაელ...  
ესე საქმე მის უამისა შედეგად ვიწყე, ოდეს მძლავრი იყო  
და დიდისა ულუსისა პატრიონი თემურ წარმოემართა აღმო-  
სავალით კერძო, ქუეყანით სამარყანით, და მრავალნი თემნი  
და ქუეყანანი ოკერყვნა.... ეკლესიანი დააქცივნა და... მცხე-  
თა დააქცია ჩუენისა პატრიონობისა და მეფობისა უწინარეს,  
სხუათა მეფეთა უამთა შიგან. და მე მეფეთა მეფემან ალექსა-  
ლრე თც და ორისა წლისამან (141<sup>1</sup> წ.) სურვილით და წალიე-  
რად ხელვყავ შენებად საყდრისა მცხეთისა.... ღმერთო....  
მტკიცე ყავ საწადელი ესე ჩემი! და ამავე უამსა დაიდგინა  
პატრიოარქად ქათალიკოზი მიქაელ, რომელმან მრავალი იღუ-  
წა და ვიდრე დასრულებადმდე საყდრისა ამის იღუწის შე-  
ნობისათვს და სრულქმნისა და ამასვე ქათალიკოზსა მიქაელს  
შევვედრეთ ჩუენ მიერი სურვილი — საწარელი ძე ჩუენი მო-  
ნაზონი დავით. .. მის მიერვე ხელდასხმულ იქმნას.... და...

<sup>1)</sup> იბ. ქრონ. ეორდან. 226—227.

წერა ინდიქტონსა მეფობისა ჩუენისასა შეშვიდესა, ქორონიკონსა რც, სეკდემბერსა ი, ხელითა დემეტრე მარკოზის შვილისათა....”<sup>1)</sup>

**დავით III 1427—1430** წ. ჩვენის ფიქრით კათალიკოზი დავით არის ძე მეფის ძონსტანტინესი, რომელიც მეფე ალექსანდრემ იშვილა და ბერად შეაყენა, მოამზადებინა საკათალიკოზოდ და აღიყვანა ამ ხარისხზედ. ამის საბუთად ჩვენ მიგვაჩნია: ა) შფროსმა ბატონის შვილმა ვახტანგ ალექსანდრეს ძემ მხოლოდ 1442 წელს იქორწინა ვანას-კერტელის თაყას და სითიხათუნ შეირთო<sup>2)</sup>. ბ) დავით-მა 1426—1427 წელს მიიღო კათალიკოზობა და მიიცვალა 1430 წ. გ) ალექსანდრე მეფე კი დაიბადა 1389 წ. გამეფდა 24 წლისა 1413 წ. და კათალიკოზად 24 წლის ნაკლებს ვერ აკურთხებდნენ დავითს. ალექსანდრე მეფე მეტად მშვიდი და კაცომოყვარე კაცი იყო: თავის მტრის და მესისხლედ მდევნელის ბიძის, მეფის ძონსტანტინეს († 1411 წ.) აღაპი დაამტკიცა გამეფების უმაღვე (1413 წ.), აგრეთვე მისის მეუღლის დელოფლის სითიხათუნისა 1415—1419 წ. შორის. ამით მეფე ალექსანდრემ დიდი მოცილე მოიშორა თვიდამ. ძათალიკოზს დავითსაც აღაპი დაუწესა მეფემ 1431 წ. თუ ჩვენი აზრი შემცდარია, მაშინ ალექსანდრე მეფე 1389 წ. წინათ არის დაბადებული, მაგრამ თვით მეფე ალექსანდრე გვიჩვენებს 1389 წ. თავის დაბადების წლად.

**თმოდორი III 1430—1435** წ. 1431 წ. მეფე ალექსანდრემ ლორის ციხე წაართვა მონგოლთ დანაშთენ მფლობელთა და ამიტომ მცხეთის სვეტისცხოვლის ტაძარს შესწირა ს. ამუჭი. ამა შეწირულობის გუჯარში მეფეს მოჰყავს ის სიტყვები, რომლითაც, ჩვენის ფიქრით, კათალიკოზს თევდორეს მიუმართავს ლორის ასაღებად მიშავალი ჯარისათვის:

<sup>1)</sup> იხ. იქვე 226 გვ.

<sup>2)</sup> იხ. ქ. ცხ. 474 გვ.

ველად ვედრებითა ღუთისათა და კუალად ლაშქართა შიმუნებითა ესრეთ, ვითარმედ ამა უსჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შეილი ალასტანელი ზიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუფებიან და ტახტი მეფეთა განურყვნია და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლ საფორმელი ქუაბ აფაზაკთა უქმნია — და უნეთა (ცხენთა) მათთათვს საყოფად განუჩენია. აწ იბრძოლეთ ძლიერად და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, შრისტესოვს წამებულთ გუერდით შითუალვით! და დაღათუ ვინმე დაკოდითა, ანუ და შავებითა და რათაცა ტკივილით იტანჯებით, ყოველსავე ქრისტე მისად ნების მურჯელად მიითუალავს!..“ და მერე განაგრძობს მეფე: „და შეწევნითა ღუთისათა და ჭოტკთა მათთა (კათალიკოზია) იქმნა და ვიშოვეთ არა თუ ამუჭი“<sup>1)</sup>... ამა თეოდორეს აძლევენ ერთგულების ხელწერილს მაწყვერელ მთ.-ებისკოპასი სერაფიონი და იოანე მანგლელ-თფალელ მთ.-ებისკოპასი.<sup>2)</sup>

**დავით IV 1435—1439** წ. სამცის პოლიტიკურად განცალკევებას საქართველოდგან დიდად შეუწყო ხელი ათაბაგის შვარყვარე II დაუძინებელმა მტრობამ საქართველოს მეფის ზიონის ზიონისამი (1451—1466 წ.), ჩამოაგდო ეკკლესიური განხეთქილება და საათაბაგოს ებისკოპოსებს თვითონ შვარყვარე ნიშნავდა მცხეთის კათალიკოზის დაუკითხავად. აი ამ დროს ტრაპიზონის მახლობლად მდებარე ანჩის მღვდელმთავარი (ანჩელ არქიმან დრიტი) შერობინ (აბელის ძე) აძლევს 1453 წ. კათალიკოზს დავითს შემდეგს პირობის წერილს: „...სუეტისა ცხოველისა და უდ საშინელისა ანჩის ხატისა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა ესე წიგნი და პირი გკადრეთ თქუენ შრისტეს ღუთისა მიერ ქართლისა კა

<sup>1)</sup> იხ. ქრონიკ. უორდან. II 242—243 გვ.

<sup>2)</sup> იხ. იქვე 238—237 გვ.

თალიკოზსა დავითს მე პბელის ძემან ანჩელ არქიმანდრიტმან  
შერობინ მის უამისა შედეგად, ოდეს მაწყუერელი და სამც-  
ხისა ებისკოპოსნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუ-  
ნეს საფარისა თავზედა და თქუენ დიდითა ხუაიშნითა მაკურთ-  
ხეთ. აწ დღეისითგან წალმა ჩემად დღედ სიკუდილამდი ვიყო  
თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული და მეფეთა მლო-  
ცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ  
მოგიკავენებდეთ. ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი  
იყუნენ, ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს. თქუენ-  
თა შეუნდობელთა ებისკოპოსთა გუერდით უამი არა ვწიროთ,  
საღამდის თქუენგან აკსნილობისა და შენდობისა ნიშანი არ  
მოგვიდეს; ვის სწყალობდეთ, ჩუენც მისნი მლოცველნი  
ვიქმნეთ; და თუ უუარყუარემ მაწყვერელობაც, ანუ სხუა-  
რამე კელი გუაძლიოს და დაგუპატიეოს კურთხევსა მიზეზი-  
თა, საღამდის თქუენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ, და რა-  
ზედაც უწყრებით თქუენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ და-  
რაზედაც უწყრებით თქუენისა საყდრისა წესითა იგი ესრეთვე  
არა დაგეურვოს, როგორაცა თქუენ და თქუენსა საყდარსა გმარ-  
თებს, მით წესითა, სხუა კელი არა გამოვართუა და არცარა ვინ-  
დომო თქუენად დაუმოწმებელად და შეუნდობლად; თქუენისა  
საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერთგულთა მოყუა-  
რენი და მლოცველნი ვიყუნეთ, ვითა წესად სძეს მეძლუნე-  
ნი და მოსამსახურენი. ესე ასრე გაგითაოთ ლ'ნ მამამან, ძე-  
შინ და სულმან წმიდამან და იმა საშინელმა ხატმა ანჩისამან  
და რისაც მიზეზისათვეს ესე აღთქუმა გიტყუვოთ და არა გა-  
გთაოთ, თქუენისა კურთხევისა წყევასა ქუეშე ვიყუნეთ ლუ-  
თისა და მისთა წმიდათა... ვინცა ანუ სამწყსომან, ანუ სხუა-  
რა ვინ კაცმან შემიწყნაროს, იგიცა კაცი კრულია... სა-  
დამდი თქუენვე არ შემიწყალოთ. ამას გარეთ მაწყუერლო-  
ბა, ანუ სხვა კელი რამე გუაძლიოს, არა გამოვართუათ უუარ-  
ყუარეს თქუენდა დაუმოწმებლად და ბატონის ჩემისა უზია-  
ნოთა საჭმითა; საყდრისა და თქუენი ერთგულნი ვიყუნეთ...

ასრეთსავე პირობას აძლევს ითანე შუმურდოელი, ლასურის  
ძე<sup>1)</sup>). დავითი მერეც იყო კათალიკოსად 1447—1459.

ამავე დროს არის დაწერილი შემდეგი საინტერესო წე-  
რილიც: „...ეს წიგნი გკადრეთ თქუენ ქათალიკოზსა მეუფესა  
დავითს, დაგიდევით აღთქმა ჩუენ საფარისა და ვარძიისა ძმა-  
თა მას უამსა, ოდეს ცბიერი ბერძენი მოვიდა, ცრუ წინასწარმეტ-  
ყუელი და მცირითა რათმე სიტყვია მიგვზიდნა. აწ თქუენ  
გაგუიწყერით და კიდეც უმართლე იყვენით... ვითა წესითა  
ყოფილ ვართ, მითვე წესითა ვიყვნეთ: არც მიტრობოლიტი  
(ბერძნისა) შემთუშვათ, არც მისი წიგნი ვნახთ, არცა მისი მცნე-  
ბა გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ. არც უმც-  
ხეთოდ ჩუენი მღდელი და დიაკონი იკურთხეოდეს; არცა  
რამ ჯავახეთს და წალისყურს ვისაქმოთ სამწყსობისა პირ-  
ზედა და ვიყუნეთ თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი“<sup>2)</sup>.

**შიო II 1440—1443** წ. გამეფედა თუ არა ალექსანდრე  
1412 წ., მაშინვე მიჰყო ხელი თემურ-ლანგისაგან დანგრე-  
ულ ციხეთა და საყდართა განახლებასა, ანუ ხელახლად აღ-  
შენებასა. ამისათვის თავის სამეფოში თვითოვეულ კომლს  
შეაგდო წელიწადში სამი აბაზი და ეს მოკრებილი ფულით  
დაასრულა ეს დიდი საქმე 1440 წ., რომელსაც ასე აღვი-  
წერს დიდი გვირგვინოსანი: „...ქორონიკონსა რა (1412 წ.)  
მეფედ დავჯედ და ყოველი საქართველო უსჯულოსა თემუ-  
რისაგან აოხრებული და ქართლი უნუგეშინისცემოდ გან-  
სრული დაგვხუდა ესრეთ, რომელ უსჯულო იგი. შემოვიდა  
საქართულოს ქორონიკონსა შე და ვიდრე ჩუენად მეფობისა  
დაჭირვადმდე ესრეთ... ტფილისით ციხითა მეფე ბაგრატ და  
ანნა დედოფალი გამოასხნეს, დაატყუუვეს და მრავალი სული  
მოესრა და თავად დედაქალაქი მცხეთად და რაოდენი სა-  
ქართველოსა საყდარნი ეკლესიანი და ციხენი იყუნეს, ყო-

<sup>1)</sup> იხ. ქრონიკ. II ყორდანისი 267—268 გვ.

<sup>2)</sup> იხ. იქვე 269 გვ.

ველნი დაქცივნეს საფუძველითურთ და სრულიად საქართველო  
ტყუე ექმნეს და ჩუენისა მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი  
ტყუენუა და რბევა იყო საქართველოსა, და გაოხრდა და  
სავარ იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით  
ჰქონდა. და შენ მიერითა შეწევნითა და წინამძღვარებითა  
ჯუარისა პატიოსნისათა ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და  
განვასხენ მზღვართაგან ჩუენთა და ქრისტიანენი ფრიადსა  
შველბასა და მყუდროებასა მიეცნეს. და ვითარ ჩუენგან  
სათანადო იყო, ეგრეთ ვინებე და ვიგულსმოდგინე ყოველ-  
თავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად. მას  
ფამსა შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით რა იყო და ამად  
საქართველოს კუამდსა ზედა დროშიც თეთრი მალად განვაჩინე  
და ასოციარფად ქორთიკონადმდე (1440 წ.) რაოდენნი სა-  
ქართველოსა ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყო-  
ველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამკუენ და აწ  
ჩუენსავე უამსა შიგან ამოგვიკვეთია. მსრეთ დღიესითგან წა-  
ღმა რამანცა ჩუენთა მომავალთაგანმა მეფეთა, ანუ დელო-  
ფალთა და ანუ სხვსა გუარის კაცმან ადამის ნათესავმან სა-  
ქართველოს მალი ითხოოს, მოკრიფოს და წაიღოს, აწიენ  
შეერთო! ულხინებელი რისხუა. შენი და ჩუენთა ცოდუათა  
და ბრალთათვეს იგი განკითხულ ქმენ მას მეორედ მოსლვასა  
წინაშე თქუცნსა... და კუალად გევედრები თქუენ ძეთა ჩუენ-  
თა ვახტანგს, ზიორგის და ლიმიტრის და შემდგომთა მეფეთა  
და დედოფალთა, რომელ ჩუენი აღთქმული სრულყოთ და  
დღიესითგან წაღმა მალის აღება არავინ ინებოთ! და კუალად-  
ვე ამას გევედრებით, რომელ საყდარნი ვითარ ახლად აღგზ-  
უებიან და რაოდენნი ქუეყანანი და შესავალნი შეგვრი-  
ვან და მოგვხენებიან, იგინი უნაკლულო ჰქონდენ და რა-  
ოდენი. ზეთი და ცკლი გაგვიჩნია და ჩუენისა სულისათვე  
შეირველი, ანუ სამამულოთა და ანუ სხვთა სახარჯოთა გა-  
გჩენია და ჩუენად მწირველად დაგვუენებია, მათ მათი გაჩე-  
ნილი ნუვისაგან მოაკლდების და ჩუენ ნურას უამისა გამო-

ცვლილებისა და შემოსრულობისათვს ნუ მოგუეშლების და ყოველთავე სრულ ქმენით, რათა ღმერთმან თქუნენი ვე-ლრება და გაგებულიცა სრულყოს. დაიწერა სიგელი ესე ქო-რონიკონსა რკტ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა კი, კე-ლითა მწიგნობრისა.... ჩუენისა ძლიმი ძაკლაჩასძისათა. მინ-ცა შემდგომად ჩუენსა მეფენი და პატრონნი იყუნეს, მათვე მალი არავინ აიღოს; და თუ ულუსი მოვიდეს და თათართა-გან ძალი დაემართოს, რაიცა ციხეთა და საყდართა დაუ-ქცევლობისა და თემთა და ქუეყანათა ამოუწყუედლობისა და უამთა და ქუეყანათა დაუწყუეველობისათვს — მათთვს, — სხუდ მოსაემარებლად მალი არავინ აიღოს“. ამტკიცებენ: მეფე შიორები, კათალიკოზი შიო, ამბა ალავერდელი აბრაამ და მანგლელი ითანე. <sup>1)</sup>

ამის შემდეგ მეორე წელს (1441 წ.) ალექსანდრე შე-ფერ მცხეთის სვეტის-ცხოვლის ტაძარს ჩრდილოეთის მხრივ მიადგა მშვენიერი სამწირველო მთავარანგელოზის ეკუდერი თავის სასაფლაოდ, შედგა ბერად პთანასეს სახელით, მის-ცვალა 1443 წ. და დაეფლა იქვე, ეკუდერში, რომელიც 1837 წ. ნაღმით დაანგრიეს. ამისთვის გოგვყავს მშვენიერი ანდერძი: „....ვიგულს მოდგინე მოლტოლვად თქუნდა და მცხეთას... ცალკე ახალი ეკუტერი აღვაშენე ჩრდილოთ კე-რძო და საუკუნოდ საყოფელად განვიმზადე და შევწირე ქუეყანა სხორი (სასხორი?).... შირშის სახლი მცხეთასა შევ-სწირე, მისაქციელი.... და ჩუენთა საფლავთა ზედან ოთხი მეკუდრენი მწირველნი გავაჩინეთ: მლიოზის ძე დიმიტრი, ჯვარისმტვირთველი მახარებელი, ზაქარია და მლიოზ.... ოთხი კანდელი წლითი-წლად დაუვსებელი,... ყოველს წე-ლიწადს იბ ლიტრა სანთელი მიეცემოდეს ეკუდერს ასანთე-ბლად....

დაიწერა ქორონიკონსა რკტ, ინდიკტ. მეფობისა ჩუენია

<sup>1)</sup> იხ. ქრონიკ. ეორდან, 247—249 გვ.

სასა კო, კელითა ძლიმი ძაკლაჩისძისათა. “ მსრეთივე შეწირულობის რამდენიმე ანდერძი იხ. ქრონიკ. II უორდანისი 249—254 გვ.

**დავით V. 1441—1453** წ. მს დავითი წინათაც იყო კათალიკოზად. ამის დროს შემოწირული ძვირფასი გარდა მოხსნა სვეტიცხოველისა დღეს დაცულია ჩვენს საეკკლესიო მუხეუშში ზედ წარწერით ხუცური ასომთავრულით: „ქ. დიდისა მეფეთ მეფისა ალექსანდრეს ძესა მეფესა ზიორგის გაუგარჯოს და ცოდვანი მისნა შეუნდოს ლმერთმან, რომლისა ბრძანებითა საფლავს დადება მხსნელისა ჩუენისა იქსო ძრისტესი შეიმოხსა“...

ამა დავითს ზობელისებ ამირეჯიბი რამინი აძლევს 1451 წ. შემდეგ საყურადღებო სიგელს: „ . . . ესე , სიგელი სამკვდრო სამამულე... მოგაქსენ ეთ .. მცხეთასა საყდარსა და.. კათალიკოზსა პატრიაქსა დავითს ჩუენ ზობელისებთა ამირეჯიბმან რამინ და თქუენისა საყდრისა ამილახორმან და ძმამან ჩემმან საპატ, შემოვსწირეთ და მოგაქსენ ეთ შრცხილოანს (ცხინვალი) ერთი გლეხი ლალისებ მისითა მამულითა. . . ერთი გლეხი ტრგნეთს ჯოხასებ თრითა ვენახითა და ერთი ვენახი სხუა ვე შენი და ველი, მიწად სამისა დღისა — მას უამსა, ოდეს ჩემსა მშეს სააჭამს შაკთარასძისა ასული შეერთო და მეუჯრძა რამე გამოხნდა და საჭამს გაუწეურით და ესე თრნი გლეხსი პრცხსალთას ლალისმე... და კრგნეთს ჯოხასმე შემოვწირე ჩუენი ნასისისლი და... მოუდევარი და უსარჩლავი... ტკბილისა ნახევარსა მოგაქსენ ებდენ და სხუა რაცა ბეგარი და გამოსალები პმართებს... დაიწერა ქორონიკონსა რდო, მარტა კელითა მლიოზის ძის მლიოზისათა“<sup>1)</sup>).

**მარკოზ 1460—1466** წ. ესე მარკოზი ავტეციცებს ურულიანთ შესანიშნავს გუჯარს 1460 წ. ივნისის 12..

<sup>1)</sup> იხ. ქრონიკ. 11 261 გვ.

**დავით VI 1466—1479 წ. ამა დავითს ძძლევენ ძალა:**  
ურელნი შემდეგს პირობის წერილს:

„ . . . მეოხებითა წმ. მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისათა  
და ღოდო და ლუკიანესითა ესე ფამთა გასათავებელი პირი  
გყალრეთ და მოგაკენეთ თქუენ მრასტეს მიერ მართლისა  
კათალიკოზესა დავითს ჩუენ ღიღმან და მცირემან ერთობილ-  
თა ძალაურელთა მას უამსა, ოდეს ჩუენსა და ბორგია-  
შვილსა შუა ცოტა რამე სამდურავი გამოვიდა. აწ ეს წიგნი  
მოგაქენეთ: თუ ამის უკანის თუ რამე ჩუენგან ერთმანეთ-  
ზედა ავ-კაცობა გამოვიდეს, თქუენი და თქუენის საყდრის  
შემცოდენი ვიყუნეთ და კუამლის თავსა ათას ათასი თანგა  
მოგაკენოთ შუა შემოუსლველად ყოვლისა კაცისაგან . . .“<sup>1)</sup>.

**აბრაამ II. 1480—1494 წ. აბალაქის ძე.** ამის დროს  
ეკურთხა მეორედ 1492—1495 წ. მეფედ ძონსტანტინე.  
ამისვე დროს ძონსტანტინემ მოახდინა კრება კათალიკოზ-  
ებისკოპოზთა და სამეფოს ღიღებულთა და წარჩინებულთა-  
გან — , რად ყოფად დამშვიდებისათვის მთავართა და განმტკი-  
ცებისათვის მრთმთავრობისა. „ ძრებამ დაადგინა: „ , ვინადგან  
იმერნი ერთგულობენ ბაგრატი, ჰერ-კახნი ზიორგის და სამც-  
ხელნი ათაბაგს ბაადურს, — ვაკადოთ ბრძოლად; დრო-უამი  
უკედ განაგებს მეფობასაო . . . აბრაამმა დასდო ბარათაშვილს  
სულხანს საკანონო რაღაც მძიმე დანაშაულისათვის. თუ რო-  
გორ სწარმოობდა ძველად სედავო მამულის საქმის გადაწყვე-  
ტა, მომყავს საინტერესო ცნობა ს. ჭიმითის სამზღვრების  
განახლებისა: „ , ღვთივ გვრგვნოსნისა სანატრელისა დავით აღ-  
მაშენებელის მეფეთა მეფისაგან შემოწირულს მზღვარზედა  
დავითიც თვთ მე კათალიკოზმან აბალაკმან (აბრაამ) და  
სრულიად ჩემთა საყდრის შვილთა ჭიმითის სამზღვარი თავი  
სალოცავინ. ჩუმლაყის თავსა ჩავიარეთ და მივდევით კუნე  
ლამდი; ჩავიარეთ და მივდევით ძამაურაზედა; ჩავიარეთ და

მივდევით. შურს ხევზედა; ჩავიარეთ და მივდექით გაწყუბ-  
ტილასა... წნორზედა... ჭიაბრის ეკკლესიასთან იორამდის,  
სადაცა დავით ალმაშენებელსა ეკკლესია სამზღვარად ჩაუდ-  
გამს“...

**ბასილი IV 1495 – 1497 წ.** მხოლოდ ორ წელს კათალი-  
კოზობდა; ამის სიცოცხლის დროს რამდენიმე კათალიკოზი  
გამოიცვალა, მაგრამ მაინც კათალიკოზობას არ იშლიდა;  
ესრეთი წინააღმდევობისათვის ხელს უწყობდა ათაბაგი შვარ-  
ყარე (1482 – 1500 წ.), როგორც უმაღური ქართლის მე-  
ფისა და მისი სათნო კათალიკოზისა. აქ და სხ. ამ გვარ  
შემთხვევებში გამოიჭრიტება დაუძინებელი მტრობა ანტი-  
ოქიის პატრიარქისა და ოსმალოთა გავლენისა სამკერ სა-  
ათაბაგოზედ, როგორც ზევითაც მოვიხსენეთ.

**მარგარი 1498 - 1503 წ.** ამა მვაგრის აძლევს მორჩი-  
ლების და ერთგულების შემდეგს იერილს ძუმურდოელი ების-  
კოპოზი ზერასიმე „... ესე პირი და წიგნი მოგახსენეთ თქუენ  
შრისტეს ღუთისა მიერ შართლისა კათლიკოზისა მვაგრის მე  
ძუმურდოელ მთავარებისკოპოზმან ზერასიმე მას უამსა, ოდეს  
პატიოსანმა მზეპაბუკ (ათაბაგი 1500 – 1516 წ.) შემიწყალა  
და ძუმურდოსა საყდარი და კელი მიბოძა და თქუენს წინა-  
შე საკურთხეველად გამოგუგზავნნა და თქუენ შემიწყალეთ  
და მაჯურთხეთ; აწ დღეისათვან წალმა ჩემა დღედ სიკული-  
ლომდე ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული და  
მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა ში-  
ნა თქუენ მოგიქსენებდეთ; ვინც თქუენგან უჯუარო და შე-  
უნდობელი იყოს, ჩუგნგანცა უჯუარო და შეუნდობელნი  
იყვნენ; თქუენგან შეუნდობელთა ებისკოპოზთა გუერდით  
უმი არა ვწიროთ; ვარძიისა და მისის შესავლისა დიაკონი  
არა ვაკურთხოთ და არცა მათსა სამწყსოსა დავეცილოთ. თუ  
ათაბაგმან შუარყუარე და მათთა შვილთა მოწყალება, ანუ  
სხვა კელი გუაძლიოს, არა გამოვართუათ.“<sup>1)</sup>)

1) იხ. ქრონიკ. II, 315 გვ.

აშისვე მვაგრის დროს წარგზავნა მზეჭაბუქმა თავისი  
აღმზრდელი არქიმანდრიტი აშბროსი იერუსალიმს და სხ. წმ.  
ადგილთა შესაწირავითა მისის ძმის ათაბაგის ჩაიხოსროს  
(† მარტის, ოთხშაბათს 1500 წ.) სულის მოსახლენებლად  
„...მე აშბროსი წარმომავლინა პატრონმან მზეჭაბუქ იერუსა-  
ლიმს და სინასკა მრავლითა საქონლითა და უწყეთ გაცემა  
ტრაპიზონტით ძონსტანტინეპოლემდის, ვიღრე ამა წმ. მთად-  
მდე (ათონის ივერიის მონასტერზედ) და მოვვლეთ ყოველნი  
მთისა ამის მონასტერნი, საყუდებელნი და მესენაკენი და  
წესისაებრ მოვაკენეთ მოსახლენებელი და სალოცავი და სრუ-  
ლიად შლადისა და მაკედონიის თემისა მონასტერთა, მიტრო-  
პოლიტთა, ებისკოპოსთა, ხუცესთა, გლახაკთა და ტყე-  
უფალთა ყოველთა ზედა დიადი გავეცით. მგრეთვე ჩეენსა  
ამას (ივერიის) მონასტერსა მოვაკენეთ ოცდა ხუთი ათა  
ხუთასი ოთმანურისა ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად და  
მამამან და კრებულმან მონასტრისამან გააჩინეს და შეგვიკე-  
თეს სულდიდებულისა პატრონისა ჩაიხოსროსთვის ყოველთა  
პარასკევთა მწუხრი კოლიო და შაბათსა წირვა . ”

დორათორს I 1503—1516 წ. ამან დორათეოს და ძონს-  
ტანტინე მეფემ შეარიგეს მეფე ვახტანგ და ძმა მისი პლე-  
სანდრე. 1505 წ. დავით მეფემ შეირთო ჩაიხოსრო ათაბაგის  
ასული.

1500 წ. მაისის 6 მოკვდა ათაბაგი ჩაიხოსრო და აძის  
ძმამ მზეჭაბუქმა მიითვისა ათაბაგობა, თუმცა ჩაიხოსროს  
დარჩა ვაჟიშვილი, შვარცვარე IV. რადგან შვარცვარეს შემწე-  
ობას უწევდა ქართლის მეფე ძონსტანტინე და მცხეთის კა-  
თალიკოზი, ამიტომ მზეჭაბუქმა შესწყვიტა ყოველი კავშირი  
ქართლის სამეფოსთან და განზე ვადგა, საათაბაგოს მღვდელთ-  
მთავარნი დაუმორჩილა ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოს  
და ამით ზემოქართლის კარი გაუღო ოსმალთა მფლობელო-  
ბასა. აი სწორეთ ამ დროს ეკუთნის შემდეგი თვალსაჩინო  
გრამატა, რომლითაც ანტიოქიის პატრიარქი დორათეოს

გუნდრუკს უკმევს მზეჭაბუკსა და მიწასთან ასწორებს ქართლის მეფესა და კათალიკოზსა,, . . . . წყალობითა ლვითიათა ღოროთეოს პატრიარქი დიდისა ღვთისა ქალაქისა ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა მოგიმცნაბ; წყალობა და შშვილიბა და შეწევნა შვლისა ჩუენისა იქსო ძ-ს მიერ თქუენზედა და ყოველსა საბრძანაბელსა თქუენსა, რომელმან განამტკიცნა წმინდანი მოციქულნი სიონს ქორსა მას ზედა .... რომლისა ბრძანებითა ვიძულენით თქუმად ამას დიდისა პატრიონის მზეჭაბუკის მიერ; რამეთუ მაგან ოდენ მხოლომან იყურჭუმა ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისლებისას: რამეთუ სედაცა მიიწიოს ღონე მაგისი, და დათრგუნოს ქუეყანად მტერთა (ე. ი. ქართლი), აგათიერ პომოლისა მოსცეს ღმერთმან აღვილი იგი (ე. ი. ქართლი); ანუ რომელთა იხილონ წუტრი პოროლისა მისისა, თვინიერ კუეთებისა ლტოლვილ ქმენინ ყოველნი წინააღმდეგნი პატიოსნისა და ღუთისა მიერ განმტკიცებულისა და განძლიერებულისა, დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისი აღმოსავლითისა ხელმწიფისა პატრიონისა მზეჭაბუკისაგან; სამარადისოდ ყოს ღმერთმან პატრივი და დადება ძალი და სიმტკიცე მათი უკუნისამდე. და აღამაღლოს პატრივი მისი და ბედნიერ ყოს და დაანთქნეს მტერნი მისნი და მოსცეს ძლევა მათ ზედა და ყოველსა მხედრობასა და ერსა მისისა და აღიდოს სახელი მისი მზისა და მთვარისაებრ და სრულ ყოს ყოველი ნება და წალილი მისი და გარდამოავლინოს უფალმან ღმერთმან მას ზედა მაღლი და კურთხევა მისი!

მერე ებრძანა აწყურის ღთისმშობლისა საქმენი პირველნიცა და უკანის რაც გარდახდა! და თუ რაბამნი სასწაულნი!<sup>1)</sup> აღასრულნა და ნიშნი სურვილიოდ და სიყუარულითა მისითა ვეველრები, რათა მეცა ღირს მყოს ხილვად და თაყუანისცემად მისა! და ესეცა ვითარმედ აწცა წარუელვნიან

<sup>1)</sup> აქ იღულისხმებს ივ სააზაულთ-მოქმედებათა, რომელნიც ადწელილია „შედეგი ქ-ცხბისა“ (გვ. 162—3; 265) იაყუბ ყევნისა შემოსვის ღროს: ეს გუჯარი ამტკიცებს იმ ამბების სიმართლესა.

კაცნი სოფლის გუერდის და ჩუენიცა ებისკოპოზი ყოფილი ყო მათ წინაშე, სახელით ბრიგოლ ებისკოპოზი ბოლოზნის და მას თვით განეცადა ყოველი საქმე და თუალითა ეხილა და გულისხმა ეყო უსჯულოება მეფეთა და ერისა მათისა<sup>1)</sup>, და პატრონისა მზეჭაბუკის ღუთის მოშიშება და მართლ-მა. ღიღებლობა და ღუთის მოყუარება, ყოველივე განგუა და და გულისემა გვიყო; და ეგრეთვე მაწყვერლისა სიკეთე და ღუთის მოშიშება და მართლ-მაღიღებლობა და მეცნიერება და სჯულთა ღუთისათი კეთილად დაპყრობა და დაცვა მცნე. ბათა ღუთისათა ამისთვის ვითარცა ჯერ იყო და სამართლ მაღლითა ღუთისათა ვინებეთ და მას მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი, რათა ებისკოპოზი მისგან იკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა მორჩილებდენ და სჯულთა მისთა ერჩდენ და მისგან იმწყსმებოდენ და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მწყევჭრნი მისნი წყეულ; და მისდა მიგვიცემიეს კელმწიფება შეკრვისა და განესნისა<sup>2)</sup>. .... მაგრამ დავით მეფემ შეირთო ასული შაიხრსრო ათაბაგისა და მისი (შაიხოსროს) კანონიერი მექვიდრე იყო შვარყვარე IV, ხოლო ათაბაგობა მიითვისა შვარყვარეს ბრძამ მზეჭაბუკმა; ამიტომ შვარყვარე მეფის დავითის კარზე დიმიოფებოდა. მიზეზი ეს იყო, რომ მზეჭაბუკ გაუდგა მეფის მორჩილებასა, დაამცირა საათაბაგოში უფლება მცხეოს კათალიკოზისა და მის ნაცვლად პატიოქის პატრიარქის უფლება გაავრცელა და დაუმორჩილო საათაბაგოს სამღვდელოება. მაგრამ მიიცვლა თუ არა მზეჭაბუკი (ვ ივნისს 1516 წ.) საათაბაგოს მღვდელთმთავარნი ზედი-ზედ აძლევენ მცხეთის კათალიკოზს მორჩილების პირობის წერილებსა.

**მელქისედეგ II (ბასილი) 1517 - 1529 წ ) + 1553 წ.  
მსე იყო ძე კონსტანტინესი და ძმა დავით მეფისა; ბერძნი**

<sup>1)</sup> იგულისხმებიან ქართველთა მეფენი და ქართველთ ერი.

შეიძლოსა 1510 წ. (ქც 266 გვ.). რომ მელქისედეგი კათალიკოზი იგივე ბასილია, ამას ცხადათ გვეუბნება შემდეგი გუჯარი. პირველი მუხრანბატონი, იყო ბატონიშვილი ბაგრატ, ხე ძონსტანტინე მეფისს, რომელმაც დიდი მამული სამუხრანთ, ჩსანს და არაგვს შორის მდებარე, წაართვა ამილახვებს და ბურამიშვილებს; ამა მძლავრებამ გამოიწვია კახბატონის ავ-ბიორგის რამდენჯერმე მოხდომა და აწიოკება სამუხრანოსი. ბაგრატმა სძლია კახბატონს ავ-ბიორგის 1513 წ. ივნისში და ამისს შემდეგ ხელი მიჰყო მცხეთის მამულებისა და ჩემებასაც და შეტი რა ლონე ჰქონდა კათალიკოზს ბასილს თავგასული. ძმისათვის ბაგრატიათვის არ დაემტკიცებინა. შემდეგი გუჯარი საბუთს გვაძლევს ვითიქროთ, რომ სამღვდელოთა კრებამ კათსლიკოზი ბასილი (მელქისედეგი) სხვათა შორის მცხეთის მამულების გაცემის გულისთვის განსღვნა პრმაზის მონასტერში და კათალიკოზობიდგან დაამხო: „ქ. ქათალიკოზმა:.. პატრონმა:.. ბასილი:.. ძმისწულთათვის დაიჭირა კუნენელთა სამი კუამლი კაცი და სხუა სრულად პატრონს ბაგრატს (ე. ა. მუხრან ბატონს კონსტანტინე მეფეს ძეს) მისცა და მისაქციელი, თეკენა და წეროვნის ნახევარი; ძოპინასშვილები დაასახლა და დაუკარგა მცხეთას, ასრე რომე ასრე ჯერეთ არა გარდაწყვეტილა, იქივე წეროვანს იყიდა მოყალეების მიწები სასახლე და ჭურ-მარანი და იმისმა ძმისწულებმა კიდავე (კადეკ) დაყიდეს. პლაიანთას წისქუილი, ზუარი და მიწები: მარტიცი მცხეთის პურლვინითა და ბანბითა, და კიდავე მცხეთის მაწული გამოიღეს ფასად, სათალგმისი და რეკული მამული. მცხეთას სასახლე რაგუარაც თვთან მოეკიდა მცხეთასა დასაქ კევრად, აღარცა სხუათა გამოენახვა. მიყვეს კელი შინაურმა და გარეულმა მცხეთის მამულსა სასყიდრად, და ასრე დაიკარგა, რომე რაც სოფელი არის ზოგან ნახევარი, ზოგან მესამედი აკლია—დაიკარგა მცხეთის-თვის. ამას უკახის ერთი სოფელი ზონთხელა ჭარმაულმა, იყიდა გეშაშვილისაგან. მოკითხული ქენით და თუ ყუელა

შის უამშიგა არ დაკარგულიყოს, იმისი მწერალსა გარდა და ვინეთ და თუ მართალი იყოს — სარიღანა, ძმანი და მისნი დაპკარგვნით, მცხეთის დამაქცევნი არიან. როგორცა ეს ყუელი მცხეთის დაქცევა და შეცოდება გამოაჩნდა, მეფემან საეკუდრო წაართუა და გააგდო და ამისითავ; ბრძანებით ჩუენ მარტაცი წავართვა და მისსავ მემკვდრესა მიუბოძეთ<sup>1)</sup>.

კათალიკოზობა ჩამოერთვა 1527—1529 წლებ შუა და ამის მაგიერ კათალიკოზად დაიდგინა ზერმანე ქოლო მაშინ (1529 წ.) მტკიცედ ეპირა მართლი მეფესა ლუარაბს; ხოლო კათალიკოზი მელქისედეგ პირველვე განძებულ იყო და იდგა მონასტერსა არმაზისასა და იყო კათალიკოზად ზერმანე, ტფილელად დომენტი და მროველად ზედეონ<sup>2)</sup>. ამის დროს 1522 წ. ტფილისში აღშენდა პირველი მეჩითი თათართავან.

დიოცეზი 1511 წ. აღყვანილი კათალიკოზად კახთ მეფის ავ-ზიორგისაგან, როდესაც სამუხრანო დაიპყრო. კათალიკოზობდა რამოდენსამე ოთვეს. ას ამისი საბუთი: „... ჩუენ ... ორისავე ტახტისა . მპყრობელმა .. მეფეთ-მეფემან ზიორგი და ძემან ჩემმან საყუარელმან ლეონ რამეთუ . აპა ესერა ბრწყინვენ ოთხნივე კერძონი მეფობისა ჩუენისანი... აგარის ნათესავნი მტერნი უკუ ქცეულ არიან... პაპათაგან გაჩენილსა (მცხეოსადმი შეწრეულთა ქასეთის მამულითა) დავამტკიცებ .. ვათარხნეთ (მცხეთის მამული ქასეთას)... ჩუენთა ცოდვათა სიმრავლითა და სოფლისა ვითარებისაგან ცოდვისა საქმესა შევესაწრ. თქუენ პატრონი ქათალიკოზი დიოცეზი და მთავარ-ეპისკოპოსი მალაქია და პატრონი ამბა ალავერდელი ითანე რჯულისა წესითა გამოგუენახენით. გავიგონეთ .. და შემოვსწირეთ კუნენელნი ნახევარი სოფელი და ნახევარი უწინაც დიდი ალექსანდრესაგან შეწირული იყო, და ერწოს სოფელი ჩე-

1) იხ. ქრონიკ. 373—377 გვ. და ქარ. 22 და 271 გვ.

კურნი... მამისა ჩუენისა პლექსანდრესთუის (ავ გორგასაგან  
მოკლულისა 1511 წ.). კარგაღებულსა აღაპსა გარდაიკლიდენ...  
დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა, კუ-  
რეთ: კელითა ირუბაქისძისა სახლის უხუცესისა ბევნასითა”.

გერმანი 1 1529—1531 წ.

გალავია 531—1549 წ. წინად მთ-ეპისკოპოსი. ამა  
მალაქიამ და აფხაზეთის კათალიკოსმა მვდემოს მოახდინეს  
კრება და შეადგინეს სახელმძღვანელოდ საკათალიკოზო კა-  
ნონები; ამის კათალიკოსად აღრჩევაში ძახ-ბატონმა ლევანმა  
დიდი მონაწილეობა მიიღო. მალაქია დიდი მოლვაწე კაცი  
იყო, დიდი ამაგი დასდო სვეტიცხოველის. ტაძრის შემკობა-  
ზედ. აი შშვენიერი შეწირულობის გუჯარი მალაქიასი:

„კ... ესე დაწერილი მოვაჟენე და შევსწირე: ყოველთავე  
ჩრდილოეთისა საყდართა შორის უაღრესესა და უაღმატებულეს-  
სა უდიდებულესა წმიდასა სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისა  
ხალოცველსა. ჩუენ, ქრისტეს მიერ ზე: სჭრ (ჭართლისა ჭარ-  
რიარქმან) მალაქია მას უამსა, ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ  
საჭეთ-პყრობესა წმიდისა ამის ტაძრისასა: შევსწირე და მოვაჟ-  
ენე ჩემ-მიერ ნაღუაწი და ჩემითა ღონის-ძიებითა მოგებუ-  
ლი: ა... (ერთი) ომოფორი მძიმედ ნაკერი, შემკობილი თვა-  
ლითა და მარგალიტითა: ა... ენქერი, იგიცა მძიმედ შეკე-  
რილი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა: ა... სამკლა-  
ვენი იგიცა მითვე წესათა ნაკერავი და შემკობილი თვალი-  
თა და მარგალიტითა: ა... სტიხარი მძიმედ ოქრო-ქსოვილი. თეთ-  
რისა ქამხისად: ა... კვერთხი თევზის კბილისაი, მძიმედ ოქროხთა  
მოჭედილი შემკობილი თვალითა და მარგალიტითა ა: დიდი  
ხატი ყოვლად წმიდისა სრულიად ოქროხთა მოჭედილი, შემკო-  
ბილი ნაწილითა და თვალ მარგალიტითა :.ბ:. ხატი მაცხოვ-  
რისა ვეცხლითა მოჭედილი და შემკობილი თვალითა და მარ-  
გალიტითა, უძეოდ გამოსახული: მეზ (მეოთხე) ხატი ნათ-  
ლის. მცემლისა ვეცხლითა მოჭედილი, შემკობილი თვალითა  
და მარგალიტითა; ორნი ხატი წმიდათა მთავარ-ანგელოზთანი.

მაქელ და გაბრიელისნი ვეცხლითა მოჭედილი, შემკობილი (თვალითა და მარგალიტითა); ორნი ხატნი წთა ყდ ქებულთა თვალითა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, ვეცხლითავე მო-ჭედილნი, შემკობილნი თვალითა და მარგალიტითა ას-ვეცხლი ხატთა ოთხთა ჩოლაყაშეილმა ბააღურ შემოსწირ და მე ჩემითა საფასოეთა მოვჭედე და შევამკე; კიდევ; შეს-წირე სამლდელთ-მოძლუროვ ყელთ საკიდი ხატი ოქროსა-ნიწილიანი ძვირფასითა თვალითა და მარგალიტითა შემკობი-ლი ოქროს ჯაჭვთურთ. სხუა ცოტა ხატი ოქროსავე მთავარ-ანგელოზისა მიქელ ..; ერთი დიდი ბეჭედი ოქროსა მარგალის-ჯაჭვიანი:.. მეორე ცოტა ბეჭედი ოქროსავე თვალი-ნი:.. ესე ჩემ მიერ მცირედი შესაწირავი ვინცა და რამა გუარმა კაცმა .. (წუევა ვინც დააჯდოს).

კიდევ შევსწირე ერთი ქალალდის მეტაფრასი და ერთი ძილის-პირი ეტრატისაა (ესლა ეჭდ. მუზ. დაცული № 85): სამი ბედაური ჭაკი ცხენი მისითა საშენებითურთ; კვიცები გაისყიდვოდეს, მისი ნავაჭრი სასაყდროდ დაიდებოდეს.

კიდევ შემოვწირე ერთი კონდაკის ღერი ვეცხლი-სა მონაცემით თავი თვალითა მძიმეთ მორთული პატიოსნითა თულებითა:.. ოთხი ჩინური თეფუში და ოთხი ჯამი:.. კიდევ ერთი თეფუში და ერთი ჯამი სხუა ჩინურისავე:.. ერთი ვეც-ხლის სუფრა ერთი ვეცხლის მაშრაპა; ერთი მძიმე ოქროქსო-ვილი კავედი, ექუსი ორხაო, ათი ქუაბი სხვილი წურილი, ორმოც-და-ათი თეფუში სპილენძისაა; სამი ზედადგარი, ორი ფინარი. ცხრა ჯამი სპილენძისავე, ერთი ვერცხლის ჯაჭვიგრძე-ლი: საყდრის კლიტეთა მხარ იღლის დასაკილი, არის ნაკვეთი ას-ოც-და ერთი თავითურთ, ოთხი ფური კამბეჩი კბილიანი-კიდევ შევსწირე ერთი მთავარ-ანგელოზის ხატი პეტრილევტი-სა თვალზედა გამოჭრილი: ერთი ოქრო-ქსოვილი ქარათის ბისონი, მეფისა ლეონისაგან ბოძებული: ერთი მუშაბახინი სპილენძის მანკანა; ერთი ხალიჩა საკურთხეველის საყდარზე-და დასაფენელი; ერთი ორხაო გარეთსა საყდარსა ზედა დას:

ფენელი; ერთი სეფისკვრის დასაჭრელი დანაკი, თევზის კბილის ხართა ოქრო-ზარ-ნიშიანი კიდევე ერთი დიდი დევაჲ ტაფა; კიდევე ერთი ვეცხლის აბრაიგი საზედაშე: ორასოცი სული ცხვარი, რვა ჩინური ჯამი....“

**მელქისედექ (ბასილი) III 1539 – 1541 წ. მელქისედექ** კათალიკოზი გადაყენებული იქმნა 1529 წ. მაგრამ რაღაც მიზეზით კათალიკოზობა ისევ მიუღია: პი ამის საბუთი: „ე.. მოგაკენენ .. და თქუენ.. კორციელად ძმასა ჩუენსა ქართლისა კათალიკოზ პატრიარქს მელქისედეკს მე ზიორგი ბაგრატუნიანმან, ძემან მეფისა პონსტანტინესამან; ვცან, ვითარებდ სოფელი წუთ ერთ და მსწრაფლ წარმავალ არს და საუკუნო იგი ცხოვრება დაუსრულებელ. ამისთვის დაუტევე ყოველივე ამაოება და დიდება მისი და შევიმოსე საღმრთოე მონაზონებად და შემოგწირე სოფლები ზერტები... სამი კარგაღებული აღაპი... სამნი კანდელნი... სამარადისოდ მსე სოფლება ამა წესითა შემოგწირე მე პანკრატონიანმან გიორგი ყოფილმან მონაზონმან ბერასიმე... თარხნალ, ერთისა სათაროსა საურისა გარეთ, ფეტვს ლალა და ფუტკრის ბეგარა ამოგვევთია... დაიწერა ქასა რკც (1540 წ.)

**სიმონ IV 1542 – 1558 წ:** “. . . ჩუენ მეფემან ლეონ და თანამეცხედრემან ჩუენმან თინათინ და ძეთა ჩუენთა ზიორგი, მესე, ალექსანდრე და მლიმირზა ესე სიგელი მოგაკენეთ... და ქათალიკოზს სკმეონს მას ჟამსა, როდეს ჩუენი ქალი შლენე ბაგრატისშვილს მრეკლეს მივათხოვეთ უხუელრად და თქუენ სჯულისა წესითა გამოგუენახენით... მოგაკენეთ მთას აქეთ საგარეჯო სრულიად ასრე და ამა წესსა ზედა, რომე საყადენო საურისა, ლაშკრობა-ნადირობასა და გონბორს გარეთ ნახევარს ცხურის საბალახეს აქეთ, სხუა ჩუენი კელი აღარა შემოვიდოდეს და ჩვენი კერძი შესაწევარი: პური, ღვინო, ღალა, იორის საბალახე და რაც იქაური გამოსავალი იყოს, სრულიად თქუენ აიღებდეთ. და თუ საღმე იქით ჩავიარდეთ. პურსა გუაჭმევდენ; და თუ ვინმე გარესჯელმა კაცმან შეგუ-

ცოდის და გამოვენახეთ, მისი ნახევარი ჯურუმიცა თქუწ  
მოგაქსენოთ ქუსა სლვ 1548 წ.

**ნიკოლოზ V 1549 – 1558 წ.** აშან ასხურა იაზმით

ტფილისის სიონი და ს. ეკკლესიანი, სპარსთაგან შებილ-  
წულნი, მეფე ლუარსაბის ბრძანებით; დაცეშრო გარის ბძო-  
ლაში შავერდი ხანთან და ლუარსაბ მეფის სასიკვდინიდ და-  
კოდვასა. აშის დროს სპარსეთის ყაენმა შაჰთამაზმა ორჯერ  
(1554 და 1556 წ წ.) ააოხრი. ქართლი და საბარათიანო,  
დაატყვევა სახელოვანი ვახუშტი ღიასამიძე დახოცა მუხრან-  
ბატონი ვახტანგ და მისი სამი ძე; დაატყვევა დედოფალი ნე-  
ტანდარეჯან ატენის ციხეში. დედოფალმა ვერ აიტანა, შეუ-  
რაცხება მრევნისაკენ ფეხით წაყვანილმა და გზაში საწამლა-  
ვით მოიკლა თავი.

**დომენტი I 1557 – 1562 წ.** ბარათაშვილი. ამა დომენ-  
ტის აძლევენ შემდეგ საინტერესო ხელწერილს ესე სიგელი  
მოგახსენეთ ჩუენ შვენიფნეველმა რასტიშვილმა შიაოში და ძმამან  
ჩვენმან მანუჩარა... მას უამსა ოდეს..., ძმა შემოგუაკუდა... კა-  
თალიკოზსა დომენტის მოვახსენეთ, მცირე ესე შემოსაწირავი  
ტფილის ქალაქს ჩემი მკვიდრი ყმა დემურაშვილი დავიგულა  
მისითა მამულითა, ქულბაქითა., ქუსა სმე. მოგვყავს ამა  
დომენტისადმი მირომეული ორი ფრიად საინტერესო სიგელი;

, მ... ესე წიგნი... გკადრეთ... (მცხეთას) და კ-თ-პატ-  
რიარქს ჩუენ ზოგიბაშვილმან იოასაფ, ჩემშა ძმამა ვახუშტ  
და ფალან ხოსრო ... მას უამსა, ოდეს ღუთისა გვრგვნოსანმან  
მეფეთ მეფემან პატრონმან ლეონ შეგვწყალა და მათი ქალი  
გვბოძა, ბატონი შეთეონ ჩუენისა ძმისა ვახუშტისათვე, დღიდა  
უხუცდრი და საკანონო იყო..., შესანდობელიად. მოგაქე-  
ნეთ.. (მცხეთას) მაჭიხელს :ლ: კუამლი კარგი გლეხი უკლე-  
ბად ბევრის გამომდები, ორი თქროს კანდელი სუეტსა ცხო-  
გელსა და წინა დაუვსებლად ენთებოდეს .. ასრე თარხნად  
და შეულად... არა ეთხოვებოდეს რა, არცა ციხისის მუშა-  
ობა, არცა სახლის მუშაობა, არა ყანისა და ვენაჯისა მუშა-

ობა, არა ულაყის ზიდვა, არა ტიკი, არა ტომარა არა გო-  
ჭი, ქათამი, არა საჯინიბო, არა საახოსალარო, არა საბაზია-  
რო, არა დიდი და არა წურილი სათხოვარი და გამოსაღები,  
თვისერ თანადგომისა და ძალ მიცემისაგან კიდე... (წუკა ვინც  
შემდგრა) .. დაიწერა... ჭედა : სმჩ.:

,მ.. რაოდენი ქება და მაღლობა შევსწიროთ თქუენ-  
და (სკატი ცხოვდას) მომართ... რამეთუ აპა ესერა ბრწყინვენ  
ოთხევე კედარნი მეფობისა ჩუენისანი: აგარის ნათესავნი და  
შერნი ლტოლვილ და ოკუნქცეულ არიან დღეინდელად  
დღედმდე, ად აპა ესერა მოიწია საშინელება და რისხვა სა-  
შინელებით აღძრული, მსგავსი ცოდვათა ჩუტნთა და უამსა.,  
შმისა ჩუტნისა .. მეფობისა.. მოვიდა უსჯულოებით აღძრუ-  
ლი და ყოვლისა ქუტყანისა მაოკრებელი და ყოვლისა სჯუ-  
ლისა გტერი აგარის მონათხესავე და წინიღმდგომი ყოველთა  
ჯუარის მოსავთა .. ახალი ივლიანე, უსჯულო თამაზ, აუ-  
რაცხელითა და მრავლითა ულუსითა და ამოსწყვიდა საქართ-  
ველო და მრავალი. სულნი პირითა მახვილისათა მოსრნა და  
ტყუბ ყო და დედა ქალაქი მცხეთა ულაოკრა და ამას უამ-  
თა შა მცეკვთა შორის სანატრელმან:.. მამამან ჩემმან... ლუ-  
არსაბ თვთცა მიიღო წამებისა გვრგვნი,.. . და უსაშინელეს და  
უმწარეს მოიწია დღესა მას, რლ კრეტისაბმელი ტაძრისა გა-  
ნიპო. . შდ მათსა.. ორისავე ტახტისა კელმწიფედ მპყრო-  
ბელ-ვიქმენით. . და.. ახლად გუჯრითა ამით ჩუენცა დავამტ-  
კიცეთ და ვათარხნეთ... მცხეთისა მამულნი: ქალაქს მეტები,  
შეტეხელნი, ქალაქის კარნი ძუელითაგან წალებული იყო...  
კიდევ იქცევ ტფილის ქალაქს რანიც ვაჭარნი და გლეხნი  
არიან მათითა სახლ კარითა, ქულბაქითა და მამულითა და  
სომხითს სოფელი ყორანთა... კიდევკე ერთი საგლეხო და ერ-  
თი ზუარი. კიდევე დიღმის თავსა პატრონისა ბებია ჩუენის  
სააღაპო ზუარი, ლისთა ბარათაშვილისაგან შეწირულნი გლეხ-  
ნი... ვირშა მისითა შესავლითა წიას-წყლითა ერისთვისაგან  
შემოწირული. . ბერშოეთი რაცცა ძუელითაგან მცხეთის შე-

წირულნი საგლეხონი და მამულნი არიან. . ახლად გუჯრი-  
თა ამით ვათარხენ ეთ... სათათროსა საურისა და ულუფის მეტი  
არა ეთხოებოდეს წურილი ულუფა. საჩუენო საწერი მუდა-  
მი ულუფა, არა მეჯინიბეთა, არა ბაზიერთა, არა ახოსალრ-  
თა, არა მეშხლეთა. . ქაზ თ ღომენტი .. ლოცვათა თქუცნ-  
თა... დაიწერა ქვე : სმზ : თა დეკემბერს : ა:... კელითა... ქა-  
თაკევის წინამძღურისა ბარათაშვილის ფილიპესითა... ქნის  
კონი ნახევარი თქუცნ გქონდა'... ამა ღომენტის ღროსვე  
მოხდა სახელოვინი ციხედიდის ბრძოლა (ძეგვსა და მტკვარს  
შუა, შიომღვიმის პირდიპირ) 1561 წ აღდგომის ღამეს, 5  
აპრილს საღამოს. ამ ომში დაიხოცნენ ცხრა ძმანი ამილას,  
ვარნი, დაასაფლავეს იგინი შიომღვიმის მიძინების ტაძრში  
**ნიკოლოზ VI 1562 – 1583** წ ბარათაშვილი, საჩი-  
ნოს ძმა. აი ამა ნიკოლოზის მშვენიერი სიგელი.

,, მ. ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათა-  
ლიკოს-პატრიაქმან ნიკოლოზ ესე უკუნისამდე გასათავებე-  
ლი დაწრასა გინდავე უამთა ქცევათა გამოცელილობათა შინა  
მტკიცე და უქცეველი წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ ბრძანე-  
ბითა ლვით გვრგნოსანისა მეფეთ მეფისა სვიმონისათა-  
და კითხვითა და ნება-დართვითა ყოველთა მცხეთის შვილთა-  
თა შენ მაღალაშვილს ქადაგსა ზედეონსა, შენთა შვილთა  
რომანოზსა და ნიკოლოზსა, შვილთა და მომავალთა სახლისა  
შენისათა ყოველთავე მას უამსა, როდეს ულმრთოთა აგარიან-  
თაგან შართლი აოკრდა და შენი ბიძაშვილი ამოსწყდა თა-  
თართაგან და თქუენ უმამულობასა ჩიოდით და შენის ბიძ-  
შვილის კერძს მამულს გუდაჯენით. ჩუენ ვისმინეთ აჯა და  
მოკახენება თქუენი, ვითარცა არავის მართებდა სხვას გუარს  
საქადაგო მამული თქუენგან კიდე და მოგიბოძეთ შეძულე-  
ბით და მკვდრად სოფელი ჩოხეთი მისითა სახლითა, ეკლე-  
სიითა, ჭურ-მარანითა, მთითა, ბარითა, წყლითა .. ერთობ  
ყოვლითა და ფუშრუკაული მამული დიაკვენისეული და  
რაცა შენს ბიძაშვილლს ან ჩოჩეთსა, ან გორს მამული ქონდეს

მსითა მიღმითა სამართლიანითა სრულად და უკლებლად— აწ დღესითგან წალმა გქონდეს და გიბედნიეროს ღნ საყდ- რისა და ჩუენსა ცრთგულად სამსახურსა შინა.. თუ ვისმე ამა მამულისა ნიშანი ქონდეს, მტკიცითა ამით სიგლითა გა- გვიცუდებია, ვინათაგან სამკვიდროდ შენს ბიძაშვილს ქონდა იფი სრულიად უმკვდროდ იქმნა, ასე ვერავინ მოგეხსარჩლოს ვერა ადამის ტომი კაცი . არა მოგეშალოს ჩუენგანა და არა შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთაგან და კათალიკოზთა- გან და არა სხუათა მეპატრონეთაგან.. დაიწერა წიგნი სი- ველი ესე ქ'კს :სნ: კელითა ფრიად ცოდვილისა კარისა ჩუე- ნისა მწიგონობრის ერასტისითა“ . სკულად სედ ჩართვა კ'ხის და აზის სა-ათალივოზო ბეჭედი ٪.

**ნიკლოზ V** 1584 1591 წ. ძე კახთ მეფის დეონისა და მმა ქართლის დედოფლის ნესტან დარეჯანისა, სეიმონ მეფის მეუღლისა „ქორონიკონსა სობ (1584 წ.) შიცვალა ბარათაშვილი კათალიკოზი ნიკოლოზ და ნებითა და ბრძან ებითა ლვისათა კათალიკოზ იქმნა ძე კახთ მეფის დეონისა, თთვესა ფეხერვალისა 28 შაბათსა დღესა . ამა ნი- კოლოზს ჰქონდა დიპლომატიური მიწერ მოწერა რუსეთის პატრიაქ იოანე 1586 – 1590) და საჩუქრად გაუგზავნა ბედაური ცხენი ნიკოლოზმან შეწირა მეტეხის ღვთის მშო- ბლის ტაძარს, მშვენიერი, ტყავზედ ხელ-ნაწერი სახარება აღ- წერილია 1581 – წ. ბესარიონისაგან \*) ამა ნიკოლოზს ექომა

\*) ბ. მ. ჯანაშვილმა მეტეხის სახარება 1049 წელს. დაწერილად ვამაცხადა და წმ ქეთევან დედოფლის მა?ის, ბატონიშვილის აშოთა- რის († 1561 წ ფხოველთაგან) სახელს ძებნა ლაუწყო XI საუკუნეში შემორჩენილი არი ამისთანა სახაჩება — სიღიღით, წერით, მელნით, პერგამენ- ტით და ვეცხლის ბუდით — დღეს დაცულია წილკნის ტაძარში. ეს არ უმარა: კათალიკოზი ნიკოლოზი მეფის ლეონის ძე ჯერ საძიებლად ასადა და მერე კათალიკოზ დომენტი ლეონის ძეზედ დადგა — ნიკოლო- ზი დომენტი იქმნება, თუ მეტეხის სახაჩება ახალ დროს. ეკუთნისო.

გებოდა კახთ მეფე პლექსანდრე 1569 წ. სპარსებმა შეიძყოდა მაშინვე გადააყენა კათალიკოზი ნიკოლოზ ბარათაშვილი და ესე ნიკოლოზ, თავის ლვიძლი ძმა დაადგინა. — პი ამის საბუთი: მეფეთ მეფემან .. სულ კურთხეულის პატრიონის ლევანის ძემან მეფემან პლექსანდრე და თანა მცხედრემან.. თინათინ და ძეთა ჩუენთა მრეკლე, დავით ბიორგი, პონს ტანტინე, როსტომ... მას უამსა ღდეს მცხეთისა მამული და აგარაკნი მიეტაცნეს... მობძანდა ჩუენ წინაშე ჩუენის სული მეოხი... ჩუენი ძმა კათალიკოზი ნიკოლოზ.. მცხეთის ძელნი გუჯარნი და სიგელნი მოიხუნეს...\*)

**დორისთმოსი II 1692—1599 წ.**

**ზეგადე 1603—1610 წ.**

**იოანე IV 1611—1615 წ. წინად ქვათა ხევის წინამძღვარი;** შაჰაბაზისაგან განდევნილი მცხეთიდან, წარვიდა 1614 წ აბხაზეთის კათალიკოზ მალაქია გურიელთან და გარდაიცვალა გურიაში; იოანე აღუწერა წმ. ქეთევან დელოფალს ლოცვანი. იოანე იყო ძმა არსენი პლავერდელისა, ავალისშვალი, თან მოჰყვნენ თეიმურაზ მეფეს ორივე საათაბაგოდამ.

დღეს მცხეთის სკეტისცხოვლის საჭათალივოზო ტაძრში დაცულია საქადაგი ხატი, შემცირდებული და შემოწირული XI საუკუნეში მეღქისედეგ კათალიკოზისაგან. ამ ხატის მშენებრივ წარწერა:

„სკეტო ღვითე ადმართებულო, კრართო საუფლოთ და მირობო წმიდაო, ვეკარო ქრისტის ღვთისა ჩვენისათ! შეკამგვა და შეკაჭდინ გუბო ესე სკეტისცხოვლასა, საქადაგე ხატისა, ჩვენ უღველისა ჩრდილოეთისა და აბხაზეთის კათალიკოზმან გურიელმან მალაქია ამ სოუკრო დღეთა ჩვენთა სიგრძისათვის და პატრიკებისა ჩვენისა წარსამართობლად, საუგუნისა ამას სათხად და სახსრად სულისა ჩვენისათვის მას უამსა-ოდეს შაჰაბაზ უენმა გასეთი და ქართლი აღალსრა, ქსეთისა და ქართლისა ბატონები თოვე დასეთის მთას აქეთ გარდო.

\* იხ. ქრონიკ. ეორდა. II 132 გვ.

ქადნენ და ჩვენ გიხილეთ და ქართლის კათალიკოზი. მოაწე ჩვენიან მოვიდა და აქ ჩვენთან მიღებადა და რაც საკათალიკოზო იარაღი დარჩა, ზაქარია კათალიკოზს მიღაბარეთ. ეს საქადგე ხატი, სურა, ბარქაში აქ დარჩა და ოუ მართლად საქართველო შეიქმნას, პრიაშვის ღმერთმან, ჩვენ მიღასვენთვ იმის საყდარსა და სხვაც მრავალი შევწირთ და გინც ჩვენს უბან სტეტსცხველს დაუჭიროს, ჩემის ცოდვის ჰასუხი შეფრედ მოსვლასა მან გასცეს, გინც დუჭიროს და მცხეთას არ მიასვენოს, მის კათალიკოზს არ მიარცას". \*)

ნეტარს კათალიკოზს-პატრიარქს იოანეს არც კი ელირსა წირვა მცხეთის სვეტისცხოვლის ტაძარში და ასე დევნულებაში დალია თვისი დღენი.

მოგვყავს მშვენიერი გუჯრები ათაბაგის მანუჩარის ქვრივის ელენესი, ქართლის მეფის სვიმონ დიდის ასულისა, და მეომურაზ მეფისა, რომელნიც კარგად ამტკიცებენ ჩვენ მარიანეთა სიმართლესა.

ა) „ქ. ესე: წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩუენ კელმწიფის შვილმა ბატონმა მლენემ \*\*). და ძემან ჩვენმან ათაბაგმან პატრიონმან მანუჩარ თქუენ ავალიშვილს წინამძღვარს ბატონს იოვანეს და თქვენსა ძმასა ზაქარიასა ასე და ამა პირსა ზე-

\*) ამ წარწერის მეორე ნახევარი იხ. შემდეგ, ღომენტი კათალიკოზის ღროს, 1704—1728 წ.

\*\*) მლენემ და პთაბაგმა მანუჩარმა იქორწინეს 1584 წ. ამ დროდან სვიმონ მეფე და მანუჩარი, ებრძეიან ოსმალებს, რომელთაც სამცხე-სათაბაგო დაიკურეს და ათაბაგი მანუჩარი ცოლშვილით გამოაძევეს ქართლში. მლენე მიიცვალა რუისში 1609 წ., (იხ. ქრონიკ. II, 438 გვ.) და იქვე ღვთაების ტაძარში დაასაფლავეს. ამიტომ ეს გუჯარი დაწერილია 1605—1609 წ. მანუჩარ პთაბაგი მიიკვალა 1614 წ. (იხ. ქ-ცხ. 248 გვ.). და ათაბაგობა მიიღო მისმა ძემ მანუჩარმა, რომელიც შემდეგ საფარ ფაშაშ დაპატიმრა ციხეში; მაგრამ 1624 წ. გამოიპარა 300 მხლებლით, დაქტრი მარაბდის ოშა ივნისში და თავის ხელით გაუშესა თავი ხმლით ყიზილ-ბაზების ბეგლარბეგს ამირგუნახანს. (იხ. ჩივ. B. Moyp. Ioc. 59—60 გვ.)

და, რომე რასწამ ღმერთმან იპრიანოს და ჩუენი საბატონო ჩუენ  
დაგურჩეს, და ვინ იცის სოფლის საქმე—თუ მსრომიშვილი  
პაპუნა უშვილოდ გარდავლინდეს, ჩუენ იმისნი კერძი მაზუ-  
ლიცა და თქუენი კერძი მამულიცა აელშეუალად თქუენ გი-  
ბოძოთ, თუ მოხვიდეთ და ჩუენი ყმანი შეიქმნათ და არამე  
კაცი არ შემოგაცილოთ. ამისად გათავებისა თავდებად მო-  
გვიცემია ლიერთი და ყოელნი მისნი წმინდანნი. მლენე.“

ბ) „...ხოლო...ოთა ყოველთა საკირველებათა მზგა-  
სა...თა მომფენელსა, სასოსა, მცველსა, მეოხედ ქრი-  
სტეს წინაშე ჩე...ებელსა, ღიდებულსა და ნათლით შემოსილს  
საკურველსა სა ფარისად საფარველად სახელწოდებულსა, რო-  
მლისა მადლნი უხუებით კურნებანი მოუკლებელად წყარ-  
იან, რომლისა კურნებანი და საკურველებანი ვერცალა უღმრ-  
თოთა აგარიანთა ზედამოსულამა დააყენეს: დალაცათუ საყ  
დრით შენით ექსორია გყუეს, არამედ მოუკლებელადვე აღ-  
სრულებ ნიშთა ძნელოანთა, რამეთუ ჯაჭვითა ღაბორკილე-  
ბულთა ეშმაკეულთათ აოტებ ეშმაკეულთაგან და იხსნი მტე-  
რთა ძუელთაგან ეშმაკეულთა და ბორგუნეულთა: ხოლო  
ჩუენ::: მონდობილნი::: თქუენნი მეფე თეიმურაზ და დელ-  
ფალი ხვარაშან::: და ძე ჩუენი ყოველად სასურველი დავით  
შეგივრდებით და გევედრებით, რათა გვხსნნე ხილულთა და  
უხილავთა მტერთაგან და შემუსრნე ქუეშე ფერხთა ჩუენთა  
ხილულნი და უხილავნი მტერნი::: ჩუენი::: მას უამსა ოდეს  
უღმრთ.თთა მაჰმადიანთა მიერ მონასტერი. თქუენნი::: ყოველად  
ღიდებული ::: მოოხრებულიყო::: პატიოსანი ხატი წარმოსუე-  
ნებულიყო ::: მამულნი მეტოქნი::: სოფელნი::: დაბანი და აგა-  
რანი ::: წახდენილიყუნეს::: ხოლო რაოდენნიმე დაშთომილი-  
ყო ::: ყმანი წმიდისა მონასტრისა თქუენისანი::: მოვაგრევთ და  
დავასახლეთ::: სანახებსა ქართლისასა ::: პრაღეთისა ბოლოს, რო-  
მელსა ზედა სალებულიყუნეს::: სხუანიკა : მესხნი::: და ეს  
ლესიაცა::: ნაოხარიცა იყო და დავსვით წინამძღურად და  
მამად წმიდისა ::: ხატისა თქუენისა ძმისწული პარველისა

მღვდელთმთავრისა ქართლისა მთავარების, კაცისა  
სწავლათა უფსკრულისა და ზეცის ბუდისა სრულისა და ფი  
ლასოფლისისა მოვანე, მეოთხედ მოვანედ ღირსისა, პეტრი-  
შვილი, ოღზრდილივე მისი კეთილად და სამონოდ ჩრისტესა  
და შედგომილი კუალსა მონაზონებისა პრესნი, კაცი სარწმუ-  
ნო, რამეთუ პირველთა ესენი ნათესათბით ღირს ქმნილიყუ-  
ნეს სხდომად საუდარისა თქუენსა ჟედა. და რაოდენნი ვინ იქმ-  
ნეთ და გამოახვათ წმიდასა ამას ხატსა და წინამძღვარსა,  
ხუკულ იქმნენით საუფლოსაგან ჯუარისა, სოფელი ესე ყოვ-  
ლად და ყოვლითურთ მისითა სამართლიანითა უკლებლად,  
ანუ წარმლებ რასამე ვინ ექმნეთ, თვნიერ თანადგომისა და  
შეწევნისაგან კიდე, ანუ ადგილთა, ანუ სხუათა სახმართავა-  
ნისა: წყლითა, ტყითა, მიწითა, სახნავითა და უხნავითა, მთით  
ვიდრე ბარამდე. და ვინცა ესე მოშალოს წყეულ იყუნენ  
ღუთისა დაუსაბამოსაგან, მამისაგან, და ძისაგან და სულისა  
წმიდისაგან. ყოველთა წმიდათა ღუთისაგან, ზეცისა და ქუე-  
ყანისაგან, ხორციელია და უხორცოთაგან. მსე მკვდრი და  
საბოლოოდ გასათავებელი წიგნი თქუენცა, ქრისტეს მადიდე:  
ბელნო მღვდელთმთავარნო და ერნო ესრეთ დაუმტკიცეთ  
წინამძღვარსა საფარისასა პვალიშვილსა უფალსა პრესნის.  
ხოლო დაიწერა წიგნი ესე ქართული ტიპ. სეკდენბერსა: თ,  
მოკიმ და ანნას: მღვდელთმთავარნობასა საქართველოსასა  
დიდისა მის ყოვლადბრძნისა ზაქარია კათალიკოზისასა. ზარ-  
ნა ხდითა ყოველთა უნარჩევესისა, ყოვლად მუოდველისა  
ზებედესითა. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს  
და წმიდამა ღუთის მშობელმან“

კათალიკოსი მოანე პვალიშვილი პთაბაგის მანუჩარის  
მეულლეს. მღვდელ მოკუოლია და თეიმურაზ-ლუარსაბ მეფეებს  
ჯერ ქვათახევის წინამძღვარად დაუდგენით, მერე მთავარ-  
გბისკოპოსად. \*)

\*) იხ. ქრონიკ. II, 438 გვ:

ზარარის 1615—1631 წ. თეიმურაზ მეფისაგან კათა-  
ლიკოზად დადგენილი თ. პორჯაძე ძმა კათ მეფის სახლო  
ხუცესის ნოდარისა (ნოდარი თან ახლდა შეთევან დედოფლის  
და პატარა პატონიშვილ ალექსანდრეს, მისრულთა შავაბაზ-  
თან 1615 წ.): იყო მეფის კარის წინამძღვრად 1605—1613  
წლებში. შემდეგ ნეკრესის ეპისკოპოსად იქმნა დადგენილ  
(1613—1616 წ. თეიმურაზ მეფისაგან. ახლდა განუყრელად  
თეიმურაზ მეფეს, შავაბაზისაგან დევნილს, იმერეთში და დი-  
დი ერთგული იყო. ზაქარია იყო ფრიად მეცნიერი და შესა-  
ნიშნავი კაცი: მან აღწერა საქართველოს ისტორია; მოწერა  
მოწერა პეტრე რომის პაპა ურბანოს VIII თან (Дреев. Г.  
Тиф. 127.) გვ. ზაქარიამ დიდი დღესასწაულობით დაკრძალა  
შეთევან დედოფლის ნაწილი, სპარსეთიდან მოსვენებული,  
ალავერდის ტაძარში. მსეთის ზაქარიას ერთგულობისათვის  
თეიმურაზმა უბოძა ნოდარს და მის შვილებს, სახლო ხუცესს  
იცხეს და მის ძმას ონანას ღვევბთან ომში მოკლულის მრა-  
სტიშვილის ჯანოს მამულ-დედული. მოგვყავს საინტერესო გუ-  
ჯარი: “ სახელითა დაუსაბამოება და დაუდებელისა (და სხვა)  
ჩვენ ლვით გვირგვინოსანმან მეფეთ მეფებმან ხელმწიფემან პატ-  
რონმან თეიმურაზ და თანამემცხედრემან ჩვენმან დედოფალთ  
დედოფალმან ხელმწიფე ასულმან პატრონმან ხვარაშან, ”\*) პირ-  
შშომან სასურველმან და საყვარელმან ძემან ჩვენმან პატრონ-  
მან დავით ესე ეამთა უკუნისამდე მოუშლე ლი წყალობის წი-  
გნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ერთგულთა  
და თავდადებით ნამსახურთა ყმათა პორჯაძესა ნოდარის შვილ-  
თა იცხეს, სახლისა უხუცესსა და ძმას შენსა ონანასა, შვილსა  
შენსა ბიორგისა შვილთა და მოძავალთა სახლისა თქვენისათა  
უჯველთავე ასრე და ამა პირსა ზედა რაც ხელმისფის პაპის  
ჩვენისა პატრონის ლევანისაგან და პატრონის ალექსანდრეს.

\*) ხვარაშანი იყო ასული მეფის ბიორგი X და წმ. მეფის ლურ-  
საბის და.

გან სიგელი გქონებოდათ — ანუ სამკვიდროსი და ანუ შემატებულისა — ყველა დაგეარგოდათ უამთა ვითარებისა და თემის აშლილობისაგან; აწე მოხვედით კარსა. დარბაზისა ჩვენისასა და სიგლისა განახლებას გვიჯენით; ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ სიგელი ესე ასრე რომ ხელმწიფეს პაპა ჩვენს პატრიონს ალექსანდრეს, მამის თქვენისათვის ლეკუთხლის კაცები ებობა წყალობათ; ისი და იმას გარეთ კიდევ ებოძებინა საჯილდავო ღანუს საყანჩინელისა მამული რენი სიგლით ამით დაგვიმტკიცებია: შათითა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ქვევრ-მარნითა, სახნავითა, უხნავითა, ყოვლის მისის გასადევრითა შოუკლებლად; რაც მაშინ ღანუს მამათქვენს საყანჩინლის მამული მისცემოდეს ყოვლის კაცის შეუცილებლად გვიბოძებია: აგრეთვე აღიძრა ბელნიერი შაპბაზ, მტერი ქრისტიანეთა და ააოხრა კახეთი და ჩვენ ლტოლვილი ლიხტიმერს გარდავედით და მამათქვენი სახლის უხუცესი ნოდარ და ბიძა თქვენი ქათალიკოზი ზაქარია თან გვიახლეს, კარგათ ერთგულად და თავდადებით გვემსახურეს ვითარუა შეგვანდა თქვენსა ერთგულად სამსახურსა: გრძავით წყალობა და გიბოძეთ მაშრები და გადარბეჭი მისის მთითა, ბარითა, წყლითა, საწისქვილოთი, სახნავითა, უხნავითა, ბოლოსადყომითა ყოვლის მისის სამართლიანის გასადევრითა, ყოვლის კაცისაგან ხელშეუვალად გვიბოძებია; აგრეთვე გიბოძეთ ბიძა შენს მიუურავს და თქვენ ერთათ რაც თამარს არა ჰქონდა მას გარეთ გოსტაშაბისეული მამული და თქვენ გაიყავით და რაც მაშინ გაყოფაში გოსტაშაბისეული ანუ სახახლე, ანუ ყმა და ანუ ნასახარი გერგო ყველა ყოვლის კაცის ხელშეუვალად შენთვის გვიბოძებია სადაც რამ იყოს ანუ შენი ანუ უშენი შისისა სახლითა, მთითა, ბარითა, წყლითა, საწისქვილოთა, ქვევრ-მარნითა, სახნავითა, უხნავითა ყოვლის მისის სამართლიანისა გასადევრითა ბოლო სადგომითა; რაც გაყოფაში ბიძა შენს მოურავს არა რებოდეს: მის: გარეთ ყოვლის კაცისაგან ხელშეუვალად შენთვის გვიბოძებია აგრეთვე ლეკის ომ-

ში მრასტი შვილი მოკვდა და თქვენცა ამ ომში მსახურები დაგეხოცათ და ყმა არ შეგრჩათ: გავყავით და რაც იმისი მა- მული წილში გერგო; გიბოძეთ ყოვლის კაცისგან ხელშეუვა- ლად, მისის მთითა, ბარითა, წყლითა, საწისქვალოთა, ქვევრ- მარნითა, სახნავითა, უხნავითა, ბოლო სადგომითა ყოვლის სამართლიანის გასადევრითა აგრეთვე გიბოძეთ აღმატელის შეილის ნაოხარი ყუდრო და საღაც რამ ქონებოდეს მისის მთითა, ბარითა, სახლითა, საყდრითა, წყლითა, საწისქვილო- თა, სახნავითა, უხნავითა ყოვლის კაცისგან ხელშეუვალად აგრეთვე გიბოძეთ ყანდაურიანში ბაგრატიშვილისეული ნაო- ხარი მისის მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, სა- წისქვილოთი, სახნავითა, ქვევრ-მარნითა ყოვლის მისის სა- მართლიანითა გასადევრითა რაც ბაგრატის შვილს ქონებო- დეს ყანდაურიანში ყოვლის კაცისგან შეუცილებელად თქვენ- თვის გვიბოძებია დი ანუ საღაც სამკვიდრო იყოს თქვეეი ანუ გაღმა და ანუ გამოღმა და ანუ ჩაღმა ხელახლავ სიგელითა ამით დაგვიმტკიცებია ნურვინ მცვლელ შშლელ იქმნებიან ანუ ამ ზემოწერილს წმინდათა თავდებობითა მინდობითა და შუა- მდგომელობითა ესე ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა სხვათა შემდგომად ჩვენთა სხვათა მეფე მეპატრონეთაგან ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულოდ სამსახურსა ქვეშე, ანუ ვინცა და რამანცა ძემან კაცისამან ხელყოს შლად და ქცევად სიგლისა ამის, ანუ მე- ფემან, ანუ დედოფალმან, ანუ ეპისკოპოზმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან— ხელპყოს სი- გლისა ამის შლად და ქცევად შემცაიცვალ ების იგი სჯუ- ლთა ქრისტიანეთაგან, რისხავსმცა დაუსაბამო და დაუსრულე- ბელი ღმერთი მამა ძე და სული წმიდა, სვეტიცხოველი; ძე- რთი საუფლო და მირონი ღვთისა მყოფელი პატიოსანი ქა- რისა ღვთისმშობელი და ყოველნი წმიდანი მღვთისანი ზეუ- სანი და ქვეყანისანი ხორციელნი და უხორცონი და რათამუ სინანულითა ნუ იქმნების ხსნა სულისა მისისა დღესა მას დიდსა

განკითხვისასა, მის ზედამცა აღესრულების მეასდარვე იგი ფსა-  
ლმუნი. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი დმერთმან აკურთ-  
ხნეს. დაიწყო მტკიცე და შეუცვალებელი და ყოვლის კაცი-  
საგან მოუდოვარი სიგყლი ესე ქ'კა ტკე. ოუ თქვენ ჩვენზედა  
არა სტუოთ რა, ჩვენ ეს ასე გაგრთავოთ შეწევნითა ღვთისა  
მიმართ მეფე თეიმურაზ ვამტკიცებ. ხორეშან. დავით.

ქ. ძველთ კელმწიფეთაგან უწინაც ძველი გუჯარი გქო-  
ნებოდათ და უამთა ვითარებისაგან და ქვეყნის აშლილობისა-  
გან დაგკარგოდათ და ბატონს ხელმწიფეს პაპა ჩვენს მეფე  
თეიმურაზს და დედოფალს ბატონს ბებია. ჩვენს ხორაშანს  
კიდევ ეს გუჯარი გაეახლებინათ და დაემტკიცებინათ და პაპა  
ჩვენს ხელმწიფეს ბატონს დავითსაც დაემტკიცებინა, და  
ჩვენ თვით ხელმწიფემან იქსიან, დავითიან, სოლომანიან,  
ბაგრატიან მეფეთ მეფემან და დიდის ხელმწიფისაგან შვილად  
აღზრდილმან პატრონმან იმამ-ყული ხან და დედამან ჩვენმან  
დედოფალთ დედოფალმან ბატონმა ანაშ ვითაც ჩვენის მამა  
პაპათა ხელმწიფეთაგან წყალობა გჭირვებოდათ და ეს გუჯა-  
რი გქონდათ და ჩვენგან ეს აღარ მოიშლებოდა და ამის დამ-  
ტკიცებას გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა თქვენი და გიყავით წყა-  
ლობა თქვენ ჯორჯაძეს სახლის უხუცესს ნოდარს, შვილსა  
თქვენსა დავითს. ძმის წულსა შენსა მნანას, ზოორგეს, აშ-  
რანს (?), როსტომს, მომავალთა სახლისა თქვენისათა რისაც შა-  
მულისა და სახელის მქონებელი იყოთ და დღეს ხელთ გე-  
ჭიროთ და ან ამ გუჯარში გეწეროს ზოშრასაბის ნაქონი ბეი-  
თალმანი მამული და მაშრები ბეითალმანი ასლამაზისა და  
მნანა ბულალაშვილისა მამული კიდევ ხელახლა გვიბოძებია  
და დაგვიმტკიცებია ყოვლის კაცის უცილებლად, გქონდეს და  
გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა  
შიგან, არა ოდეს არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა ჩვენსა  
შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან ქ'კა ტკე.

განდევნა შაჰაბაზმა, ესე ჰქმნეს კათალიკოზად. წინად მთ-  
ეპისკოპოსი მცხეთისა და დესპანი მეფეთა რუსეთში.

აჩისტევორე 1616 - 1660 წ. თ. ამილახვარი, ურდო-  
ბეგის ძე, ძმა ლეილოფის ანნასი; გამეფდა თუ არა ბაგრატ  
შირზა, კათალიკოზობა უბოძა თავის მეუღლის ძმასა, ძრო-  
სტეფორეს. ამის წინად იყო მთავარ-ეპისკოპოსად და თავის  
მეტოქად ქ. ტფილისში განაახლა თემურლანგისაგან შემუსრ-  
ვილი კვირაცხოვლის საყდარი, რომელიც ამ ცოტა ხანი  
დაანგრიეს და საკურთხეველის ნაალაგევზედ უწმ. სინოდის  
უქაზით — ან ბალი უნდა გაშენებულიყო, ან ნიში აგებული-  
ყო. მორწმუნე ქრისტიანე ქართველნი დღესაც ყოველ შა-  
ბათს საღამოს ანთებენ სანთელს. გამურულ ქუჩის კარებთან.  
ამის დროს საქართველოში მოვიდა ანტიოქიის პატრიარქი  
მაკარი 1653 წ. (ქუხ. 49 გვ. დრევ. ფო. ტიფლ. Iocc. 5.9 გვ.). ამისავე დროს მოვიდა საქართველოში იერუსალი-  
მის პატრიარქი პაისიოსი და თეიმურაზთან ერთად წარვიდა  
მოსკოვში 1659 წ. ქრისტიანიაბის შემწეობა-მფარველობის  
სათხოვნელად (IIереп. LXIV გვ.). ამა ძრისტეფორეს თხო-  
ვნით როსტომ მეფემ განუტევა და გზა მისცა იმერეთისაკენ  
დამარცხებულს თეიმურაზს 1648 წ., რომელსაც იმერეთის  
საზღვრამდე ძრისტეფორე თან იახლა და გააცილა. ქუხ.  
123 გვ. რომ ძრისტეფორე მართლა 1618 წ. ადრე დასვეს  
კათალიკოზად, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს ათონის ივე-  
რიის მონასტრის საინტერესო გუჯარი:

...ობისა :წიგნი: და :სიგელი: მოგახსენეთ :ჩვენ: მღე-  
ბრიშვილმა აბესალომის შვილთა: პაპუნამა და ბეჭან შვილმა  
და მამავალმა სახლისა ჩვენისამან თქვენ :ქართლისა: კათალი-  
კოზა (კზსა) პატრიარქსა პატრიონსა ძრისტეფორეს :თქვენ-  
თა ძმათა: და თქვენთა :ძმისწულთა: პვთანდილს: სულხანს:  
ბერუკასა: და ხოსიტასა: პაპუნასა და ვრიდონს: იოთამსა:  
და :ვრიდონის: შვილთა: და სახლისა: მამავალთა: ყოველ-  
თავე: ასრე: და ამა პირსა: ზედა: რომე: მამასა: და ბიძასა:

ჩვენსა: ფალავანდიშვილის: ზვიადისაგან: ნასოფლარი ერქნე-  
თ ეყიდა და ჩვენ: კაცი: ვერ: დაგვესახლებინა ჯერეთ და  
თქვენ: მეფისა: და: დედოფლისათვის: ფეშქაში: მიგერთმიათ:  
და: ის: ნასოფლარი: მრკნეთი: თქვენ გეშოვნათ: და  
თქვენ: თქვენი: დაზრდილი: მსახურები: დაგესახლებინათ:  
ამაზედა: ყაენი: მოვიდა: ქართლშია: და თქვენ: იმერეთს:  
გარდა ვედით და ის თქვენგან: აშენებული: მრკნეთი: ჩვენ  
დავიჭირეთ: ამაზედა მოგვიხდა: თქვენი ძმისწული: ავთანდი-  
ლი: ჩემი ძმა: ლონენა: მოკლა: და: ბევან: დაჭრა: მასუკან  
მობრძანდა: ბატონი: კზი: ჩვენსა: შემოგვეხვეწა: წამოგვასხა:  
ჩვეიყენა: შინა: ჩვენის მოყვრითა და მოსამართლითა: ბა-  
ტონმა: კზმა: უამი გვიწირა: მისის ერთობილის საყდრის: შვი-  
ლითა: ჩვენის: მკვდრისათვს: და სხვა რიგადაც: შეგვიჯერა:  
რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა: და სისხლიც: მოგვეცით:  
და რაც იმ ნასოფლარისათვს: ფასი: გაგვეღო: ისიც: მოგვე-  
ცით: საქონელი: და გარდავწყვიტეთ: და ჩვენსა და თქვენს  
შეა ძმობისა და მოყვრობის მეტი: აღარა: დარჩარა: თქვენ  
ის მამული: მთაწმინდას: შესწირეთ: კემწითეთ: სალოცვად:  
და: თქვენად: სასულიეროდ: ამ: ნასოფლართან: აღარას:  
კაცს: კელი: აღარა აქვს: აღარც ჩვენს ნათესავსა: და აღარც  
სხვას: ერის: კაცსა: აწე: ვინცა: ესე: ჩვენგან: გარდაწყვეტი-  
ლობისა: წიგნი: მოშალოს: რისხავსმცა: დაუსაპამო: ლთი:  
მამა: ძე: და: სული: წმინდა: კრული: იყოს: და: შეჩვენებუ-  
ლი: ლთისაგან უკუნითი: უკუნისამდე: თუ: სხვა: წიგნი: და:  
სიგელი: გამოჩნდეს: ამ: წიგნმა: გააცუდოს: არიან: ამისნი:  
და ხუდურნი: და: შუამდგომელი: გარდამწყვეტელნი: ხერხე-  
ულიძე ბევან: დივანბევგი: სვეტიცხოვლის: დეკანოზი: ჯვა-  
რის მტვირთველი: და დეკანოზი და კანდელაკი: ქადაგი: სა-  
მაღანიშვილი: გიორგი: ერთობილი: მცხეთის შვილნი: და:  
საყდრის ყმანი: ქსნის მრისთვის: ნაცვალი: შალვა: მამისთვა-  
ლი: შვილი: მამასახლისი და სრულიად: ქრისტინგალელნი:

დაიწერა: წიგნი: და სიგელი: ესე: თვესა: მაისსა: თექუმეტ.  
სა: ქუთა ტვ. (1618 წ.) + + ”.

მეფე ბაბრატ მირზაშ რომ ქრისტედორე აღიყვანა კათა  
ლიკოზად 1616 წ., თეიმურაზმა ზაქარია ნეკრესილი დაად.  
გინა კათალიკოზად; როგორც შესანიშნავი მეცნიერი და უბი.  
წო ცხოვრების კაცი. კათალიკოზი მრისტეფორე მიიცვალა  
1660 წ.

თუ რა უფლება ჰქონდა მცხევთის კათალიკოზ-პატრიარქ  
სვეტისცხოვლის საკუთვნო მამულში და მასზედ დასახლებულ  
ყმებზედ, ამაზედ იხ. ქრონიკ. II შორდ: 453 გვ.

**ევდომის I. 1630—1642 წ.** ზაქარია კათალიკოზი  
რომ მიიცვალა (1630 წ.), თეიმურაზ მეფებ ესე მცდემოსი  
დაადგინა კათალიკოზად; იგი: იყო ძე ბართლომე და-  
სამიძესი; ამა მცდემოსის ძმის ლევანის ასული მლენე იყო  
რძალი თეიმურაზ I მეფისა (მეულლე თეიმურაზის ძის და-  
ვითისა, † 1648 წ. მაღარიში როსტომ მეფესთან ბრძოლის  
დროს) \*). მცდემოს კათალიკოზი დიდი თავ-დადებული მო-  
ლვაწეა საქართველოსათვის და თავის სიცოცხლეში არა ერთ-  
ხელ მოუყარა ერთად თავი ქართლის წარჩინებულ ვაჟკაცო-  
ბას სპარსეთთან საბრძოლველიდ. ის-კი იყო შაპაბაზ I მოკ-  
და (1628 წ.) და ქართლის მეფის სიმონ: II-ს (ზურაბ ერთ-  
თავმა მოკვლა ცხვილოსის ციხე ში, სამლახვროში) მე-  
კვიდრეობა სპარსეთმა როსტომს ჩააბარა. 1500 წლიდგინ  
სპარსთა უფლება ნელნელა განმტკიცდა საქართველოში; ამი-  
სათვის სპარსნი არასა ჰელვაციზნენ: სამეფო—ბაგრატიონთა  
გვარის შეილთა და სხ. დიდებულთა იბირავდნენ საჩუქრებით, ანუ  
პატარაობითვე მიჰყვანდათ იგინი ყევნის კარზედ, ზრდიდნენ

\* ) ლევან დიასამიძე თან გაჰყვა თავის ქალს-დედოფალს. მლენეს და  
ბატონიშვილს ნიკოლაოზს მოსკოვში 1656 წ., ვიარცა დესპანი მე-  
მურაზისა, და მეცადინეობდა მათს დაბინავებასა და კეთილად შეწყარ-  
ბასა წინაშე მოსკოვის მეფისა. ჩერე: გრა. კ. ცხ. რიც. LXII გ.

სამადიანურს ფუფუნებაში, შემოსავლიან ადგილებს აძლევდნენ  
და ბოლოს მთელი ქართველთა დარაზმული ჯარით იბარება-  
ლენ შუაგულ სპარსეთში მოსამზღვრე მტრებთან საომრად.  
მათვან, ვინც მაკმადის სჯულს მიიღებდა და მეტს ერთგუ-  
ლობას აჩვენებდა, სპარსი გამოისტუმრებდნენ საქართველო-  
ში ანუ მეფედ, ანუ უმაღლეს მოხელედ მეფის წინაშე. აი  
ამისთანა გადაგვარებულ ქართველთა შემწეობით შემოჰკონდათ  
სარსელებს საქართველოში დალატი—სამშობლო მიწა-წყლისა,  
ენისა, მამა-პაპათა სარწმუნოებისა და გარყვნა ზნე-ჩვეულებისა.  
მრთი ამისთანა გადაგვარებულ პირთაგანი იყო როსტომ მეფე.  
შედა ვაფიქროთ, რომ თუ თეიმურაზის და იმერეთის მეფის  
შიორების ჯაბრით როსტომს არ შეერთო ცოლიდ დადიანის  
შანუჩარის ასული მარიამი მეტად ძნელი დრო დაუდგებოდა  
საქართველოს ეკკლესიას საზოგადოდ და კერძოდ ქართველ-  
თა ზნე-ჩვეულებასა, მწერლობისა და განათლების საქმესა:  
შიოლოდ მარიამ დედოფალი თავის კუუითა და გონიერებით  
იქარებდა. როსტომის ბოროტებასა და გარყვნილებასა: ქრი-  
სტიანობის მფარველად, დანგრეულ საყდრების განმაახლებ-  
ლად, დატყვევებულ ქართველთა გამომხსნელად აქცია გამაპ-  
შადიანებული როსტომი. მარიამ დედოფალი მუდამ თავს-  
ურიდა ერთად და სწყალობდა საუკეთესო მწერლებს, მხა-  
ტვრებს და ხელოსნებს. მარიამის მეოსებით როსტომის მავნე-  
ბელი პოლიტიკის ერთად ერთი მძღავრი მოპირდაპირე იყო  
შედემოს კათალიკოზი: მისი ბრძოლა როსტომ მეფესთან წი-  
ნააღმდეგ მაკმადიანობისა სამიგალითოა მთელი XVII საუკუ-  
ნის ქრისტიანობის ისტორიაში. მრესტიანობისა და არა მო-  
უსარობის გამო მედემოსი უფრო თეიმურაზს უწევდა მომხრე-  
ბის, ვიდრე გამაკმადიანებულს როსტომსა.

მედემოსის გამო მთელი ქართლის თავად-აზნაურობა მუ-  
და მერყეობდა და ხშირად პლალატობდა როსტომსა. იოთამ  
შიოლაბორი, ჭავალ მრისთავი, ნოდარ ციციშვილი, ზიორები  
ზოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, ზურაბ და ივანე ხააკაძე:

ბი, ლარგველი მრისთავი, ბეჟია და ზურაბ ჩხეიძეები—მთელ  
ქართლს პპატონობდნენ და როსტომს მოსვენებას არ აძლე  
ვდნენ მედემოსის ჩაგონებით. ან კი როგორ დამორჩილებო  
დნენ როსტომსა, როდესაც იგი „გამოიყვანდა მთავართა და  
აზნაურთა შვილთა ვაჟთა და ქალთა და წარუგზავნიდა ყენსა.  
რამეთუ განმრავლდა სიბოროტე, ვინაფდგან არღარა იყო ზრუნ  
ვა სულიერი და არა ჭრუნვიდა მეფე სუფევისა და ქვეყანისა  
თვის, გარნა განცხრომესათვის, ვითარცა წესი არს მაჰმადიან  
თა...“ \*) სადაც კი შეხვდებოდა მედემოსი როსტომსა, მუ  
დამ აყველრიდა და მოსვენებას არ აძლევდა—„მაჰმადიანების  
მამა ხარ, და ქრისტიანეთა მამინა უცალიოთ“. მსრეთი მხილე  
ბა თანდათან ძლიერდებოდა. მედემოსის მიერ და მით უმე  
ტეს, რომ მარიამ დედოფალი დიდად პატივსა სცემდა დ  
ხელს უმართავდა. მაგრამ გაიძვერა ბებერი როსტომ მეფე  
ძლიერი შეიქმნა და იგრძნო თუ არა თვისი ძალა, მედემოს  
ჯერ დაპატიმრა კალას ციხეში და მერე მალლა. კლდილნ  
გადმოაგდებინა აბანოების მხრივ (1642. წელს), ხოლო მისი  
ძმის ლევანის შვილები დაახოცინა. \*\*) მარიამ დედოფლის სათ  
ნიებით საესე ცხოვრება ქართველთა მწიგნობრობისა და ქრი  
სტიანობის მფარველობისათვის ერთის მხრივ მედემოსის გაფ  
ლენას უნდა მივაწეროთ. ჩვენი საეკკლესიო მუზეუმის ერთ  
(უწინ სვეტიცხოველის) ხელნაწერი (№ 84) მეტად გულსაჟ  
ლავ ცნობებს გვაძლევს: 1642—1735 წლების განმავლო  
ბაში ოთხჯერ დატუვევებული იგი ხელნაწერი თათრებისაგან  
და ოთხჯერვე დაუხსნიათ. აი შაგ ხელნაწერის წარწერანი:

ა... „ნებითა დ შეწევნითა ლოთსათა დ მეოხებითა შ დ წ  
ლ თის მშობელისათა ჩვენ დედოფალმან პატრიონმან მარია  
დავისენით უამნი ესე მცს უამსა, ოდეს დიასამიდე კზი ქოლაქ  
ციხეში მოკვდა; ეს უამნი თათრებს დარჩა, ერთს წელიწლ

\*) იხ. ქ.-ცხ. 49 გვ.

\*\*) 114 გვერდი. ქ.-ცხოვ. 48 გვ. История Грузии. ქ. 106.

უკან ვიპოვეთ და ოწ, ვად ჩემს პირში სულის დგმას! ამავე ჩემის შვილის (ოტიას) საფლავზედ დავსდევვით ასრე, რომე ათოდეს არ მოეშალოს ამის ცხედარს და არც გადევყაროს სვეტს ცხოველს, ვინცა და რამანცა დიდმან და ანუ მცირებან, ანუ ქრისტი: მეფევან, ანუ დედოფალმან.... ესე წენი უმნი სკეტს ცხოველს გამოსწიროს. და ან სვეტისცხოველის საყდარს ეს წიგნი გაჰყაროს, რისხავსმცა ღრთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი—ხორციელნი და უხორცონი და ეს სვეტიცხოველი კუართი საუფლოდ და. მირონი ღრთ შეიფელი.... შეიწირა წიგნი ესე ქვესა ტლზ=1645 წ.

ბ. „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩეს ღრისად მიერ საქართველოსა მაკურთხეველმან კზმან პატრონმან ღი. ასამიძემ იოვან ემ ეს უმნი ძუბლითგან ბიძის ჩემის კზისა ყოფილიყო და ციხეში დატყუცვებულიყო, მარიამ დედოფალს დაეხსნა და სუტრისცხოველისათვის შემოეწირა მასუკინ ამილახორს კათალიკოზის საერისთოს წაედო და იქ დატყუცვებულიყო და მერმე ჩუტნ დავიხსენით და შევწირეთ ისევ სუტრაცხოველს სტრისა ჩუტნისა სახსრად. .. ქვესა ცოხ=1689 წ.

გ. „შეწევნითა ღრისათა დავიხსენ უმნი ესე ჩე მეფე- თ შარავანდედმან კზ პატრიარქმან ღომენტიმ ოდეს ჯერ ლეკთა გასტეხეს სვეტიცხოველი და მერმე ოსმალნი-ურუმნი მოვიდეს და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩი ქართლი—მაშინ იავარ ჭეს და წარმოსტყვენეს საყდარი და ტყვე ყვეს საყდრისა ამის რაოდენი წიგნები პპოვეს და ჩუტნ ძიებად ვყავით რაოდენი ქოვეთ, დავიხსენით ფასითა და ისევ სკეტს ცხოველს შევწირეთ, ისიმც რისხავს, ვინც გამოსწიროს და ან დაუკარგოს.... ქვესა უიგ=1725 წ.

167 ფურც. არ შიაზე.

დ. „ქ. ოდეს თამაზეან ქალაქს შემოფიდა და მღვიმე გა- ტყებს და მაშინ ყიზილბაშთ ეშოვნათ ეს ემნ-გულანი და მე ქანჩისხატის კანდელაკმა დავით დავიხსენ და მე ისევ სვეტს

ცხოვდლს შევსწირე ჩემის მიქელის სადღეგრძელოდ და სულისა ჩემისა მოსახსენებლად ქანა უ.კ გ. “=(1735 წ.).

ჩრისტიანობისათვის წამებულის ნეტარ ხსენებულის კალიკოზ-პატრიარქის მვდებალის წმიდა გვამი წამოიღეს საღუმლოდ მისმა თაყვანის მცემლებმა და ანჩისხატის ტაძარში დაკრძალეს, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. \*)

**ღოვეთი.** 1660—1676 წ. აგ ჩაიხოსრო მუხრანბა ტონისა. ქათალიკოზად ეკურთხა 15 ოქტომბერს 1662 წ. (იისლ. სერი. პატ. დისი. 14 გვ.). „მოკვდა კათალიკოზი ჩრისტეფორე, დასვა შეფეხმან (ვახტანგ V) ბიძაშვილი თვისი ღომენტი, კაცი ლირის საყდრისა“. (ქ.-ც. 51 და 249 გვ.). იყო დიდი საყვარელი და პატივცემული მეფისა მიერ (ვახტანგ V). ამან დაასაფლავა ბლავერდის ტაძარში ასტრა ბალიდან მოსვენებული გვამი თევიმურაზ I მეფისა († 1663 წ.) დიდას სამღვდელოთა კრებით (არჩილ. 174 გვ.). ააშენა მჭადიჯვრის მთავარ-ანგელოზთა საყდარი ღუშეთის მახლობლად. შილკნის ტაძარს შესწირა ორი პატარა ტყავზედ ნაწერი სახარება ვერცხლის ბუდიებში. ზანაახლა ტფილისში ანჩისხატის ტაძარი და აღაშენა სამრეკლო 1675 წ. ანჩის ხელით ქმნელი ხატი ჩამოასვენა ლიტონიით ს. კალისგან, სადაც ამილახვრის ზივის სახლში ესვენა რამდენსამე წელს, დადასვენა ტფილისის ღვთისმშობლის საკათალიკოზო ტაძარში, რომელსაც მას აქეთ ანჩისხატი ეწოდა. (Опис. дре. гор. Тифл. იօс. 25. გვ.). მიიცვალა 1675 წ. სექტემბრის 22-ს ქ. ტფილისში.

**ნიკოლაოზ.** 1677 წ. მაღალაძე მცხეთის სვეტისცხოვლის არხამანდრიტი, გამოჩენილი მწერალ-მწიგნობარი, პლამადაგისძე. მცირე ხნობით განაგებდა მცხეთის საკათალიკოზოს, ღომენტი კათალიკოზის სიკვდლის შემდეგ, კათალიკოზის ნიკოლაოზ ამილახვარის აღრჩევამდე. მსე ნიკოლოზი არის

\*) იხ. დревნ. ანცისხატ. იო. 78 გვ.

აღმშენებლი (თუ განმაახლებელი?) მშვენიერის წინარეხის ბერ-  
ლემის ლვითი მშობლის („მაღალანთ“) ტაძრისა ზორის მაზრა-  
ში, კავთისხევსა და ქვათახევის მონასტრის შეუ. აპა თვით მხე-  
ორული წარწერა აღმოსავლეთის კედელზედ მაღლა კამარას ქვე-  
შე: „მე კათალიკოზმან ქართლისამან ნიკოლაოზ მაღავ ადამის-  
ძე მაღალაძემ აღვაშენე საყდარი ესე, ტაძარი ყოვლად წმი-  
დისა. ადიდე სული დედისა ჩემისა მლენესი: შესანდობელად  
გამისა ჩემისა ადამისა და მოსახსენებლად. ქ' კ ტნიე (366 —  
1677 წ.) ამა საყდრის შენების დროს დაჭხოცვია ნიკოლაოზს  
მები ზიორგი და ილია ნიკოლაოზი ასაფლავია. იქვე, საყ-  
დრის ეზოში და საფლავის ქვაზედ გამოსახულია ცხენზედ  
მჯდომარედ. მათ ჩა ვა კუა ჩარა ჩა

**ნიკოლაოზ 1676 — 1687; 1691 — 1696 წ.წ.** აღზრდი-  
ლი შრიისტიფორე კათალიკოზისა. „არამედ მომკვდარიყო კა-  
თალიკოზი დომენტი ჩქოე წ. აწ მეფემან (ზიორგი XI) და-  
სეა ძმა ზივი ამილახორისა, ძე იოთამისა ნიკოლაოზ კათა-  
ლიკოზად“. ძ-ცხ. II ნაწ. ნ6 გვ წინათ იყო რუსთავის-  
ებისკოპოზად მარტყოფში. ზივს ამილახვარს ჰყვანდა ცო-  
ლად ზიორგი მეფის და თამარი.

ნიკოლაოზი იყო ფრიად კეთალი და თავდადებული მო-  
ლვაზე მამულისა და ქრისტეანობისათვის. მსე ნიკოლაოზი თავის  
კრებით სწერს 1676 წ. 6 თებერვალს მოსკოვის მეფეს მეფეს მეფეს  
აღექსის ძეს გრამოტას — ვემწეობა გაგვიწიე წინაშე  
სარსეთის ყევნისაო; თან პსთხოეს ბატონიშვილის ნიკოლა-  
ოზის (შემდევ ნაზარალი ხანი, ანუ ირაკლი) დაბრუნებას,  
რომ არ გავთათრდეთო. ამ გრამოტაზედ აწერენ ხელს: ალ-  
ექტელი ბრავოლ, ბოლბელი მათე რუსთველი, ნინოწმინ-  
დელი ნიკოლაოზ, ნეკრესელი, სამებელი. \*) როგორც დავი-  
ნხავთ, შემდევ ში, ნაზარალიხენმა დაამხო ნიკოლაოზი კათა-  
ლიკოზობიდამ. ნიკოლაოზმა დიდი ამაგი დასდო ქართულს

\*) იხ. ცერე. ერთ ა. ც. რუს. იო. 93 გვ.

მწიგნობრობასა: შეჰქრიბა გაფანტულნი ხელნაწერნი ერთად  
და შეადგინა დიდი წიგნთსაცავი სვეტისცხოვლის ტაძარში,  
მოუდარა თავი საუკეთესო მხატვართ და წიგნთა გადამწერ  
კაცებს და აწერინებდა მხატვრობიან საეკულესიო წიგნებსა.  
მრთსა და იმავე დროს რამდენიმე რთიცალი წიგნი იწერებოდა  
ერთის მოკანანახეს ინაბარა. ამა წიგნთა გადამწერთა შორის  
შესანიშნავნი არიან — საბა და მიქელ. ანჩისხატის მხატვრო-  
ბიანი მშვენიერი გულანი თრ დიდ წიგნად, რომლის წარწე-  
რა ბოლოს \*, და ქისტაურში თ. ძიაზო ერისთავის ლო-  
ცვანი მხატვრობიანივე\*\*), ორივე აღწერილია 1681 წ. სვეტი-  
ცხოვლის გალავანი მთლად ხელახლა აღაშენა თავის საყარა-  
ულო გოდოლ-ზლუდით, განაახლა თვით ტაძრის სამხრეები  
ჩრდილოეთით და სამხრეთით. 1687 წ. გამეტდა თუ არა ნა-  
ზარალი ხანი, შემოერტყა მცხეთას და ზარბაზნები დაუშინა\*\*\*),  
გადააყენა ნიკოლაოზი და კათალიკოზობა მისცა თავის დე-  
დის ძმას იოანეს. 1688 — 1691 წ. შორის ნიკოლაოზი იმ-  
ყოფებოდა რაჭაში ჩერიბის მაიხანეროს სახლში. ძვლავ გამე-  
ფდა თუ არა ბიორგი XI, მაშინვე ისევ ნიკოლაოზი. დააყენა  
კათალიკოზად და 1696 წლამდე მწყსიდა საქართველოს ეკკლე-  
სიასა. ამ დროს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის არქიმან-  
დრიტი სერგი აგროვებდა შეწირულობას და ნიკოლაოზ კა-  
თალიკოზთან ერთად ჯვარის მონასტრისათვის. გაისტუმრეს  
იერუსალიმში ყველნივე სახმარნი ნიკონი ვერცხლისა, 100-  
сланіе Досищая, 21 გვ.) ნიკოლაოზის თხოვნით ბიორგი მე-  
ფებ და მისმა ძმამ ლევანმა მოიშორეს ჯვარის. მონასტრის  
ვალი 94,000 პიასტრი, ანუ 4700 მანათი (პიასტრი ერთ შა-  
ურს უდრის), რაკი სომხები და ფრანგები აპირობდნენ მაგ-  
ვალის მოშორებასა და ჯვარის მონასტრის ხელში ჩაგდებას.

\*) იხ. „ივერია“ 1877 წ. № 44.

\*\*) იხ. მშეკებელი № 10, 1894 წ.

\*\*\*) შემდეგში, 1695 წ., მრეკლემ ავ შეკოდების მოსანანიებლად  
ნაცვლად განუახლა სვეტსტხოველს გუჯარი ძველ დროთა შეწირულებათ  
დამტკიცებით.

ნიკოლაოზის რჩევით ბიორგიმ დაიბარა რუსეთიდამ არ-  
ხოლ მეფე — მტერს ერთად ვებრძოლოთო. ნიკოლოზ კათა-  
ლიკოზი მიიცვალა 1704 წ., ჰმარხია სვეტისცხოვლის საკურ-  
თხევლის ჩრდილოეთად ეკვდერში შესავლის მარცხნივ.

იოანე V, 1687—1691; 1696—1700. წ.წ. თ. ღიასამიძე  
ლევანის ძე, დედის ძმა მეფე მრეკლე I, ნაზარალი ხანისა.  
1687 წ. შავ-ხოლიმანი სწერს ფირმანში იოანე კათალი-  
კოზს: „რადგან თქვენი წინამოადგილე (ნიკოლაოზი) არ დაე-  
მორჩილო ნაზარალი ხანს, იგი განვკვეთეთ და თქვენ იოანე  
დაგადგინეთო“ (МЦХЕТСК. აქტЫ 238 გვ.). შავაბაზმა რომ  
დავით ბარესჯის უდაბნო ააოხრა და ექვსი ათასი ბერ-მონა-  
ზონი გაულიტა (1615 წ. აღდგომის დილით). იმ დროდან  
დაწყებული არ იქნა და ეგ უდაბნო წელში ველარ გაიშალა,  
ძელებურათ ბერ-მონაზონთა სიმრავლემ თავი ველარ მოიყა-  
რა; მართალია არჩილ II მეფემ ქახეთში ბატონობის დროს  
(1664—1675 წ.) განაახლა დავით ბარეჯის და იოანე ნათ-  
ლისმცემლის უდაბნონი, მაგრამ მაინც ბერ-მონაზონბამ ფე-  
ხი ვერ მოიკიდა. ამიტომ კათალიკოზმა იოანემ, მეფის მრე-  
კლეს შეკითხვით 1690 წ. მარტის 12 მოახდინა მღვდელთ-  
მთავართა კრება და შემდეგის მშვენიერი განაჩენით აღადგინა  
დავით ბარეჯის უდაბნო:

„მართლისა მაკურთხეველი კათალიკოზი იოანე ღიასა-  
მიძე, ამბა ალავერდელი ნიკოლაოზ ნინოწმინდელი, არ-  
სენი და სხ.... ეამთა ვითარებისაგან დავით ბარეჯის უდაბ-  
ნო მოოსტრებულიყო და შენობა აღარ იყო. მართველთა  
მეფის შავნაოზის პირმშო ძემან, მეფედ დადგინებულმან  
არჩილ კვალად შენობა ჩაგდო, მღვდელ-მონაზონები და  
წინამძღვარი დაუდგინა, წლითი წლად გამოსაზრდელი სა-  
ზრდო განუჩინა, პირველებრ გარიგებას უპირობდა, მაგრამ  
არ დასკალდა. ძიდევ შენობა არ მოიშალა: ის წმიდანი  
მღვდელ-მონაზონნი კორცითაგან განვიდეს, აწ ჩვენ შეწე-  
ვნითა ღისათა და წმ. მამისა დავით ბარეჯელისათა და

ბრძანებითა მეფეთ-მეფის მრეკლესითა ვიგულსმოდგინეთ  
განვაწესეთ და განვარიგეთ და დავადგინეთ მამად და;  
ვინც იქ მდევია, მის უფროსად და წინამძღვრად—მაჭუტა-  
ძე მნოფრე: <sup>1)</sup> ასრე რომ ყველა მისი მორჩილნი იყვნენ და  
მდაბლად მსახურონ, ვისაც იქ დგომა და მოღვაწება უნ  
დოდეს, მამის მორჩილებით და ნების-მყოფლობით იყოს,  
ახრანდელნიც და ჟემდგომნიც მისი კელქვეითნი იყუნენ,  
რაც იქ მდგომმან მონოზონმან ან წირვით, ან სხვის მო-  
ღვაწებით რამ იშოონ, უკლებლივ წინამძღვარს მიაბარონ,  
იმან როგორც მართებულია, მონასტერსაც ისე მოაკმაროს  
და იქ მდეგსაცა. ზინც ამ ბძანებასა და განაჩენს გადვი-  
დეს, მონასტერს მართლად არა მსახუროს—განიდევნოს და  
შეჩვენებული იყოს შვიდის კრებისაგან, ჩვენგან და ჩვენის  
კრებისაგან. და თუ იქ დგომა არ უნდოდეს, შენდობით  
და მონასტრის უზიანოს საქმით და უკანონოდ გამოვიდეს;  
ვისაც დგომა უნდოდეს, ესეები ქნას და ამ წესსზედ დად-  
გეს. მარტის ი-ბ, ქვე ტოტ. (1690 წ.); ბოდბელი მვდე-  
მოს, რუსთველი ნიკოლაოზ, ალავერდელი ნიკოლაოზ,  
სამებელი ნიკოლაოზ, ნინოწმიდელი არსენ, ტფილელ  
მთ.-ებისკოპოსი დომენტი, მთ.-ებისკოპოზი ჩრისტეფორე".

"1691 წ. გამეფდა ზოორგი და კვალად დაადგინა კათალიკო-  
ზად ნიკოლაოზივე". (ქ.-ც. 62 გვ.) შემდეგ: "1696 წ.  
მრეკლემ დაიპყრა სრულიად ქართლი, განაცენა კვალად კა-  
თალიკოზიდიდან ნიკოლაოზ და დასვა იოანევე" იქვე 67 გვ.  
მრეკლემ რაღაზედაც აწყევინა იოანეს 1690 წ. იოანე †  
1700 წ.

**ევდემოს II, 1700—1703 წ. თ. დიასამიძე, იყო ძმისწუ-**

<sup>1)</sup> ბატონიშვილმა ლეგანმა, ვახტანგ VI-ს მამამ, 1670—1673 წლებში შეირთო გურიელის ქალი თუთა (+1678 წ.); რემელსაც თან მოჰყვა მოღვარი მღვდელ-მონაზონი მაქსიმე მაჭუტაძე და მისი ძმა მთარი. მაქსიმეს უბოძეს შემდეგ ბოლნისის ეპარქია, ხოლო მთარი ბერად შედ-  
გა მნოფრეს სახელით და მიეცა დავით გარეჯის წინამძღვრობა.

ლი ითანესი. „შემდგომად მოკვედა ქათალიკოზი ითანე 1700 წ. დასვა მრეკლებ მვდემოს, ძმისწული ითანესივე. (ქ.-ც. 67 გვ.) ესე მვდემოს და დედოფალი ანა ურჩევდნენ მრეკლე მეფეს კეთილად ცხოვრებასა და არა შეურაცხებად ქრისტიანობისა; გარნა მან არავის უსმინა და ტფილისის მეტების ტა-  
ძარში ჯერ წირვა-ლოცვა აღკრძალა,. მერე თოფის წამლის  
შესანახად გადააჭირა. ამ ხანებში ყევნმა იმერეთში მყოფ ვაბ-  
რანგ VI დაუბრუნა საუფლისწულოდ ქართლი; ამისათვის  
ალში მოსრულს ვახტანგს (1701 წ.) მრეკლებ მიაგება კა-  
თალიკოზი მვდემოს და სპასპეტი ლუარსაბ შაფლანიშვილი  
და შეპფიცეს არა დაგიშავდება-რა, მოდი და მიიღე შენი სა-  
უფლისწულო“. (ქ.-ც. 69 გვ.).

დომენტი III, 1704—1724; 1738—1742 წ. ეს ლევანისა  
და ძმა ვახტანგ VI სჯულის მდებელისა. დომენტი პატარაო-  
ბიდანვე სუსტი აგებულებისა იყო; 1689 წ. იერუსალიმში  
ჯვარის ქართველთა მონასტერში მყოფი (პატრიარქს დოსი-  
ეთოსს გაჰყა) ახალგაზდა დომენტი პატრიარქმა დო-  
სითეოსმა იეროდიაკონად აკურთხა, გახდა აქ ავათ და  
მხოლოდ მონასტრის ძმათა თავგამოდებულმა მოვლამა  
და ყურისგდებამ გადაარჩინა სიკვდილსა. აქ დომენტი  
დაუმევობრდა სტამბის გამგეებს, შეისწავლა, წიგნის ბეჭ-  
დის საქმე და თან წამოიღო ზოგი ერთი რაზ საჭირო  
მოწყობილობა სტამბისა; ნატრობდა დღე და ღამ — როდის  
ელიოსებოდა თავის სამშობლოში სტამბის გახსნასა, რომ ხელ-  
ნაწერ წიგნთა მაგიერ დაბეჭდილი წიგნები ეხმარნათ ამიტომ  
შერის თვალით შეპყურებდა სხვა ერთა სამღვდელოებასა, რო-  
მელთაც კარგა ხნიდგან შემოღებული ჰქონდათ დაბეჭდილი  
წიგნების ხმარება, მაგ. სომხებს უკვე 1686 წლიდგან დაბეჭ-  
დილი ჰქონდათ „საღლესაწაულო“, რომელიც ქართულს  
ენაზედ მხოლოდ 1805 წ. დაიბეჭდა. მოვიდა სამშობლოში  
გახარებული, მაგრამ შინაურ და გარეულ გრერთა მძლავრე-

ბაშ ახლა რუსეთისკენ გაამგზავრა მეფე პრიმორიან ერთად 1) ამიტომ მხოლოდ 1704 წ. მოახერხა ეზრუნა რამც სტამბაზე თავი მოუყარა მწერალ-მწიგნობართა, შეჰქრიბა მრავალნი წიგნნი, გახსნა ყრმათა სასწავლო სკოლა და სხ. 2) 1705 წ. აღრჩეულ იქმნა კათალიკოზად და შეუდგა სტამბის გამართვასა. ამ სასიქადულო საქმეში წინ გაუძღვა დომენტის გონება განგრძელი ვებული მეფე ვახტანგ VI და მეორე წელს ვე (1706 წ.) სტამბა მზად იყო. აქ შრომობდნენ: ნიკოლაოზ მრავალიანი, ბერმანე, ძვიბრიანე სამთავნელი, ანჩისხატის დეკანოზი იოსებ, ზრიგოლ მხატვარი და სხ. აქ და.

1) სწორედ ამ დროს სტამბოლი რაღაც შემთხვევით უნგრო-ვალ-ხიაში ქართველი მღვდელთ-მთავარი ანთიმოზი, რომელმაც გახსნა ქართული სტამბა 1700 წ. ახლო ხანს. ამა ანთიმოზმა გამოუგზავნა მეფე ვახტანგ VI სტამბის მოწყობილობა და ჩამოსხმული ასოები (იხ. ოცერკ. იო ისტ. გრუ. ცივეს. A. ხახანოვა, B. III, 367—368 ცტ.) 1699 წ. არჩილ მეფე მივიდა მოსკოვში და მაშინვე შეუდგა სტამბის გახსნა და 1705 წ. დაბეჭდა კიდეც დავითნი. არჩილს მღ.-მონაზონი დომენტითანა ჰყანდა. მცვი არა გვაქვს; რომ დომენტი სამშობლოში მოსლევს უმაღ (1704 წ.) შეუჩნდა თავის ძმას ვახტანგ VI და გახსნევინა სტამბა. რომ დომენტიმ გაიცნო ანთიმოზ მღვდელთ-მთავარი იერუსალიმში ყოფნის დროს, არც ეს მიგვაჩნია საეჭვოდ. იქ დროს ქართველთათვის შეუძლებელი იყო უნგრო-ვალაზიაში სიარული სტამბის საქმეზე ა. რომ დომენტიმ და ანთიმოზმა მოილაპარაკეს და დააწყეს თავდარიგი საქართველოში სტამბის გახსნისათვის იერუსალიმშივე, და გამობრუნებულთ იქნებალიმიდგან ერთად უნდა ემგზავრნათ ძონსტანტინეპოლამდე—ჩევნ ჰერმარიტებად მიგვაჩნია.

2) ს. მელანში თ. გ. ანდრონიკაშვილის კარის საყდარში დაცული ძველი მშვენიერი ხელნაწერი სახარება. მათეს თავის ბოლოს ს ერთა: „ქ დმერთო შეიწყალე ფრიად ცოდვილი. დევანის ძე დომენტი. მოხნო თო მეობ შექმენ დღესა მას განკითხვისასა. დვთის გულისათვის ვინც წარიქოთხოთ, მე ცოდვილს მომისხენებდეთ; მე ყოველთა კაცთა უცოდვილეს გვედრებით შენდობაც მიბრძანეთ, თქვენც შეგინდგნეს ლმან. ჩემთა ბიორგისა. ქვს ტკე—1695 წ.

ბეჭდა პირველად ოდიკი ტილოზედ, რომელსაც გარს აწერის  
ხუცური ასო მთავრული ჩართულით:

„ჩვენ ძირმოდგმით: და თივ: გვირგვინოსანმან: მეფეთაგან: აღმოცენებულმან: ძის ქემან: მეფის: ვახტანგისამან: და: ქემან: და ვანისამან: ბატონის შვილმა: ვახტანგ: მოვიხვებ: ბეჭდი: ესე: ოდიკისა: წისა: ქალაქისა: იპერიუსალიმისა: სანატრელისა: პატრიარქის: დოსითეოსის: მიერ: შესანდობელად: ცოდვათა: ჩემთა: შეუნდოს: და მეტანგს: მეუღლით: ძით: და: ასულით: შესაწირავი: საღმოო: და: სამღვდელო: შეწირული: და განწმედილი: წმიდისა: კათოლიკე: ეკლესიასა: და: კვართსა: საუფლოსა: და: მირონ: ღმერთ-მყოფელისა: ზედა: მჯდომარისა: სანატრელისა: კათალიკოზის: მიერ: ქვს ტუე (1707 წ.)<sup>1)</sup>.

გამეფდა თუ არა ვახტანგი ქართლში 1702 წლიდგან,  
მოწადინა მვდემოსის გადაყენება (უმეცრებისა გამო). და ისევ  
ნიკოლაოზ ამილახვრის დაღენა, მაგრამ სამღვდელოთა კრებამ უარ-ჰყო ერთიც და მეორეც, აღირჩიეს რუსეთიდამ  
ახლად მოსული (1703 წ. შემოდგომაზედ) ღომენტი და  
აკურთხეს კათალიკოზად 1705 წ. (ქ-ც. 73 გვ.) კახე-  
თში რაც საკათალიკოზო მამულები იყო ძველადგანვე,  
ღომენტის აღარ ანებებდნენ კახელნი; ამისათვის 1707 წ.  
ღომენტი წავიდა ყევნთან საჩივლელად და მისი წყალო-  
ბის ფირმანით მერე კახეთში ჩავიდა. იმამყული ხანთან,  
შარალაჯში; გაარიგა საქმე და მოვიდა მცხეთაში. ღო-  
მენტი დიდად მოწადინებული იყო მაჰმადიანთა უღლისა  
გან განთავისუფლებასა და ამიტომ მაშინდელ სომეხთა კა-  
თალიკოზ ალექსანდრესთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. 1711 წ.  
ობეგრვალში გაუვაკენა ერთი საპალნე ატენის ზვრის ღვინო

<sup>1)</sup> ამავე სტამბაში დაიბუჭდა ჯერ დავითი 1707 წ., მერე უამნი  
სასამი გამოცემა—1710. 1713 და 1719 წ.), კონდაკი (ორი გამოცემ  
(710 და 1721 წ.), სახარება, სამოციქულო, საქრისტიანო მოძღვრება  
წინასწარმეტყველო, ვეფხის ტყალსანი, ვაიათი და სრ მრავალნი; წიგნია,

და სთხოვდა სხ. შორის ისპაანურ სამკურნალო არა ყსა. პლექ სანდრემ მარტის დამდეგს მოსწერა პასუხი და აღუთჭვა მალე გამოგზავნა ისპაანური არა ყისა.

ღომენტი თავგამოდებით შეუდგა საკათალიკოზო შემო-სავლის მომაცებასა. სხვათა შორის გასცა იჯარით საბაჟოები. აი ამაზედ პირობის წერილი:

„... ბატონშა კათალიკოზმან ღომენტიმ გიბოძეთ ბაჟი — შალაქისა, ზორისა, ქრცხინვალისა, და პლისა და ყოფ-ლის ჩვენის სამეფოსი — თევზისა ახალისა, ძველისა, რაც სვეტისცხოვლის შემოსავალი ბაჟია, ამაში ჩუტნი ყმა თახ-ხანი არ არის, ოც და სამ თუმნათ შენც აიღე და ჩუტნი გვბოძებია: საგარაშვილმა გასპარამ და პლასშვილმა ასატუ-რამ ავიღეთ და უნდა მოგაროვათ ამ ნავროზით იმ ნაერო-ზამდის: ზურგიელი სამი ერთ აბაზათ, დოში შვიდ ფულათ ( $3\frac{1}{2}$  კაპ.), გვერდი ნახევარ შაურათ, ხიზილალა შაურ ორ ბისტათ ლიტრა ( $9$  კაპ.), თეთრი ბრინჯი ლიტრა ოთხ ბის-ტათ, გელაქნური შვიდი შაურათ, ზურთი მუცლიანი აბა-ზათ, ტარალანა ორ შაურათ. პპრილის, ა. ქ'კა ტუდ = (1706 წ. 1 \*).

იქსე აღიძრა შურით და ვახტანგი დააბეჭდა კუენთან — „თათრობის მტერიაო, შიწაზე დაახეთქა ყორანი და მერე ცეცხლში დასწვაო.“ შეენმა გამომძიებელი გამო-გზავნა; სვიმონ ბატონიშვილიც იქსეს მიემხრო; ვახტანგს არ ღალატობდა მხოლოდ სამლელელოება. ვახტანგის მოძუ-ლე თავადებმაც იქსე მოითხოვეს მეფედ; ღომენტიმ და თითო-ოროლა სამლელოთ უნებლიერ უმოწმეს სვიმონს ვახტანგის წინააღმდეგ. 1713 წ. გამეფდა იქსე. ვახტანგის სახლეული ბორში გაიხიზნა. სვიმონმა შეიპყრო ღომენტი კათალიკოზი და ბაქარს გაუგზავნა თვალების დასათხრელად, „სპარსეთში მყოფს ვახტანგს რად ემხრობიო“. მაგრამ დედოფალმა რე-

\*) იხ. Акты Арх. ком. т. I, 54 გვ.

სუდანმა (ვახტანგ VII მეულლე) არ უყო. ღომენტიმ კრები-სათანა დასწყევლა ხვიმონი, გაჩნდა საშინელი ქირიანობა და სიმონს ცოლ-შვილი ერთიანად ამოუწყდა; ხალხი კათალი-კოზის წყევლას აწერდა ხიმონის უბედურებასა. ამასობაში (1712 წ.) მამია გურიელი იმერეთის მეფედ ნამყოფი, სიძე ზორეგი აბაშიძისა) ეწვია ღომენტის, ზორეგი მეფისაგან და-მარცხებული და დევნილი, რაჭიდან გადმოვიდა ცხინვალში ბაქარის ნებართვით და ზორში ჩამოვიდა, სადაც ქათალიკო-ზი ღომენტი გულუხვად უმასპინძლებდა. (ქ.-ცხ. 224 გვ.) ისე რომ მეფედ მოვიდა (1714 წ.), ვახტანგის სახლეული ზორიდამ რაჭას გაიხიზნა, ღომენტი-კი ჩამოვიდა ტფილისში და პატივისცემით იქმნა შეწყნარებულ იქსესაგან. (ქ.-ცხ 78—79 გვ.). ამ დროს ღომენტი პატრიონობს მამობრივის მხრუნველობით თავის სამწყსოს და ჰკრებავს წიგნებს, წმ. ნაწილებს და სხ. შეამკო ძვირფასი ხატი „მრავალნაწილია-ნი“ და დაასვენა ტფილისის ანჩისხატის ტაძარში, საიდგანაც 1795 წ. 11—13 ენკენისთვეში გახიზნა ხელითუმქნელ ხატ-თან ერთად სოლომან დეკანოზმა ანანურში და იქიდგან ჩა-მოასვენეს მცხეთის სვეტისცხოველში, სადაც დღეს კანკელის მარჯვნივ სვეტშია დასვენებული:

„ქ. შევამკევით ხატი ესე მრავალნაწილიანი ჩენ  
მეფედ შარავანდელმან ქართლისა და კახეთისა, რანთა და  
სამცხე საათაბაგოსა მწყემსმან და მაკუთხეველმან კუზმან  
პატრიმან ღომენტი ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად. აწ  
გვვედრები მრავალმოწყალეო ღმერთო, მამაო, ძეო და  
სულო წაო და უდ წაო ღის მშობელო, შემიწყალი და  
განმწმიდე ყოვლისა ცოდვისა და ბიწისაგან და ყოვლისა  
სატანჯველისა და ეშმაკთა ხელისაგან მიხსენით დღესა მას  
დიდსა განკითხვისასა. ტფილის ქალაქს კათალიკოზის პატ-  
რიარქის საყდარს ანჩის ხატში დაგვისვენება. ვინც გამო-  
გახოს, ესგმუ რისხავს. ქ'ქს უვ.“=(1718 წ.).

დაიპყრეს ოსმალთ ქართლი თუ არა (1723 წ. ივნის-

ში), მსაყ-ფაშას გაიძევრობით ღომენტი იძულებული იყო  
ქ. ლორიდან სტამბოლში წასულიყო სულთანთან, რაյო  
ლვთის მოქარე ღომენტი თავგამოდებით უფროთხილდებოდა  
ეკკლესიის ყოველგვარ ქონებასა და ხელთ არა ჩაუგდო.  
ძეგლიდგანვე წევოლებათა პეტრი მეტერი შემოვსეო-  
და ხაქართველოს, კათალიკოზნი მიუვალ ადგილებში გახი-  
ზნავდნენ ხოლმე სვეტიცხოველის ყოველგვარ ქონებასა; ამი-  
სთანა მიუვალ ადგილებად ჩვენ ორი ვიცით: ბერგეთის სამე-  
ბის საყდარი თავის ქვაბებით ჩრდილოეთის მხრივ და ლა-  
გვისის წმ. თევდორეს მონასტერი ქსნის ხეობაში. ჩადგნენ  
თუ არა ოსმალები ტფილისში (10 ივნის 1723 წ.), ღომენ-  
ტიმ მაშინვე გახიზნა სვეტიცხოველის განძი. აი წარწერა  
სვეტიცხოველის სვინაქსრისა (№ 48):

„მრისტეს აქეთ ჩლკგ წ. ყოველი სვეტიცხოველის სამ-  
კაული ლარგვის მონასტერს ცყო ხიზნათ: გვირგვინი: გ:  
ხატი: მურასა: დ: და წიგნი მრავალი და გუჯარნი სრუ-  
ლიად: ყოველნი სამსახურებელნი: დიდისა: კათოლიკე ეკ-  
ლესიისა: ოდეს: ურუმთ: შეიპყრეს: ყოველი საქართველო:  
ძახეთი და ყიზილბაში ვიდრე თავრიზამდი: და ლეკო გაა-  
ოხეს; ძახეთი და საქართველო“.

ღომენტი რომ სტამბოლში წავიდა მსაყ-ფაშამ იქსეს  
ჩაგონებით თან დაადევნა დაბეჭდების მოხსენება; ამისთვის  
სტამბოლში დაპატიმრეს ღომენტი და ბოხჩა-ადას კუნძულ-  
ზედ დაამწყვდიეს \*). აქედვან, მტერთაგან დაცემულის სამ-  
შობლოს კვლავ აღდგენის მონატრე შემდგებ გულ საკ-  
ლავ წერილსა სწერს თავის მოადგილეს ბესარიონ კათ-  
ლიკოზს: „რად მოგითხრა, თუ ვითარ აოხრებულ არს  
ქვეყანა ჩვენი. მე არა მწყენია, რომ მამა-პაპათა სარ-  
წმუნოების უარ მყოფელმა იქსემ შენ დაგადგინა ჩემს ნა-  
ცვლად-კათალიკოზად. მე ვსასოებდი, რომელ მეფესთან ეგ-

\* ) სადაც 13 წელიწადი ტყვეობაში გაატარა.

ე) დაახლოვებული მცველ და მფარველ ექმნებოდი სარწმუნოებასა ჩვენსა და ეკულესისა. შენ ალაგას სხვა ყველა შეიძლებდა შერყეულის ეკულესის დამშვიდებასა; დანილ ეპისკოპოსის ურემლითა და მუხლმოდრეკით ვეღრებასა, 50 ურმათა დახსნისათვის ოსმალთა ტრეტიბისაგან, უნდა აღმართ გული შენი და დაგეხსნა იგინი საუკუნოსა და დროებით დალუპვისაგან. მრთი მაგ ურმათაგანი აქ ძონსტანტინეპოლიში გამოსყიდულ იქმნა სომხის გასპარის მიერ და ჩემდა მოყვანებულ მოსამსახურედ. შრმა ესე არის მუხრანიდამ და ეს ბონიაშვილისა; დღე და ღამ აფრევეკს ცრემლთა და ვერ ივიწყებს სამშობლოს განშორებასა. გერა რამე ვერ ანუგეშებს მას და მცხი მწარე სიცოცხლე სამშობლოს მოშორებისა გამო უაღრესად ამძაფრებს სულიერთა ჩემთა წყლულთა. ხსენ 49 ურმანი სტამბოლის სალაყბოზედ განსყიდულ იქმნენ და წაყვანებულ ტყვეებად მგვიპტეში და ბლურში. რას ფიქრობ, რა პასუხი უნდა მისცე ღმერთსა, რომელიან მოგზაულია შენ დაცვა მრისცეს ეკულესისა შეილთა? ვსწუხარ სულით, რომ შენს მოვალეობას მოგაგონებ, თუმცა მე ღირსი არა ვარ განკიცხვად შენდა. ჰქმდნ, რაც გსურს: მე განშორებულ ვარ გამგეობასა, გარნა სიყვარული ღვთისა და თვისთა მაიძულებს მოგაგონო მოვალეობა შენი, ვითარცა უხუცესსა მწყემსსა ეკულესისასა.

მე მომითხრეს, ვითარმედ საეკლესიო საუნჯენი და ყოველი შემოწირულებანი ჩვენთა მეფეთანი წარტაცებულ არიან. ზანა შეუძლებელი იყო მათი სამალავებში დაკრძალვა; როგორც უწინ ჩვენი წინამოსაყდრენი ჰკრძალავდნენ და იფარვიდნენ განძარცვისაგან? უფალმა ღმერთმა დაიცვას ჩვენი ეკლესია სრულიადისა აოხრებისაგან, ხსნა მის მიერ არს და ქასსობ, რომ ეკულესია ოდესმე განპრეზინდება და ჩვენზედ მხოლოდ ამას-და იტყვიან, რომ ჩვენის ულიოსებისა გამო ქვეყანასა ჩვენსა მოევლინა უმწარესნი უბედურებანი. ხახელითა ღვთისა და იესო მრისცესითა, შოველთა წმიდათათა, ზეცით-

მხილველთა ჩვენთა საქმეთასა, გთხოვ და გვევდრები იქონიო ზრუნვა ქრისტეს სამწყსოზედ, რომლისათვის ისე სახელოვნად იღვწოდენ უწინარეს ჩვენსა მწყემსი სულიერნი და დასდებდნენ სულთა თვისთა წინდად მწყსილისა სიტყვიერისა ქრისტეს სამწყსოსა ცხოვნებისათვის. ზანა არა ფიქრობდა იესე ქრისტეს უარმყოფელი, რომ ოდესშე წარსდგებოდა წინაშე მისსა, რომელიც უარპყო მხოლოდ იმიტომ, რომ მტრებთან ერთათ აღელო მახვილი დასათრებუნავად სამშობლოსა ყოველთა ს. წმიდეთა? შვეინიერი ტანჯვანი წარმავალნი არიან, ლმერთი განპკურნავს წყლულთა მორწმუნეთა ძეთასა, გარნა ვახ მათ, რომელნი თავ ერისა სდგან და უდებებით არა იფარვენ თანამდებობისაებრ მომაკვდავთა ერისაგანთა. ძურთხევა ლვთისა იყავნ სამშობლოსა ზედა ჩვენსა, განუსვენოს ლმერთმა სულსა ალწყვედოლთასა სასუფეველსა თვისსა! აკურთხნეს. ლმერთმან იგინი, რომელნი ზეციერთაებრ შემწედ ქრისტიანე ერისა იღვწიან და ექმნებიან მამად და ნუგეშინისმცემლად ჭაობლებულთა და ჩაგრულთა“ \*). ლომენტი მოვიდა სტამბოლიდამ იმერეთში მაისის 25 1738 წ. ხოლო ამავე წლის ნოემბრის 27 ჩამოვიდა მცხეთაში ქ.-ცხ. 342—344 გვ. ლომენტიმ აღწერა საქართველოს ისტორია და წმიდათა ცხოვრება. 1741 წ. შემოდგომაზედ ლომენტი ავათ გახდა მთილისში და 1742 წ. იანვარში მიიცვალა. თამარმა დიდის პატივით დაასაფლა გა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში. ქ.-ცხ. 349 გვ. ლომენტი კათალიკოზი რომ ავათმყოფი შეიქმნა 1741 წ. შემოდგომაზედ, მის სანიხავად ჩამოვიდა მაცხეთიდან დედოფალი თამარი, ასული ვახტანგ VI; თამარმა მოახდინა სამლევლოთა კრება და ლომენტის ჩვენებით აღირჩიეს კათალიკოზად მეფის იესეს დე ანტონი, იმ დროს მუთათელი; ანტონი უარი ხოჭვა. ამისათვის ლომენტიმ მოუწოდა ურბნელს ნიკოლაოზს (ხერხეულიძეს), დააჩოქა წინაშე თვისსა, აკურ-

\*) იხ. Ист. вагл. на сост. груз., Йоссед. 83—86 გვ.

თხა ხელის დადებით კათალიკოზად და მისცა ხელში ძვერთხი საკათალიკოზო.

**ბესარიონი.** 1728—1735 წ. ორბელიანი. პლი-ზარდა იოანე ნეთლისმცემლის უდაბნოში 1680 წლი-დგან. დიდი ამაგი დასდო დავით ბარეჯის უდაბნოს განახლე-ბასა, თავის ძმის სვიმონ ბერის დახმარებით, შეჰქრიბა ბერ-მონოზონნი და მით საბაბი მისცა მეფე შრეკლეს და კათა-ლიკოზ იოანე V 1690 წ. 12 მარტს დადგენილი განჩინე-ბისათვის. დიდი მეგობარი იყო იასე მეფისა და ვახტანგ VI მტრობდა. ამიტომ 1727 წ. იასეს დახმარებით ნელ-ნელა მოიმხრო ისაუ-ფაშა, შეაპარა ქრთამი და მიიღო კათალიკო-ზობა ასე, 1728 წ. ნახევარში. იყო კაცი ფრიად განათლე-ბული, შეადგინა მშვენიერი „ქართველთა წმიდათა“ ცხოვრე-ბა, „სვეტიცხოვლის სვინაქსარი“, „გრიფემლი“, რომლის და-წერაში ეხმარებოდა ფრანგის ბერი ფრანჩესკო. მზრდოდა სომ-ხებსა, კათალიკოზი ბესარიონ ვგონებ ძმა იყო გათაორებუ-ლის ასლამაზ-ხანისა, ბესარიონ კათალიკოზი რომ მართლა 1728 წ. აღვიდა საკათალიკოზო ტახტზედ, და არა 1724 წ., როგორც მრავალნი შეკორმით სწერენ, —ამას ამტკიცებს მისი საფლავის ქვის წარწერა სვეტიცხოვლის ტაძარში. აი თვით წარწერა იამბიკოს ლექსად: „ლოცვამან ანნა.“ ქ. ბე-სარიონმა ორბელიანმა ტომად, აქა პატრიიარქ ვიკამარ-ხარისხ-კიბედ: ვ: წელს, მიწა ხარისა ხმამან განმგმირმა, ყოვ-ლითურთსა თიხის-შლად როვევით მიწამა მიწადს, მწყემსი სიტყვითთა უხმო გეტყვი შვილთა ჩემთა ვითარ აღნა-გი მეცა ხატი მაგისა, ქვედ ნაქსულ-არსულთ, ვიყავ მო-ლვაწე მამა სულთა, განმხრწნელ ავ-სულთა ვსდევნიდი მტერ-თა. არ ნათნი გათნი უწყალმა ხელნი იწრო; უქმ კვერთხ-პორფირნი და მწყემსებრ ტკბილ სიტყვანი, ცრემლთვან მონალბოდ გეტყვიან მოწაფენი: მამაო, ვით არ დაისრულე ძილთ უამი. . სადა სულისა ფრთად, სადა გულისა ცაჲ, დას-ჯედ მზეს... მას ზენას წარსაგზავნსა აქა სცვენი... აღბოე ბაგე

და ოხაჭ გვაგე შვილთა შენთა. მრისტეს: აქათ: ჩლლე წ. 4.

ნიკოლოზ X, 1742—1744 წ. კათალიკოზი ნიკოლაოზი იყო თ. ხელხეულიძე, წინად ურბნელი. 1744 წ. შავნადირმა ქართლის მეფობა თეიმურაზს მისცა და მახეთისა მრეკლეს; ამისათვის თამარი ჩამოვიდა მახეთიდამ ტფილისში, კითარუა მართლის დედოფალი დიდის დიდებით და სხ. თანა თან ჩამოიყანა იმ ებად მახეთში მყოფი ქუთათელი ანტონი (თავის ძმისწული). მოლაგირში მყოფს მეტე თეიმურაზს ნიკოლოზის სიკვდილი რომ გაეგო, შემოეთვალა—ანტონი ჰქმენით კათალიკოზადაო \*) ანტონმ ახლაც უარი სოქვა, მაგრამ დედოფალმა თამარმა, დიდებულთა და ეპისკოპოზთა ძალა დატანეს და დაითანხმეს. ნიკოლოზ კათალიკოზი მოკლი ტარიელ თაზიშვილმა 11 აგვისტოს 1744 წ.

ანტონ I. 1744—1755; 1763—1788 წწ. საქართველოს საეკკლესიო ისტორიაში კერძოდ და საზოგადოდ მსოფლიო საეკკლესიო ისტორიაში ანტონ I კათალიკოზი არის ურიად შესანიშნავი კაცი და მთელ მეთვრამეტე საუკუნეს მოქაშაშე ვარსკვლავივით ჰნათობს. ანტონი თავისს გონების განვითარებით არის სრულიადი ნაყოფი იმ გონებრივი მოძრაობისა, რომლის მეთაური იყო კეთილად სახსენებელი გახტანგ VI ქართულის სტამბის დაარსებით 1706 წლიდან. ანტონი იყო ისახ მეფის ძე; მისი დაბადების დრო დღემდე საღანს შეადგენდა. ზარსვენებული ისტორიას-არხეოლოგი პ. იოსელიანი წყობ. სიტყვაობის თავში (გვ. V) მის დაბადებას აღნიშნავს 1714 წ. მაგრამ ეს ცნობა შესაწყნარებელი არ არის. ამ წელს ჯერ ცოლიც არ შეერთო ისახ მეფეს. სპარსეთიდან მოვიდა ტფილისში და მეფედ იქმნა 1714 წ. 20 ოქტომბერს (ქ.-ცხ. 253, 326 გვ.)

\*) ამითი თეიმურაზმა მითობ აამა ზიგს ამილახვარს, რომელიც ამ დროს ბედგრად ებრძოდა თეიმურაზისა და სპარსთა უფლებას ქართლში.

„გამოხდა ხანი რაოდენიმე, შეირთო. (იქსემ) ასული შაფლანის შვილის მრასჭისა მარიამ, ესვა აე ამასთან ბიორგი (შემდეგ აბდულაბეგი?); კამოხდა ხანი, ქორონიკონს უგ: (1715 წ.), მეფეს იქსეს წინათ ნათხოვნი ჰყვანდა მეფის შრეკლეს (ნაზარალი ხანის) ასული ბეგუმ (მლენე), გა შვება მისი არ ეგებოდა: წაპძანდა მარტყოფს, ქნა ქორწილი, მოიყვანა ქალაქ-სა თვისსა, შეიქმნა ქორწილი, სიმხიარულე გამოჩვენება დიდი, რვას დღეს და ღამეს ჩირალდანი. ბურთაობა და ფარჩათა ხევა; დედოფალ იქმნა მლენე, იყო განსვენებასა და სისარულსა „შიგან“ (ქ.-ცხ. 326 გვ.). „1715 წ. შემოდგომაზედ ქორწილი ქმნა იქსე მეფემ მარტყოფს მრეკლე მეფის ქალზედ მლენეზედ“ (253 გვ. ქ.-ცხ.) 1716 წ. აგვისტოში ვახტანგს (სპარსეთში მყოფს) ყევნმა დაუბრუნა. მეფობა და მისს მოადგილედ ბაქარი გამოაცხადეს; ამისათვის რაქაში მყოფი ბაქარი გადმოვიდა მცხეთაში 17. ენკენისთვეს, იასე-კი გაერიდა ძახეთში, სადაც მისი მეუღლე იმყოფებოდა დედის (ანნა დედოფლის სიკვდილისა გამო მასში). 1716 წლიდგან ყევნის ბრძანებით იასეს ცოლშვილი ძალათ უნდა ჩამოეყვანათ ტფილისში, მაგრამ მეფე იმამყული ხანმა, დოდოფლის მლენეს ძმამ, ნება არ მისცა (რათა?) ქ.-ცხ. 79, 327 გვ.), რადგან ხაქართველოში ჩვეულებაა პირველად ორსულს ქალს სამშობლოში მოალოგიებენ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მეფე იმამყული ხანმა „ნება არა სცა“; 1716 წ. იასე-მლენეს დაებარათ ვაჟიშვილი, მაგრამ თეიმურაზი კი არა, და შემდეგ, მეორედ რომ მოითხოვა ბაქარმა იასეს ცოლშვილით ტფილისში ჩაყვანა, მეფე იმამყული ხანს კრინტიც არ დაუძრამს. „მზამეტყველების“ ბოლოს (604—605 გვ.) თვით ანტონი გვაძლევს თავის წლოვანებაზედ შემდეგს (ცნობასა: „დასრულდა წიგნი ესე მზა-მეტყველება თთვესა მარტს 11, წელსა 1752; ხოლო ვიწყე წერად წელსა 1750, თთვესა ოკტომბერსა 1... ვიყავ თდეს სრულ იქმნა წიგნი ესე, მე ანტონი სრულიად ხაქართველობა მამათ-მთავარი

წლისა ვიდრე მე 31 და თვეისა 4; ხოლო მონაზონებისა აღკვეცისა შემდგომად დამეყო წელიწადი ვიდრე 13 და თვე 4; ხოლო შამათ-მთავრობასა შინა წელიწადი ვითარ 7 და თვე 8. აქედან სჩანს — ანტონი დაბადებული 1720 წ. ნოემბრის 11; ბერიბა შეუმოსნია 1738 წ. დეკემბრის 10; ითალიკოსად აღყვანილ იქმნა 1744 წ. აგვისტოს 11; მაგრამ ანჩისხატის ტაძრის კონდაკის ბოლოს (დღეს საეკლესიო მუზეუმშია № 123) ჩვენ ამოვიკითხეთ ნამდვილი ცნობები ანტონის ყმაწვილობის შესახებ:

„დაიბადა: თეიმურაზ: ანტონი: დასაბამიდგან: წელთა: კაკთ: ძრისტეს აქათ: ჩლე: თვესა ოკტომბერსა: იზ: დღესა. კვირიაკესა: ფამსა: ლამისა: მესამესა; ათვრამეტისა წლისა: მონაზონ: იქმნა: და აღიკვეცა ბერიად მონასტერსა: წისა ღრთის-მშობელისასა: ზაფნათს: ფეხერვალსა თრსა; ფეხერვალსა სამსა: დიაკონად: კელ: დასხმულ იქმნა: დღესა შაბათსა: კელითა: გაენათელ: მიტროპოლიტისა მფთვიმისათა; წლისა ოცისა: მიტროპოლიტად: კელ: დასხმულ: იქმნა: პფხაზეთისა: კათალიკოზისა: ბრიგოლის მიერ: საყდარსა: ზედა: ძუთათისისა: სეკტემბერსა დზ, დღესა შაბათსა; წლისა ოცდაორისა; დაეწესა: მონასტერსა: წისა: ნათლის-მცემელისა: იოანესა: თვესა: იანვარსა: მ; დღესა ოთხშაბათსა, დამტევებელი: სამწყსოსა: და ეკლესისა: თვისისა: ძრისტეს აქათ ჩლ მ გ“.

მს მშეენიერი წარწერა სრულიადს ნათელსა ჰუკენს ანტონის ახალგაზღობის დროსა და საბოლოოდ ამყარებს მისს დაბადების დროს (17 ოკტომბერი 1720 წ.). დავით რექტორის მიერ თქმულნი და წაკითხულნი იამბიკონი ანტონის დაბადების დღის გამო (17 ოქტომბერსა), ჩვენ ხელთა გვაქვს და საბუთითაც ანტონის დაბადების დღედ უეჭველად 17 ოკტომბერი. უნდა აღვნიშნოთ; ხოლო მონათვლის დღედ 11 ნოემბერი.

წერა-კითხ. საზოგადოების ბიბლიოთეკაში არის ხელ

ნაწერი „კავშირი“ № 192, რომლის, შესავალში ანტონი მოვითხობს, რომ „ვახტანგ VI-მ შემასწავლა ქალ-დეური ვარსკვლავთ-მრიცხველობათ (ასტრონომია). ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგ VI რუსეთში გადასახლდა 1724 წ. ივლისის 15 (ქ.-ცხ. 254 გვ.); ამა 1724 წ. ზამთარ გაზაფხულს ისეთი განუწყვეტელი აღრეულება იყო, რომ ვახტანგს ერთი კვირაც არ განუტარებია სასახლეში. მაშასადამე დაგვირჩა დრო 1720 წ. ნოემბრის 11-დან 1723 წ. დამლევამდე, ანუ სამი წელიწადი. ზანა სამის წლის ბავშვის სწავლება შეიძლება და მერე ქალდეური ვარსკვლავთ-მრიცხველობისაზე მერე დაუძინებელი მტრობა ისეს და ვახტანგს შუა? უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონმა ასურულ-ქალდეური ვარსკვლავთ-მრიცხველობა შეისწავლა ვახტანგ VI მიერ დაბეჭდილის 1720 წ. „ჰაიათი“-ს წიგნით და ამიტომ აღიარებს ვახტანგს თანის მასწავლებლად.

პატარა თეიმურაზის ნათლიად იყო დაეით გარესჯის უდაბნოს წინამძღვარი არხიმანდრიტი სფრიდონ, ხოლო აღმზრდელებად მიუჩინეს — ლუარსაბ ამირ სპასალარი, შრბელიანი, ისე მეფის დედიდაშვილი და მეცე ზორბეგის დედის (დედიფლის როდამის) ძმისწული; ნოდარ ხერხეულიძე, იოსებ ვალავანდიშვილი და ილია ისპანელი (თათრობაში მირზა-ალი). 1721 წელს გაზაფხულზედ მოკვდა კახბატონი იმამყული ხანი (ისე მეუღლის მლენეს ძმა) და მისს შეგირ გამეფდა მისივე ძმა მაჰმადყული ხანი. ამ დროს ისე თრდაირია მოსამზღვრე სახელმწიფოთა პოლიტიკური საქმეები, რომ ქართველებმა არ იცოდნენ ვის მიმხრობოდნენ. ისე შეფე მერყეობდა — ხან ოსმალებისკენ იყო, ხან სპარსებისკენ და ამ მერყეობაში მოკვდა 1727 წ. ტფილისში მარტის 7. პატარა თეიმურაზი ჯერ დაეით გარესჯის უდაბნოში იზრდებოდა ნათლიასთან; შემდეგ, რაკი ლეკები გაძლიერდნენ და ყარაიაზე მალ-მალ თარეშობდნენ, თეიმურაზი წაიყვანეს ოსეთისკენ 1729 წ. და ბოლოს სამთავისში გაატარა რამდენიმე

შელიწადი სამთავრელ იოსებთან (უანჩაველი), სადაც ა  
ღროს იმყოფებოდა ბერძენი პართენი, მიტროპოლიტი  
პამფილიისა და ამისაგან ჰეწავლობდა ბერძნულ ენას,  
ამავე ხანში მოვიდა ტფილისში ნახიჯივანლის მხრიდ-  
გან სომეხთა მეცნიერი ეპისკოპოსი ბვეტიქი ქ. შაუკიდგან,  
ამისგან შეისწავლეს პროკლე დიოდორეოსის საფილოსოფუსო  
კავშირი—თეიმურაზმა, იოანე მდელიანმა, კარის მღვდლ-  
მა ნიკოლაზმა (ხელაშვილი?), ბიორგი ნათლის ძემ. \*)  
თეიმურაზი ხშირად დაიარებოდა ს. ჭალაში ბივი ამილახვარ-  
თან, რომელიც ამ დროებში უძლიერესი კაცი იყო მთელ სა-  
ქართველოში. ამიტომ ახალგაზდა თეიმურაზმა თავის მახლე  
ბელთა ჩაგონებით განიზრახა ბივის დამოუკრება და აასრულდ  
კიდეც: 1736 წ. ახალგაზდა. თეიმურაზი დაინიშნა ბივი აზ-  
ლახვრის ქალს თამარზედ. სპარსეთის მბრძანებელმა შავ-ნადირმა  
გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე აფრინა მემანდარი ბივთან—  
ეგ ქალი მე გამომიგზავნეო. მს ამბმევი სწორედ ნარდის თა-  
მაშინბის დროს გაუმედავნეს დანიშნულებს და ქალს გული  
შეუწუხდა. ამ ხანებში (1731—1733) თეიმურაზს დაეხო-  
ცნენ დები—ანასტასია და მარიამი: მისი დედა მლენე მო-  
ლოზნად შედგა და მლისაბედის სახელით გაემგზავრა (1737 წ.)  
რუსეთში იმპერატრიცა ანნა იოანნოვნასთან ბედის საცდ-  
ლად; თეიმურაზიც თან გაჲყვა, მაგრამ ასტრახანიდგან გამო-  
ბრუნდა და იმერეთში მოვიდა, სადაც შუთათელის ტი-  
მოთე ზაბაშვილის ჩაგონებით ბელათში ალიკვეცა ბერძ  
და სახელად ეწოდა ანტონი. ამ ამბავმა ოავზარი დასუ  
მოსკოვში მყოფს. მლისაბედ მოლოზნს (დედოფალს მლე-  
ნეს): ძლივს გაუბრწყინდა იმედი თავის შვილის გამეფე-  
ბისა ქართლში, რავი სახელოვან ბივ ამილახვართან და-  
მოყვრება მთახვერხა მლისაბედმა, რომ იგი იმედი სრულიად  
წყალს მიეცა! ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრე თეიმურაზ

\*) ი. წ.-კით. საზოგად ხელნაწ. № 192.

იასეს ძე იყო, რა-კი ვახტანგ VI თავისი ცოლ შვილით სამუდამოდ გადასახლდა რუსეთში და ამ დროს უკვე მიცვლილიც იყო (1737 წ. 26 მარტს, ასტრახანში); თეიმურაზ-მრეკლეს ძე მემკვიდრე იყო მახეთისა და შართლის სამეფო ტახტზე გამოიწოდა ხელი თავის მეუღლის თამარ ვახტანგის სულის გამო. ბერად აღკვეცით თეიმურაზ იასეს ძემ დაპატიჟარება სამუდამოდ მართლის სამეფო ტახტი. მიზეზი ეს იყო, რომ მლისაბედი მწუხარებით ჰსწერს მოსკოვიდამ ანტონს: „რად, შვილო ჩემო, მახვილი ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოებითა? ახლა დაიკარგა ყოველი იმედი ქუცყანად ჩრდნება მოქცევისა! ძმა შენ არა გყავს და რად დაპატიჟარებე სამეფო და იმედი მეფობისა, რომელსაცა ვამოიხსნის. ლძერთი რუსთა მალითა, რომელნიცა მეცადინეობენ შეწევნასა განსაღევნებლად თურქთა...“ (წყობ. სიტყ. VII გვ.).

ანტონის დანიშნულის მოთხოვნა შავნადირისაგან და მისი ბერად შედგომა თეიმურაზ-მრეკლეს და თამარის პოლოტიკური მოხერხება იყო: მიზეზი ეს იყო, რომ ზივი ამილახვარი სიკვდილამდე ებრძოდა სპარსებს და მართლის სამეფოს არ ანებებდა თეიმურაზსა და ერეკლეს; ჯერ ვახტანგის შვილებს იწვევდა მართლში გასამეფებლად და მერე აბდულაბეგი (არჩილი) წამოაყენა ქართლის მემკვიდრედ.

ანტონი მალე შეიქმნა გელათის წინაძლვრად: 1738 წ. დამდეგს იმერთა მეფე ალექსანდრემ მოსკოვში გაგზავნა ქუთათელი მიტროპოლიტი ტიმოთე ბაბაშვილი და მისი ადგილი ახალგაზდა ანტონს მისკეს (27 სექტემბერს 1742 წ.) ალექსანდრე მეფის დედა როდამი ანტონის პაპის და იყო. ღომენტი კათალიკოზი რომ გარდაიცვალა, ანტონს შეაძლიეს ხარისხი კათალიკოზობისა, მაგრამ უძრის განაცხადა \*).

\*) ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1742 წ ზივი ამილახვარი უკვე გაშთო თებული იყო თეიმურაზ-მრეკლეს გაძლიერებით მართლ-მახეთში, გამკლაავებას უპირობდა შავნადირისა და თეიმურაზ-მრეკლეს და ამიტომა სოჭ-ანტონის უარი კათალიკოზობაზედ.

თვით ახალგაზდა ანტონის ცხოვრებაში უკავშირო შემთხვეულობა მოხდა: 24 წლის ყმაწვილი კაცი შეიქმნა საქართველოს უძველესის ეკლესის გამგებელი. ბუნებით თან დაყოლილი ჰქონდა ტრფიალება მბრძანებლობისა; და თუ ბედმა არ იჩვენა გარეშე მტერთაგან ბურბულებისავით მერყეობას დაჩვეული სამეფო ტახტი, ანტონისთვის ჭლდეში გამოკვეთილი: სენაკის შეიცვალა საქათალიკოზო პალატებით მცხეთაში და ტფილისში. ბონება განათლებულმა ანტონმა უხვად ისარგებლა თავისი უფლებით: მტკიციდ იპყრო საჭე ეკლესის გამგეობისა და საქართველოს შინაურ ცხოვრებაში გაცილებით შეტი გავლენა მოიპოვა, ვიზრე მრეკლე მეფემ; შემოიკრიბა მგალობელნი, მწერალ მწიგნობარნი, განაახლა წირვა-ლოცვა დახურულ ეკლესიებში, გახსნა ხელ-ახლავ ყრმათა სასწავლო სკოლაში, დაუახლოვდა მეფე თეიმურაზს გონივრულის მოქმედები», შემწეობას აძლევდა საეკლესიო ქმნებიდან გაჭირვების დროს და სხ. მაგრამ ანტონი მაინც ყოველ შემთხვევით სარგებლობდა ქართლის ტახტი როგორმე ჩამორთმეოდა თეიმურაზსა.

კათალიკოზი ნიკოლაოზ ხერხეულიდე 11 აგვის. 1744 წ. და ანტონი აღყვანილ იქმნა კათალიკოზად 1 ოკტომბერს 1744 წ. ამავე წელს ხომ შავნადირმა შართლის მეფობა თეიმურაზს მისცა და ძახეთისა მრეკლეს. მაგრამ ამ დროდან გამშვინდა ბივი ამილახვარი და მედგარი ბრძოლა აუტესა თეიმურაზ-მრეკლეს.

ანტონი ბეჯითად შეუდგა საეკლესიო საქმეების გამგეობასა. შეადგინა წესი მეფის კურთხევისა. და ამ წესით დაიდგა გვირგვინი მირონის ცხებით თეიმურაზმა 1 ოკტომბერს 1746 წ.. აი როგორ აგვიწერს ჩვენი მემატიანე პაპუნა მრბელიანი მეფის თეიმურაზის კურთხევასა:

„...ყავნიც დაბრუნდა (დალისტნიდგან) გამარჯვებული ერანისაკენ, ებრძანა მეფის თეიმურაზისათვის: „ვითაც თქვენი მეფობის რიგი იყოს, ეგრევე კურთხევა მიიღო“.

რამდენი წელიწადი გარდასულიყო უამთა ვითარებისაგან  
და ცხებული მეფე ქართლში არა მჯდარიყო... იწყო მზადე-  
ბა მეფემ კურთხევისა და მოიწვივნა ყოვლგნით დასნი სამღვ-  
დელონი... გაგზავნა კაცი ბატონშა (თეიმურაზმა). მახეთს და  
მოიწვივნა ძე თვისი მეფე კახეთისა მრეკლე და დედოფალი  
ანნა კახეთის დარბაისლით კურთხევისათვის. აღარ დაიყოვნა  
მეფემ მრეკლემ და წამობძანდა ერთპირად... ბძანა მეფემ  
„დროშათა გაკეთება გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფი-  
ლიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცულია. ერთი უბოძა მრ-  
ბელიანს შაიხოსროს, მეორე მუხრანბატონს პოსტანტინეს,  
მესამე პმილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო  
ვლიდა. გაემართნენ მცხეთას მეფენი ორნა და დედოფალნი,  
ერნი და დარბაისელნი ქართლისა და კახეთისანი სახლეული-  
თურთ, აგრევე დასნი სამღვდელონი სრულიად, ვინ ვისა  
დროშაზე ჯარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს  
და შემოეხვივნეს თვის-თვისი ჯარი დროშათა... მიბძანდნენ  
მეფენი და დედოფალნი ქართლისა და კახეთისანი მცხეთას.  
ანტონი კათალიკოზი, კეთილ-სათნოებითა აღჭურვილი, ტრფი-  
ალებითა საზენაოთა ზედ-მიწევნითა აღზნებული და ყოვლად  
სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკაცებული, ხოლო მაღლთა  
მიერ განბრწყინვებული, — არ დააცადებდა უამითო-უამაღ სიბრ-  
ძნე მრავლობით წესთა მართლია გამოიკვლევდა წერილთა-  
გან კურთხევასა მეფისასა; ასაკითა იყო მცირე, მაგრამ სო-  
ლომნისა სიბრძნესა არა-რაღ კლებულ ექნებოდა, მეფის შე-  
შვილი იყო და სულიერსა მეფობასაცა ლირს იქმნა მგრძ-  
შრიობლ მეფობისა საკადრად განაცემდა ყრაცელოთა საზღვართ  
კეთილისათა. ორი დღე დაიყოვნა და განაწესნა კურთხელი  
სამღვდელონი, ანუ საერონი და წესინი დღისა მასისანი მზა-  
ჟვნა ყოველი. დღეს მესამესაც გამობძან და მეტად მარტო  
საყდარს წინ ანტიოქიას ქადაგში დაგდი და და

სეფესა გვერდით სევანი დაედგნეს; დაბძანდა სევანსა შინა და გვერდთა იახლნეს დარპაისცლნი, ვინა ჯდომისა ღირს ცუცნეს, ვინა დგომისა, ეგრევ ყოველი განეწენეს. მოიტანეს სამეფო შესამოსელი: პორფირი, ბისონი, და დიალიმა ბაზჩებით, ეგრევე გვირგვინი. ხმალი, სკიპტრა და ქვეყნისა სფერო. ესე ყოველი ამიერ და იმიერ მოუწყეს; ამისა შემდგომად მოვიდა მთავარეპისკოპოსი არსენ შე თხილა, მთავარ დიაკონნი შემოსილნი წინა ურიდიდეს კმევითა საკმეველისათა, აგრევე ჯვარისა მტვირთველსა. ჯვარი პატიოსანი აღმართნეს და მგალობელთა დასნი მოუძღვნდეს და გალობრინენ გალობას. მოვიდნენ წინაშე მეფისა და თაყვანისცეს და ეამბორნეს მეფებსა. ხოლო ალიღეს ერთი ეს სამეფო შესამოსელი და იარაღი, მისცეს მთავარ ეპისკოპოზის, იტვირთა ორთა მკლავთა და წამოვიდნენ ეგრევ გალობითა, შეიტანეს დკლესისა შინა. დარეკეს მწუხრისა, წამობძანდა მეფე ეკლესიასა, ჰკრეს ქოსთა და სპილენძ-ჭურთა; მოეგებნეს ეპისკოპოზის, ყოველი მდინარითა მოსილნი ბატონს წინ და თაყვანისცეს, და იწყეს ლოცვა მწუხრისა. განირულდა ლოცვა მცირედი, დაიყოვნეს და შევიდნენ დკლესისა; იყო ღამისთევით გარდახდა, დღესასწაული იყო სვეტიცხოველისა დღე და მეფის კურთხევის რიგიც შესძა ეს ყოვლად ნეტარმა ანტონი პატრიარქმა არად კლებულ-ქმნა მოჩობლ დღესასწაული, ყოველივე სრულიად გარდაიხადა პურის კურთხევით, სანთლის გაუმორით, ზეთის ცხებით და ყოვლისა წესითა განაბრწყინვა დკლესათ. გათენდა დილა, მოფარდაგნეს სეფე და მოიტანეს დაზიანი რთხივე და აღმართნეს სეფესა წინ და თვის თვისი ჯარი გარსა შემოეხვივნენ.

მობძანდა ბატონი და დაბძანდა სეფესა შინა. ამისა შემდგომად მოვიდნენ დასნი სამლკდელონი შემოსილნი, კარისა დეკანოზისა ხატი პატიოსანი, ჯვარის მტვირთველსა ჯვარი ეპურა, მთავარ-დიაკონნი აკმევდეს საკმეველთა, მღვდელნი უქანა უვიდოდეს, ყოველთა დიდრონი ლამპარნი

ეტვირთვნებს და მგალობელნი გალობდენ. მოვიდნენ ეგრე და თაყვანისცეს. წარდგა პატრიარქის არქიდიაკონი და ბატონის დიპუტილა<sup>1)</sup> მოახსენა — ქება შეასხა. გამობრუნდა და პატიანის მეფობით ნუგეშსცა და მიიწვივეს ბატონი ეკლესიად. წარუძღვნენ ეგრევ დასნი სამღვდელონი; ჰკრეს ქოსთა და სპილენძ ჭურთა. უწინარეს ყოველთა მორთულთა აქლემთა კიდევბულნი ქოსნალარანი და სპილენძ-ჭურნი მიუძღვოდეს და ამას დროშა სარდლისა მისდევდეს, მარქაფანი შეკაზმულნი ამას შეუდგნეს, გამგენი კარისანი, მახლუ-ბელ წანა უძლოდ, სიძე თვისი დიმიტრი მრბელიანი, მანდატურთუხუცესი და განმგე ლიდებულისა კარისა; აგრევე წანა უძლოდა ზალ მრაველიან, რომელსა ებარნება წინამძღოლნი მეთოვენი მეფისანი; მობძანდებოდა ბატონი; მარჯვნივ მკლავი სარდალს შაიხოსროს მრბელიანს ეპურა და მარცხნივ მკლავი მუხრანბატონს ძოსტანტინეს; უკანა მახლობელ მოსდევდეს დიდებულთა კაცთა შვილნი, ტვირთულნი სააბჯროთა იარაღთა, ყოველივე იარაღნი მეფესანი თითო-თითოსა ეპურნეს და ეკრე მოსდევდეს. ეკრევე სამივ ტროშანი თვისისი ჯარებით, ამიერ და იმიერ მის-დევდეს. რა მაეახლნეს ეკლესიასა, სამი დროშა, მარტივად კარზე დააყენეს და ჯარი იარაღით ეკლესიასა შევიდნენ, ბატონის დროშა მორდალს. დავითს ეჭირა, შეიტანება საყდარსა და აღსავლის კარზე დააყენეს. კურისბჭეში მიეგებნეს ბატონს პატრიარქი შემოსილი და ეპისკოპოზნა ანუ სამღვდელონი ყოველნი და თაყვანისცეს, ცატრიარქი მიუდგა, ცალკერძ მთავარეპისკოპოზი; სამღვდელო დასნი წინ შეუძღვნეს ხატითა, ჯვარის წინძღოლითა და ლაშპრებითა მნიებარითა და ეგრე გალობით შეიყვანეს. ეკლესიასა შინა; ფეინ-დაზი ეშალა კარითგან საყდრისა შუა გულობამდის.

1) მრავალეამიერობით მოხსენება შეფისა. მეფის სახლის შეიღოთა სამფლობელოთა ჩამოთვლით და შთამომავლობისა მახსენებით.

პირველად მიიყვანეს აღსავლის კარის ქვემორე დააყენეს, გპისკოპოზნი ყოველნი ამიერ და იმიერ მოუდგნეს, აგრევ სომხთა დასწინი და ფრანგნი ყოველნი იდგნეს შემოსილნი და განკრძლულ ისმენდეს.

პატრიარქმან ჭკითხა მეფესა სარწმუნოება და მეჩე აღთქმისა ეპისტოლე წაუკითხა; მერე წამოუძლვანეს წინ და საყდრისა შუაგულობას ტახტი იდგა ჸილი, ოთხი ხარისხი შეიცლიდა, აიყვანეს ორი სელი იდგა, ერთზე მეფე დაბრძანდა და მეორეზე პატრიარქი, ცალკერდ მთავარ-ეპისკოპოზი და ცალკერდ ალავერდელი, სხვანი ეპისკოპოზნი ექვსი ამიერ და ექვსი იმიერ განეწყვნეს. ამისა შემდგომად მოიტანეს მარტივ ბისონი და ჩააცეს.

დაიწყეს წირვა; ოდეს მოვიდა უამი, წაბძანდა ჟა-  
ტრიარქი, შებძანდა წმიდა წმიდათასა. ამისა შემდგომად  
მიიწვივეს მეფე საკურთხევლად, ცალი მკლავი სარდალს  
შაიხოსროს ეპირა და მეორე მკლავი მუხრანბატონს; აღ-  
სავლის კარზე მთავარეპისკოპოზი და ალავერდელი მო-  
გებნეს და შეიყვანეს საკურთხევლად, სცხეს საცხებელი შუ-  
ბლთა, ბეჭთა და გულთა ჯვარის სახედ. თქვა პატრიარქმა  
„საღმრთო მადლი“ და შემდგომი ამისი. ბისონსა ზედა  
ჩააცეს დიადიმა, წამოასხეს პორფირი, დაადგეს  
გვირგვინი სამეფო, მისცეს მარჯვენასა ხელსა  
სკიპტრა ადმარცხენასა ხელსა ქვეყნისა სფერო. ხო-  
ლო მოვიდა უამი წმიდისა ზიარებისა, პირველად სამღვდელო  
დასწინი ეზიარნეს და მერმე გარდმოსვენეს წმიდა ბარძიმი და  
მიიღო მეფემ წმიდა ზიარება პატრიარქის ხელითა. ამისა შე-  
დგომად სკიპტრა რევაზ ორბელიანს მისცეს და სფერო მე-  
თარს ზურაბს. ეგრე ხელთა მტვირთველნი მეფისა მახლობელ  
იდგნეს; განსრულდა უამის წირვა; გამობძანდა მეფე ცხებუ-  
ლი საკურთხევლით, ცალკერდ პატრიარქს ეპირა მკლავი,  
ცალ-კერდ მთავარეპისკოპოზს; მოიყვანეს, მარჯვნივ კერძო  
სამეფო ტახტი იყო, იქ დაბძანდა. მიტანა სარდალი

ძიხოსრო მრბელიანშა, რომელი იყო ამირ-სპასალიარი, ხმა-ლი მეფისა, დაულოცეს და შემოარტყეს: პირველად მივიღნენ დასნი სამლელობი და ხელთა ეანბორნეს, შერე მივიღნენ დარბაისელნი, გუნდნი ერთანი და ხელთა და კვარცხლბეკთა ემბორნეს.

ამისა შემდგომად გამობძანდა ეკლესიით, შეიქნა სრო-ლა ზარბაზანთა ანუ თოფთა, სცემდენ ქოსთა სპილენძ-კურ-თა, რომ კურთა ხმა აღარ ისმოდა, მაღლობდნენ მორწმუ-ნენი ღმერთსა, აკურთხევდენ დასნი სამლელობი, აქებდენ ერნი, ამკობდენ მგალობელნი, ლოცვიდენ გლოხაქნი, აღმა-ლლებდენ ხმასა ქვრივნი, შეფრთინვიდენ ობოლნი და ყოვე-ლნი სულნი შეასხმიდენ ქებასა მეფესა მეფეთასა. შებძანდა საყდარსა, გარემოს სევანი იდგნეს ოქსინოთა მოფარდულნი, დაბძანდა მას შინა და დიდებულნი თავშიშველნი თავს იდგნეს. მიბძანდა დედოფალი და მიულოცა, გარდააყარა გუარი, შერე მიბძანდნენ უფლისწულნი, მიულოცეს, ეგრიევე ჯალაბნი დარ-ბაისელთანი მივიდეს და მიულოცეს, გათავდა რიგი. მილოცი-სა. წამობძანდა მეფე სეფესა შინა, ვითაცა ზეით აღმიწერია, ეგრე დიდებითა და რაგ-წესულობითა; მობძანდებოდა სარ-დალი და მუხრანბატონი, მკლავთა მპყრობელი ამიერ და იმი-ერ უდგნეს, პორფირისა უკან მკლავთა ცალკერძო რევაზ მრბელიანს ეჭირა და ცალკერძო მეითარს ზურაბს. მიბძანდა სეფესა შინა და დაბძანდა. დროშანი ოთხივე სეფესა წინ აღ-მართნეს და ჯარი გარს შემოეხვივნეს. მივიღნენ ყიზილბაშნი და დასხდნეს; ვისა მეფისა, სააბჯრო იარალი დიდებულთა შეილთა ეპყრნეს, ეგრე თავს ადგნეს; შეიქნა და, რა გან-სირულდა რიგი მილოცისა, წამოდგნენ. მდივნები წესისაებრ წაკითხეს დავთარნი, მოიწვივნეს დარბაისელნი, ვინა ჯლო მისა ლირსი იყვნეს, ვინა დგომისა. დიმიტრი მრბელიანი საუნჯე ყოვლისა კეთილისა, ეგრე განაგებდა რიგთა და წე-თა მეჯლიშისათა. შეიქნა ლხინი, ვითაც ქართლის რიგი ყო-ფილიყო ცდილობდენ გამოჩენასა, ვითა მართებდათ ქართველ-

თა, ეგრე გულისრულობით სიხარულს არა დააცადებდენ, ამით რომე დიდი ხანი გარდაცვლილიყო ქრისტიანე მეფე არა სჯდომოდათ, მერე კურთხევით გვირგვინოსანი მეფე არ ეხს-ლათ.

ახლა ეს ღვთის წყალობა მოევლინათ, ქრისტეს მოზ. წმუნე და სარწმუნოება შეუჩეველი მეფე დაუჯდათ, ვითაუ მართებდათ, დიდნი ანუ მცირენი მაღლობდნენ ღმერთსა, გაიყარა მეჯლიში... აიყარნეს მეფენი მცხეთით და წამობძან-დნენ ქალაქს, მოეგებნენ მოქალაქენი, ანუ დასნი სამღვდე-ლონი, შეასხეს ქება, შემობძანდა ქალაქსა შინა, დაჯდა ტა-ტისა ზედა და იპყრა სასწორი სიმართლისა".<sup>1)</sup> შეუდგა ამავე დროს სრამბის ვანახლებასა და 1747 წლის დამდეგს უკუ დაიბეჭდა ლოცვანი, სტამბა მუშაობდა 1755 წლამდე

შემდეგ წელს (1747 წ.) აბდულაბეგმა განიზრახა ქართ-ლის ტახტის დაჭერა, რაკი თეუმურაზ მეფე ამ დროს სპარსეთში—თავრიზში იყო და მრეკლე მარტო დაიგუ-ლა. 1747 წ. 1 ივნისს ქალაქის ციხის კარი დაკეტქს ციხის უბნელებმა და მთელი ათი თვე სისხლის ღერა იყო. ანტონ კათალიკოზმა შხარი დაუჭირა აბდულაბეგს (თა-ვის შმას) და დაულოცა ამისანა საფათერაკო განზრახვა. ბოლოს თითონვე შეარიგა გამარჯვებულ მრეკლეს.

ანტონი შეუდგა ყრმათათვის სკოლების დაარსებასა და სახელმძღვანელო წიგნების შედგენასა. ამ საქმეში ღიღათ შველოდნენ ფრანგის ბერები. შეადგინა კიდეც გეოგრაფიის, არითმეტიკის, რიტორიკის, კატეხიზმოსი, გრამმატიკისა, ლიტერატურისა, მეტადიზმიკისა, ლოლიკისა და სხ. შეკრიბა საუ-კეთესო მწერალნი და მოკანანახეს ხელქვეით ოცი და ოუ-და-თო ცალი ერთსა და იმავე დროს იწერებოდა და ვრცელ-დებოდნენ სახელმძღვანელო წიგნები. 1755 წ. 1 იანვრიდენ გახსნა ანჩისხატის ეზოში სემინარია და გაჩაღდა საქმე. სემინა-

<sup>1)</sup> იხ. ქ.-ცხ. 382—386 გვ.

რის შესავალ კარების თავზედ სამხრეთის მხრივ მარმარილოს  
ქვა ჩასვა შემდეგის ხუცური ასომთავრული ჩართულის წარ-  
წერით:

„ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! ესე არა რაც არა,  
გარნა სახლი ღვთისა და ესე ბჟე ზეცისა! შექმნ 28, 17.  
მეფობასა თეიმურაზისასა და ძისა მისისა მრეკლესა, პა-  
ტრიარქობასა ანტონისა 1755 წ. იანვრის 9.“<sup>2)</sup>).

ამ დროს წიგნთა გადამწერნი იყვნენ: დეკანოზი ნიკოლოზ  
მალალიძე, დეკანოზი იოანე გარევანაშვილი, მთავარ-დიაკონი  
ზორბგი, მსაკ ზაბაშვილი, ანჩისხატი, დეკანოზი ალექსი,  
შისი შვილი დეკანოზი გიორგი, მღვდელ-მონოზანი მიხეი-  
ლი და სხ. მრავალნი. ამ სემინარიის მოწაფენი იყვნენ —  
ვარლამი, დავით რექტორი, გაიოზი, იოანა მროველი,  
ღოსითეოზ ნეკრესელი, ამბროსი ნეკრესელი, გერვასი სამ-  
თავნელი, სტეფანე რუსთველი, იოანე ბოდბელი, ღოსითეოზ  
ჭიქელაური, არსენ ტფილელი, ათანასი ამილახვარი († 1845  
წ.), იოანე მსესხე, სოლომან დეკანოზი, არხიმანდრიტები:  
ტომიტოლე. გამალიელი, ზაქარია, თეოფანე, ნიკიფორე, გე-  
რონტი, მლევთერი, იოსტოს ანდრონიკაშვილი, თარასი,  
ჭილადელფი ბერი, პორფირი, იონა ხელაშვილი, აბრამ  
მღვდელი, დავით მღვდელი, პეტრე ლარაძე, გიორგი პატა-  
ძე, პეტრე შებაძე და სხ. მრავალნი.

მაგრამ ანტონს შესწამეს გაფრანგება და სამღვდელოთ  
კრებამ მცხეთაში 16 დეკემბერს 1755 წ. ახალა კათალიკო-  
ზობის ხარისხი და მღვდელ-მოქმედება აუქრძალა, ხოლო მი-  
სი თანამოაზრენი და მეგობარნი დასაჯეს. ამ კრიბაზედ ან-  
ტონში არ აღიარა თვისი შეცოდება, ხოლო შემდეგ კრება-  
ზედ, 4 აპრილს 1756 წ., შეინანა თვისი დანაშაული და გა-  
მოუტყდა კრებას ყველაფერში. გამოსთხოვა თეიმურაზ მეფეს,  
ნებართვა მღვდელ-მოქმედებისა და რუსეთში წასლვისა. მოგვ-  
ყვეს ეს საინტერესო განჩინება:

<sup>2)</sup> ეს ქვა დღეს ანჩისხატის ტაძარშია დაცული.

„განჩინება

ქათალიკოზს პნტონის ზედა—დამხობად, განდევნად და წირვისაგან დაყენებად. და კ' დ შენდობა და მიტევება და რუსეთს გაგზავნა მისი.

შელსა განხორციელებიდგან სიტყვისა ლვთისა 17 ან შ. ოვესა დეკემბერსა 16. ჩვენ მეფემან ძართველთამან თემურაზ და ქემან ჩ' ნმან მეფემან ქახთამან მრეკლემ და იართავე ამის სამეფოსა ეპისკოპოზთა მოგივლინენით არხიმანდრიტნი ორნი შენ პნტონის კათალიკოზსა ჩვენსა გამოკითხვად, თუ რომლისა სარწმუნოებისა ხარ; ამისთვის, რომელ გვესმოდა და კ' შმარიტუა იყო ლათინთა სარწმუნოებისა მიმართ მიღრეკა შენი და იღვწიდოტუა შეძინებად მათდა იღუმალ ერისა. მაშინ მოვლინებულთა ჩ' ნ მიერ არხიმანდრიტთა არლარა დაუფარე და საანჯელოდ აღიარე წვალება ლათინთა და საუწყებელოდ ჩვენდა გამოუცხადე და ვ' ესე ვსკანით, მყის დაგამხვიო საყდრისაგან შენისა და შენთანა ერთხმანი სამღვდელონი და საჯენით და ერის კაცნი უზიარებელ ვჰყვენით.

ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოეგე გონებას ცნობად კეშმარიტება სარწმუნოებისა და იწყე გოდება და ტირილი და შევრდომა და თხოვად შენდობისა და უარ ჰყებოროტი ცოომილება შენი და განპეტე სიდრკუე და სარწმუნოება ლათინთა, რ' ლიტა შევეწყნარა და აღთქმითა და ფიცითა და შეჩვენებითა დაგვაჯერენ არლარა მიღრეკად გმბათა მიმართ ლათინთასა.

ამას ზ' ა ვითარ შევენოდა პ' რლსა მახლობელობასა და ჩვენ მიერ სიყვარულსა შენსა, ფ' დ საყვარელ ჩვენდა იქმნებარნა საყდარსავე აღსლვა შენი ცხოვრებასა შ' ა შენსა არლარა იქმნებოდა, ორთვე მეფეთა და კრებასა ფიცით ესრულ დაგვემტკიტა..

ხოლო განგიშესეთ კანონად დაცადებად შეწირვისაგან უსისხლოხესა მსხვერპლისა თთვეთა ათვრამეტთა და მემრევ

შეწირვად სამღვდელოხესა ლიტურლიისა, ესოდენი თვენი და-  
გვევნეს განდრეკილებასა შინა ლათინთ მიმართსა და კუალად  
შდ თოვეთა სამთა განცხადნა ფლი სინანული შენი და ყოვ-  
ლითურთ უცხო ყოფა წვალებისაგან პაპის მოსავთა ლათინ-  
თასა და სა დ აღმოსავლეთის ეკკლესიის სარწმუნოება იპო-  
ვებოდა შენთანა თვინიერ ყოვლისა იჭვისა.

და ფლ წადიერ იქმენ ყოვლითურთ კეთილ-მსახურსა და  
ყოვლითურთ მართლ-მაღიდებელსა იმპერიასა რუსეთისასა წარ-  
სლკად, რლიცა უმეტეს გულსავსე გვყოფდა მართლ-მაღიდე-  
ბლობასა შენსა. ამასზედა უკველთავე ერთობით მეფეთა და  
კრეპამან შევამუკლეთ კანონი, რლნიცა განგვეწენეს, რა  
ლის იქმნე უსისხლოსა მსხვერპლსა შეწირვად. უდ წასა  
ჟაუფლოსა დღესა აღვსებისასა, რლსა დღესა აღსდგა უფა-  
ლი ჩვენი იესო მრისტე და ესრეთ პატივით მღვდელ-მთა-  
ვროპისათა. წარგვზავნეთ და ლირს არს შეწყნარება შენი  
მღვდელთ მთავრად მართლ-მაღიდებლად და სადაცა მისვიდე  
დაუყოვნებლად ხელყოფად სამღრთოსა ლიტურლიისა კლი-  
სა სამღვდელთ-მთავროხესა მოქმედებისა, ვა მღვდელთ-მთავარი.  
აქვე აღგისრულებიერ საღმრთო ეამის წირვა, სამთავროსა  
ჩვენსა და მშვიდობით წარხველ.

ხოლო სამღვდელონი კაცნი, რომელნიცა შენთანა ერთ-  
ხმა იყვნეს ლათინთა ცომასა ზედა, მათცა განმართნეს მი-  
დრეკილებანი თვისნი და შენთანავე აღიარეს მართლ-მაღიდე-  
ბლობად და მათცა შეუნდევით მღვდელობად და მსახურიბად  
საღმრთოსა საიდუმლოსა დღესა საუფლოსა აღდგომისასა”,

### პრ ზა

ანტონ კათალიკოზისა მეფეს თეიმურა-  
ზის თან ექსორიობასა თვისსა ზედა.

ღმერთმან ჩვენის ხელმწიფის საქართველოს მეფის  
ცხებულის უფლის ჭირი მისცეს, ცოდვათა ჩემთაგან

დანთქმულს, მათს დისტულს ანტონის, თაყვანის ვსკე  
მათსა სიმაღლესა და ხელს ვაკოცებ. რავენა ჩემი სინიდისი გა.  
ხილებს, რომ ამდენი თავის წყენა არა გაიბედება ჩემგან, ასე-  
თი დანაშაული მაქვს; მაგრა პუნქტიზის მოწყალებით ცხალ  
შეიქმნა, რომ არ მომკალით, ჩემთანა საეჭველი ფლორენციის  
უკეთურის შესაკრებელისა არღარა არის რა, წმიდამან სამე-  
ბამან იცის. და ზეცისა ძალმან იციან, არც დღეს მჯდომის  
რომის პაპის წვალების მწიკული ჩემს გონებას შეამწიკულებს,  
და თუ აღმოსავლეთის ეკკლესიის მართლ-მადიდებლის სა-  
მუნიკებისათვის დავისჯები, ეგ თქვენის მართლ-მსაჯულობ-  
საგან არ იქმნება, ვიცი, მეც მოგახსენეთ და თქვენმა სიმაღ-  
ლემაც მიბრძანა რუსეთს წასვლა და დიდათ წყალობად მიფი-  
თვალე. მაგრამ რომ ასე გამგზავნოთ, იქაც ასე საქმე გამო-  
ჰირდეს მწუხარებისაგან მოვკვდე და კიდეც წარვწყმდე, აქეც  
რომ მომკლათ, ბევრით უმჯობესია ჩემთვის. თქვენის ასე  
ჩემის მეტი აღარა არის რა იმისის სიყვარულისათვის ასეთი  
წიგნს ნუ გამატანთ, იქ მივიდე, სიკვდილი და წარწყმენდ  
მოიწიოს ჩემ ზა. იქაც რომ არ შემიწყნარონ, საღლა რაფ-  
დე? ამ ქვეყნიდგან ხომ დავიკარგე და იქ რომ ცოცხალი  
ვიყო და იქიდამაც არ დავიკარგო, თქვენის სიმაღლის დასა-  
ლისი არა არის რა! იქ ცოცხალი ვიყო და ჩემის სულის მეტი  
საზრუნავი არა მქონდეს რა, ამას გეხვეწებით: მამა არა მყავს,  
დედა და დაი და თქვენს მეტი ნათესავი არა ვინა მყავს, ნუ-  
გეშინისმცემელი და მოწყალე ჩემის ცოდვისაგან ახორილი  
საქართველოში, ჩემი ობლობა და უდედ მამობა შეიწყალეთ;  
მე უძღვები შვილი ვარ და თქვენ სახიერი მამა ბძანდებით  
შემიწყალეთ, წარწყმედას და სიკვდილს ნუ მიმცემთ! რომე-  
ლიც ნუსხა მოგართვით, რუსეთს გასატანებელი წაგნი, ამ  
ნუსხას პირით მიბოძეთ, რაც ჩემი საზიანო და დასაკლის  
არა სწერიარა, თქვენი საზიანო ხომ არა არის რა. ამ ნუს-  
ხას ჩემგან მორთმეულს ნურც მოემატება და ნურც დააკლ-  
დება, და თუ ამ წიგნს არ მიბოძებთ და არ წავალ, ქრისტიანუ-

არა ვიქნები; და ამ ნუსხაში რაც სწერია — ამ წიგნს არ მი-  
მდებთ — დასტური მიბოძეთ. იმერეთს მაინც წავალ და თუ  
არც იმერეთს გამიშვებთ — მამკალით, სხვა ამის მეტი აორა  
უშენებარა, ღირსი არა ვარ შეწყალებისა. შაგრამ თქვენის ხელ-  
შეფის მასის და დედის შვილის-შვილი ვარ და თქვენის გამ-  
რდელის და დიდათ ჭინახულის დის შვრლი ვარ, იმათ აპა-  
ტევით ჩემი დანაშაული და ასეთი საქმეს ნუ მიზამთ, რომ  
წესარეებისაგან მოვკვდე და წარესწყმდე და ან ცოცხალი,  
წყო და ერთი საკვირველი საქმე რომ დამემართოს. როგო-  
რც ნუსხა მოგაროვით, იმისთანა წიგნი მიბოძეთ და თუ ამი-  
სთანა წიგნს : რ მიბოძებთ, როგორ წავადე? ამისგან უარესი  
წიგნი როგორ წავიდო? ჭე შმარიტებამ იცის, რელი სჯად  
მომავალია; რომ წერილისაგან შევსული ამ ორს სიტყვაზე  
ულისა წრილის საქმეზედ და პაპის უფროსობა-  
სედ. ამისგან უფრო თავის წყენა არ იქნება".<sup>1)</sup>

„ალდგომა დღეს, 14 აპრილს სწირა ბორში და  
ყვიდა რუსეთში, სადაც სინიდმა მიიღო მთავარეპისკო-  
სის ხარისხით და მისცა ვლადიმირსა და იეროპოლის ეპარ-  
ქია; აქ დარჩა 1763 წლამდე

იოსებ. 1755—1763 წ. ჭინათ რუსთველი, თბჟ. ჯან-  
ერი. იოსები სუსტი ხასიათის კაცი იყო, სწავლა-განათლე-  
ოთაც ბევრ მღვდელთ მთავრებაზე დაბრა იდგა; ანტონის და-  
წყებულ საქმეთა განგრძელებაც კი ვერ შესძლო. მისის კა-  
თლიკონბის გამგეობის დროւს კრების ოქმი საინტერესოს  
ზეაჩნია და ამატომ უცვლელად მოვცყავს:

„ეკლს ქრისტეს აქათ ჩლებ, ქრისტე შობის კ.

ქ წმიდათა და ყოვლად სამღვდელოთა ეპისკოპოზთა

<sup>1)</sup> იხ. კრებული ნინოწმ. ეპარქ. გუჯართა, სახელმწ. ქონებ. დე-  
ტამენტში.

ესრებ ეუწყოსთ, რომელნიცა ჩვენთან წმიდას პატრიარქთან  
და ლიტერატორთან თქვენ ეპისკოპოზებთან კრებაში პირობა დაიდგა:

პირველი ესე, რომ ეპისკოპოსმან თავის სამწყვისში,  
უაღსარებო არავინ დააგდოს.

მეორედ, ესე საუფლოს დღესასწაულს და კვირას წირ-  
ვის მოუსმენლად ნურავის გაუშვებთ და უქმე დღისა ყადაღ  
უყოთ, რომ კარგად დაიცვან და არავინ გატეხოს.

მესამედ, თუ წმიდათ ეპისკოპოსთ თქვენთა სამწყვის-  
თა შინა ურჩი ვინმე გყვანდესთ — ჩვენ მოგვაკესენოთ და ეს  
ვითართა ჩვენ დავსჯით.

მეოთხედ, ხუცესთა ყადაღა უყოთ, რომელიც წმიდა  
მღვდელობას არ ეკადრებოდეს, ისრე არ მოიქცნენ შესამო-  
ლითა, თუ ტანისამოსითა და ნურც თავიანთ სამწყვისში უს-  
მართლოდ მიუშვებენ ხუცებსა.

მესუთედ, წმიდას ეკლესიაში ან დაძველებული რამ  
იყოს, ან დამწვარი, ან წამხდარი, — უნდა განსწმინდოთ, გა-  
ლესოთ, განაახლოთ და წმინდად შეინახოთ წმიდა ეკლესია,  
და უკადრისად ნურავის აჩვენებთ წმიდას ეკლესიას. მგრეთ,  
ვე თუ გაშავებული რამ იყოს, უნდა გალესონ და გათვო  
რონ.

მეექვსედ, წმიდას ტრაპეზედ ჩასაცელი უნდა ყუთ  
ნისა იყოს და თუ უკეთესი რამ არის, ისი სჯობს და თუ არა;  
სურათის ჩითი უნდა იყოს; და ამას გარდა სხვა აღარა იქნე-  
ბარა. რომელიც წმიდა ტრაპეზი კედელზედ იყოს მიკრული  
ჩამოაფარონ და რომელიცა საშუალ საკურთხევლისა იყო  
— ჩაცვან.

მეშვიდე, ხისა და ან თუ გატეხილი რამ იყოს, წმინ-  
დად ბარძიმად, ანუ ფეშეუმად ნუ იყოფინ და ნუმცა სახ-  
ლედებინ.

მერვედ, თუ ვისმე სამღვდელოთაგანსა სიბერითა, თუ  
სხვისა რომლისამე მიხეზითა წმიდის ტრაპეზის მსახურება დ

წირეა ოლარ შეკლოს — თავისმან ეპისკოპოსმან განაგოთ მისი  
და თუ თქვენ ვერ უსაჯოთ, წმიდას პატრიარქს მოაქაენოთ  
რა სხვათ ეპისკოპოზთ, იგინი საქმეს განგიმართვენ, ერთსა  
ზას მოგცემენ და განუწესებენ რასმე.

მ ე ც ხ ე დ, თუ სამღვდელოდ წვრთილი ვინმე არ იყოს,  
უწავლელი და უცოდინარი, ნუ ვინ მოუკედებიან მღვდე-  
ლობად და კურთხევად; რომ ალსარების თქმევინება არ შეე-  
ძლოს და ან წმიდას ტრაპეზზედ იდგეს და წმიდას სახარება-  
ზე ტყუილებს ამბობდეს.

მ ე ა თ ე დ, რომელიც რომ ჩვენ ვერ მოვიგონეთ, ეპის-  
კოპოსთ მართებსთ მარადის მღვიძიარე ყოფად.

მ ე თ ე რ თ შ ე ტ ე დ, წმიდათ ეპისკოპოსთ თავეთს ერთა  
და სამწყსოსა წმიდას ეკლესიაში შესლვა, დგომა და პირს  
ჯარის დაწერა, სწავლონ

მრეკლე მეფისაგან და ყოვლისა საქართველოსა, ქ.თა-  
ლიკოზ პატრიარქისა იოსებისაგანა ესრეთ სიყვარულით ეუწ-  
ყოს მისს სიწმიდეს ყოვლად სამღვდელოს არქიეპისკოპოზს  
მშ, ალავერდელს ზენონს.

წმიდასა და ყოვლად სამღვდელოს ნეკრესელ ეპისკო-  
პოსს დოსითებას და წმიდასა და ყოვლად სამღვდელოს სა-  
მებელ ეპისკოპოსს ითანეს..

შამსა როდესაც კრებაში საქართველოთ წმიდათ ეპისკო-  
პოსთ მოუწოდეთ, მაშინ ესრეთ გამორჩევით და პირობით  
ღვთქვით რომელიც ზემორე სიით აღწერილი, რომ ღუთის  
ებით ყოველს საეპისკოპოსოებში ესრეთ განეგოს ყოვლად  
სამღვდელოთ ეპისკოპოზთაგან და იმავ კრებაშიაც ესრეთ  
განისაჯა, რომ ჩვენგან ესრეთითა აღწერილითა თქვენ ყოვ-  
ლად სამღვდელოთა გაუწყოთ.

და აპა, გვიუწყებიეს თქვენის სიწმიდისაგან ეპადმდე,  
შფლისა მრისტეს ალდგომამდის, რომ ეს უნაკლულოთ ალ-  
სრულოთ და ალასრულებინოთცა, თვარემ იცოდეს თქვენმა

სიწმიდემ, ჩვენი კაცი ჩამოივლის ოშ უამზედ და რომელსაც  
ხუცეს ესრეთ არ გაუმართავს თავისი სამწყსო და თავისი  
თავიც, იმასაც სამართლით განვსჯით და თქვენც დაგვმდუ-  
რებით.

რომელნც ამ საეპისკოპოსოში ან თავადნი ბძანდებით,  
ან საბატიოს კაცის შვილნი, ან აზნაურშვილნი ხართ, და ან  
მოხელენი - ეს რომ მოვიწერია, ამაზედ მღვიძარე უნდა  
იყვნეთ და თქვენნი მორჩილნიც განაღვიძოთ და წმიდის ეკ-  
კლესიის სამსახურზედ და რაც მოვიწერია — ამაებზედ გაფ-  
თხილებულნი იყვნეთ და თქვენი მორჩილნი კაცნიც ამყოფოთ,  
და რომელც ეპისკოპოსმან და მღუდელმან გამცნოს, იმა-  
ზედ დაადგრეთ და დააყენოთ: შემწე ექმენით ეპისკოპოსს და  
მღუდელსა ამ საქმეზედ; ჩვენს უკან რომ თქვენ ვალი გაქვთ  
და, რომ უნდა, რომ შემწე ექმენეთ — ამისთვის გვიცნობებია

მრეკლე.

ჩვენ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი  
იოსებ წარვწერთ“. 1)

1756 წ 11 მაისს საქართველოში მყოფი ქრისტიან საფლა-  
ვის არხიმანდრიტი სიმეონ სწერს კათალიკოზს, რომ კაცი  
გაუგზავნე იერუსალიმის პატრიარქს პართენიოზს და სოხოვკა-  
დომენტისაგან მიბარებული დიდიალი სიმღიდრე ძონსტანტი-  
ნოპოლიში ფრანგებთან, როგორმე დაიხსნას და ვალი მოიშო-  
როსო. უცხო ხომ არ არის, შენი ბიძა, შენი მამა არისო. მა-  
ხანათ ორ კაცსა ვგზავნი ძონსტანტინოპოლიში და კარგი  
დროა თქვენც გაუგზავნოთ ამათის ხელით წერილიო. (იხ. ქ. ს.  
Груз. Исторет. Синод. конторы № 1902, 4 იюля 1828 г.).

1) იხ. № 856 გუჯარი საეკ. მუზეუმში.

ანტონის საუკეთესო მეგობარი და თანამოაზრე ითანე  
შავული ორბელიანი იყო; ამისი მეუღლე ანნა ერეკლე  
მეფის და იყო, რომე შავული ფრიად დაახლოვებული იყო  
ფრანვების პატრებთან და მიიღო კიდევ ლათინთა ეკკლესიის  
მოწვრება. ამიტომ ითანეც განდევნეს საქართველოდგან: „...  
შესძა, ვითარმედ უკუ მოქცეულხარ საქართველოდვე, რომლი-  
სი ჩვისკა... იშვებს შინაგანი კაცი ჩემი, გარნა ითნას  
ომერითმან, რათა უკუ მოიქცე კეშმარიტებადცა (ე. ი.  
ჭარალმადიდებლობა მიიღოვო) და შენისა მის სიბრძნის  
შოუქარებისა შესაფერ მართლ მადიდებელ იქმნე, დამტევებელი  
არათ და ზედ შემოსრულთა არა კეშმარიტთა სარწმუნოე-  
ბითთა სჯულთაცა...“ სწერს ანტონი ვლადიმირიდგან  
თანე შავულს <sup>1)</sup>)

ანტონ კათალიკოზი თვრამეტი თვის პყრობილების  
შემდეგ, <sup>2)</sup> აპრილის ნახევარში 1756 წ. გაემგზავრა რუსე-  
თისაკენ და 15 აგვისტოს უკვე მოზღვეში იყო. აქედგან  
ასტოუბანზედ აიარა და მოსკოვში მივიდა 16 იანვარს 1757  
წ. აქ ინახულია თვისი ბიძაშეილები, მოემზადა თავის გასამარ-  
თლებლის და პეტერბურგში მივიდა 8 მარტს. მეტად დღესვე  
გამოკხადდა უწმიდეს სინოდში ვრცელის არზით და სიმ-  
კოლო სარწმუნოების აღსარებით და ბოლოს დაურთო შემ-  
დგი: „... ხოლო წმ. შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან ყო-  
ველსა აღსარებულსა, დამტკიცებულსა, შეწყნარებულსა და  
გოვეგლსა; რასაც აღიარებს და დამტკიცებს, შეიწყნარებს

1) ანტონი კათალიკოზი და მისი თანაზიარი (მაგალ. ანჩისხატის  
ფეხანზი ალექსი) კრების განჩინებისამებრ გაკრიქს (თმა და წვე-  
ხი) „... მერმეცა ჰერნესვე მრავალთა მაგათ და ლილათა და ასკა-  
ლონ ელთა და ა. ჭოტელთა და გეთელთა, რამეთუ ძალნი მღვდე-  
ლობისა ჩვენისანი. რათა იყვნესმცა კოწოლთა შინა თმათა ჩვენთაცა“...  
წერს ან რნი ვლადიმირიდგან ალექსი დევანოზს. იხ. ივერია 1879 წ. № 7.  
2) ივ. ივერია 1879 წ. № 7, 120 გვ.

და მიიღებს დღეს წმ. ეკკლესია ორმოსავლეთისა, რომელ  
არს — კოსტანტინეპოლისა, ოლექსანდრიისა, ანტიოქიის დ  
იერუსალიმისა და ყოვლისა რუსეთისა, — მეცი იღვისტე,  
შევიწყნარებ და სურვილით ამბორსუსუფ. და წმ. შეიძლ  
მსოფლიოთა კრებათაგან და დღეს კოსტანტინეპოლის,  
ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა და ყოვლის  
რუსეთისა გვკლესისაგან შეჩვენებულსა და განვდებულს —  
მეცი შევაჩვენებ და განვაგდებ. “ ესრეთივე არზა ანტონ  
მიართვა იმპერატრიცას, ელისაბედ პეტრეს ასულსა:

რომ მღვდელ მოქმედებიდგან დაყენებული არ აყ  
ამის დასამტკიცებლად ანტონმა წარადგინა სინოდში შე  
დეგი გრამოტა მეფე თეიმურაზისა: „ უფალს პატრიარქს ჩუქუმ  
დადსა და უწმიდესსა მამათმთავარსა, ჩვენსა დისწულსა კრი  
ნისშვილსა, მათის დღეგამელობით და გეთილათ გაუძისა უ  
ზღვროდ მონატრე ბიძა მეფე თეიმურაზ მარჯვენას / ამმორებსა  
მოჟახსენებ. ზაქარია მღვდლის ხელით წარმოგზავნილი წერილ  
და სი მივიღეთ და პასუხიც ამით მოკვისხენებია: ნება კატე  
თქვენის კრებით სწირთ გორში ბრწყინვალე აღდგომის დღეს დ  
შემდეგ წაბმანდეთ როგორც ინებებია ვასაც თქვენს ნახვა ჭირ,  
მანდ გორში გიახლებიან. სხვას ზაქარია მღვდელი მოკავენ  
სიტევირად აპრილის 4, 1756 წ.“

ამიტომ უწმიდესის სინოდის მოხსენების თანამდე  
რმვერაცრიცამ ანტონი გაამწესა და დეკომინირს 1757  
ვლათიმერ — იერაპოლის მთავარ-ეპისკოპოსად და თაოუმინ  
მიუჩინეს იმ დროს მოსკოვში მყოფი ქართველი დეკანონი დ  
ორგი დავითიშვილი. ანტონს თან გაჰყვნენ ხელითში: რომ  
დროტინი — სტეფანე და პაისიოს, კანდელაკი მიქელ (ინასარიძე),  
კანზია ზაქარია (მდსხი), მთავარდიაჭინი კამრავლი, იურიდიაჭ  
იოანე (შემდეგ მჩოველი იანა), ბერი პორფირი, იპოდიოკრისტ  
ეფრემ, იოანე, გიორგი (ნათლისძე), მეტახელი რიზაზ (ჯორაშვილი); თავადნი: იოანე ხერხეულიძე. როის მარტ  
ქიშვილი, პართენ გელევანისშვილი, პლიან თავალიშვილი;

მსახურნი: ვიორგი ნანეზაშვილი, პავლე, ზურაბა, ვიორგი, ეფრემ, ივანე და სხ. <sup>3)</sup>

რუსთაში ანტონი შეუდგი ქართულს ენაზედ სასარ-  
გებლო წიგნების შედგენასა და სხ ენათაგან თარგმნასა.  
წიგნებს ზედი-ზედ გზავნიდა საქართველოში. სხვათა შორის  
კამიგზავნა „მიწუალეს თარგმანება“, მაგრამ ზაქარია მღვდლის  
(გაბაშვილი) და, სხ. ჩაგონებით უარპყვეს იგი „მიწუალეს  
თარგმანება“ წკალებით არის სავსეო, და დაწვეს. ვინც ანტო-  
ნის მეგობარნი დარჩენენ საქართველოში, იმავე კათალიკოსმა  
დაუსჯელი არავინ გაუშვა. სხვათა შორის ადგილიდან გა-  
დაყენა და მღვდლელ მოქმედება აუკრძალა ანჩისხატის ტაძრის  
სხელოვანს დეკანოზს ალექსის. თუ რა ტანჯვა-ფაება გამო-  
იყრეს ანტონის თანამოაზრეთა და მათში ალექსი დეკანოზმა?  
უკრი ვათხოვოთ ჭავით ანტონის წერილს ალექსისთან ვლა-  
რომირიდგან: „... რამეთუ სახელითა თვისითა მოსრულთ  
სენ, სახელითა უფლისათა მოსირულნი, აღგვჭრეს და გან-  
ვაბნიდენეს, და შენიდა კასხლი და დათხეული მიშინ აღვი-  
ღოდა წინაშე უფლისა სეხხლსა თანა აბელ მართლისასა და  
საქარისას ჭავითა აუკრძალებაში შენის უპატიორება უმკვეთრეს  
განსკრის შინდგანთა ჩემთა... გარნა შენისა პატიოსნებისა  
კოცევა აფაზაკთაგან, და შემრთავთა სახლსა სახლისა მიმართ  
და აგარაკთა აგარაკისა მიმართ, რომელ გეწია მიზეზითა  
სენითა მეკდიმების ლვთასაგან ჩემისა, და შენსაცა განკრძა-  
ლულსა ლვთის მოშიშებასა ვევედრები, რათა მოტვება ჰყო  
ჩემზედა ბრალისა მის, რომელი დაპსლვეს თავსა ჩემსა უპა-  
ტიოება შენი...“

ამისსავე უტყუარს მოწმობას ვპოულობთ პატრის ჯუ-  
ლიო. ბონავენტურას მოხსენებაში 1757 წ. 12 დეკემბრიდ-  
გინ: „... ქართველებმა თავიანთი ჯავრი ამოიყარეს სამ კუ-  
თოლიკე სახლიდერო პირზე, რომელნიც პატრიარქს (ანტონს)

<sup>3)</sup> ახ. წყაბილ სიტყვ. წერილი კ. ჯავახელიანისა.

ახლდნენ. სამი დღე ქალაქის მოელ ქუჩებსა და მეიდნებში ატარეს ყოველნაირი შეურაცხოფით და გაუპატიურებულნ; ეგრეთვე სიბრაზით ეგოდნათ გალახეს ორი კათოლიკე დედაკაცი, რომ მეტის სიმწარისაგან ორივე სამის დღის შემდეგ მიიცვალა....”<sup>4)</sup>

ჩვენ ეპეი არა გვაძვს, რომ ერთი სამთაგანი შეურაცხუოფილი სასულიერო პირი არის ალექსი დეკანოზი, ხოლო ორ დედაკაცთაგან ერთი გვვგონია ბატონის შვილი ხვარაშანი უნდა იყოს. აი ანტონ კათალიკოზი რას გვეუბნება: „დედიდა ხვარაშან მომიკვდა და ჩემი სიყვარულის პატივი მკვდრა საც მიეხადა, რომ მეტის ერეკლეს (ნაზარ ალიხანის) ქალი სამის ხელმწიფის დაი (კონოსტანტინე, დავით და თეიმურაზ), ორის ხელმწიფის ძმის წულების მამის დარ (ალიმირზა და ერეკლე II) ცილ დაწამებული ძალლთა და მხეცო მისაგდებელადუა დაისაჯა...” იხ. ივერია 1879 წ. № 7, 115 გვ. ამასვე ემოწმება მ. თამარაშვილიც <sup>5)</sup>

ანტონის განდევნა კარგად არ დაუჯდა. საქართველოს მისი პიდა შვილები, მეფე ვახტანგ VI შვილები მოსკოვში სცხოვრებდნენ და ქართლის ტახტის დასაკუთრებას ცდოლობდნენ. ამიტომ ანტონის მისვლა დიდათ იამათ და გამძლიერეს ჩერქეზეთში <sup>6)</sup> მიწერა მოწერა. აქედან დაღისტანში კაცი — კაცზე მიღიოდა და თარეშებს ისტუმრებდნენ ქართლ კახეთის ასაკლებად. ანტონმა კარგად იცოდა საქართველოს უბედურებანი და მწუხარებით სწერს ალექსი დეკანოზს: „ა ჰეონეს დაცხრომან, საქართველოსა ზედა აღძრულთა მათ დელვათა და პერვათა რისევისა ლვთისათა, ... გარნა არა

<sup>4)</sup> იხ. ისტორია კათოლიკ. საქართვ, მ. თამარაშვილისა. 375 გვ.

<sup>5)</sup> იხ. იქვე.

<sup>6)</sup> მეფე ვახტანგის მეუღლე, რუსუდან ჩერქეზთ ბატონის ქალი იყო.

ლაქს უხრეს და არცა დაყუდნეს ქარნი და ლელვანი განსაკუ-  
ლელთანი...”

ამის გამო ერეკლე მეფეს მამასთან დიდი უსიამოვა-  
ნობა ჰქონდა და ნიაღაგ აყველრიდა ანტონის გაძე-  
ვებასა. <sup>7)</sup> ქართლში მრავალი თანამგრძნობნი ჰყვანდნენ  
ანტონს და ვახტანგ მეფის შვილებს. თვით ანტონი თუმცა  
ფუფუნებით სცხოვრებდა, მაგრამ ძალიან ნაღვლიანობდა  
საშობლოს მოშორვებასა: „... გარნა მე არა ვმრთელობ,  
ეთარცა იგი სულითა, ეგ სხედ არცალა სხეულითა, რო-  
მელი არა თუ სიმძიმისაგან ჰაერისა შემხდომიეს, არამედ  
ურთიერთარს მრავალთა სენჯა ერთად ზავებითა”... სწერს  
ზეპირი დეკანოზს 1759 წ. ვლადიმირიდგან.

გვიან იგრძნო თვისი შეცოტა თეიმურაზ მეფემ და  
1760 წ. დიდის ამალით გასწია რუსეთში იმპერატრიცასთან  
მითომ და სანახავად. ნამდვილად კი ვახტანგ მეფის შვილების  
და ანტონის გავლენის დაცხომი ჰქონდა გულში. მაგრამ  
თეიმურაზმა ვერა გააწყორა და გჩუი მიიცვალა. ანტონ კა  
თალიკოზმა მწუხარების გრძნობით სავსე სრმძიმრის წერილი  
მოსწერა ანახანუმ დედოფალს — „... ელისაბედის პატარა  
ობლობა სულის კვეთას მიყენებს. თავისი ხელმწიფე მამა  
(თეიმურაზ) რასაც თურგ პნახევლა საკაზმავს ჩასაცმელს და  
ირალს, ელისაბედის მოსატანად თურგ ხირობდა ...“ <sup>8)</sup>

გაიგო თუ არა მამის სიკვდილი ერეკლე მეფემ და მისმა  
დამ ანნამ, ანახანუმის წინააღმდეგ, მაშინვე კაცი აფრინეს  
ანტონთან წერილით და დაიბარეს. ანტონი მალე დაეთხოვა  
უშმიდეს სინოდს და წამოვადა საქართველოში; სინოდმა

<sup>7)</sup> ანტონის მისწერა ერეკლემ გამოსალმების წერილი 1756 წ.  
ოვებრის 20-ა და სა. შორის: „... მე უშენოდ ვერ ვიქმნები, თორემ  
ბოლოს გამოჩნდება; მე უშენოდ არა მიამებარა“... იხ. ივერია № 8,  
1879 წ. 57 გვ.

<sup>8)</sup> იხ. ივერია 1879 წ. № 7, 114 გვ.

საგზაოდ 1500. მან. მისცა. 1764 წ. დამდეგს ზაქაროვე  
ლოში მოვიდა. ის დროს ერეკლე მეფე კახეთში იყო  
თელავში და იქ შეიკარნენ. მაშინვე ჩამოვიდნ ენ ტფი  
ლისში. მოახდინეს კრება 1764 წ. 2—18 ოკტომბერ  
კრებაზედ დაესწრნენ: მეფე ერეკლე, ანტონ კათალი  
კოზი, მთავარ-ეპისკოპოსი კირილე, ბესარიონ ეპისკო  
პოზი, ტფილელი ქრისტეფორე, მროველი გერმანე, სამ  
ნინოშმიდელი, მანგლელი ნიკოლოზ, იოსებ რუსთველი  
(ამ დრომდე კათალიკზი). ანტონის მოსვლის შემდეგ იოსები  
მისცეს ხარჯეშნელობა, და ვინც ანტონს ცილი დასწამა დ  
„მიწუალეს თარგმანი“ უარპყვეს, ყველანი განკვანონეს. ზა  
ქარია მღვდელი გაბაშვილი ვანპკვეთეს მღვდელობილგან  
„წელიწად ნახევარს აღსაჩება არავის ათქმევინოსო“. მოგ  
უყავს თვით განჩინება კრებისა უცვლელად.

### „განჩინება ზაქარიაზე“

განჩინება და მსჯავრი საბოციქულო  
ზემოსა საქართველოსა მამად მთავრისა ან-  
ტონის მიერ და ეპისკოპოსთა, სამეფოსა ქა-  
ლაქსა ტფილისს. პალატა საკათალიკოზოს  
შეკრებულთაგან ზაქარიასთვის ხუცისა და  
ვიეთთამე მიმდგომთა მისთა, ცხადად დამთრეუ-  
ნველთა სჯულთ საღვთოთა და მამათა კუ-  
ნონისათა.

შათ. 18, 17.

მაცხოვარი ჩვენი და ული მეტყველი  
გვასწავებს კად „უპეთუ კრებულისა არა ისმინთს  
იუგენ იგი შენდა ვა მეზვერე და წარმართი“. 1

შ კორ. 10. 5.

კაცი გამრცვნელი ქეს სავენახისა ზაქარია უკმი  
სუცესი „ამაღლებული მეცნიერებასა ზა დეთ-  
სასა“ — გონება. იგი ასურისტანელ ღმერთ

ვე. 3, 13. ოცნებული თავისიგან თვისისა, რომელი  
 ნებსით ჰურიაებრითა „შერითა ტეგექმნელი  
 თან, 13, 15. სისუფლეთა მოუდასითაც<sup>1</sup>, სრ დამვიწყებელი  
 სკულია სიუგარედისათა, რი მოუცა მოწაფეთ:  
 ვ. 22, 28. ქესთა და მთავრობითაცა რი წერილ არ  
 „მთავრისათვის ერის შენისა არა იტუთდე ძიინია“,  
 აღდგა ცილისწამებად კეთილ მსახურსა ზა  
 მეფესა ჩვენსა, და მამადმთავარსა ზა ჩვენსა,  
 და ყდ სამლუდელოთა მლუდელთ მთავართა  
 და ყსა ზა სავსეპასა ეკულესისასა, და მთა-  
 ვართა ზა და, უდიდესი ვთქვა, ეკულესისა ზა  
 საქართველოსა, ვა მწვალებელთა ზა, და  
 სჯულსა ცხადად დამთრგუნველი ნებსით,  
 არა მოხუნე, იქმნა. „არა ცილის წამო მოუგასია  
 ზა შენსა წამებითა ცრუთამთა“ და დაივიწყა  
 მდეს. 4 ჭ. კდ თქმული იგი ეკულესისტესა ზა (ცილის-  
 წამებულთათვის) „გიჩილე უგველი ცილი წაშე-  
 ბა ქმნილი მზეს ჭვეშე, და აჭა ცრემლი ცი-  
 ლისა წამებისანი და არა არს ნუგეშინის მცე-  
 მელი მათი“. ვინაცა სიმაღლემან გისმან მე-  
 ფემან ჩვენმან, და წმინდამან კრებულმან  
 შეუნდო და მრავალ ვზის მიუშვა იგი აღდგო-  
 მად და ჰყო დაგებად მისთანა ესე ვითარი, ვა დ  
 რომელთაცა მართლმადიდებლობითა ზა წე-  
 რილთა წვალებად აღმოაჩენდა უკეთური იგი  
 (ზემოხსენებული ზაქარია), წერილი ესე კე-  
 თილ მსახურმან მეფემან და წმინდამან კრე-  
 ბულმან აღილო შორის და დაიდუმა მის-  
 თვის სიტყვის გებად არა თუ ამისათვის, ვა დ  
 წვალებისა რაციმე წადიერება იყომცა წე-  
 რილთა მათ ზა, რომელნიცა უოვლითური  
 აღმოსავლისა ეკულესისა შეუდგებოდეს დოლ

მატთაცა შა და საქმეთა, ად სიყვარული სათვის, რათა წინა აღმდგომნი იგი ჩვენთანა ასო იყვნენ წისა ეკლესიისა, — ყოველივე სიმაღლემან მისმან მეფემან ჩვენმან და კრებულმან უვეს ენკენიებრი სიხარული ეკლესიისა განხეთქილებისა შეერთებისათვის და მოუწოდეთ ჩვენთანა მღვდელმოქმედებად უკეთურსა ზაქარიას საღმრთოთა ზა ლიტურგიისა, რომელსაცა, და ეზიარა ზაქარია ხელითა მამათ მთავრისათა საღმრთოსა საიდუმლოსა პატიოსნისა სისხლითა მისითა: „მუცლადედოსადმობა იგი მწარე“ ესე იგი განხეთქად კრეპკლესიისა ქრისტესისა, შეკრებულისა კრეგანმაორებელმან მან საქმეთა იუდასთამან, მოწაფემან მხაკვარმან და მოციქულმან წარწყმედილმან, ზაკვით ზიარებითარე უხრწნელისა საიდუმლოსათა, ვრ იგი მონაბიან შისმან იუდა კურეშმაკისა ჰყო თავი თვისი, რამეთუ შევიდა მისა ეშმაკი და, განსრულმან კრებულისაგან სამოციქულოსა წისა ეკრლესიისა, მწვალებელ უწოდა მამად მთავარსა ანტონს და არა მოიხსენებდა ეშმაკეული იგი ვდ „მდედელ“.

თან. 13, 14. მთავართა თვისითათვის ბორთტის მზრახველთა მართლ მსაჯულ არს დმერთი. „ვითარ იგი ოდესმე არონისა ზედა აღდგომილთა მიმართ საჯა „განშეება ქვეუნისა და ცოცხლივ დანთქმა ჭეთს შა და ცეცხლის აღტეხილება“.

ა) ვინაცა მამად მთავარი ჩვენი ანტონი მრავალგზის ქადაგებასა შა აბიონსა ზა წინაშე მეფისა და წინაშე ჩვენსა, და წე ყოველისა ერისა აღიარებდის აღმოსავლეთისა ეკრლესიისა აღსარებასა, და ლათინთა სარწმუნოებისა აღმსა-

ფს. 7. 17.

რა 16-ოა.

რაც. 16, 32.

რებელთა საშინელითარე შეაჩვენებდას სი  
ტყვებითა; ბ) გარნა ეშმაკეულმან მან და არ  
შემწყნარებელმან მღუდელთ მთავრობისა მი-  
სისამან, რახვეულა მუცლად ეღრ, შვა - უსჯუ-  
ლოება იგი სიძულილისა მოყვასთა და ძმათა  
თვისთა — განიპარა სამეფოთ საქართველოსათა  
სხვად სამეფოდ ესე გვარითარე სივერაგითა,  
ვდ იტყოდა ურცხვინოდ რეცა მეფისაგან  
განტევებისა თვისსა. გ) წარვიდა სხვად სამეფოდ  
ამისათვის, რათა ეკალესია საქართველოსა  
კეთილ მსახურით მეფითური მწვალებლად,  
ესე იგი შემწყნარებელად ლათინთ სარწმუ-  
ნოებისა, და არა წისა პაპისა, რომელთაცა  
გამოაჩინოს და საღმრთოთა პეტრიარქთაგან სა-  
ბერძნეთისათა შეჩვენება მოატყვას ეკალესისა  
ზედა საქართველოსასასა, ვერ გულის ხმის  
მყიფელმან, ვდ მუნებურნი შეფეცა და  
მღვდელთმთავარნი თვინიერ კეშმარიტისა  
ცნობისა არა ეწამებიან; დ) ოდესა, შევკრბით  
რა პალატად საკათალიკოზოდ და მიუვლინეთ  
შას მოციქულნი ორნი ხუცესნი, — პორფირი  
ხუცეს მონაზონი და გრ პროთოპოპი ტფილი-  
სის საკათალიკოზომასა ეკალესისა — შევსთვა-  
ლენით სიტყვანი ესე გვარნი, რათა მოვიყვა-  
ნეთცა სინანულად, მაგრა კური იგი ეშმაკისა  
უქვემდება ეშმაკთა დაადგინებდა თავსა თვისსა  
და, მწვალებლად მწოდებელი ჩვენი — წინა  
აღმდგომთა მოგვიგებდა; ე) მერმელა მო-  
ვიყვანეთ კრებად პყრობილი და ზეაობით და  
დაუმდაბლებელად მოგვიგებდა. ვინაცა მოილო  
ომფორი, — შემმოსველმან პეტრახელითურთ  
და სამკლებად მამათმთავარმან ჩვენმან ან-

რონი, მოიღრიკნა მუხლი და ოტყოდა მაღლითარე. ხმითა: „სულო კედ წო და ცხოველი მუოველო თვითებათ, მხოლოდსაგან მამისა გაშრებდო, მხოლოდ რომელიცა. სარცს ცეცხლისა ქნებისა სახედ გარდა მოხედ მოციქულთა ზა! შპერუ მე წინადამდგრმისა რასამე აღმოჩავლეთისა ეპლე სიისა, ანუ თარგმანებასა შა შეერცასისა ფსალმუნებისა, ესე იგი შიწყალესა ანუ ამოლოდისა შინა ჩემსა დათონთა სარწმუნოებისა რამე - ანუ გთხებით, ანუ მოვთხებით, ანუ ჭარით, ანუ სიტყვით წარმოჩენადით დამედგასცა, ანუ დამეწეროს, — მეავ მე წევულ, გრულ, შეჩვენებულ სულით და ხორცით და საფლავით ამა სოფელისა და შერძესა მას; და უპერუ ცილის წამებით მას ბრალებდეს მე ზაქარია ხუცესი — ჰეავ ესე წევულ, კრულ, შეჩვენებულ სულით და ხორცით და სოფლავით ამა სოფელისა და შერძესაცა მას“. ხო ჩვენ ყოველთა მუნ მდგომთა მიტროპოლიტთა და ეპისკოპოზთა, ძრწოლით მსმენელთა, ვთქუთ ერთობით „ამინ“. 3) გარნა ეშმაკეულმან მან წარმოსთხია კედ სიმყრალეც თვისი მეტყველმან — „შემიჩვენებიეს თარგმანებაცა“ მიწერესი, და უთველნი შემწენარებელნი მისნი“.

ამისათვის ჩვენ შეკრებულთ ყდ სამღვდელოთა მთავართა ვსაჯეთ უსჯულოდ გამოყვანებად და შეჩვენებად ყდ უკეთური ხუცესი იგი — ზაქარია დალათუარა მწვალებელი, ად ვა გარდამავალი მამათა კანონისა ზემო წერილთა მათ რიცხვთ განყოფილ ბრალთა მისთათვის. პირველისათვის ბრალისა, ესე იგი არ შეწყნარებისათვის უმსჯავროდ თვისისა მღვდელომთავრისა ვყოფთ განკვეთასა

մուսսա թղթական հայ քանոնտամեծի թշնա  
մուրովալութա մոտ, և քանոնութա մոտ թշնա մո-  
ւովալութա առ աշխարհական թղթական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական թղթական մու-

թղթական թղթական մուրովալութա առ աշխարհական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական մուրովալութա առ աշխարհական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական մուրովալութա առ աշխարհական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական մուրովալութա առ աշխարհական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական մուրովալութա առ աշխարհական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական մուրովալութա առ աշխարհական թղթական մու-

թղթական մուրովալութա առ աշխարհական թղթական մու-  
րովալութա առ աշխարհական թղթական մուրովալութա առ աշխարհական թղթական մու-

მიუღებთ სახელსაცა, რო ეწოდებოდა მღვ-  
დელობასა შა, მით რომელ არა ნათლისღებასა  
შინა წოდებულიყო. სახელი იგი მის ზა, ად  
მღვდელობასა შა და, რომლითა სახელითა  
იწოდებოდა ერის კაცობასა შა, ვძრძანებთ  
რათა იგივე სახელ ედებოდეს ამიერიდგან.

მეოთხისათვის ბრალისა კუთხთ, ვა მე-  
ზვერესა და წარმართსა. სიტყვისაებრ უსა-  
ჩვენისა იესო ქ'ესა (მათტ: 18, 17.) და  
ესწროვით მას ძრიელად, ვა ურჩისა და წი-  
ნააღმდგომსა კრებისასა; ხო ყოველთა ბრალ-  
თა მისთა ზემო წერილთა უმორჩილებათა და  
აღმაშფოთებელთა და განხეთქათა ეკლესიი-  
სათა, და მის ძლით სხვა და სხვად ერად  
კუთხათსათვის ჩვენთა და, უდიდესი ვთქვათ, დე-  
დასა თვისისა წასა საქართველოსა ეკლესიის:  
ზედა აღდგომისათვის და მწვალებლებდ წო-  
დებისათვის მისისა და შრაეცლთა მათ უკე-  
თურებათა მისთა თვის კდ უკეთურსა მას  
და უსჯულოსა ზაქარია ხუცეს კოტილსა  
განკვეთილ კუთხთ წისაგან მღვდელობისა:  
შევაჩვენებთ, ვსწყევთ, შევკრავთ ჩვენზა მო-  
ცემულთა მღვდელმთავრობითითა ხელმწი-  
ფებითა, მით უკვე რომელი იგი რქვა ხელმწი-  
ფებან სიკვდილისა და ცხოვრებისამან საღმრ-  
ითან. 20. 23. თოთა და სამღვდელოთა მოწაფეთა თვისთა  
„რომელ შეკრათ ქვეყანასა ზა, იყვნენ შე-  
კრულ ცათა ზა,“ და კდ „რი შეიპყრათ შე-  
პყრობილ იყვნენ“, და კოველთა მეოხთა და  
შუამღვდელმელთა მისთასა ვკოთ შეჩვენება, და  
მისთა მისრულთა კთა შევაჩვენებთ მით, რომელ

წერილ არს ესრეთ: ვდ „რი შეეხოს თვისსა გაშავდეს,“ და ყოველთა შემწეთა მისთა შევა-ჩვენებთ.

განვკუთხეთ დიაკნობისაგან და შევაჩვე-ნებთ შვილსაცა მისსა იოსებს, ვა მამისა თვი-სისა შემწესა, და თანა მწვალებელიად მწო-დებეჭლსა წისა საქართველოსა ეკკლესიისა; შევაჩვენებთ კურსაცა ვას ეშშაკისასა მოწაფესა მისსა ისაკს ვა ყოველსავე შა ზარსა მოძღ-ვრისა თვისისა.

ხოლო უკეთუ მოვიდნენ სინანულად, და დიდითარე სინანულითა უკუ თქვნენ უვე წარ-თქმულნი თვისნი, და ვეურდენ წმიდასა მამათ-მთავარსა ჩვენსა და წასა კრებასა : სრულითა გულითა - შევიწყნარებთ და მოუწყდებთ სი-ნანულად, და არა სუდ წარწყმედილ ვყოფთ, ვა მონანულთა; გარნა შვილსა მისსა იოსებს მოსრულსა სინანულად და ორთაგანვე უმოლ-ხინესად შევიწყნარებთ. წელსა 1764 თვესა ოკ-ლომბერსა 18.“

მაგრამ ზაქარია მარც გაკერპდა. და საქართველოდგან რუსეთში წასვლა ირჩია 1767 წ. ამიტომ მეფე ერეკლემ შემდეგი გრამოტა მისწერია ყიზლარის, ციხის თავს (კომენ-დანთ) გენერალ მაიორს პოტაპოვს: „ხუცესი ვინმე, სახე-ლით ზაქარია, ნათესავით გაბაშვილი ჩვენისა სამეფოშიაგან ჭო-როტ უანშეჭელი და უკეთურესსა გზასა ზედა დადგამილი, მის-მან. უწმინდესობამან მამ. თმთავარმან ჩვენმან და ეპისკოპოსთა სამეფოდეს, ჩვენასუთა შეკრებათ შეჩენებას და უოვლისაგან მაღლისა განაშიშვლეს წელიწადსა ჩდედ, წელსა, თთვესა თვედომბერსა იტ. ქალაქესა ტოვილისისასა. და ოდეს იგი შეიჩვენა, მიერითგან უშპეთურესთა საქმეთა მოქმედი წელიწადსა ამას ჩდებ განვაგდეთ

სამეფოთ ჩვენით და გვესმის რთულ ეთოლით ქალაქად მისრულ  
რის, რომლისა კეშმარიტი უწევბა მთხვართვით თქვენსა ზედმიუ-  
ლობასა, ნე შეიწენარებო ამას ვითარცა ქრისტიანესა ამად, რა-  
მელ უფლისაგან ქრისტიანეთა შადლისა შიშველ არს. "

მრეკლე.

თვის მხრივ ანტონ კათალიკოზმა მისწერა „სულიერის  
პრავილენისა ეთოლარ ქალაქისასა ანტონი კათალიკოზი უფლისა  
ზემოხას საქართველოსა უფლისა მიერ ღოცეა კურთხევით  
მოვიკითხავ! მიზეზი ესე ას ჩვენ მაერთ თქვენდა მომართ აწინ-  
დელის ეპისტოლისა, რომელ უწევბა კვნებავს თქვენდა შომართ,  
ვითარშედ ხუცესი ვიზე იუო სახელით ზაქარია, ნათესავით გა-  
ძაშვილი, ეპარქიის ჩვენისაგანი, რომელიც დირსად და სამართ-  
ლად განიგვერა მღვდელობისაგან და შეიჩენა და ანაფეშა იქმნა  
ჩვენგან და ეპისკოპოსთა ჩვენთა დიდთა სიმორთოეთა მისთა-  
ვის წელიწადსა 1764, ოდღობერსა იმ, ხოლო ბრალი უკუ-  
თურისა მის ესე იუო, რამეოუ შესცოდა უმაღლესსა მეფითბასა  
პეთალმისაცერისა და მწერმსთაგროვისა ჩვენსა, რომლი-  
სათვის უწევბა ესე იმასთვის მოვიწყერის თქვენდა: უკუ-  
მანდ ზაკვით და ვერაგობით სამღვდელო მოქმედება რაღმე მოინ-  
დომოს - ნე მიუშვებო სამღვდელოსა შიმართ მოქმედებისა. მაღლი  
უფლისა ჩვენის იესო ქრისტესი ამინ. დაწერა სამეფოს ქა-  
დაქანის ტფლისს. წელს 1767 თავესა თეოდორებერს 20. დღეს  
„ანტონი კათალიკოზი უფლისა ზემოხას საქართველოსას".

ამ გრამოტებმა, რასაკვირველია, ზაქარია მღვდელის საქმე  
გაუჭირეს და რაკი მეტი ღონი არა პერნტა, აღვა და ასტრა-  
ზანის მღვდელოთმთავარს შეიღეგა მოხსენება გაუგზვნა:  
„დადს უფლისა ეთოლად სამღვდელოსა მეთოდი ეპისკოპოსს  
შეარჩნისა და სტრატოლისას. საქართველოს მეფეთ მოდგრისა  
უქრის ხუცის მიერ უქვემდებარ მოსხენება. ექვსის წელის საქმე

ესე უპირვე თქმების უფლებად სამღვდელოებას თვითუქმდად მოვახ  
სწორ, კანგრცელების. ამის ძლით შემოვდებით მოვახსენებით.  
ასტონი კათალიკური რომ გლადიშის არქიეპისკოპოსა იმურიკუ  
ბოდა, იქ 50 ივნისიდან მიწყალებს სარგმანი გაეჭირებისა, დიდათ  
კარიბიდან; რაც მეტიც უკა ჭირებოდა და დასტურებულია ადგ  
წერა, დათინითა პაპისტია ბოროტი-მადიდებლოდა და წარდება მრა  
ვალის ადგილის დაწერა, უფლებად წმიდა სული მამის და ძის კან  
კამომავალიდ ბერს ადგილს დაწერა, წმიდა კათოლიკები და სა  
მოციქულო ეპლესის მაღი ქრისტიანი არც არას დასტურების  
დამისა, არც გრატისტინგოლისა, არც ალექსანდრიისა, და არც  
ასტორებისათ; არამედ მარტი რომის ეპლესი არის და რომელ  
სიც სამწერლო განესაკუთხნებ მას ფოფულის სამეცნიერო. კიდევ  
სწერს ამაღლების ძლითსა შინა — იესო ქრისტე რომ ზეცად  
ამაღლდათ, ქრისტეს ხორციელი არება მესტე ცახე დარჩათ და  
და ჰეივთ. ხოლო შეს მსმენელთ, პერილმისახურდ შერაცხე ესე,  
ნუ უკათადმისახურესად შერაცხოლთქმულება ნებსა მესამესა ზედა  
ცასა დარჩომისაფვის ქრისტეს ხორცისა. (?). კიდევ ამაუედ ჭირებ  
და შეუ იტუვის რომ „არ არის იესო ქრისტე მჯდომარე ხორ  
ცითა ქრისტომთა საყდართა ზედაზ, წებმოუ გთხვათ, ქრისტომთა საუ  
დართა უკათა ხორცით დაჭდომა ქრისტესი, ესე არა რამით  
იქნების, უგიწესარებათ“. წმიდა ითანე დამასკელისა, დიდისა ათა  
ნისის და გრიგოლის ხისებისა და მრავალს ადგილსა წინააღმ  
დებმსა სწერს წმიდათა მამისს ჩვენთსას.

ეს წიგნი როსსათ ქართული ქართულთ მეოთხე თეიმურა-  
ზასთვის კამთებზავნა, შემოეთვალა — ამა და ამა რიგზე კარდა-  
სწერდენ ურმანი ქართულთანით. სწადოდა რომ ქართულის ქვემ-  
სი განვიხილიერ. წერილის მეტიერი რომ კინჩერიეს, თქვეს  
— „არა შეიწესარება, წვალებით სავსე არისთ“. ის წიგნი მიშინვე  
დამადეს და აღარ კამთხინებს ქართულთ ბერიდ ბადიდებელი  
შეფე თეიმურაზე პეტრებულებს რომ შიიცვალა, ირაკლი ქართველი  
შეფემ ასტონი კარალიკური საჭროებულები დაისარა. შოვიდა კა-  
სუს, არაკლიც იქ იშეთუებოდა, ერთად შეიუარებუნ. იშ წიგნის

აღმსარებულნი, ვისაც ხელი მოეწერათ ეპისკოპოსის და რეზი-  
ნიმე სამღვდელთაგანი, თვით მეფეც, ანტონი კათალიკზი ა-  
თანსმანი მათნი ჩამდგინენ ქალაქსა ტფილისსა. შირველათ ჩ-  
ზედ განახენი დაწერეს, იმ ფამად განუგითხველად და უდაბარაკ-  
რომ წელიწად და ნახევარს აღსარების ნურავის ათწევინებით,  
სახლი და კარი წამართვეს.— ითარებ. საქართველოს კათალიკზი  
რომ ჭერეთ ისევ საყდარზედ იყდა, იმ წიგნის აღმსარებული  
ხელით წამწერელნი ურმანიგვი ძლიერად შეაჩენა და დაწეველი.  
შეიქმნა ჩვენსა და იმათში განხეთქილება და შფოთი და ერთ-  
ადარა გსწირევდით. და ვინც ის მიწუაღეს თარგმანი არ ირწმუნა  
არც ხელი მთაწერა — ესენი არის ითხებ საქართველოს კათალიკზი,  
კახეთის მიტროპოლიტი და შირველი, შლავერდელი ზენონ  
არქადი ხუცეს მთხუთონი, მღვდელი დავით, ითხებ დიაკონი  
ღრაშმატიკის, მე ზაქარია მოძღვარი, ისაკ დიახოქი ღრაშმატ-  
კოსი და სხ. რომელნიმე სამღვდელთაგანი“.

მეოთხი ეპისკოპოსს აბა რა შემწეობა შეეძლო მავა  
ზაქარიასთვის? ადგა და უწმიდეს სინოდის მოახსენა ზაქა-  
რიაშვილის საქმე. რის ვაი ვაგლახით ზაქარიაშ მიაღწია ტ-  
ტერბურგში 1768 წ. და შემდეგი მოხსენება მიართვა  
თან „მიწყალებს თარგმანი“ წარუდგინა.

„უყოვლითადეს უუწმინდესსა სამღლოდ მმართებელ  
მსჯელ მსაჯულთა წმიდათა სინოდთა ყოვლობასა განმეო-  
რებით მოვაძსენებთ, უნდა გლოხაკი. ვინმე მწირი ხუცე-  
მოძღვარი ზაქარია, უბადრუკება განმრავლებული იატა-  
წინაშე უერხთა მათთასა ცრემლით. შეუცრდები და ყოვლი-  
ბასა მათსავე მიწამდე მუხლდადგმით მრავალგზის თაყვანი-  
ვსცემ. წასრულს წელიწადისა წინააღმდეგომთა და მაკარე-  
ბელთა ჩვენთაგან ჩვენზე და ებული ჭირი და იწროება კ-  
ვლივე აზრით (არზით?) მოგეხსენებათ და განცხადებული  
წინაშე სიწმიდისა თქვენისა, და შემდგომად მისა რდსაც მ-

თ მორდელობიდამ გარდამაყენეს და ტანჯვით და კიცხ-  
თ თმა და წვერი დაგვპარსეს. იმათი განაჩენი და იმათი  
დაწერილი წიგნი, რომელიც დღეს სპასის მონასტრის არქი-  
მნიდრიტს მფრემს აქვს; იმათი სიტყვა და იმათი ხელი: იმისი  
გარდანაწერი პირიც თქვენს წმიდას მეუფებას მოერთო; ახლა  
მესამე წელიწადი არის რომ ყოვლად მოწყალეს ხელმწიფის  
სამპერიოს შემოვეხიზნე. ამ ორ წელიწადში რაც ჩემს სიგ-  
ლასკეს ძალედვა; დიდის ცდით და ჭირით ცეცადე. და ან-  
ტონი კათალიკოზის მიერ პლადიმერს გაკეთებულის წიგნია  
საგან. მიწეალეს თარგუმანები რომ დაარქვა, იმ წიგნიდამ გა-  
მოდებული შემოკლებით ან საქართველოდან გომივიდა და ან  
თქვენს ყოვლად უზადოს სიწმინდის წინაშე მოგვიროთმევია—  
სავსებით ირწმუნოს თქვენმან წმინდამან შეუფებამან, რომ  
კეშმარიტად და უტყუვლად ანტონ კათალიკოზის მიერ პლა-  
დიმერს ყოფაში ქმნილის წიგნისაგან არს გადმოწერილი, და  
თქვენ ის მიწყალეს თარგმანი, დავითნზედ ბევრით უდიდესია,  
და თავით ბოლომდი წვალების ლვარძლით სავსე არის, რო-  
მელსაც თქვენი უვნებლობის ცაში აღსრული გონება უმჯო-  
ბესად დახედავს, ოდესმე მიფარვით სწერს და ოდესმე გამო-  
ინებით, და აღმოჩინებულს კარგად დააფასებს რასმე; და  
წმიდათა მამათა ჩვენთა წევნთა ბრუდათ. თარგმანებითა, და  
ერთად გადარყვნითა ხელოვნებით მეცადინობს რათა ჩვენთა—  
კი წიგნთა შე აღმოუჩინოს ლატინთ. სარწმუნოება და ნე-  
ლიად ნელად მიიჩიდნეს ყრმანი ქართველთანი. ხოლო უხშირეს  
ყოველთასა სწერს ამას მრავალ გზის ვდ არა ძისაგან არცა  
მისაგან გამოვალს ყოვლად წმიდა სული და შდ მისისა  
ზევის არა რად შესაწყნარებელ არს მხოლოდ შობილისა  
სისა ლა ხორციელად დაჯდომა. მარჯვენით მამისა და დი-  
ლებისა და პატივისა შე აღვთაებისასა და ვიზრე დასასრუ-  
ლომდე წიგნსა. თვისსა მრავალთა იტყვის გმობათა და წვალე-  
სათა. ხოლო აქა ყოფასა შე ჩემ გლობაკისასა სამ გზის კაცნი  
ოველინეს ანტონისა არა კარით შემოწვეულსა მწყემსსა და  
ოემცნო „მობრუნდი, ჩვენი თანახმა შეიქენიო; ჩემგან განკუ-

ვეთილს ვერავინ გაგხსნისო”。 გარნა სიკვდილი უმჯობეს და ვიდრე მუნ მიქცევა: და ამაზედ ფრთხოებით შემცირვალება ცრემლით და სულთამით შევრდომით და მუხლ დადგმით წთა ფერხთა თქვენთა წინაშე დავეცემი; შემიწყალეთ, შემიწყალეთ წმინდანო სინოდნო! და ლმრაბიერ იქმენით ჩემზედა წნო მეუფენო მე ერთი მწირი გლიაკი კაცი ღან თქვენს თვალ-უხილავ სამართლის ხელში შემომაგდო, მოხუცებული ვაჩ ფრთხოება და ამ ჭვეუნის ჰავა ვერ მივიღე, მუდამ სნეულად გახლავართ ულირსი; შვიდი წელიწადია რომ პნტონის მიერ წმიდის ეკულესისაგან მძულვარებით გამოგდებული ვარ და, სადაც მივალ, იქაც მდევნის ეგების ღონე გარდაუწყდეს და ისევ მოვადეს და შემოგვიერთდესო. წმიდანო მსაჯულნო, შემიწყალეთ შელონებული ესე! ევმანუილისებრი მოწყალებადა სახიერება დამასხთ ავაზაკოგან მოწყლულსა, მწუალებელთ გულისათ ნუ გამხდით, რომ იმათი სიტყვათ განვეყენო მღუდელობასა; უკეთუ ცილსა ვწამებავ წინააღმდეგომთა ჩემთა და ბრელ ვიყო შეურით, მადლისათვის მამხილეო და შემანანებინეთ და უკეთუ კეშმარიტს მოგახსენებდეთ და ვევლტოდე მომსურელისა, სახიერებისათვის წირვის შენდობის წყალობა მიყავით, რომ უხიარებელი არ მოვკვდე! თქვენი წმიდა ეკულესის ასო ვარ, წნო მეუფენო, რათა მმადლობელ და თაყვანისმცემელ თქვენდა ვაყო ყოველთა დღეთა, ყოვლად ულირსი ხუცეს მოძლვარი ზაქარია ვიმრთმელებ. წელსა ჩლოთ, დეკემბერსა ა”.

სინოდმა უპასუხა ზაქარიას — წაცი და პნტონ კათალი-კოზთან შენდობა მოითხოვეთ.

პნტონმა დააარსა ღიკასტერია (სასულიერო გაზვეობა) იმგვარადვე, როგორც რუსეთში იყო. განაახლა სტამბა და პბეკდავდა რუსეთში შესწორებულს საეკულესიო წიგნებსა 1767 წ. ერეკლე მეფის ნებართვით შეაღგინა მშვენიერა დარიგება საქართველოს მღვდელთ-მთავართა მიმართ და დაბეჭდილი დაურიგა უველა ეკალესიებს. მოგვყავს ეს საინტერესო დარიგება უცვლელად:

თავში დახატულია სამება, გარს ორის  
არშიით; შიგნით არშიაზედ სწერია: „სამება  
წმიდა არს ჰბერთბედი უფელთა.“ გარეთ არ-  
შიაზედ სწერია: „სამებათ წმიდათ აღიღე მადი-  
დებული შენი ბეჭდისა ამის შეორედ გაწმასდეჭ-  
ბელი მეფე სრულიად საქართველოსა ირაკლი“;  
ქვეშ უწერია: ეკლესიანთ ჩევნ ქართველთანო-  
გიხაროდენ, ესე ვითართა — კეთილ-მსახურისა მე-  
ფისა და მღუდელთმთავრისა ქონებისათვის“.

### ეპისკოპოსთა მიმართ.

შათო უმაღლესთა და უკეთილ-მსახურესთა მეფე ირაკლი და მათი  
უწმიდესთა და უწერარესთა შატრიარქი მეფის-ძე ანტონი:  
ესრეთ განვსაზღვრებთ, ვამცნებთ მოვახსენებთ და  
უბრძანებთ ყოველთა საქართველოსა მღვდელთ-მთავართა  
და მწყემსთა ჭეშმარიტთა, ესრეთ.

ეპისკოპოსნი მიიყვანდნენ თავისის სამწყსოსა მღვდელთა  
დადგენილთა, გინა ახლად დასადგენთა, და კეთილად განი-  
ხილვიდენ მათსა ცხოვრებასა და მეცნიერებასა. უკეთუ  
შეძლებელ იყვნენ სწავლად და სწავლულ იყვნენ შვიდთა  
ამათ საიდულოთა ჭეშმარიტად აღსრულებად.

შვიდნი საიდუმლონი წმიდისა აღმოსავლეთისა ეკკლე-  
სიისანი ესენი არიან:

ა) ნათლვა; ბ) საღმრთო წირვა; გ) ცხება მირონისა; დ)  
მღვდლის კურთხევა და მიცვალებულის წესთ აგება და და-  
მარხვა; ე) აღსარების თქმევინება; ვ) პატიოსანი ქორწინება;  
ზ, ზეთის კურთხევა ამათი სრულებით აღსრულება. თუ  
შეძლოს — კეთილ, და კურთხევით მიაბარონ ეკკლესია და  
სამწყსო ქსი, და წარავლინონ განკრძალვით მღვდელობად —  
ლიცვით და კურთხევით; და რომელთაცა არ შეძლოსთ ამ  
საიდუმლოებისა აღსრულებად, უბრძანონ — ან თვითონ თავის  
ეკკლესიაში მიიყვანონ ის მღვდელი ეპისკოპოსთა, ან რო-

ჟელსამე მონასტერში მიაბარონ მეცნიერთა, და ეგოდენ კულსმოდგინეთ ეცადნენ, რომ ისწაონ, და ვინემდი ისწავ. ლიდენ, ეპისკოპოსმა და სამწყელოს სხვა მღვდელი განუჩინოს, შეკეთებული ისწაოს ამ საიდუმლოების აღსრულება, მერმე სამ- წყელო მიაბაროს და იმღვდელ-მოქმედოს; თუ არ ინგბოს და ვერ ისწავლოს - სამწყელო ჩამოართვან, თვითონ საცა უნდა წარვიდეს, სხვა მღვდელ-მოქმედებას ნურას იკადრებს თვი- ნიერ წირვისა, სადაც ენებოს წიროს თვინიერ სხვათა მღვდელ- მოქმედებათა, შენდობა აქვს მოძღვრისა თვისისა წამეპითა.

რომელთაცა ეკვლებისაგანთა, სამღვდელოდ განწე- სებადთასა, საეკკლესიო წიგნი, რომელნიც დამჭირნო არიან, რომელ ამაების უკოდნელად მღვდელობა არა ჯერარს - და- ვითი, ფამილიას სრულად, სახარუბა, სომოციქულო, პარა- ლიტონი, კურთხევანი და კონდაკი, ესენი თუ იცოდეს კუ- გად--აკურთხენ; და ესენი თუ არ იცოდენ სრულიად, განვაკრძალებთ ეპისკოპოსთა ესე - ვითართა ნუ აკურთხებენ; და რომელნიც ეპისკოპოსნი ესე ვითართა უმეცართა აკურ- ხებენ, უწყვადენ მაკურთხეველიცა და კურთხეულიცა ძლი- ერად იმხილებიან.

ეპისკოპოსნი მღვდელთ ამცნებენ, რომელ თავთავის სამწყელო, ერის კაცთა, გინა ქალთა პირჯვარის დაწერას ასწავებდენ მართლად; და რომელთაც აღსარების თქმა შეე- ლოს, უაღსარებოდ ნუ დააყენებენ, შვიდის წელიწადისას, და ყოველს სულს წმიდათ დაწერთას, თვისის მუხლებით, და მამათ ჩვენთს, მიწყალეს და მრწამისს ზეპირით თქმას ასწა- ვლიდენ, და მართლ მაღიდებლობის სარწმუნოების აღმა- რებლობასა ჭრამარიტა; და რომელთაც არ ისწაონ და უდებ- იქმნენ, მღვდელი ნულარ უმღვდელობს და ეპისკოპოზე შეასმინოს, და ეპისკოპოსმაც სიტკბოებით სწროვას და შაშითაცა ეცაზნენ რომ ასწავლონ, თავის ნებაზედ ნურავის თავის სამწყელოს ნუ მიუშვებენ ნურც ეპისკოპოსნი და ნურც მღვდელი.

სოფელში რამელიც თავი და პირველი და უპატიონები ეკულესია იყოს, გაწმენდილი ჰქონდეს და დაგვილი, და კედელნი სარკმელნი ყურენი, გრეთ და შინათ მოწმედილნი. სიწმილის იარაღი და წმიდა საკურთხეველი, და ტრაპეზი, უზეშთაესად პატიოსნად ტრაპეზი შემოსილი სიწმილის სამსახურებელი — ბარძიმი, ფეხუმი, კოვზი და კაზარა, ან ვეცხლისა ან კალისა სხვას ნივთისა არ იმსახურება, პერექლები და დაფარნა ფარჩისა წმიდა და უჩირქო, ტრაპეზი შემოსილი, რაოდენ ძალედვას, უჩირქოს სამოსლითა; ოდიკი ახალი და კარგი და უჩირქო, და ამ ოდიკს სუდარი ჰქონდეს უჩირქო, რომ შიგ შეხვევდეს. მღვდლის შესამოსელიც რისაც შემძლებელ იყოს, უჩირქო და დაუკერებელი, დაბეჭკილი და ჩირქიანი არ იკადროს მსახურებად წმიდა წმიდათასა ზედა; სეფისკვერი რჩეული და ზედაშე ფერივანი წმიდა უჭანგო და უბრკეო, სუნისა და გემოსი არარას მქონებელი; კრეტსაბმელი უჩირქო და განწორებული, აგრეთვე წიგნნი, დავითი, ჟამინი და პარაკლიტონი, თორმეტის საუფლოს სადღესასწაულო, ათორმეტები დღესასწაულისა და ვნებისა, სახარება-სამოცდიქულო, კურთხევანი და კონდაქი.

მსენი უნდა ჰქონდეს, საღაც შეეძლოს ბრწყინვალე კარს კარები შეასხან და ისე იმღვდელონ და სწირევდენ, და სამწყსოც ამისთანას მღვდელთა და ეკლესიათ ჰქონდესთ, სხვათი არ იქნება, არც ვბრძანებთ; და რაგვარადაც ეპისკოპოზთათვის გვიმცნია, ეგრეთ მღვდელთ ამცნონ და განაკრძალონ, თორემ ეპისკოპოზნიც კანონ ქვეშ იქნებიან და მღვდელთაც სამწყსოზედ ხელი აიღონ; თუ სხვა საყდარიც იყოს იმ სოფელში, ან სიახლოეს ერის სალოცავად დღე-სასწაული საღმე იცოდენ და იმ ეკულესის ეს განწყობილება და სამსახურებელი არ ჰქონდეს, რომლისაც სამწყსო იყოს იმ მღვდელმა ამ სამუდამოს ეკულესის სამსახურებელი წარილოს ყოვლიცერი და იმითი შეამკის ის ეკულესია და ისე სწიროს და იქავ მოიტანოს. ჩვენ ვგონებთ, როგორველთა

უწყით, გარნა ამისი უმეცრება არავინ ქმნას, რომ იმ დღის მსახურებული სიწმიდის სამსახურებელი ჭურჭელნი, გინა შესამოსელი და ოდიკი, თვინიერ წიგნისა, ოლრისა და საცეცხლურის მეტი იმ დღეს მეორედ იხმაროს, სასიკვდინედ სკოდავს და განიპატიურას დადად ეპისკოპოსისაგან.

რომელნიც ან მისანნი, ან მწამვლელნი არიან, ან სიყვარულისა, გინა სიძულილის წამლის მოქმედნი, ანუ მათნი მეძიებელნი და მიმყოლნი, გინა მექერეობისა და მელობიობისა მკითხველნი და მათნი მრწმუნებელნი, — უნდა შეინანონ და დღეის იქით თუ ვინმე იკაუროს, — იცოდენ, რომელ მათთა ეპისკოპოსთა სამღუდელოს მსჯავრით განპატიურონ და მღუდელს ნულარ შისცემენ, ნურც ქრისტეანეთლა სახელ სდებენ, ნურც ეკკლესიაში შეუშვებენ და ნურც საფლავს აღირსებენ; და მერმე მათის სიმაღლის შეფის სამშჯავროში მოიყვანონ და, ვგონებთ, რომ მათის კეთილწორების მსჯავრშა სიკვდილადცა დასაჯოს, რომ მათზედ არს სამართალი ესე მიპრობილი; და რომელ ნი მათნი მორწმუნენი და შემწყნარებელნი იქმნებიან, ისინი ხორციელად ჯარიმით განიპატიურებიან, და სულიერად მღუდელი აღარ მიეცემათ:

მგრეთვე, რომელიც ხეთა და ძელთა, გინა საღმე ნიშთა და ძეგლთა და აღგილთა რაომე უეკლესიოთა თაყვანისცემენ, მათაც ასე ეს სასჯელი მიეცემაო, ვითირ იგი მისანთა და მწამვლელთა: ეპისკოპოსმა საცა ან ხე, ან ძელი, ან ნიში და ძეგლნი, და უეკლესიოდ ამგვარები ნახოს, ძირითურთ აღმოფხვრას, და საწვავი დაწოს და ეს საკოტური დააღუმოს და გააქარვოს.

კვირას და უქმეს ვაკრძალებთ ყოველთა ქრისტეანეთა, ძეგლისა და ახალის სჯულითა და აღთქმითა: ნუმცა ვინ იკადრებს კვირისა და უქმის ტეხად; კვირიაკესა სრულიად ყოველი უქმობა ჯერარს თვინიერ ლოცვისა და წირვისა, და ეკკლესიად მისკლისა კაცოაგან პირუტყვამდე; გგრეთვე თორუმეტთა საუფლოთა დღეთა და დღესასწაულსა ყედ. წმიდისა

ლ'თის მშობლისასა და საჩინოთა წმიდათასა, ამათი წესი და რიგი მღვდელს ეპისკოპოსისაგან განეწესოს და მღვდელთა თვის სამწყსოს განუწესონ და შეატყობინონ, რომ დღეს უქმი არისო. თუ ვინმე ურჩ ექმნას და არ იუქმოს, მისი ნამოქმედი ცეცხლით დაწვან; იმ კაცს ორმოცი ჯოხი დაჰკრან, თუ გლეხი იყოს; და თუ მაღალი ვინმე იყოს, მათს სიმაღლეს მეფეს მოახსენოს, და იმან საჯოს, ვრთარ ჯერარს.

ასევე ვამცნებთ, ნუმცა ვინ იყადროს პირუტყვის ბოროტის სიტყვით შეგინება; ამცნოს მღვდელმა, და თუ არ დაიშალოს, ეპისკოპოსთ შეაშინონ, ნულარ იტყვიან ამგვარს უშვერსა; და თუ არ დაიშალონ ორმოცი ჯოხი დაჰკრან თუ ბაჭი იყოს, და თუ კაცი იყოს — მცირედ დაარბიონ.

შოველთა მღვდელოთ მთავართათვის გვიმცნია და მოგვიხსენებია, რომ ეკკლესიის მამულს, ნურც სახელოს, ნურცა დიდსა, ნურცა მცირება, სე რომ ერთის დღის მიწა იყოს, გინა საბოსტნე, ანუ მცირე სახლის ალაგი, — არა ხელეწიფების მიცემად ვისდამე, გინა მისყიდვად; ნურც ერთს გლეხს, ნურც საგანძურს, და ნურც შემოსავალს, რაც თავისის კონდაკით არ იშოვოს და თვითან სახმარად არ მისცემდეს დამჭირნებისდა, მათს სიმაღლეს, კეთილ-მსახურს მეფეს მოახსენოს და მისს უწმიულესობას პატრიარქს, და მათის ჯერჩინების თუ რიგიანი არის, ნებას ჟაუროვენ და მიაცემინებენ; თუ არა და თვით თავით თვისით ვერარას შემძლებელ არს. და თუ დღეის წალმართ აუმცილიც ეპისკოპოსი ამგვარებს იქნ და თავის თაფად გასცემს ან სახელოსა, ან მიწა-ალაგს, როგორც გვიქმნია, ან საგანძურს და შემოსავალს და ეკკლესიას გააღარიბებს — ან საგანძურისაგან, ან ხატისა, ჯვარისა, წესამოლისაგან, ან მამულისაგან — თავს არ დავანებებთ, სარწმუნო ბძანდებოდენ არ დაიუთმობთ. ვინც შემატებასა ეცდება, და შემკობას დიდად მაღლობელნი ვიქნებით.

ეკკლესიის ხატთათვის ნებითა ღვთისათა მსატჭრები არიან და წიგნთათვის სტამბა არის, და სხვა სახმარიც ხომ უფასავები

იშოვება ამავე ჩვენს საბრძანებელში, ფასით სასყიდელნი, რომლითამე ეპისკოპოსნიც შეეწივნენ, რომლითამე მღვდელნი თვით დაიხარჯნენ, და რომლითამე იშვილესის შემავალნი ერნი — და ისრე განაწყონ ეკალესიანი, და ნუ იმიზე-ზებენ უქონლობასა რათა ყოველნი ეკალესიანი ნებისაებრ ლვთისა და წმიდათა მამათა მოცემულისა კანუნისაებრ, და წმიდათა ოთხთა პატრიარქთაგან დამტკიცებულისა, და ვი-თარცა არს ყოველსა სამართლ-მადიდებლოსა ქუეყანასა შინა საბერძნეთისა და რუსეთისასა, ეგრეთ ჯერ არს ჩვენთაცა წკ-კლესიათა ყოფა, რათა შეწირულ იქმნას წინაშე ლვთისა მსხუერპლი და ლოცვა და ვეღრება ჩვენი. და მაგვეტევნენ შეცოდებანი ჩვენნი და ვისესნეთ ხილულთა და უხილავთა მტერთაგან. შეფენი და მთავარნიცა, და მღვდელ-მთავარნი და მღვდელნი და ერნიცა და ყოველნი სულნი მართლ-მადი-დებელნი ქრისტეანენი ყოველისა განსაცდელისაგან ერთბამად დაცულ ვიქმნეთ უფლისა და ლვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იქსო ძრისტეს მიერ, რომელსა შეენის ყოველი დიდება და თაყვანისცემა, თანა დაუსაბამოთ მამით, და ყოვლად წმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამან.

დაიბეჭდა საუფლოსა ქალაქსა ტფილისს,  
პალატსა სამეუფლოსა: ქრისტეს აქეთ, ჩლეზ.

(ცალკე ფურცლებზედ არშიაში).

წყალობითა ლვთისითა ირაკ-  
ლი მეორე მრისტეს მიერ მე-  
ფე შროტლისა, მახეთისა და  
მფლობელი ბორჩალისა, შა-  
შადრნლუისა, და შაზახისა  
ბრძანებით დამტკიცებ.:.

წყალობითა ლვთისათა ან-  
ტონი მდაბალი არხიეპისკო-  
ფლი მდაბალი არხიეპისკო-  
ფლი მცხეთისა, და ყოვლისა  
ზემოხესა საქართველოხესა ბრძა-  
ნებით დავამტკიცებ.  
ქეს აქეთ ჩლევ.

(ანგელოზი) შედ კიდევ დავამტკიცეთ ამას ხელა (ანგ)

ჩვენ ირაკლი მეფემან, მკურობელმან შროტლისა, და ძა-  
ხეთისამან თანა ნებაყიფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის  
ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, და ვაჭართა და გლეხთათა:

ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიალგულ დაჯერებული ფართ, ხომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ენი და ღვთის განმარისხებელნი საქმი, მაგრამ ჩვენს ხალხს ფაბრთხილებთ. თუ ვინმე ამისთანას საქმის მქნელი გამოჩნდეს ន მომწამლველნი, ან კაცის შემკრველნი, ან სიყვარულისა და სიძულვარის წამლის მიმცემელნი, ან ღვთის დიდად გან- შრისხებელისა და მიუტევებელის ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა, მამათ მავლობის მქნელნი; ჩმალნი ანუ დედალნი — ესენი უნდა ძალიანი და საანდაზოს ჯაჭაპით დაიხოცნენ. და ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოს ჩავისს სამწყსოს. საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გაატეხილონ“<sup>1)</sup>.

ანტონი დიდათ ხელს უწყობდა საქართველოს ოუსეთ- თან დაახლოვებასა. 1769 წ. ანტონმა პირველათ დაიბარა მი- მონი რუსეთიდგან. 1771 წ. 29 დეკემბერს მრეკლე მეფემ გაგზავნა ანტონი და ბატონიშვილი ლეონი დესპანებად იმ- პერატრიცა მკატირინესთან და დაბრუნდნენ 1774 წ. ივლი- ბის გასულს<sup>2)</sup>.

მოგვყავს ერთი საინტერესო საჩივარი და მასზედ ბრძა- ვება კათალიკოზის ანტონისა:

„ქ. ლმერთმან ყოვლისა საქართველოს პატრიარქის ჭირი სთ მიწა მტვერს დიღმელს აბრამ მლვლელს მომცეს. მერე ქმო მოწყალევ! მე ჩემს თავს რომ ვატყობდი; ერის კაცო- მთ გარჯილობის გზა და სიცოცხლე. არ შემეძლო. გამო- ქრდი ჩემს თავათ, აქა-იქ ვიმსახურე და წიგნი ისე ვისწავლე. ქრე ხუცათ ვეკურთხე, ღვთისა და თქვენის მაღლით თელავს ვთავის საყდარში გახლდი და ჩემთვის კარგათ ვცხოვრობ- თ. თქვენ სოფელმან თავი გაწყინათ. ჩემის მოყვანისთვის და თქვენს ბრძანებას ურჩ ვერ ვექმენ, ავდეგ და გიახელ,

<sup>1)</sup> იხ. საეკ. მუხეუმის ხელნაწ. 317, 179--196 ფურც.

<sup>2)</sup> იხ. Грамоты, А. Цагарели 365 და 394 გვ.

ვწირავ და ვიღოცავ, შარამ არა თუ დიდათ არავის გაუჭირდათ — ზედ არავინ შემომხედავს და არც-კი მომიგონებს და ამ გზით როგორ გავძლო? მე ეს შეძლება არა მაქს, რომ ერის კაცულათ კიდეც ვხნა და ვთესო და კიდეც ვიხუცო და სოფელს მოუარო: მე ორი არ შემიძლიან. თქვენგან ამ მოწყალებას ვითხოვ, როგორც სხვას თემს არის, რომ ხუცესს ერთს დღეს უხვნენ-უმკიან და რთველსა და კალოჩედ მოუკრევენ და მისცემენ და გააძლებინებენ, — მეც თუ ასე განმიწესებთ, ეგვის გავძლო, თორემ ჩემი აქ ყოფნა და გაძლება ძნელია. წყალობას ვითხოვ, რომ განმაძლებინოთ, სოფლის მოვიდა ძნელია. ივნისს. კვ უდი“. (1779 წ.) ამ საჩივარზედ ანტონ კათალიკოზი იმავე დღეს შემდეგ ბრძანებას აწერს: „ქ. დიღმის მამასახლისო გაბრიელ და ერთობით დიღმელებო! მერე ეს აბრამ მღუდელი დია სამართლიანის საქმით ჩივის და თქვენ ამ ორისაგან ერთა უნდა აღასრულოთ: რადგან პავლე მღუდელი არ ინდომეთ და ეს აბრამ გამოიხახოთ, ჩეგნც მოგეცით, რომ სულიერათ მოგიაროსთ და გოხუცოსთ. თუ მაგ სოფელში ეს, ერისკაცულად რჩომას და გარჯას მოინდომებს თქვენ სულიერი მოვლა დაგაკლდებათ. თქვენ ერთი დღე უნდა უხნათ და ერთი დღე უმკოთ. თუ ამას არა იქთ, რომელნიც მკვიდრნი იყვნეთ, ერთი კოდი პური ახალში მიეცით და ეულთ ნახევარ კოდი და აგრევე პატივი შეძლებისამებრ, ამიტომ რომ ეს საქმე სხვა სოფელშიაც იციან და თითონ თქვენმა მახლობელმა სოფელმა ავჭალამაც, და თქვენც ამ საქმით უნდა გააძლებინოთ მღუდელი აბრამ. თუ ამას არა იქთ და ორისაგან არც ერთი ნუგეში არ მიეცემა თქვენგან, — ამ მღუდელს მანდ ვერ დაგაყენებთ და უხუცოდ ბძანდებოდეთ. ივნისს. კვ. წელსა ჩლოთ. კათალიკოზი ანტონი“.

ამავე 1779 წ. პლექსანდრე ბაქარის ძე რომ სპარსეთიდგან იმერეთში გაჩნდა და მრეკლე მეფეს ხელი შეუშალა ადრიბეგუნის დაპყრობის საქმეში, სხვათა შორის ანტონ კათალიკოზს

დიდათ გაუწყრა მრეკლე, ვითარცა თანამგრძნობსა და ხელის შემწყობსა პლექსანდრე ბატონიშვილისას და ვვონებ, დიდი შეურაცხებაც მიაყენა.

1783 წ. ივლისში რუსეთთან დადებული ტრაქტატის მალით ანტონი აღიარებულ იქმნა რუსეთის სინოდის წევრად. ამ წინდაუხედავმა საქმემ შეარყრა თავისუფლება საქართველოს ათას ოთხას წლოვანი ეკკლესიისა და ნელნელა დაუმორჩილა რუსეთის სინოდისა თუდა რვა წლის განმავლობაში.

ანტონ კათალიკოზი დიდი მაღლიერი იყო რუსეთისა. მისი მხრივ დიდი შეცომა იყო, რომ ქართული საეკკლესიო წიგნები სლავიანურზედ შეასწორა, ანუ თვით შეადგინა ზოგიერთი საგალობელნი და უგულებელ ჰყო ძველი ქართველ მამათაგან შედგენილნი საკითხავ-საგალობელნი: სლავიანურ საეკკლესიო წიგნების შეცომანი შემოიტანა ქართულში ენის უცოდინარობის გამო. რუსეთიდან მობრუნებული მუდამ ცდაში იყო საქართველო და ეახლოვებინა რუსეთისათვის და მეფის ზახტანგის შთამომავალთათვის ამ გზივ გაეადვილებინა მართლის სამეფოს დაჭერა. ანჩისხატის ტაძრის ეზოში ანტონმა აღაშენა პატარა საყდარი მცხეთის ჯვარის სახელზედ, მტკვრის ნაპირზედ. მს საყდარი კათალიკოზის სახლებთან ერთად დაანგრიეს ყიზილბაშებმა 1795 წ. ამ საყდრის ნანგრევებზედ კათალიკოზის ანტონ II ნებართვით მღვდელმონაზონმა გენადიმ 1797 წ. ააშენა ორი ოთახი და 1808 წ. მიჰყიდა უმიწოდ მღვდელმონაზონს. ათანასკ ბიბილურს<sup>3)</sup>. მებერვლის 20 ანტონი ივათ გახდა და ამიტომ 27 თებერვალს ანჩისხატის ტაძარში სწირა ტფილელ მიტროპოლიტმა ბერმანემ. წირვის შემდეგ შემოსილი გამოვიდა წმ. ბარძიშით ანტონის საზიარებლად. ამ დროს დასუსტებული ანტონი წამოსვეს ცხედარზედ, დაიბანა პირი, დაივარცხნა თმანი, შეიკრა კაბის ლილები, შეიმოსა საბუხრეები, მოისხა ომფორი

<sup>3)</sup> რს. საქმე სინოდის კანტორისა 1828 წ. № 1978.

და თავის ხელით ეზიარა წმ. საიდუმლოთა, რადგან მკირალ. მა ზერმანებ უარი სთქვა — ვერ ვაზიარებო.

ამ კარის საყდრის გვერდით მიიცვალა ანტონი 1788 წ. 29 თებერვალს, სამშაბათ საღამოს <sup>1)</sup>). ანტონი დაიბადა 17 ოქტომბერს 1720 წ.

ანტონი II, იყო ძე მრეკლე მეფისა, დაიბადა 8 იანვარს 1762 წ. და სახელით უწოდეს თეიმურაზი, რადგან ამ დროს ასტრახანში მიიცვალა მეფე თეიმურაზი II. 1783 წ. მეფე მრეკლემ პეტერბურგში გაისტუმრა ელჩად ბარსევან ჭავჭავაძე და თან გაატანა თავისი შვილები — მირიანი და იერო ლიაკონი ანტონი (თეიმურაზი). გზად გაიარეს ბესარაბიაში და ქ. იასსში მივიდნენ კნიაზ პოტემკინთან, რომელმაც მირიანს პოლკოვნიკობა მისცა ცხენოსან პოლკში. ხოლო ანტონი პეტერბურგში გაემგზავრა. 1784 წ. ერეკლეს ოხოვნით უწინდეს სინოდში აკურთხეს ახალგაზდა ანტონი ნინოწმიდის ეპისკოპოსად საზაფხულო სასახლის კარის ეკკლესიაში, ცარსკი სელიოში <sup>5)</sup>). 1788 წ. ღვინობისთვეში ანტონი კათალიკოზად დაადგანა სამღვდელოთა კრებამ მცხეთაში. ანტონი მშვიდი, თავდაბალი კაცი იყო, მეტად მოწყალე და მწიგნობრობის მოყვარე. მშვიდად ჰმწყსო საქართველოს ეკკლესია ოცდა სამი წელიწადი.

საქართველოს სამეფო რაკი რუსეთს შეუერთდა და რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნულმა საქართველოს მთავარ-მართებლებმა ხელთ იგდეს საერო გამგეობა, თუცილებელი გახდა უსიამოვნობა და დავიდარაბა სასულიერო გამგეობას-თან. მთავარ-მართებელი პავლე ციციშვილი მეტად მხნედ შეუდგა ადგილობრივ მართვა-გამგეობის გაერთიანებასა, მუდაშ

<sup>1)</sup> ასე სწერს ერეკლე მეფე იოანე აბაშიძეა მეორე დღეს 1 მარტს.

<sup>5)</sup> იხ. დავით ბატონიშვილის ხელნაწერი რამდენიმე ახალი მოთხოვნა საქართველოისა.

ერეოდა საეკულესიო საქმეებში და ზეტი-ზედ მუქარის უთვ-  
ლიდა კათალიკოზეა და მღვდელთ-მთავრებას. 1803 წ. გა  
საფხულიდგან დიდი ჭირიანობა გაჩნდა ტფილისში. ციცი-  
შვილს მიუტანეს ამბავი ანტონ კათალიკოზი იხიზნებაო, ამის  
გამო ციციშვილმა მისწერა 15 ივნისს კათალიკოზს – ქალა-  
ქიდგან ფეხი არ გადგა თორემ იმპერატორთან გიჩივლებონ<sup>6)</sup>.  
ნამდვილად-კი ანტონი მცხეთაში მიღიოდა საპეტრეპევლობოდ.

ნათლის მცემლის უდაბნოს წინამძღვარი არქიმანდრიტი  
მეოთხე მიიცვალა 10 აპრილს, 1804 წ. და სტეფანე რუსთვე-  
ლის წარმოდგენით კათალიკოზმა დანიშნა მის მოადგილეთ  
ღომენტი არქიმანდრიტი და მისწერა ციციშვილს: „უბრძანე  
ისპრავნიკს გლეხნი და მამულები ჩააბართსთ“. ციციშვილმა უპა-  
სუხა: „...უწინ საერთ მთავრობას ეკითხებოდით ხოდმე და ეხდა  
კი მე არა მკითხეთ-რა წინამძღვარის დანიშვნაზედათ, და შემწეობას  
კი მთხოვთთ. თქვენის წერილის მიღებამდე მივიღე — ნიქოზედის  
ათანასეს თხოვნა — ეპარქიის მოვლა არ შემიძლიას საბერის გამოთ.  
მოშეცით სათლის მცემლის წინამძღვრობა და ან სიკედილამდე წე-  
ლიწადში თორმეტი თუმანით. ამიტომ ათანასე დანიშნებო წინამძ-  
ღვრად და დომენტი თანაშემწეო დაუნიშნეთთ, და წელიწადში  
თორმეტი თუმანი ეძლეოდეს სიკედილამდეთ. ნიქოზის ეპარქია  
მცხეთის სამთავროებას მიაწერეთთ. თუ ათანასე არ დანიშნავ წი-  
ნამძღვრად, მალე მაცნობე, რომ იმპერატორს ყაცნაბო ამისთანა-  
რევა-დარევა სასულიერო გამგეობაშით“.

მეტი რა გზა ჰქონდა: ანტონმა დანიშნა ათანასე (†  
1816 წ. 20 ივნისს) და წელიწადში ექვსი თუმანი ჯამაგირი  
დაუნიშნა. ციციშვილი დასთანხმდა გაჯავრებული და ექვსი  
თუმანიც ხაზინიდგან დაუნიშნა; მაინც აცნობა მპერატორს  
24 აპრილს. 1804 წ. № 25 და თავმოწონებით დაუმატა:  
„...თავის ნებით ეპისკოპოსთა გადადგომა ჩემის აზრით საუკე-  
სო საშუალებაა ეპარქიების გაუქმებისათვის და სხვებზედ მი-

<sup>6)</sup> იხ. Акты Археолог. к. III т. 264 83.

წერათ; ამ გზივ სამი ეპარქია გავაუქმე და სამი კილმე დამრჩათ“  
?)... პეტერბურგიდგან გააფრთხილეს ციციშვილი: „...ერიდე  
უსიამოვნებას და აუზიაურს უკეთესთანათ“. ღლეს-ხვალიობით  
გამწვავდა უსიამოვნობა სამოქალაქო და სასულიერო გამგეო-  
ბათა შორის და ლაბოლოვდა არსენ ტფილელის საქმით.

1808 წელს რაღაც უბედურმა შემთხვევამ უსიამოვნობა  
ჩამოაგდო ანტონ კათალიკოზსა და არსენ ტფილელს შო-  
რის. ამის გამო ანტონი გაიწვიეს პეტერბურგში 1811 წელს  
ივნისში.

მშერატორმა ალექსანდრემ ორი რესკრიპტი უბობა ან-  
ტონ კათალიკოზს 1811 წ. 10 ივნისს:

ა) წეალთბათა დევთისათა, ჩვენ აღექსანდრე შირველი, იმპე-  
რატორი და თვითმშერთბელი სრულიად რუსეთისა და სხ. და სხ.  
და სხ. ჩვენს მთსიუარულეს ერთგულს, უგანათლებულების მეფის  
ძეს ანტონს ირაკლის ძეს, საქართველოს კათალიკოზს.

„გაფასებ რა თქვენს დიდხნიერს სათხოებით სავსე ეპატეტიის  
სამსახურს და რუსეთის ერთგულებას, ჩვენ აღვასრულებთ ჩვენს  
გულითადს სასიამოვნო სურვილს და მოვალეობას გამოგიცავთ  
თქვენ, ვითარდა დირსსა მწერეს-მთავარს ჩვენი განსხვავებული  
წეალობა და სათხოება. მათდა დასამტკიცებლად ჩვენ მიგათვალეთ  
წმ. ანდრია მოციქულის შირველ წოდებულის ორდენსა, რომლის  
ნიშნები ამასთანავე წარმოგიგზავნეთ, რათა დაიკიდოთ გულზედ და  
განწესებისამებრ ატაროთ. ჩვენის იმპერატორუბითის წეალთბით  
მარად თქვენდა მმადლობელი ვართ ალექსანდრე. ს.-პეტერბურგი,  
10 ივნისს 1811 წ.“

ბ) უგანათლებულებო მეფის ძეო, კათალიკოზთ ანტონ!

საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შემოქ-  
თების შემდევ საქართველოს ეპატეტიაც უთუთ უნდა შეერთებუ-  
ლიყო უწმინდესის და უძრთებელესის სინთდის გამპეობასა. ახალ

შროვა-გამგზანასთან მოუთავსებული იქნებოდა საქართველოში კა-  
თალიკოზის უფლის. უკველია, თქვენ წინათვე იგრძეთ ესე და  
მომართვით შე თხოვნა — თქვენის მომავალი სუებედის მოწყობისა-  
თვის და თქვენის დიდხნიერი ღირსების შერჩევისათვის. ზემოთ  
აღწერილ შიდეზთა პატივსა კცემ რა, კოვდად უმოწყვალესად გით-  
ხოთ თქვენ საქართველოს ეპილესის საქმეების განმგებლობიდგან,  
უწმიდესის სინდიკის წევრობის და კათალიკოზობის სახელის შერ-  
ჩენით; საღმრთო მსახურების დროს გექმნებათ თქვენ უგელა სა-  
სულიერო უშირატესობანი, რომელიც აქამომდე გქონდათ; ხოლო  
სადაც საეპილესიო განწერებისამებრ საჭირო იქნება, თქვენ უკურ-  
ესად მოვიხსენებენ. ბერძნთ რესთა იერარქიაში თქვენ აღირიც-  
ხებით პირველ ხარისხოვან მღვდელთ-მთავართა შორის, რომელ-  
ნიც დღემდე თახსია არა: მაშასად მე თქვენ დაიჭერთ შეხუთე  
ადგილს, რაზედაც არ დავიუთვნებ უწმიდესის სინდიკაც მიგრე-  
ბობანება. მე ვუბრძანებ ფინანსთა მინისტრს აწინდევის პენიონ-  
ის ნაცვლად სახელშითო ხაზინიდგან გეძლეოდეთ წელიწადში  
ათასი თუმნი თეთრი. ამ გზივ დავსდე რა მტკიცე საფუძველი  
თქვენის უზრუნველყოფისათვის შიდა რესერვი, მე მესიამოწყნას  
განვიახლოთ ჩემი თქვენდაში შეგრუებელი თხება.

ს.-პეტერბურგი, 10 ოვნისს, 1811 წ. <sup>8)</sup>

### ალექსანდრე.

უწმიდესმა სინოდმა დანიშნა კათალიკოზის მოაზგილედ  
ქსნის ერისთავის დავითის ძე გარლაამ მთავარ-ეპისკოპოსი  
„საქართველოს ექსარტონის“ სახელით.

მცხეთის საკათალიკოზოს ძალიან ბევრი მამულები ჰქონ-  
და ქართლ-კახეთში ძველიდგანვე და დიდი შემოსავალი მოს-  
დიოდა ყოველ წლივ. საქართველოში მოსვლის უმაღლ მთა-  
ვარ-მართებელმა ციციშვილმა მოსთხოვა კათალიკოზს ან-  
ტონს — „წელიწადში შემოსავალი რა გაქვს, მაცნობელ“. კა-  
თალიკოზმა, რასაკვირველია, ერთი-ორათ ნაკლები აჩვენა:

<sup>8)</sup> იხ. წ.-კითხ, საზოგ. ხელნაწ. № 1491.

„წელიწადში ვიღებ — 3980 მანათს, 2900 კოდ პურსა და 395 საპალნე ლვინოსაო“.

კათალიკოზის წასელის შემდეგ ბევრი საქცელესიო მამული დაიკარგა: თავად-აზნაურობაშ თავის მამა პაპათაგან შეწირული მიმულები დაიჩემდა — ჩვენი უპრაანია; მაიც 1815 წ. სვეტისტოველს 615 კომლი ყრა პყვანდა და მამულებიდგან შემოსდიოდა: 4550 მან. 93 კაპ., 1706 კოდი პური, 420 კოდი ქერი და 535 საპალნე ლვინო. ამ დროს კრადი პური ფასობდა ოთხაბაზათ, კოდი ქერი — აა შაურად და საპალნე ლვინო ერთ თუმნად<sup>9)</sup>).

საქართველოს საეკულესიო გამგეობა-დიკასტერია 1815 წ. 8 მაისამდე დარჩა და ამ დროდგან მის ნაცვლად დაწესდა სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორა ამავე დროს ეგზარხოსი ზარლიამი გაიწვიეს პეტერბურგში და მის მოადგილედ დანიშნეს რიაზანის მთავარ ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანვი.

ანტონ კათალიკოზმა იწყო მჩადება რუსეთში წასასვლელად. ამ დროს მისი ერთგულნი თანამსახურნი საქართველოს უკკლესისანი კარგათ ხელავდნენ რაც მოვლოდათ მომავალში. ანტონი ყველას ანუგეშებდა და ლმერთს ავედრებდა თავის საყვარელის სამწყსოს ბედ-ილბალსა, ყველას განუახლა ძველი სიგელ-გუჯარნი, ზოგს ახალიც უბოძა. აი სხვათა შორის როგორი გრამოტა უბოძა ანჩისხატის ტაძრის აზალგაზედა დეკანზე დიმიტრი ალექსიძე მესხს:

### მიმცა ღრამორთა ესე მოწვეობისა

ჩუტნ ს-დ საქართულოსა კათალიკოზის ანტონის მიერ კელით-უქმნელისა ხატისა მაცხოვარისა ეკკლესიისა პროტოპოვსა დიმიტრი სოლომონის ძეს, კეთილშობილს ალექსიევსა. რ-ლიცა მიერ აღკუმობილ იქმნა იპოდიაკონად წელსა

<sup>9)</sup> იხ. საქმე სინოდის კანტორისა 1816 წ. № 1/17.

ჩდეგ, შდ კელდასხმისა თანამდებობისამებრ თვისისა ჰმიახუ-  
რებდა ეკულესისა მას ეგრეთ, ომელიცა განამართლებდა  
წოდებასა მისსა; კვალად წელსა ჩდეს, ოდესლაც მოვიდა პლა-  
მაპად ხან ტფილისსა ზა, მაშინ ხენებულმან ამან იპოდია-  
კონმან შემწემან მამისა თვისისა დაუტევა ტფილისსა ზა ყო-  
ველი საცხოვრებელი თვისი მტერთა და წარიღო ხატი იგი  
ქვედით უქმნელი აჩნდის ხატისა სხეულთა ძეირულსთა ეპკლე-  
სიისა სამკაულთა თანა. ხოლო წარლებასა ამასა შინა უმს-  
ხუცრპლაცა მტერთა მიერ სისხლი თვისი, ომელისათვის გან-  
სუცნებულნი მეფენი ირაკლი და ბიორგი, მადლობისა შის-  
დამი მთქმელნი, აღუთქმიდნენ ესე ვითართა ეკულესიისადმი  
სუცნებულთა მორბეობისთათვის ჯილდოთა, ომელსაც ცხად-  
უყოფს განსუცნებულისა ძმისა ჩუცნისა მეფის ბიორგისა  
ღრამატაცა. წელსა ჩებ ტფილისს ქალაქსა შინა მომსერე-  
ლისა ჭირის გამოჩენისასა არა დატევებულ-ჰყო თანამდებო-  
ბისოებრ თვისისა ეკულესია იგი. წელსა ჩდევ-სა მიეცა ჩუცნ  
მიერ დიკასტირიისა ჩუცნისა მწერალთ-უხლცესობა, ბომებითა  
მისდა შესაფერითა ჯამაგირისა და ულუფისათა; განგრძობასა  
ზა ამის თანამდებობისა უბიშოდ მსახურებისასა და კეთილ-  
თა თვისებათა, და მეცნიერებისათვისაცა მისისა კმაღ მცნო-  
ბელთა მლუდელობითის თანამდებობის აღსრულებისათვის  
წელსა ჩეგ კურთხეულ იქმნა ბრძანებითა ჩუცნითა და დად-  
გინებულ მეორე მლუდელიად ხენებულსა ეკულესისა ზა;  
ხომელმანცა წოდებისა შინა თვისისა განაგრძო ვიდრე ხუთ  
წლამდე. წელსა ჩეც, შდ გარდაცუალებისა მამისა მისისა პრო-  
თოპოპის სოლომონისა, ებოძა მას ჩუცნ მიერ ხენებულისა  
მისვე ეკულესისა პროთოპოპისა და დაიდგინაცა წევრად  
დიკასტირიისა ჩვენისა, მომატებითა საკმაოხსა ჯამაგირისა და  
ულუფისათა, ომელისადმი რწმუნებულ ვიყვაოთ, ომელ იგი  
იმდებელი ხარისხთა ამათ, უმეტეს განამრავლებდა მდვიძა-  
ნითა შრომითა თვისითა დიკასტირიისა შინა წარმოებულთა  
სქეთა ზა; და ეგრეთვე უმჯობესსა მდგომარეობასა შინა

მოყრანებისათვის მისდა რწმუნებულისა. ეკულესიისა. და ნამდვილ განამართლა ხელული ჩუქუპი მოკლესა უამსა შინა: რომელმანცა იწყო საკუთაროთა ნივთითა თვისითა ადრითვე შერყებულისა ტაძრისა მის განახლება და საჭიროთა ნივთა შემატება, რომლისა ძალით სათქმელ არს, რომელ იქმნა იგი სახე და მაგალით ტფილისა შინა მყოფთა პროთოპეპთა. და ეგრეთულ დიკასტირიისა შინა მყოფთა საქმეთა სიმრთლით და კეთილად აღსრულებითა ვიდრე ამა ჩეია წლამდე. ამათ მრავალთა სხუათა და სხუათა მისგან ჩუქუპებულთა ეკულესიისადმი და დიკასტირიისა შა საუკუნოდ სახსოვართა სამსახურთათვის მიერა ფურცელი ესე ჩენ მიერ კელმოწერითა და დასმითა ბეჭდისათა. აგვისტოს ვ, წელსა ჩეია.

საქართულოს კათალიკოზი მეფის ძე ანტონი

ბეჭედი

ზგზავრობის წინა დღეებში ანტონ კათალიკოზმა სწირა სიონში და მეორე დღეს ანჩიხეატის ტაძარში, და პარაკლისის გარდამდის შემდეგ გაემზავრა 10 აგვისტოს რეჟესთში. მცხ-თაში, ერთი დღე დაჲყო და მეორე დღეს სწირა სვეტის ცხოვლის ტაძარში, გარდაიხადა პარაკლისი სვეტის წინ მუხლ-მოდრეკით და დიდის ტირილისა და ცრემლის ღვრის შემდეგ გამოეთხოვა თავის საყვარელს საკათალიკოზო ტაძასა და მამა-პაპათა საზეფო სასაფლაოსა და იმ ღამეს მუხრანში ავი-და თავის და შეთვევანთან. აქედან დუშეთზე გაუდგა რუსე-თისაკენ. მოსკოვში მისრულმა საცხოვრეპელ ბინად აირჩია ნიენი-ნოვეგოროდი, რომლის მახლობლად ს. ლისკოვოში სცხოვრობდნენ. მეფე შახტანგ VI შთამომავალნი ბატონიშვი-ლები.

თან გაჲყვნენ — ტფილისის კვირაცხოვლის დეკანოზი პა-რონ ალექსის ძე მესხი ცოლათ, გიორგი დეკანოზი (მცხეთ

ლი), ტუილისის მოურავად ნამყოფი მსრატე ციციშვილი<sup>1)</sup>, შეხეთის სარდალი ბეცია ბედევანის შვილი, აზნაური ნიკოლოზ მლიოზისძე, თ. იოსებ მაღალა შვილი, აზნაური მიორგი ნათანლის შვილი, ბოქაული თ. ნიკოლოზ ფალავანდი შვილი, თ. იაკობ ბარათა შვილი, აზნაურები: იოსებ თულა შვილი, ნიკოლოზ ნაცვლის შვილი, მზარეული იაგორა მამანი შვილი, მიორგი მზარეული, ბასილა მსახური, ნინია თომა შვილი<sup>2)</sup> და სხვა.

1812 წლიდგან ანტონი გადასახლდა ნიკონი-ნოვგოროდში და დაბინავდა გუბერნატორის სახლში, წელიწადში ას-ოუთუმანს ქირას იხდიდა. იმპერატორმა უბოძა ექვს ცხრილი იქროში დაფერილი კარეტა. მთელი ქალაქი დიდიდ პატივს აცემდა ანტონს. როცა გზად მიდიოდა სიოთხე კარეტით ხალხი მუხლმოდრეული თაყვანსა სკემდა და პირჯვარს იწერდა. შინაურ ცხოვრებაში მეტად გულუხვი და კაც-მოყვარე იყო: კველა თავის მოსამსახურეს აჯილდოვებდა და ასაჩუქრებდა, როგორც კი შეეძლებოდა. სხვათა შორის თან ახლდა განუშორებლად შუამთის მონასტრის ბერი ძრის ტეფორე 1806 წლიდგან.

ანტონმა სთხოვა სინოდის ობერ-პროკურორის ზოლის 1815 წ. — „ცხრა წელიწადია ქრისტეფორე ბერი ერთგუ-

<sup>1)</sup> ესტატე ციციშვილი იყო დისტული ანტონისა — მარტაშ ბატონიშვილი მრეკლეს ასული დედა იყო ესტატესი.

<sup>2)</sup>; ამათგან: უკანვე სამშობლოში დაბრუნდნენ — ბეცია გედევანი შვილი და ნიკოლოზ ელიოსძე — ტიტულიარინის სოვეტნიკის ჩინით და ასასი თუმანი პენსიით წელიწადში; იოსებ მაღალა შვილი კოლლეგის სეკრეტარის ჩინით და 750 მან. პენსიით წელიწადში, გრიგოლ ნათანლი შვილი გუბერნსკი სეკრეტარის ჩინით და 500 მან. პენსიით: ნიკოლოზ ფალავანდი შვილი ტიტულიარინი სოვეტნიკის ჩინით; იაკობ ბარათა შვილი, იოსებ თულა შვილი, და ნიკოლოზ ნაცვლი შვილი გუბერნსკი სეკრეტრის ჩინით და საგზაო ხარჯით; იაგორა მამანი შვილს მიეცა ს ავზაო ხარჯი და მით თუმანი საჩუქრად. ის წერა კითხვის საზოგ. ხელნაწერი № 1491.

დად შემსახურება — უფლებ დღე მიწირავს და მიღოცავსთ გთხოვთ  
ძალის არხიმანდრატობა უბოძოთთ". უწმიდესმა სიხოდმა უქა-  
ზით (15 ოქტომბერი 1815 წ.) მოსწერა კანტორას ტფილის.  
შე — „საქართველოში ბოჭომას მონასტერი არის, თუ არა?“ კან-  
ტორამ უპასუხა (24 ნოემბერი 1815 წ. № 309) — „არის  
მტერთაგან დანგრეული, ნანგრევების მეტი არა არის-რათ. ნაწი-  
ლებიანი ხატი აღავერდშია დაცული, მაზედ არის მიწერილი და  
მთავარ-ეპისკოპოსი დოსითები (ფიცხელაური) განაგებსო. თავი-  
სუფალი არხიმანდრიტის ადგილი არ არისო. 1811 წლიდან 13  
არხიმანდრიტია უმონასტროთ, (ამათგან თრი რესეტშით“).

სინოდმა მოსწერა კანტორას (10 ოქტომბერი 1816 წ.  
№ 519) — „ბერი ქრისტეფორე არხიმანდრიტათ აკურონეთ მაშინ,  
როცა მაგ 13 არხიმანდრიტებს შონასტრები მიეცეს და ასადი  
ადგილი გაჩიხსნასო“. რა თქმა უნდა ქრისტეფორე არხიმანდ-  
რიტობას ვერ ეღირსა.

მართალია ათასი თუმანი პენსია ეძლეოდა ყოველ წლივ,  
მაგრამ ფული კულდებოდა; თუ რა ეხარჯებოდა კათალიკოზეს  
თვეში, წვრილმანხარჯს გარდა ამას შემდეგი დანახარჯის  
ნუსხებიდგან დავინახავთ. ანტონის სახლთხუცესი მსტარე  
ციციშვილი იყო და ყოველგვარი შემოსავალი და ხარჯი  
იმის ხელთ იყო. მსტარეს თავის ხელით უწერია დანახარ-  
ჯის ნუსხები ცალკე დავთრებში; ერთი ამ საინტერესო დავ-  
თართაგანი დღეს დაცულია წერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების მუზეუმში (№ 1469); ამ დავთარში მოთავსე-  
ბულია ყოველთვიური ხარჯი 1825 წ. იანვრის პირველიდგან.

### წელსა ჩავა იანვრის ა პირველსა:

ქ. ზოორგი დეკანოზს მიეცა შესამოსელში წასკლის  
დროს (?) ოცდა ექვსი თუმანი;

ქ. აგრეთვე გავლილი იანვრისა მიეცა დეკანოზს გიორ-  
გის ჯაზაგირი თექვსმეტი რუბლი;

ქ. იოსებას მიეცა წასვლის დროს სამი თუმანი საჩუქრათ-

ქ. პარმენ ღვდელს \*) გაუგზავნეთ დაბადებისა თრითა ოცი  
თუმანი ასოგნაცია, ხანუმაშვილს გავატანეთ მოსკოვში.

ქ. ამავ თვეში მიეცა ბატონის მენენიეს (19 იანვარს)  
ლვინოებში თხხი თუმანი.

ქ. ორს ბუთლიკას, რომში მიეცა აქსენტისა ერთი თუ-  
მანი.

ქ. ამავ თვეში მიეცა მეფევილესა ქერისა ექვსი თუმანი  
თორმეტი კულისა <sup>5)</sup>.

ქ. ორს მეშოკის ფქვილისა მიეცა თხხი თუმანი და  
თოხი რუბლი.

ქ. ამავ ქრისტიშობისთვის პირველს ვიყიდეთ ორი თუმ-  
ნის ქონის სამთელი.

ქ. მეალავს მივეცი ერთი ფუთისა და შვიდის გირვანქი-  
სი მოსაკალავი ხუთი რუბლი და თოთხმეტი შაური.

ქ. წელსა ჩყე იანვრის ოცს ვიყიდეთ ათასი ფუთი თი-  
ვი, ოცდა ხუთი თუმანი მივეცია. წელსა ჩყე თებერვლის

ქ. თორმეტს კულს ქერში მივეცი თხხი თუმანი და რვა  
რუბლი.

ქ. ერთს მეშოკს ფქვილში მივეცი ოცდა ორი რუბლი.  
ამავ თვეში მოვიტანე ერთი მეშოკი.

ქ. ქონის სამთელში მივეცი ორ ფუთნახევარში ორი  
უმანი და შვიდი რუბლი და ათი შაური.

ქ. ღუბერნატონს მიეცა ორის ტრეტისა თოთხმოცი თუ-  
მანი ასოგნაცია (სხილის ქირა).

წელსა ჩყე წელსა იანვრის ჯამაგირები მოგვეცა ქართ-  
ველთა და რუსთა თებერვლის ორს.

ქ. ნინია თომაშვილს მიეცა თხხი თუმანი იანვრის ჯ-  
აგირი.

\*) პარმენ მღვდე. გვარათ წინამძღვრიშვილი იყო, მოძღვარი მარიამ  
შედოფლისა.

<sup>5)</sup> კული—9 ფუთი.

- ქ. გიორგი მზარეულს მიეცა ჯამაგირი ოთხი თუმანი.  
 ქ. ბასილას მიეცა ოთხი თუმანი ჯამაგირი.  
 ქ. ნიკიფორეს მიეცა ანუშკათი ხუთი თუმანი და ხუთი  
 აბაზი.

- ქ. ხარისკონასა და სიმონას მიეცათ სამი თუმანი.  
 ქ. ვასილ ივანის მიეცა კუჩინს ოთხი თუმანი.  
 ქ. ილიასა და ფალეტარს მიეცა ოთხი თუმანი.  
 ქ. პავლე კუჩარს მიეცა ოთხი თუმანი.  
 ქ. ნიკანორას მიეცა ერთი თუმანი.

ქ. ტრინოგა ცოლს მიეცა ექვსი რუბლი თავისი ჯამა-  
 გირი. თებერვლის თვის ოცდა ხუთს ყინულში შივეცით ოთ-  
 ხი თუმანი. თებერვლის ოცდა ექვს თას საეგნს შეშაში მი-  
 მივეცით ცხრა ოუმანი და ექვსი რუბლი.

ქ. აარონ დეკანოზს მიეცა ათი თუმანი თებერვლის ჯა-  
 მაგირი.

- ქ. აბდოთია პრაჭყას მიეცა ერთი მანათი....  
 ქ. სოლომენა დიაკვანს მიეცა აპრილის ჯამაგირი სამი  
 თუმანი....

თიბათვეში.

ქ. ორს, ლუბერნატორს მიეცა მესამე ტრეტისა ორმოცა-  
 თუმანი ასიგნაცია სრულათ, შეუსრულდა და მიეცა ერთი  
 წლისა ას ოცდა თუმანი ასიგნაცია.

ქ. ათი ვედრისა ლვინის ფული მომეცა თებერვეტი თუ-  
 მანი.

წელსა წებე კათათვის თრსა.

- ქ. ლვინოში მიეცა ას ოცდა თორმეტი თუმანი.  
 ქ. შაქარსა და ჩაიში მიეცა სამოცდა ჩვიდმეტი თუმანი,  
 ხუთი რუბლი და თვრამეტი კაპეიკი...

მარიაშობისთვეში.

ქ. აარონ დეკანოზს მიეცა თავისი მეუღლით, ცოლი  
 რომ გაისტუმრა თორმეტი თუმანახევარი.

ქ. ოთხს ბოჭეა ლვინიაში, თორმეტს ფუთს შაქარში, ოცდა შეიდ ფუნდს ჩაიში მიეცათ ორასი თუმანი.

ქ. ერთი ფუთი ზურგიელი სამ თუმნათ.

ქ. ერთი ფუთი დოში ვიყიდეთ სამ თუმნათ.

ქ. ოცდა ათი წყვილი შამაია. ორ თუმნათ.

ქ. სამი ფუთი ლობირ ვიყიდეთ ოცდა ოთხ რუბლით.

ქ. გასტარას უბოძეთ ოცდა ხუთი რუბლი.

ქ. პეტრე დიახოქს მიეცა სამი თუმანი....

ლვინიობისთვეში.

ქ. არხიმანდრიტს თეოფანეს მიეცა ჯამაგირა ხუთი თუმანი \*).

ქ. სიმონას მივეცი თხუთმეტი რუბლი.

ქ. წელსა ჩემ ქრისტიშობისთვეში გადიცვალა გიორგი მხარეული, იმაზედ დაიხარჯა დასამარხავათა და საწირავათ ოცდა ოთხი თუმანი და ნახევარი.

ქ. ამავ თვეში მიეცა აფთიაქში ათი თუმანი.

ქ. ცხენების საკედათ მომეცა ხუთი რუბლი.

წელსა ჩეკვ იანვარში.

ქ. ბატონის კაბაზე დაიხარჯა ცხრა თუმანი შესაკერავით.

ქ. სამი ცხენი ვიყიდეთ, მივეცით ოცდა ცამეტი თუმანი.

\*) არხიმანდრიტი თეოფანე პეტერბურგიდან მოვიდა ნიუეგორიადში 1825 წ. შემოდგომაზედ და ანტონთან ჩამოხდა; გაზაფხულზედ აპირობდა საქართველოდგან იარმუკაზედ მოსულს ვაჭარს ვისმეს გამოჰყოლოდა. მაგრამ 1826 წ. გაზაფხულზედ ავათ გახდა და აპრილის 29 მიიცვალა. დარჩა ვერცხლის ძეწკვიანი ჯვარი ნაწილებით სავსე. პეტოხეს ანტონს— ჯვარი ვის ეკუთვნისო? ანტონმა უპასუხა— „იმ მონასტერს ეკუთვნის, სა-დაც ცედა ათის წლის წინად წინამდლერად რყოვო“. ამიტომ ნიუეგორიადის ეპისკოპომა გამოუგზავნა ჯვარი სინოდის კანტორას, ხოლო კანტორამ გადასცა ეგზარხოსს იონასს მონასტერში გასაგზავნად. (რომელია ეს მონასტერი?) იხ. საქმე კანტორისა 1826 წ. № 312.

- ქ. აპრილის თვეში შეიკერა ბატონმა ანაფორა, დაჯდ  
სარჩულით ცამეტ თუმანახევარი.
- ქ. პარნიკის მინებისათვის მიეცა ორი თუმანი
- ქ. კარაულის მინებისათვის მიეცა თექვსმეტი რუბლი.
- წელსა ჩყვვ, თიბათვის ხუთსა,
- ქ. ბატონის ახალუხებისათვის მიეცა ხუთი თუმანი და  
ორი რუბლი.
- ქ. მებალეს მიეცა შვიდი რუბლი.
- ქ. საპონში მივეცა ორი რუბლი.
- ქ. ორი გირვანქა ჩაიში მიეცა ი:ოთხმეტი რუბლი.

ღვინობისთვეში.

- ქ. ორს ღვინობისთვეს ბერების მოსაყვანი იზბოშია  
მიეცა ხუთი თუმანი ასიგნაცია \*).
- ქ. კაპუსტაში მიეცა ხუთს. თავში ოცდა ექვსი რუბლი.
- ქ. ბერებს ორი საბანი შეუკერეთ, დაიხარჯა ხუთი თუ-  
მანი და რვა რუბლი.
- ქ. ამავ თვეში ათანასე არქიმანდრიტს გაუგზავნეთ მოს-  
კოვში ათი თუმანი ასიგნაცია ბერებისათვის.

\* ) 16 მარტს 1826 წ. ანტონ კათალიკოზმა შოსწერა საქართველოს  
ეგზარქოს იონას—ორი ბერი (ერთი მღვდელ-მონაზონი და ერთი ეწო  
დიაკონი) გამომიგზავნე, რომ ქართულად მიწირონ და მილოცვონ. დაუ-  
სახელა კიდევ თეოფანე ბერი მაჩაბელი, დავით გარეჯის ხაზინადარი,  
რამდენიმე წლის წინად იონამ გადმოიყვანა ტფილისის დარიის შონასტერ-  
ში ბერი ფილადელფი კიკნაძე. თევლე ბატონიშვილის თანხმობით და  
რჩევით იონამ გაუგზავნა კათალიკოზს ანტონს ფრლადელფი ბერიდა ცერ-  
დიაკონი დანიელ მეტრეფელი. ამ ბერების გზის ხარჯათ ანტონმა გამო-  
უგზავნა იონას ოცი თუმანი ფული. ივლისში შიგიდნენ მოსკოვში. აქ  
ათანასე არქიმანდრიტს ანტონმა გამოუგზავნა ბერებისათვის ათი თუმანი  
საგზაოთ და ექვსი თუმანი და რვა აბაზიც სახარჯოთ; მოსკოვიდგან სექ-  
ტემბრის გასულს ჩავიდნენ ნიკეგოროდში ანტონთან. 1827 წ. იანვრის  
20: ფრლადელფი ბერი ცეკვ საქართველოში გამოისტუშა ანტონმა.

ქ. ბერებისათვის გაუგზავნეთ იონა არქიერსა ოცი თუ-  
მანი ასიგნაცია.

ქ. კიკნაძე ბერს მიეცა ლვინობისთვეში ხუთი თუმანი  
ჯამაგირი.

ქ. მეტრეველის შვილს ბერს მიეცა ხუთი თუმანი.

ქ. ფილადე (კიკნაძე ფილადელფი) ბერს მიეცა ქრისტი-  
შობისთვის ჯამაგირი ხუთი თუმანი.

ქ. დანიელ ბერს მიეცა...

შ. ჩყეჭ იანვრის ხუთსა.

ქ. დანიელს ბერსა და ფილადე ბერსა კიკნაძეს ორივეს  
შეუკერე პოლბართატის ანაფი რები გამდიღურის სარჩულებით  
და აგრეთვე კაბები განდიღურის სარჩულით, ამებზედ დაიხარ-  
ჯა ოცდა ცხრა თუმანი და სამი რუბლი და ოთხი აბაზი,  
ოცდა შვიდი რუბლი შესაკერი მიეცა.

ქ. რვა აღლი სარჩული დააკლდა ანაფორებს, რვა ადლ-  
ში მივეცრთ ჩვიდმეტი მინალთუნი და სამი აბაზი.

ქ. იანვრის ოცს კიკნაძე ბერი გაისტუმრეს საქართვე-  
ლოში, ბატონშა უბოძა ორმოცი თუმანი ასიგნაცია.

ქ. კიკნაძე ბერს უყიდეთ სამვზავროთ:

ჩანა, ტყავი, ქული, ჩექმა, ხელჯაგები, რუდქები და  
თოკი. აგაებში გავიდა ექვსი თუმანი და რვა აბაზი.

ქ. სიმონ დიაკვანს მიეცა სამი თუმანი თებერვლის ჯა-  
მაგრი (\*)

ქ. სოლომონ ლვდელს მიეცა თიბათვის ჯამაგირი ხუთი  
თუმანი.

ქ. ათ გირვანქა ყავაში მიეცა თოთხმეტი რუბლი.

ქ. ერთი ფუთი ყველი თხუთმეტი რუბლი

\*) სიმონ დიაკვანი იყო გვარათ ერიაშვილი, ვაჟირელი ჭლეხი ან-  
ტონშა აკურთხა მღვდლად და საქართველოში გამოგზავნა. თან გამოატანა  
ატარა პირიღვთის ფინიჭერის ხატი ხეშა ჩასმული, ნაწილებით საჭე. ეს  
ხატი დღეს ანჩისხატის ტაძარშია. იხ. ანჩისხატის ძველი ტაძარი, გვ. 38.

ქ. სამი ფუტი ბრინჯისუდა ორი რუბლი და ათი შაური.

ქ. მარიამობისთვის ჯამაგირი მიეცა სვიმონ ლვდელს ხუ-  
თი თუმანი.

ქ. პრეკაშჩიკს გასპარას ერთი ბოჭკის ლვინის ფასი ოც  
და ოთხი თუმანი და ექვსი რუბლი და თოთხმეტი შაური.

ანტონ კათალიკოზი ჯანმრთელი კაცი იყო, მაგრამ  
უცხო ჰავამ და სამშობლოს მოშორებამ დაასწეულეს და სიკვე-  
ლილი მოუსწრაფეს. ჩაკი იგრძნო მოახლოვება სიკვდილისა,  
მოუწოდა სასამართლოს მოხელეს 13 ოკტომბერს 1825 წელს  
და შეადგენინა შემდეგი ანდერძი:

„სახელითა შოვლად შემძლებელისა, წმიდასა და განუ-  
ყოფელისა სამებისა – მამისა და ძისა და წმიდისა სულისა,  
ამინ. მე ქვემორე ხელის მომწერელი ჩემის მოხუცებისა გამო  
მუდამ ვფიქრობდი და გონებაცა ჩემი დამიმტკიცებდა ბუნებ-  
რივ და შრისტეს სარწმუნოებისამებრ, ორმ თვითოვეული კა-  
ცი. სცხოვრებს ცხოველის ღვთის უფლებასა ქვეშე და არა  
ძალუბს წინასწარ განიგულოს რა მოულოდნელი შემთხვევანი  
მოელიან მის სიცოცხლესა. ამიტომ ვიდრე ზე მონიცებულის  
გონებით აღჭურვილვარ – მაქვს ხსოვა და სრული ჰკუა, და  
მეორე მხრივ აღსაცხე მადლ ობითა ჩემის ლვიძლი დისწული-  
საღმი, ბატონის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკისა და  
კავალერისა თავადის მესტათი დავითის აე ციციშვილისა,  
რომელიც დიდის ხნიდგან ჩემთან სცხოვრობს და აკმაყოფი-  
ლებს ჩემთა სურვილთა და უფრთხისუდება ჩემსა სიცოცხლე-  
სა და ქონებასა როგორც ნათესაობისა გამო, ეგრეთვე გან-  
საკუთრებულისა ჩემდა მომართისა მეგორობისა და სიყვარუ-  
ლისა გამო, თუმცა ხშირად მოვსულვარ გრძნობათა სავსება-  
სა გადამეხადნა სიკეთე, გარნა ვერა რამე ჯილდო და საჩუ-  
ქარი ვერა ვეცი რა შეძლების უქონლობისა გამო, რაღან  
შმაღლესად ბოძებულის პენიონიდგან და წმ. ანდრია პირველ  
წოდებულის ორდენის შემოსავლიდგან ჩემს ყოველ წლიურ

ხარჯს შემდეგ არა მრჩებოდა რა: ხშირად ხარჯი სჭარბობდა შემოსავალსა, რაკი ვალები მქონდა ხოლმე მოსაშორებელი. ამიტომ მე მოვახდინ შემდევი განკარგულება, რათა ჩემი ნათესავნი და მემკვიდრენი არ შეეხნენ ჩემს დისწულსა და ტყუილ-უბრალოდ დავა არავინ დაუწყოს.

მე განვსაზღვრე ა) ყოველი ჩემი მცირედი მოძრავი ქონება, რომელიც ორას თუმანზე მეტს არ შეადგენს, და ფული, რაც-კი ჩემს უკანასკნელს დანახარჯებს გადარჩება — ჩემის სიკვდილის შემდეგ მიანდერდებია უცილობელ საკუთრებად ჩემის ღვიძლის დისწულისათვის თავ. მვსტათი დავითის ძე ციციშვილისათვის, ნიშნად ჩემის გულითადის მისდა მაღლობისა, მისის ჩემდა წრფელის სიყვარულისა და ერთგულებისა, და, განმეორებით ჩემის მისდა უზადო სიყვარულისა. მე შესაფერად ვერ დავაჯილდოვე. რადგან რაც საჭართველოში ქონება მქონდა, ყოველივე მცხეთის სვეტის ცხოვლის ტაძარს შევაწირე, რაზედაც საერთო განათლების შინისტრს თავ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ზოლიცინს მიხსენებული აქვს; ბ) ჩემს დისწულს მვსტათი დავითის ძესა ვსთხოვ მიწისაგანი გვამი ჩემი დაასაფლავოს; უკეთუ არ ეყოს ჩემი სამარხი, თავისი დახარჯოს, თუ საჭიროდ დაინახოს. რასაც მოვანდობ მისს, დისწულის ნებაზედ. გ) ჩვალად ვსთხოვ ჩემს ნათესავებს და მემკვიდრეებს, რომ ჩემის სიკვდილის შემდეგ არა რაღმე დავა არ დაუწყონ ჩემს დისწულს მ. დ. ციციშვილს, რადგანაც ამას ზეით წმინდა სვინიდისით მომიხსენებია, რომ რაც მითქვამს იმაზეც მეტი არა მაქვს რა და არც შემეძლო მქონდა, და თუ ვინმე წამოედაოს და თხოვნა დაუწყოს, ყოველმა სასამართლომ იგი დავა უქმად ჩაატაროს. დასამტკიცებელად ამისა ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ და ჩემს საკათალიკოზო ბეჭდით (ლერძი) ვპეტდავ. დაიწერა ანდერძი ესე ნიუ-

ნინოვებოროდში, 13 ოქტომბერს, 1825 წ. კათალიკოზი ან.  
ტონი საქართველოსი” \*).

ანტონ კათალიკოზი გარდაიცვალა 21 დეკემბერს 1827  
წ. და დაასაფლავეს ნიუეგრიროდის ხარების ტაძარში. მსტატე  
ციციშვილმა თავი შესწირა ანტონს: ხუთი თვე არ გავიდა,  
რომ 1828 წლის მაისის დამდეგს მსტატე იქვე გარდაიცვალა.

ანტონ კათალიკოზის გულსაკიდი ხატი (პანაგია) 3915  
მანათათ, და შუბლის ბრილიანტის ჯვარი 3905 მანათათ და-  
ფასებული — ეპისკოპოსმა ათანასემ წარუდგინა უწმიდეს სი-  
ნოდს. ეს ფული (7820 მან.) უწმიდესმა სინოდმა გამოუგ-  
ზავნა სინოდის კანტორას და ჩააბარეს მსტატეს მემკვიდრეს,  
პრაპორჩიკს დავით მსტატეს ძე ციციშვილს ოქტომბრის 25,  
1829 წ. \*).

---

\* ) ამ ანდერძის ნამდვილი რუსულ ენაზედ დაცულია ჩვენს საეკა-  
ლესიო მუხეუმში, № 559. გან ვენებულმა დ. პ. ფურცელაძემ 1889 წ.  
დაბეჭდა ცალკე წიგნაკად ყალბი ანდერძი ანტონ კათალიკოზის სახელით;  
იგი ანდერძი არის ხონის მთავარ-ეპისკოპოსის ანტონი აბაშიძისა, რომე-  
ლიც მიიცვალა 1822 წ. ივლისში და იყო ძმა მაქსიმე კათალიკოზისა.

\*) იხ. საქმე სინოდ. კანტორისა 1829 წ. № 2147.

# ავსაზითის კათალიკოზთა სია

(1389—1796 წ.)

არსენი 1389—1425. ესე იუთ შირველი ქათალიკოზი აბ-  
ხაზეთისა, დადგენილი გიორგი მეფისაგან (ცხოვ. იმერეთ. 183  
გვ.) სისვანა-სისვა წყაროებიდამ ამა არსენიმ შეადგინა მოთხოვდა  
სკინა-ქსარი) წმ. აბიბოს ნეკრესელისა. არსენის დროსვე შეირკა  
თომოციოდე წლის განმავლობაში დამთუკიდებლობა აბხაზეთის სა-  
კათალიკოზთსი ქართლის შეფეთამძღვრუბისა გამო (გიორგი,  
ალექსანდრე და ვახტანგ 1407—1450 წ.წ.) და ამ ხნის განმავ-  
ლობაში ისევ მცხეთის კათალიკოზი განაგებდა აბხაზეთის ეკკლე-  
სიას.

აბხაზეთის საკათალიკოზო განმტკიცდა იმერეთის სამეფოს  
განმტკიცებასთან ერთად, სახელდობრ 1464 წლიდამ, როდესაც  
ბაგრატ მეფიებ თხმადთა მომხრეობით გათამაშებულმა დაუძლეურა  
ქართლის მეფენი.

იოაკიმე 1464—1489 წ. წინად ბერიელ-ცაიშელი, განმგე  
საკათალიკოზთსი. აბხაზეთის (იმერეთის) ეპისტოლების განცალკევ-  
ნისათვის დიდად იღვწოდნენ იღუმალ საბერძეთის სამდვდედონი,  
რომ ამით დაესუსტებინათ გავლენა მცხეთის კათალიკოზისა. ბაგ-  
რატ მეფის გამლიერებით ის რცებდა ანტიოქია-იერუსალიმედ პატ-  
რიარქმა მიხაილმა, მოვიდა ქუთაისში და 1464—1474 წ. ესე  
ოთაკიმე აკურთხა კათალიკოზად აბხაზეთისა, იმერეთის სამდვ-  
დელთების სურვილის სიხარულით შემწენარებელმა — „განდგომად

მარჩალებისაგან შცხეოის კათალიკზისა". პატრაარქმა კრისტიანი, სასჭელო მცნებაც მისცა" კათალიკზის იოგიმეს \*).

სტეფანე 1490—1516 წ. (?)

მალაქია I, 1519—1542 წ. აბაშიძე. ამა მალაქიას წინა-  
დაღებით, ააგრძა შეფერ განვურ ლიხით-იმერი სამ საეპისკოპოსოდ,  
სადღომოდ. გელათის საეპისკოპოსო ამ ლოცის დაარსდა (ქართლ.  
ცხ. 271 გვ.) 1533 წ. მალაქიამ აგურთხა ხონის ეპისკოპოსი  
მანაცელ შიძეთიძე; ამ წელს კარვიდა ჯიქეთში და საივასითა გა-  
მოიხსნა გვამი მუნ მოკლელის გურიელისა და მრავალნი ტყვენი.

ევლემოს I. 1543—1578 წელს ჩხეტის ძე. გარდაიცვალა  
1578 წ. ზაფხულში.

მოგვყავს ამ დროს (1570—1576 წ.) საინტერესო გუ-  
ჯარი:

...ნებითა და ჭერ-ჩინებითა დო-ისა ელ-ისა მშერთბეჭისათა;  
ამ უბურეს მონაშენ შესმან გიორგის შეიღმან პატრონმან გურიელმან  
გასტანგ გიძღვურეს შენ მთასა წდ-ასა მთაბორის განბრწეინვებულ სა-  
ხატისა დ-თაებისასა, ოდეს ცოდვათა ჩეტენთა და უსჭულოებათათვის  
ჩეტენთა შემცირდა ჭემარიტებანი ძეთა კაცთანი და უმეტეს ჩეტენ  
ქრისტენეთანი, მას უამსა შან; ოდეს პატიოსანი და დიდი საათაბაგო  
საქისტიანო უსჭულოთაგან და უდმრთოთა აგარიანთა მიერ განირ-  
ებუნა. იწერ მოკლება ჭეჭულმა ჩეტენმან და აღორძინებად სჭულმა  
მახმადისამან, მაშინ მას უამსა საათაბაგოს ურწმუნოთა და ბილწთა  
თათართაგან განირებუნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშადა და  
მოთხოვდა და აშალა და ზარზმის ხატი შენი ძლიერი მთაბორისა  
განბრწეინვებული აქ გურიას ჩამოასვენეს, ვითარცა ექსორია ქმნილი  
და ვითარცა ქრისტე დღეთა ჭერთდესთა ვითარცა ეტუოდა ან გედოზი  
ითხებს აღდებ და ივლტოდე ეგვიპტედ, — მას უამსა შა აღვაშენეთ და  
შეგამბეჭო ზარზმის საყდარი შემოქმედს და დავასვენეთ საძებლებს  
ჩეტენსა წ-და ხატი ესე შენი მეოხებად ცოდვილისა სულისა ჩეტენისა  
და მმისა ჩეტენისა გურიელისა მამის გასამარჯვებლად და ძეთა და

\* ) იხ. ქრონიკები II, ეორდანიასი, გვ. 294—297.

სულთა შისთა საოხად და აღსაზრდედად, გავგიწევია ჩემნებ სისა  
ფრთდ თთხმოცი კვამლის კაცით აზსაურის მჟილებით და იმ სი-  
წინამდევრობებედ კანდელაკად მათე წინამდევრის ძმისწული ითავე მგ-  
ლობელი კოგიტის გვირჩენა და ამა ტაძრის შენის კანდელაკად  
მისთვის მიგიცემია ხეთის კომლის კაცით.... ამ კაცებით შირ-  
ჩენია და შენთვის შემოგვიწირავს ჩემნის ცოდვიდის სულის საო-  
ხად და საცხოვნებელად და გურიელის ჩემის ძმის პატრინის შაშიას  
ჭასამარჯვებლად და საცხოვნებელად... და ამა შენის კანდელაკისა-  
თვის შენის მოხასტრის მუდამ გაუურდობისათვის წირვა-ლოცვისა  
და სამსახურისათვის წელიწადშიდ ჯამავირი გაგზიჩენია ათი კვერდი  
ღომი და ხეთი ქიდა მარადი წელს მიეცემოდეს..., ამის მოწამები-  
არიას შემოქმედებ მოაგარების განვითარების ბატონი ბესარიონი, სახლო-  
უსუცესი მაჭუტარე რამაზ, ართომედაძე ისაკ, ნაკაშიძე მამუკა და  
სხესანი ჩემნები. დარბაზის ერთი ელი უზედესნი და უქვედაქნი.  
აშ ჩემნესა შემდგომად ელინო კათალიკოსო თქმებნება  
ასრე დაუმტკიცეთ; ელინო მიტროპოლიტო და მოაგარ კბისკობოს  
ნო თქმებნება ასრე დაუმტკიცეთ; არქიმანდრიტო წინამდგარნო,  
ქორეპისკობოსნო თქმებნება ასრე დაუმტკიცეთ ხელოსნენო პედი-  
გივალნო, ნაცვალნო მოხელენო ჩემნენო კარის-გამგებელნო თქმებნება  
ასრე დაუმტკიცეთ \*)

ევთომე I, 1579—1612 წ საუგარელიძე. აღმწრი სამბ-  
ლესიო წიგნთა, ამის ქამს იყო (1605 წ) გრება „კანისართვად  
წესთა სამბალესითა და ზექ-ჩვეულებათა“.

მალაქია II, 1613—1642 წ. ძე გურიელის გიორგი II,  
წინად ცაიშელ-ჭუმათელ-ხონელი. იმერეთის მეფე გიორგიმ კი  
მაღალია და დევან ასაშიძე გამოუგზავნა ძღვით სურამში შდგამს  
(1615) მძღინვარე შაჰიბაზს და სოხოვდა თეიმურაზ და დევარსაბ  
მეფეთა შენდობასა და სამეფოთა დაბრუნებასა, გარნა ამათდ ქართ-  
ვე. 38 და 197 გვ. 1 იხ. შემგენიერი ადგილი „არჩილიანისა“

\*) იხ ბაქრაძის „Археолог. путев. по Гурии и Адигарѣ“, გვ.  
130—131.

65—67 გვ. პ. ოთხელიანის გამოცემა. შიწის ძერისაგან შემუშავდა ცაიშის ტაძრი განხანდა 1619 წ. და შეამკო ტაძრის სატი \*).

გრიგოლ I, 1612—1659 წ. ამა გრიგოლმა ამხილა შემწევარის ძაღლის გაგზვნით დადიანს ლევანს 1640 წ. ტყვეთა განსუებები მაჟმალიანთა ზედა. ღრთა ულილობისაგან ერთ ჭამის სამხია იუვნებ ჭარბლივზები: ხან ერთი გათაღიერზობდა, ხან მეორე, ხან შესაძე.

მაქსიმე I, 1628—1657 წ. მაქსიმე ესე მაქსიმე. დადიანმა აღიუვანა საკათალიკოზოსა ტაძრისა ზედა, გითარცა ერთ გული თვისი 1628 წ., ხოლო გრიგოლ დაამსო. გარნა ღრთა მლილობისაგან და ჭამია-და უდირთმლობისა გამო ესე წარგიდა იერუსალიმს 1640 წ. და დაადგრა მუნ; ხოლო გათაღიერზ იქმნა გვალად გრიგოლ. 1640 წ. 8 თებერვალს მაქსიმემ ისახულა და რესის დესპანი მოქვის ტაძრში (ეფრისი) და აჩვენა სიწმიდენი: თეთრი ქვის თითისტარი დვორის მშობლისა და წმ. სტეფანეს ხაწილი \*\*), მაქსიმე მიიცვალა იერუსალიმის ჭვარის შონას-ტერში, სადაც ჭხატია კაღეც და შენვე დაეყვლა.

ბესარიონ I, \*\*\* 1647—1656 წ. ცდილობდა თეიმურაზე შეფისა და ლევან დადანის შესიგებასა, მაგრამ ვერ მთახურსა: თხმალთა პოლიტიკაზ ძირს დასცა ძლიერება იმერა-მერ მეფეთა და მთვარი გათამაშებული და თავგასული ლევანი საქართველოში. პირველობისა ჩემუშლობდა \*\*\*\*).

ზოქარია 1657—1659 წ. ქვარისნი, წინად გენერელი. თხმალთა მძღვრებისა გამო მავის ზღვის მიდამოებში, მა ზაქარიას ჭამს (1657 წ.) საკათალიკო ტაძრი ბიჭვინტილაშ გადა

\* იხ. Селезн. руковод. къ позн. кавказа бб გვ.

\*\*) იხ. Переп. груз. и. съ русс. госуд. LIX გვ.

\*\*\*) ესე ბერარიონ ეზრა იოსელიანმა შეიპურო შემოსილი საკათალიკოზო შესამოსლით და მიიცვანა ალექსანდრე მეფესთან ბანძის ომში. საღამო ალექს-ანდრე 1647 წ. დამარცხა დადიანი და გურიელი. იხ. 41 გვ. გურერბი:

\*\*\*\*) იხ. переп. LXI გვ.)

მორიანიდ იქმნა გელათში, სადაც ზაქარია მარცვალია და ასავლავია  
დიდი ტაძრის ჩრდილოეთ სამწარეულო კარპი ბქეში; მასთ საფლა-  
ვის ქვა დღესაც მოხანს. იქმ დიდი შოუგარე მწიგნითმობისა;  
ამის პენათდობის არა გადაწერილი შესწამება ტულაბი დოდოს  
შონასტრისა<sup>1)</sup>.

სიმეონ I, 1660 — 1666 წ. ჩხეიძე. კერძებ ქვე აუთ უფ-  
ოსა მშა სახლოთხუცესის სეხნია ჩხეიძის

დავით 1666 — 1676 წ. 1682 — 1707 წ. ნემსეძე. რაღაც  
შემთხვევისათვის მაღე დამხეს კათადიკოზობილაშ. შემდეგ ასევ-  
დოვგანეს ამას აკურთხე მიტრობოლიტად შემთქმედედი იაკობ  
ლუმბაძე 1682 წ.

უკლემოს II, 1667 — 1669 — 1700 წ. საყვარელიძე. ჭავ-  
მაღალის საინოუბისა, მწიგნთბარი, აღმწერი საკათადიკოზოზო კა-  
ნონთა.

ეფთვიმე II, 1669 — 1674 წ საყვარელიძე. ამის ბრძანე-  
ბით აღიწერა ცამის გუდისა იმ თავებს; იუთ მომხრე ბაგრატ  
იმერთა მეფისა.

სიმეონ II, 1675 — 1681 წ. ქე სეხნია ჩხეიძისა, რახა  
მთაცრე ნაბერადის გარეობი აბაშიძისა, წინად ქუთათელი (რეჯა-  
რი 147 გვ.)

ნიკოლოზ 1705 — 1710 წ. ამ აღწერა განმარტება სადა-  
მრთათა წერილთა და ისტორია; უკანასკნელ დამხეს კათადიკო-  
ზობიდგან მხილებისათვის ქრისტენებრივ წესია გარეგნისა დადია-  
ნისაგან და სხ.

გრიგოლ II, 1700 — 1742 წ. ბერინ ლორთქიფანიძის ძე.  
ამას შემთხა ბერად და აკურთხა ბელათის მონასტრის წინამდებარებ  
სახელთვანი. ანტონ I. ამა გრიგოლს სწერს ქაისტოდეს პატრიარ-  
ქი იერუსალიმის; ღოსიოეთსი ადრიანოზობილი 1701 წ. სემიონ  
ბერში. იუთ მომხრე ქართლის მეფის გახტან ვI ლევანის ძის  
ნაბოლოზ პენათელთან ერთად; იუთ ჭავა გონაერი, ღიდი გავდენა

<sup>1)</sup> იხ საკუკ. მუხეუმში № 186.

იქნია შემინდელ (1705—1720 წ.). აწერილ სამეცნ საქმეთა დაწესარებაში; ამის შეცვალის უზრუნველყოფით გამოიყენებოდა კითხვის აღმენის დროს კითხვის აპარატი (შეცვალის დროს და მარტინი კითხვის თავის მცირების მეშვეობის 1715 წ., რომელმაც პატიმარ ჰქონდა მას თვისი ციხეში დადაცით).

### გერმანე 1742—1750.

ბესარიონ II, 1752—1779 წ. რაჭის ერისთავი (კვონებ შემიღების ქე). საქათადივთზონის განაკვებდა 1756—1761 წელს 1781 წ. ცოცხლი იყო. 1756 წ. თავის მშას, რაჭის ერისთავის მოჰკერ თან ტურისაში შეიმავდა მამა გურიალისაგან თეიმურაზ და ირაკლი შეფეხბიან და ითხოვდნენ შეწევნასა (თემადონავის ჩამორთმეული ქვეთ გურიალობა); შეივერა ამათ მაიდუს დიდი შატივათ და ალავერდელის შეტოქი მისცეს ბინად; მისწერებს ახალი ტიხის ფაშას შერიცება და გურიალობის დაბრუნება. იყაშამ ადამიადი შეუვერა სურვილი. ბესარიონი დიდის საჩუქრებით გაისტუმ. რას ტურილისადგან. (469 ბგ. ქართ. ცხ. †)

იოსებ 1772—1783 წ. მშა შეფეხას სოლომონ დიდისა.

მაქსიმე II 1776—1796 წ. აბაშიძე. ესე შექსიმე თრჯურ იყო რუსეთი წარგზავნილი, ვითარცა დესპანი შეივერა. პირველი 1769 წ. სოლომონ I წარგზავნა მოსკოვ შეტერბურგში შემწერის საოთხოვნელად წინააღმდეგ თხმალთა; ამ დესპანობის შედეგი იყო ბენერილ-მაიორის ტოტლებენის ქართლიდან გადასცვა (ასპანძის ომას შემდეგ) იმერეთში და ბრძოლა თხმალებთან 1770 წ. მეორედ წარგზავნა შეივერა დავით (1783 წ.) ზურაბ წერეთელთან ერთად. ზურაბი უკანვე მოიქცა სამშობლოდ, ხოლო მაქსიმე დაშთა რუსეთში და 1787—1789 წ. სცხოვრობდა მოსკოვის ვისოკაშეტეროვის მონასტერში; 1789—1792 წ. სცხოვრებდა ასტრახანის დვითაების მონასტერში. აქედან მოისურკვა მოხილეა იერუსალიმისა და ათონის მთისა, ნებაც მოუვიდა, გარნა სწეულებისა კამთ დაშთა პაველი და 1792—1795 წ. სცხოვრებდა

მღვიმას (Печерская) დაწრეშა, სადაც გარდაიცვალა და დასავალი და 30 მაისს 1796 წ. \*).

მოგვაცა, მშვენიერი დარიგება მაქსიმე კათალიკოზისა გურიის უდაბნოს და ერკეთის წინამძღვართა მიმართ:

„აფხაზ-იმპერია ჭარალიკითი მაქსიმე ჩეტენის ხედიერის შეიღვს უდაბნოს მამას ოთხს და კულად ერკეთის წანამძღვარის ბესარიონის უვითისა ჩეტენისა იქსო ქრისტეს მიერ დოცება კურონევით გიგიოს ხავ და შემდგომად ამისა გარწმუნებ სამწესოსა ჩემსა საკათალიკოს ხოსა... და ვითა შეხდობისა ჩეტენისა მორჩილ იუნეთ, გირეთ კათალიკად მოძღვრიდეთ, ასწავლიდეთ და ზედას-ზედა სულიერითა სწავლითა ამხილებდეთ და განამტკიცებდეთ და უბეთუ ვინშე სამღერელოდ კაცი უწესოდ იქცეოდეს, ანუ საუროვანებითა და სხვითა რომელითამე ბოროტითა, — ამხილეთ, შერისხეთ და, უკეთუ არა შეიცდომოს და არცა განაშოროს უწესო იგი ქცევა — დასცენერის მღვდელობისაა გან; და კულად რომელსაცა მღვდელს წირვისა და სათვალის სრულებით აღსრულება არ ძალედგას, თქვენ ასწავლით გულის მოდგინეთ; და უბეთუ კეთილად ერ ისწავოს, იგიცა დააუკენეთ. მღვდელობისაა გან; და რომელსაცა მღვდელისა მეცნიერების და შიში ღუთისა აქენებეს და შეეძლოს საიდუმლოების აღსრულების მან იმღვდელმოქმედოს; ხოლო უმეტრი და უშიში ღუთისა და უკრძალველი გრჩებითა უოვლადვე ხუ იკადოებენ მსახურებად წმიდისა მის წმიდათასა; და ეგრეთვე რომელსაცა ძალედგას სწავლად და მოძღვრებად მოძღვრიდეს, და რომელსაცა არა, ხუ იმოძღვრებს. კულად ამას გამცნებ და გასწავებ, რომ ეპპლესიებს განიხილებიდეთ და მას ზედა დადგინიებულთა მღვდელთა განაკრძალებდეთ და ასწავლებდეთ, რომ ეპპლესია წმიდად და სუვთად შეისახოს, ბარძიძ-ვეშეუბი და შათი დაივარნები და წმიდის ტრაპეზის გადასავარებელი ს-დაც ჭირობი რომ ძველი იუოს, ან დამწარი, ან დახეული — კამოაცვლევინეთ და განაახლებინეთ და იმ ეპპლესიზედ მიმავალს ერსაც აუწევთ, რომ ეპპლესის სამსახურებელს საქმეზედ მღვდელს შეეწყდენ და

\* ) იხ. იონა მიტროვ. მოგზაურობა, 140 გვ.

მორჩილ კემნებით და კავკასიური მუზეუმით რომელიცა საუფლებიათ  
უქმი დღე იქნას, პერიოდულ დამართებულებებს და ერთ სრულებით ურშით  
და გედგითოურთ მამლესიად მიისწავიდებ და წირვა-ლოცვას არ  
დაკლებებოდებენ; და პერიოდულ ამასაც განაგრძობდეთ, რომ შეითხავი  
არ შეიწენართს, შეჩვენებული არის; და გინცა მკითხავი სახლად  
მიიუკას და აკითხვინთს, მკითხავი იგი და სახლად მისუვანებუ-  
ლიცა და შემწენარებული მისი თრიივე ერთბაშად განკვეთეთ და  
განაუენეთ უოველსაგა ქრისტენეთა წესისაგან — ზიარების; და მპრ-  
ლესიად მისვლისაგან და ხურცა მკვდარს დამართებენ შეითხავს, არა-  
მედ ვითარცა მაღლი განცოვებული ეპრეთ შერაცხონ. ესე მცნობა-  
ნი უოველნიგე პერიოდად აუწევთ და განამტკიცეთ და დღითი-დო-  
ნე დაიუმჯნებით სწავლად ერისა, იარებ სასჯელსა დიდსა თანამდებ-  
ხართ. დაიწერა წელთა ქრისტეს აქეთ ჩდობ“ \*).



\* ) მ. ბაქრაძის „არქეოლოგ. კუთხეშ. იო ერი ი ადამი, გვ.  
338 — 339.